

119 /  
1971/2



ქართული  
ლიბრარი

# გეოგრაფია

4

1971

# ენათობი



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-სხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 47-ე

№ 4

აპრილი 1971 წ.

11637

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა კ ს ი


ივანე თარგა — შუა ჩვეთთან იღვინებას, რომანი, აფხაზერიდან თარგმნეს ლ. ლ. ს. ულაბერაძემ და ე. ე. ე. ე. მიახტურაძემ	3
შოთა ნიუნიაძე — ატილევასი ტუსლი და ფარი, ნაწევრები პოეზიიდან	56
ბაკი მასაძე — კინოროზე გაწოდული ცა, მოთხრობა	77
მამია ვარსანიძე — ლექსები	88
კობა იმედაზილი — პასიონები	90
ზურაბ ლორთქიფანიძე — ლექსები	95

### კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

დ. ბაგიჩარაშვილი — ივანე მახაბლის ჟურნალისტური მოღვაწეობიდან	98
გურამ ბაგრატიონი — ერთი, მართლაც, კარგი წილიდან	106
ჯუმაბეკ ვაშაძე — „ულოლიკოს“ ვინაობისა და ულოლიკოს კონცეფციის თაობაზე	116
ზურაბ ვაშაძე — ბავშვების უსაყვარლესი პოეტი	122
გივი მალაქაძე — „გაბაასება კავისა და სოფლია“	128
ნურა ნორკაძე — ზანიზუბი სემების გონივრულ სახელებზე	137
ირმა ჩაიძე — ვალერიან ბაგრატიონის	142
შალვა ჩიჩუა — კართული საბჭოთა ისტორიული რომანის განვითარების შესახებ	150
ნოდარ რუსაძე — ვაინკო მანი	162
მ. შალვაშვილი — „ტვის მხიბი“	176
ნოდარ კვახაჩიანი-კობაძე — ერთი მივიწყებული, ძველი საზღვარი მშენებლობა	181
ირაკლი ბიბიაძე — ჯვაროსანთა ლაშქრობის ისტორიიდან	185
ლევან ალიმონაძე — ირმა იმედაზილის ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“	189



საქართველოს კავშირის კრიტიკის განყოფილება



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბინაშვილი, დ. ზამიჯარაშვილი, მ. ლიბანიძე, ბ. ძლანდი, ა. სულაკაძე, ა. ქათამთელი, ე. ყიფიანი (პ/მე, შიფანი), ს. შაწავაძე, დ. შინგალია, ვ. წულუკიძე, ი. ბილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიჯიაძე.

ტიპრედაქტორი რ. ნაძობაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,  
რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11-  
პ/მე, შიფანის — 98-55-18, განყოფილებუ-  
ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ისაწყობად 2/111-71 წ. ხელმოწერი-  
ლია დისპეტხად 20/11-71 წ., ისაწყობის ზომა  
7 $\frac{1}{4}$  X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 $\frac{1}{16}$ ,  
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი  
ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო  
თაბახი 18.

უი 02005. ტირაჟი 12.625 შეკვ. № 702.  
საჭ. კა ცვ-ის გამომცემლობის სტამბა.  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



## მეჩ რწენთან ილწიქებს

რ მ მ ა ნ ი

17

ამრას ხელი ჰკრეს და მანქანაში ძალით შეაგდეს. მანქანა ადგილიდან დაიშრა, გამტაცებლებმა ამრას პირი აუკრეს კრინტიც კი არ დააძვრევენეს.

აგრა იჯდა მძღოლის გვერდით თითქოს არაფერი მომხდარიყო, მაგრამ თუ გინდ მომხდარიყო, რა უნდა ექნა?

ის დროდადრო ამრასკენ შემობრუნდებოდა, უსირცხვილოდ ჩახედავდა თვალეებში და დამრიგებლური ტონით ეტყობდა:

— უნდა შეურიგდე, ამრა, ყოველივეს. რას იზამ, ასეთია ჩვენი ზვედრი. ეს სრულეებითაც არ არის ცული! პირიქით, კარგიცაა! ნახავ, ბრაზით ვასკდებიან ზოგიერთები. მეც მომიტაცონ, ნეტავი, შესავეით!

ამ სიტყვებმა ერთბაშად მოაშთეს ამრა.

ეს რა შეემთხვა? თავს მოიკლავს და ამ ზვედრს კი არ შეურიგდება. საით მიჰყავთ? ვინ არიან ესენი? სად არის ის. ვინც მას იტაცებს? იქნებ, აჭვეა, მაგრამ ამრა ვერ ხედავს! მანქანის მძღოლი?

მას ერთხელაც კი არ მოუხედია ამრასკენ. მძღოლს მხოლოდ კეფა მოუჩანს!

თვითონ აგრა, ნუთუ ამ გატაცების მონაწილეა? რატომ ზის ასე გულდამწვინდებული? მას ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია? პირიქით, ისეთი ღიმილი დასთამაშებდა...

როცა მანქანა მიხვეულ-მოხვეულ შუკას ვასკდა და სასოფლო გზაზე გავიდა, მაშინ კი საბოლოოდ გამიწყდა იმედი. მანქანა ქალაქისაკენ მიმავალ გზაზე მიჰქროდა. ის-ის იყო, სულ მთლად განადგურებული უკან უნდა დავბრუნებულიყავი. რომ მანქანის ხმა შემომესმა მაშინვე ჰქუას მოვეგე და ხელი ავიჭინე. მანქანა გაჩერდა. მეც ჩავჯექი და დავედევნე. თან ანგარიშმიუცემლად ვიხედებოდი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ.

მანქანა, რომელშიც ამრა იჯდა, ეზოში შევიდა და ზედ შენობის კიბის თავთან გაჩერდა.

ღმერთმა უწყის საიდან, ეზოში ვილაც ბიჭბუჭები გაჩნდნენ, მანქანის კარი გამოაღეს, ამრა გამოათრის და კიბეზე ციმციმ ააქროლეს. აგრა ზევით არც ასულა. თვალსა და ხელს შუა გაჭრა.

ამრას წინ ორი ხანშიშესული ქალი შეეგება.

— დაე, ეს ნაბიჯი ბედნიერი იყოს, ნან! — უთხრა ერთ-ერთმა.

— დაე, ეს კარგი დასაწყისი იყოს თქვენი ახალი ცხოვრებისა, ნან!

და ორივემ გადაკოცნა შიშისგან აცახცახებული გოგონა.

— რას მილოცავთ? — თამამად, ამყად შეეკითხა ამრა ხანდაზმულ ქალებს.

— ეგ საკითხავია, ნან! ამას რად ამბობ? — თქვა პირველმა.

— თქვენ ზომ გათხოვდით, ნან?! — დაუმატა მეორემ.

— რაო? — წამოიძახა აღშფოთებულმა, — როგორ თუ გათხოვდით?!

— ხომ იცი, ნან ძნელი საქმეა გათხოვება...

— ძნელია, აბა რა...

— ვინ გაბედა ეს სისაძაგლე? მაჩვენეთ ის შვიშარი.

— ისე ყოველგვარ სიკეთეს შეხედით, როგორც თქვენ იმ ვაყს შეხედვით ახლა, ოღონდ ჯერ ჩვენ უნდა გავიღეთ, მარტო...

— ჰო, ნან, იგი ახლა აქ როგორ მოვა, როცა ჩვენა ვართ?.. ეს ხომ აფხაზურ წესებს არ შეეფერება, ნან!

— ბოლოსდაბოლოს ვინ არის, შემოვიდეს!

— მოვა, მოვა!..

— როცა საჭირო იქნება, ნან!

— ახლავე-მეთქი! თუ არა და გზა მომეცით, გამიშვით!..

ორივე ქალი ხმაამოუღებლივ განზე გადავა.

ამრა კართან მივიდა და სახელურს მოსწია. გოგონას მაშინვე მოედრებლა სახე. კარი გარედან იყო დაკეტილი.

— ეს ხომ უსინდისობა!

— ნუ ღელავ, ნან, დაშვიდდი!

— ჰო, ნან, უნდა მოითმინო!

— არასოდეს!

ჩემო კარგო, შენს ღლეში ჩავარდნილ ბევრ გოგონას უთქვამს ასე, მაგრამ...

— ჰო, ნან, უთქვამს, მაგრამ ისინი მაინც იქ დარჩენილან, სადაც მიუყვან

ნიათ, ნათქვამი კი, როგორც იტყვიან, ქარს წაუღია.

— ცოცხალი თავით აქ არ დავრჩები!

— ნუ ჩქარობ, ნან, სადაც არი ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო, ხომ გავიგონია?

— ესეც იფიქრე, რაკი ხმა გავარდება, რომ შენ ერთხელ მოტაცებული და სხვის ხელში ჩავრდნილი იყავი, ვინდა შემოგზედავს?!.

— ჩემი სინდისი და პატიოსნება შემოგზედავს!

ამრა და ეს ხანდაზმული ქალები ერთ ეპოქას ეკუთვნოდნენ, მაგრამ მათ საუბარში იმდენი განსხვავება იყო, თითქოს ორი სხვადასხვა საუკუნის მიჯნაზე იღვინენ.

აგრა შინ დაბრუნდა და აღღიზი გააღვიძა საჩქაროდ, თითქოს ძმას ღიღიხნის სასიხარულო ამბავი მოუტანა.

— მოვიყვანეთ, აღღიზ, მოვიყვანეთ!

— ვინ მოიყვანეთ?!

— ამრა მოვიყვანეთ, ამრა!

აღღიზი საწოლზე წამოჯდა.

— საიდან, როგორ?

— ახლა იგი ჩვენს ხელშია და ვერსად წაგვივა! დღეიდან ამრა შენი ცოლია!

— აგრა, რას ამბობ, ხომ არ გავიციდი?!

— ცოლი მოგიყვანეთ, ბიჭო, არ გესმის, რას გელაპარაკები?

— გამაგიყვებს ეს გოგო, ნამდვილად გამაგიყვებს, — თავისთვის ჩაბურტყუნა აღღიზმა და საჩქაროდ ჩაემას შეუღდა. აგრამ უთხრა ძმას, სად მიეღის პატარძალი და ოთახიდან ქარივით გავარდა.

მოტაცებული აქა აღღიზის ბინაზე კი არ მიიყვანეს, არამედ მის ნათესავებთან, რომლებიც სოფლიდან არც ისე შორს ცხოვრობდნენ.

აღღიზმა მაშინვე ჩაიცვა და ოთახის კარი გამოიხურა. საუბარი, რომელიც ამრასა და უცხო ქალებს შორის გაიბა, ალბათ უფრო უსიამოვნო სახეს მიიღებდა, ამ დროს კარი რომ არ ვალებულ-

ყო და ოთახში აღდნი არ შემოსულყო.

— აჰა, ისიც მოვიდა.

ორივე ქალი ოთახიდან გავიდა.

როგორც კი მარტო დარჩნენ, ამრამ თავი ველარ შეიკავა.

— ეს ხომ ვერაგობაა, ლაჩრობაა და მეტი არაფერი..

აღდნი თვალის დახამხამებაში ამრას წინაშე მუხლებზე დაეცა:

— მაპატიე, ამრა... აქ რალაც გაუგებრობა მოხდა.

— მე მუდამ ძმად მიმაჩნდი, აღდნი. შენ კი...

— მე არ შემილახავს ეს გრძნობა, ამრა!

— მაშ, ვინ შელახა?

— არ ვიცი.

— აქ ვინ მომიყვანა?

— არ ვიცი, არა!

— გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები!..

— ღმერთი, რჯული, არაფერი არ ვიცი!..

აღდნი ფეხზე წამოდგა.

— ნუ გეშინია ამრა, ნურაფრის ნუ გეშინია, სანამ მე აქ ვარ, ხელს ვერაფერს გახლებს.

— მაშ, რა მოხდა?

— მეც ეს მაინტერესებს.

ამრა მოუყვა, რაც თავს გარდახდა.

აღდნი ცოცხალ-მკვდარივით იყო.

— ცოცხლად დაეუმარხივარ იმას, ვინც ეს ჩაიდინა, ამრა, მაგრამ, იცოდე, ამ ბინძურ საქმეში ჩემი ხელი არ ურევი.

— ახლავე წამიყვანეთ სახლში! თხოვა ამრამ, როცა აღდნიმა ოთახიდან გასვლა დააპირა.

აღდნი აივანზე გავიდა, მიიხედ-მოიხედა. ირგვლივ კაციშვილი არ ჰქანებდა. ყველანი წასულ-წამოსულიყვნენ.

აღდნი და ამრა კიბეზე დაეშვნენ.

თუკი აქამდე კაციშვილის ჰქანებდა არ იყო, ახლა, გამოჩნდნენ დიასახლისიცა და ამრას გამტაცებლებიც და „მეფე-დედოფალს“ გარს შემოერტყნენ.

სახლის პატრონი გაწიწმატდა:

— რას სჩადიხარ, აღდნი, რას ნიშნავს ეს?

— არაფერს, ხომ ხედავთ, მივედივართ!

— სად, როგორ! — ყველა ერთბაშად ახმაურდა.

— შინ!

— გინდა დანით ყელი გამოშკრა, საქვეყნოდ გამოშაშქარავო? ჩემი სახლიდან მიდიხარ, იცოდე, ეს ჩემი სიკვდილის ნიშნავს, ცოცხლად მმარხავ!.. ვითომდა რაო, მე არ შემიძლია ღირსეულად გავიმასპინძლდეთ თუ რა? — თავს იკლავდა სახლის პატრონი, — როგორღა შევხედო სახეში ხალსს, მეზობლებს.

— ყველაფრისათვის მადლობელი ვარ, ახლა კი ჩვენი აქ დარჩენა შეუძლებელია.

— ნუ, აღდნი, მამაშვილობამ, აგრე ნუ იხამ!

— უნდა წავიდეთ!

— შინ! შინ-მეტეი! — ვერ მოითმინა ამრამ.

— განა ვაწყენინეთ რამე? რატომ გვაგდებთ ამ სატანჯველში?

იქვე იდგა აღდნის მანქანა. აღდნიმა ჭიქურ გაარღვია აღმფითებული წრე, ამრა მანქანაში ჩასვა და თვითონაც გვერდზე მიუჯდა.

...მოშხდარი ამბით ენაჩავარდნილი და სისხლგამშრალი ხარზამანი უაზროდ დაბოროილობდა ეზოში. ხანდახან ჩახრინწული, ღონემიხდილი ხმით თუ გამოელაპარაკებოდა მასზე უფრო მისუსტებულ დესის:

— როგორ მომსპეს!.. როგორ დამღუპეს!.. ამრა, ჩემო იმედო!

აღიასი სოხუმში წავიდა და ჭერ არ დაბრუნებულყო. ეს კი უფრო აგიუებდა ხარზამანს, სულ იმას ეჩიჩინებოდა, ევედრებოდა, თვალსა და ხელს შუა გვერდვევა წლობით ნაკვდაე-ნადაგი კარ-მიდამო, შენ კი ხან თბილისში, ხან სოხუმში დადიხარ და დათარეე იმ შენს მანქანას, არაეითარ ყურადღებას არ აქცევ ოჯახსო.

ამრა გაუტაცია!.. საბრალო ამრა!.. უკვილია კიდევ, მშველელი არაეინ გა-

მოჩენილა, თითქოს უპატრონო იყო!.. ვაი, ჩემს სევსა!..

ახლა უკვე ყველაფერი ვათავებულა. ვინ შეძლებს გამტაცებლებს დაეწიოს და გოგო წაართვას?

როცა მთელმა ქვეყანამ შეიტყო, ის ამბავი, რომ ვიღაც ვიგინდარებმა გაიტაცეს იგი, გინდაც დაიბრუნო — რა ბედენაა, ვიღაც უნდა სხვისგან შეურაცხყოფილი ქალი... ღმერთმა რატომ გახადა ხარზამანი ამის მოწმე?.. უბედურება მართო არასოდეს არ მოდიხო და ხარზამანსაც ზედიზედ დაატყდა თავს სამწუხარო ამბები.

ხალხმა ნელ-ნელა მოიყარა თავი, ერთმანეთს გაოცებულნი შესცქეროდნენ და ხეირიანად ვერც მიმხედარიყვნენ, რა მოხდა.

...ამ დროს ხარზამანის ტიშკართან მანქანა გაჩერდა. სინათლე მთელ ეზოს ანათებდა, აივანზე გამოფენილ ხალხს თვალს უკრავდა, ციმციმ ეალერსებოდა ტახტზე მჯდარ ხარზამანს. ყველას ტიშკარისაკენ ეჭირა თვალი. ვიღაც გოგონამ ტიშკარი გააღო და მანქანა ეზოში შემოსრიალდა.

ამას ვის ზედავს მისი თვალები?.. განა ამრა არ არის, მანქანის აბდღერიალებულ ფარებს შორის მოღიმარე რომ დგას? ყველას ასე მოეჩვენა, მაგრამ ვერცერთს ხმის ამოდება ვერ გაეებდა. ნუთუ ამ ბოლოყამს ხარზამანსაც ლატობენ ბევრის მნახველი თვალები? აბა, ამ ღამით ვინ მოჰგვრის ამრას? სადა სცალია ხარზამანისათვის ასეთ მოულოდნელ ბედნიერებას?

როდესაც თავზარდაცემული ხალხი გაქვავებულივით იდგა და ვერცერთ მათგანს ვერ მოეფიქრა, რა ელონა და როგორ მოქცეულიყო, მოულოდნელად გაისმა დგისის მოტირალი, რომელმაც ერთ წამში მოიცვა მთელი ეზო-ყურე:

— ვაიმე, ამრა, ჩემო საბრალო გოგონავ, მოგიკვდეს დედა!

— აქ ვარ, დედიკო, აქ! — ამრა დედისკენ გაეჭანა.

ხალხი ერთბაშად ახმაურდა. ხარზამანი ტახტიდან ზეწამოიჭრა, მაგრამ რა.

ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოახერხა, დაზღადაცემულივით გაშეშდა. *სტანკო* აღგებულნი

— ნუ გეშინია, დედა, ეს მე ვარ, ამრა! — დედას მივარდა ამრა. გულაჩუყებული დესი ახლა უფრო ხმაშაღლა ატირდა. მაგრამ ეს უკვე სიხარულის ტირილი იყო.

— ბაბუა! — დედის კალთას მოსწყდა და ახლა ბაბუას ბებერ მკერდს მიეკრა სიხარულისაგან ფოთოლივით ათრთოლებული გოგონა. შემდეგ კი თავის ოთახში შევიარდა.

ამასობაში აღღიზიცი ამოვიდა აივანზე. მისმა გამოჩენამ ყველა გააკვირვა. როგორ?.. ვანა მან იხსნა ამრა?..

როცა ამრამ თავის ოთახს მიაშურა, ხოლო დესიმ აღღიზნ მოჰკრა თვალი, მაშინვე გონს მოვიდა. იგი ამრას ოთახში შევიარდა და შვილს კითხვები დააყარა:

— რა მოხდა? რა ამბავია?

ამრა საჩქაროდ მოუყვა, რაც თავს გადახდა.

დესი ჩუმ-ჩუმად უსაყვედურებდა ამრას ისე, რომ არავის გაეგო მისი ხმა:

— როგორ მოგვეჭერი თავი საქვეყნოდ! რანაირად დაბრუნდი უკან? რას იტყვის ხალხი? თვითონ აღღიზნ მაინც არ მოეყვანე!.. შენ იცი, ამით რა გააკეთე? შე ჩერჩეტო, შენა!.. ენაჭარტალა მეზობლები იტყვიან, — ამრა პატიოსანი არ ყოფილა და იმიტომაც სასიძომ თავისი ხელით უკან მოიყვანა და მშობლებს მიუტვდოო. ვანა შეიძლება ხალხს პირი აუკრა? როგორ დამასხი თავს ლაფი და ცოცხლად დამშარხე?.. უტვინო! აღღიზნე უკეთესს ვის გაჰყვები. ახლავე უკან გაჰყვი, ახლავე.

— არა! არასოდეს! — მოულოდნელად გაუხსლტა ამრა დედას და ოთახიდან გავარდა, — სწორედ აღღიზნა მიხსნა! მე არასოდეს მძა არ მყოლია, დღეიდან ყველამ იცოდეთ, რომ მე მძა მყავს. აღღიზნი სწორედ ისე მოიქცა როგორც ნამდვილ მძას შეეფერება!..

ხარზამანი ყურადღებით უსმენდა ამრას, ბოლოს თავი ვედარ შეიკავა და გუ-

ლაჩუყებულმა აღდიზს მიესიყვარულა:

— ღმერთმა ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება მოგცეს, შვილო აღდიზ! — მივიდა. გადაეხვია და მამაშვილურად გადააკოცა.

აღდიზმა სწრაფად დაიხოქა ცალ მუხლზე და ახალბოხის კალთას ეამბორა.

— შვილო, შენ დღეიდან ამრას ძმა იქნები— დღეიდან შენი ჰირი ჩვენს ჰირად იქცეს, აღდიზ! რაკი შენს ხელში ყოფილა ჩვენი ბედი და არ გაგვაუბედურე! — ხარზამანმა მოკლედ, მაგრამ ისე კი, რომ ყველასათვის ნათელი და გასაგები ყოფილიყო დასრულდა თავისი სიტყვა:

— შვილო, აღდიზ! მე ისეთი ძვირფასი განძი არაფერი მაქვს, შენი საკადრისა იყოს, პირიქით, დაუფასებელი საჩუქარი ჩვენ შენგან მივიღეთ. აი, ეს ეზო, ეს კარ-მიდამო, სადაც შენ დგახარ, სულ სიხარულში მოგხმარებოდეს.

აღდიზის პასუხიც ნათელი და გასაგები იყოს:

— ღმერთმა გამხადოს მე ამის ღირსი! ასე დამთავრდა ამბავი ამრას გატაცებისა.

მაგრამ დამთავრდა კი?

ბოლოს, როგორც იქნა, დაევიწაღენით. როცა აივანზე მხოლოდ ოჯახის წევრები დარჩნენ, ცალცალკე, გულში ყველა თავისებურად ხსნიდა და აფასებდა ამ შემთხვევას, ოჯახი რადაცნაირმა საიცივემ მოიკცა.

ხარზამანს ერთი რამ ანუგეშებდა მხოლოდ — საბრალო ამრა დიდ გასაქირში ჩავარდა, მაგრამ არ დანებდა, შეურცხვენელი გამოვიდა და ძმაც იპოვნა. რა მოხდებოდა, რომ ამგვარი რამ საერთოდ არ გადახდენოდათ თავს, მაგრამ ჩანს, ეს ეწერა და კიდევ კარგი, ამრამ შეძლო თავის დაღწევა.

თუმცა... როგორ წარიმართება მისი ბედი მომავალში?!

ვაითუ ამ შემთხვევამ ჩირჭი მოსცხობა? მე? როგორღა ვუპურებ ყველაფერ ამას? ხარზამანს ყველაზე მეტად ეს აინტერესებს.

მართლაც, როგორ აღვიქვი მე ამრას გატაცება და მისი უკან დაბრუნება? ხარზამანმა უსიამოვნოდ ამბობს, მაგვარიც ვერა შემამჩნია რა, მაგრამ შემდეგ, როცა ყველაფერს ჩემს გონებაში აეწონდავწონი, საბოლოოდ როგორი შეხედულებისა დავრჩები ამ შემთხვევის მიმართ ეს შემდეგ გამოჩნდება.

ვერც ამრა გარკვეულიყო თავის აფორიაქებულ ფიქრებში.

როგორც ჩანს, ალგერის არაფერი გაუგია, თორემ!.. თორემ აქამდე მოფრინდებოდა, საწყალი ბიჭი! წარმოდგენაც არა აქვს რა დაატყდა თავს.

არა! მან ჯერ არაფერი არ იცის! მაგრამ საინტერესოა, როცა სიმართლეს გაიგებს, როგორ მოიქცევა?

იმ დღეს ამრა სკოლაში უნდა წასულიყო. ვინ იცის, როგორ აიშვეს თავი მოსწავლეებმა, ვაი თუ ისინიც კამათობენ და სჯიან თავიანთ მასწავლებელს?

ალიასმა როგორც კი თავის სოფელში შემოდგა ფეხი, თავს დაესხნენ მეზობლები.

— მადლობა ღმერთს, ყველაფერი კეთილად დამთავრდა.

— ყოჩაღ, ამრა! მან არ შეარცხვინა თავისი გვარი.

— განა ისეთი რა უნდა შეხვედროდა ამრას, რომ ვერ დაეძლია?

— სჩანს, გოგო სულითაც ძლიერი ყოფილა!

— და კვიციანიც, აბა ერთი წუთით წარმოიფხვინე, რა მოხდებოდა, თავი რომ მოეკლა?

ასე, ერთნი გულისტკივილით, მეორენი უსაქმურობითა და მჭირდავი ღრეჭით გარსშემოებენიგენენ ალიასს, დაარტიანვს იგი და დიდხანს ხმა არ ამოაღებინეს, მერე კი ყველამ თავისებურად უამბო ამბავი.

შინ მისვლისას კი ალიასს დესი აუშხედრდა:

— გაიგე, რა ჩაიღინა შენმა ქალიშვილმა? მე ხომ გეუბნებოდი.. შინ დაბრუნდა, მაგრამ... ასეთი დაბრუნება რა ჰირად გინდა?

— აბა, იქ ხომ არ უნდა დარჩენილიყო, სადაც გული არ მიუწევდა?

— დიხანე, უნდა დარჩენილიყო, იქ, სადაც თავი მოეჭრა, ასეთია ჩვენი ადამიანი!

ალიასს საყვედურიც არ დასცდენია, პირიქით, გაამხნევა იგი და ურჩია, აღარ ეფიქრა მომხდარ ამბავზე.

მეორე დღეს, რომ გზაში არავინ შეხვედროდა და არ გამოსაუბრებოდა ამრა უთენია წვიდა სამსახურში.

იგი მარტო იჯდა სამასწავლებლო ოთახში და თავაუღებლივ კითხულობდა რომელიღაც წიგნს, ხოლო შემოსულ კოლეგების მისალმებაზე ძლივს პასუხობდა. არც ერთ მათგანს არ უტღვია მასთან გამოლაპარაკება, ყველა თავისი საქმით იყო გართული, ანდა, უბრალოდ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს.

ზარი დაირეკა. ყველაზე ადრე ამრა წამოდგა და სამასწავლებლოდან გავიდა...

როცა სიის ამოკითხვა დამთავრდა კლასში ისეთი სიჩუმე იყო, ბუზის გაფურენასაც ფაიგონებდით.

ამრამ თავი ასწია და ჭგუფს თვალი მოავლო, შემდეგ მიხერა კედელზე შეაჩერა.

ბავშვები ყურადღებით უსმენდნენ მას.

— ვინ შემახსენებს, რა გვქონდა დღეისათვის მოცემული? — თქვა ბოლოს.

ხმას არავინ იღებდა.

— აბა, ვინ მოყვება დღევანდელ გაკვეთილს?

— ისევ დუმილი.

— არავინ იცის? არ ვისწავლიათ?

— „ქალის ღირსება“ — წამოიძახა უკანა მერხზე მჭიდრომა გოგონამ, — დღეისათვის გაკვეთილად გვქონდა რომანის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ერთ-ერთ მთავარი გმირის საიღას ვატაცებაზე. თუ გნებავთ, მე მოყვები, პატივცემულო მასწავლებლო! — ხმაბაღლა დაიწყო გოგონამ.

ბავშვები ახმაურდნენ და ჩუმრეზად მიჯლუგუნები წაჰკრეს ერთმანეთს... ეს როგორ მოუვიდა, იგი არც დატოვებულა იმაზე, რა უზერბულობა მოჰყვებოდა ამ შეკითხვას...

ამრას მოუსვენრობა დაეტყო. მოსწავლეები კი გაუძირველად ისხდნენ და უსმენდნენ. გოგონამ ვერც მოასწრო გაკვეთილის მოყოლა, რომ ზარი დაირეკა.

ამრა უეცრად წამოხტა, თითქოს სკაიი გამოაცალესო:

— კარგია!

მოსწავლე თავის ადგილზე დაჯდა. ისე, რომ ვერ მიხვდა რას ნიშნავდა ეს „კარგია“.

ვერც სხვები მიხვდნენ რაზე თქვა მასწავლებელმა „კარგია“.

— რაა „კარგი“?

მოწაფე მოყვა კარგად თუ თვითონ მოთხოვიაა კარგი? იქნებ მასწავლებელს არ ესიამოვნა ამ ამბის მოყოლა და დაიშურა კარგი, ენახოთო?.. ან იქნებ ნიშანი დაუწერა „კარგი“?

ახლა იმტვრიე თავი და გაიგე რას ნიშნავს ეს „კარგი“.

ამრა ისე გავიდა საკლასო ოთახიდან, რომ ამის მეტი სიტყვა არა უთქვამს რა.

ასევე უსიცოცხლოდ ჩატარდა იმ დღეს ამრას სხვა გაკვეთილებიც. თავისი კოლეგებიც არაფერს ეკითხებოდნენ ამრას, ეს დუმილი უფრო ჩაგრავდა და უკლავდა გულს.

რას მოასწავებს მათი დუმილი? იქნებ იმიტომ დუმიან, რომ არ უნდათ სხვის პრილობებში აფათურონ ზელები? ან, შესაძლოა, კიცხავენ და ამის გამო არ სურთ გამოლაპარაკება?

სამსახურის შემდეგ ერთი წუთითაც არ შეყოვნებულა, უმაღლ შინისაკენ გაეშურა.

საბედნიეროდ ჯერჯერობით არავინ შეხვედრია... ნაბიჯს აუჩქარა, რათა სახლში რაც შეიძლება მალე მისულიყო.

მიღის ამრა და თან თავის ნაბიჯებს დასქერის, თითქოს ეშინია ფეხი არა-

ფერს წამოკრას. არც მარცხნივ იყუ-  
რება, არც მარჯვნივ არ უნდა ვინმეს  
შემთხვევით შეეფეთოს, სიმარტოვე  
ურჩევნია.

ამრას მტკიცე ნაბიჯების შემხედ-  
ვარი ძნელად თუ ვინმე გაბედავს გა-  
მოლაპარაკებას. აბა, გაბედუ და ჰკითხე  
რამე!

ჩქარა მაინც მივიდეს სახლში გზაც  
თითქოს უსაშველოდ დაგრძელდა, ვე-  
ლარ გაილია! ეს უბანი რომ გათავდება  
და აღმართი აიღუვა, მერე აღარაფერი  
უშავს.

აბა, ვინ გაუმკლავდება იმ ქალებს,  
თვალუბდაჰყუტილები რომ გადმოყრდ-  
ნობიან ღობეებს და მზად არიან რაიმე  
მწარე სიტყვა ესროლონ ქალიშვილს.  
ისე გაუშვებენ, ერთხელ მაინც რომ არ  
დაგესლონ? საგონებელში ჩავარდნილი  
ამრაც წინდაწინ გრძნობს ვიღაცის ხმა  
მოსდევს, სადაცაა მისწვდება და ეკალი-  
ვით დაესობა გულზე. ასეც მოხდა. ერთ-  
ერთმა გოგომ თავი ველარ შეიკავა:

— გამარჯობა, ამრა!

ამრას გააყრკოლა, და ძლივს გასა-  
გონი ხმით უპასუხა:

— გაგიმარჯოს.

გოგომ ვერ გაიგო ამრას პასუხი და  
უფრო მკაცრად შეუტია:

— გამარჯობა-მეთქი, გითხარი, ყრუ  
ხომ არა ხარ? ან იქნებ, თავს არ გვი-  
ყადრებ?

— ყრუ არა ვარ, როგორც მითხარი,  
ისე გიპასუხე...

და ასე, მთელი გზა უხდებოდა ამრას  
თითო-ოროლა სიტყვით გაეცა პასუხი  
აქეთ-იქიდან თოვლის გუნდებივით გა-  
მოსროლილ შეკითხვებზე:

— ამრა, ჩვენთან შემოიარე, რა იქ-  
ნება?..

— გმადლობთ!

— ამრა, აქეთ სად ყოფილხარ?

— სამსახურში.

— ამრა, რომელი საათია?

— საათი არ მაქვს.

— ამრა, ზედ რომ არ გვიყურებ, რა-  
თია საქმე?

— ვერ შეგნიშნე, მაპატიე.

— ამრა, რატომ ხარ ცუდ ხასიათზე?

— სულაც არა ვარ ცუდ ხასიათზე...  
ამრა თავის სახლს მიუახლოვდნა! გასა-  
შემო არავინ არ ჩანს, მაგრამ მის სმენას  
მაინც წვდება ვიღაცის ხმები:

„ღამიხედეთ, როგორ ვაამაყებულა!“

„ვითომ ესეც მამაბრამის ბატკანი  
იყოს!“

„რალა ანგელოსი და რალა ეგ!“

„იქნებ შეგვიწყალო და პასუხები  
გავცე?“

ამრა მოწამლულივით იყო ამდენა  
იღუმალი საყვედურის შემდეგ, და მხო-  
ლოდ ერთადერთი სიტყვით ეწინააღ-  
მდეგებოდა:

— რატომ? რატომ? რატომ?

## 18.

აღღიზის არსებაში აქამდე ებრძვის  
ერთმანეთს ორი ძალა. მას ახლაც უყ-  
ვარს ამრა, როგორც მაშინ, პირველად  
რომ შეავლო ბეალი. სურვილი, ერთხელ  
მთელის ძალით აფეთქებული, მაგრამ  
გამწყდარი, ასე ადვილად არ აღმოიფხვ-  
რება მისი გულიდან. ეს გრძნობა ალ-  
ღიზის განუყრელი თანამგზავრი იქნება  
ცხოვრების გრძელ და უცნაურ გზაზე,  
თუმცა მან ძალიან კარგად იცის, რომ  
ისინი ვერ შეუღლდებიან. „ხომ იცის?“

„როგორ არ იცის!“—

მხოლოდ ამ ერთადერთ თბილ გრძნო-  
ბას ალღიზმა სადღაც შორს, სულის  
სიღრმეში დაუდო ბინა.

არა, ეს გრძნობა არ იყო მაცდური და  
მატყუარა, ეს სულ სხვა გრძნობა იყო,  
გრძნობა — ადამიანის ნებისყოფის გა-  
მოცდისა, ადამიანში სიმამაცისა და სი-  
ლამაზის აღორძინების გრძნობა!

მას შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა —  
მათს სახლს კარი საით აბია აღარ იცის,  
ამრა ხომ სიახლოვესაც არ იკარებს,  
მარტო ესენი როდი გაუბრძინა ასე ერთ-  
მანეთს; ამ ორი ოჯახის წევრი სათოფე-  
ზე არ ეკარება ერთმანეთს.

ეს რა ნათესაობაა? ეს რა დამძობაა.  
აგრა ფიქრობდა, რომ გმირობა ჩაიდი-  
ნა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი მის სი-  
წინააღმდეგოდ შებრუნდა.

და როცა იმედგაცრუებულმა აგრამ შეატყო, რომ ყველა მის წინააღმდეგ ამხედრდა, ერთი წუთით მოეჩვენა, თითქოს სოფელში მისი გაჩერება უფრო და უფრო მეტ უსიამოვნებას გამოიწვევდა. ამის მოჩვენება და სოფლიდან მისი გამგზავრება ერთი იყო. აგრას დედამ კარგად აწონ-დაწონა თავისი ოჯახის მდგომარეობა და აგრა ქალაქს გაგზავნა, ნათესაებთან. შენი საქციელი ცოტა მივიწყებს უნდა მიეცეს და მერე უკანვე დაგაბრუნებო, — საგზაოვით გააყოლა ეს სიტყვები გეგეშამ თავის ქალიშვილს.

ჩემთვის არავის ეცალა, კაციშვილი არ ასხენებდა ჩემს სახელს, დავებნებობდი მარტოდმარტო ჩემს დარდიან გულთან ერთად. ყველა მომხდარ ამბავზე ლაპარაკობდა, როგორ მოხდა, რატომ მოხდა, და ვინ იცის კიდევ რას. პირადად მე არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი ამ ამბავს. მთავარია — ამრა ცოცხალია, ჯანმრთელი და თავის სახლშია. ეს მამხნევებდა. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ როდის და სად გაიტაცა. დიახ, იგი თავის სახლშია, მაგრამ მე რა?

მე ხომ მისთვის არ ვარსებობ.

თუმცა, როგორც არ უნდა იყო, მე მხოლოდ ამრას ბედნიერება მინდა, დიახ, მე მინდა, რომ ამრას არაფერი არ აწუხებდეს. დარწმუნებული ვარ, არც იმას უნდა ჩემთვის ცუდი.

კი, მაგრამ, როდემდის უნდა ვიყო ასე ბურუსით მოცული. ნუთუ ვერ უნდა გავიგო რა აზრისაა ამრა ჩემზე?

რა მდგომარეობაშია ც არ უნდა აღმოეჩნდეს, ჩემი გრძნობა მისდამი ურყევია.

ხომ არ მატყუებს ჩემი გული?

არა, ჩემი გული წრფელია, იგი არასოდეს არ შეცდება.

კი მაგრამ, რა საფუძველი მაქვს ამ სიყვარულისათვის? ამრას მხრივ ხომ არავითარ მხარდაჭერას არ ვხედავ?..

არა, არც მქონია და არცა მაქვს. ჩემი გული ერთსა და იმავეს მიკარნახებს, ამრას გარეშე შენი ბედნიერება არ არ-

სებობს, ოდესმე, როგორც მდინარის ორი შენაკადი, შეერთდებიან და აქვენი ცხოვრება ერთად დაიწყებსს დარწმუნებას.

„როდის?“

„ოდესმე!“

თუ ეს ასეა რაღას ვუცდი, რატომ არაფერს ვეუბნები? იმას ხომ არ ველი, მეორედ როდის გაიტაცებენ? ვანა სიყვარულისთვის დრო არსებობს? ახლა რომ მივიღე მასთან და თამამად ვუთხრა ყველაფერი?

ახლა?

კი მაგრამ ახლა ამის დროა?

რას ამბობ, როგორ შეიძლება. ამრა ხომ იფიქრებს, თითქოს ამ მომენტს ველოდი. თითქოს ამით მინდა ვუთხრა, — მადლობა ღმერთს, ახლა შენ არავის სჭირდები, ყველამ მიგატოვა, ამიტომ გიჯობს მე გამომყე.

ამრა თითქოს ამქვეყნად მარტოდმარტო დარჩა — არ ძალუქს ვინმეს გაუმეღავენოს მძიმე ვარამი, გულში გაჩენილი იარა გამუდმებით ღრღნიდა და მოსვენებას არ აძლევდა... სამსახურის შემდეგ ჩაიკეტებოდა თავის ოთახში და ერთი წუთითაც აღარ გამოდიოდა.

რას ჰგავს ეს? სწორედ ასეთ დროს უნდა ამოუღვეს გვერდში შეგობარო, რომელიც გაამხნევებს, გაუგებს, და გაუადვილებს სატყვიარს, ნუთუ დღევანდლამდე იგი მოტყუებული იყო? და ბრმავებული? სად არის ალგერი! რატომ არაფერს არ ატყობინებს? როცა ამრას გაუჭირდა, მაშინ სადღაც მიიმალა? რატომ გახდა იგი ასე ხელწამოსაკრავი, ყველამ რომ ყბად აიღო.

ბოლოსდაბოლოს როცა ალგერი აღარ გამოჩნდა, ამრა მაშინვე საქებნელად დაემართა.

იპოვნა, შეხვდა.

მაგრამ ის აღარ იყო ძველებური ალგერი, მისი თვალებიც აღარაფერს მეტყველებდნენ, ჭეშქვიან გუბებზე დაყვანილი ორი წვეთი წყლის მსგავსად უშინაარსოდ იყურებოდნენ. ვაჟი ამკარად გაუბრბოდა ქალის მკაცრ მხერგს.

გამოიცვალა თუ ამრასთან შეხვედრას განიცდის? მისალმება ისეთი ნაძალადევი ჰქონდა, მიხრა-მოხრაც თითქოს სხვისი კარნახით სრულდებოდა, ხმაც უცხო იყო, უჩვეულო...

ამრამ თავად წამოიწყა:

— ალგერი, ალბათ, გაიგე...

თითქოს ალგერისთვის ყველაფერი სულერთი იყო, არაფერი უბასუხა. ამ დროს ალგერი სულ სხვა ქალიშვილზე ოცნებობდა.

— არ შეიძლება, რომ არ გაგეგო, — ისევე შეაბსენა ამრამ თავი.

— არაფერია.

„ეს რას ნიშნავს? ნუთუ ალგერისათვის ყველაფერი სულერთია? ღმერთო, როგორ შეცვლილა?.. იქნებ ამრა ვერ მიუხედა, რატომ თქვა „არაფერია?““

ალგერი ამრას გატაცების ამბავს გულგრილად შეხვდა, იქნებ იმიტომაც, რომ ის უკვე აღარ აინტერესებდა.

— და უცებ... ბედის ირონიაც ამასა ჰქვია საიდან გაჩნდა აქ ხარზამანი? თუმცა რა ვასაკვირია; მას შემდეგ რაც ხარზამანს ეზო ჩამოუჭრეს, სახლში შესვლა აღარ უნდა. შუალაქმდე ფერმაში საქმიანობს, როცა კარგა მოილდება, ნელი ნაბიჯით ბრუნდება შინ და თავის ნადველს ღამის მყუდროებას უნაწილებს.

როგორც კი მოხუცი შეამჩნიეს, სხვადასხვა მხარეს მიიძალნენ. ნეტავ, ისინი ხარზამანმა თუ დაინახა?.. შეუძლებელია ხარზამანს თვალი არ წაესწრო...

„ბედლანავსული ბედის კარზეც ფეხს წაიტეხსო“ — სწორედ მათზეა ნათქვამი. მაინც რამ მოიყვანა ახალმოვარეში ალგერი? ამრას ალბათ არც ჩამოცალდება. ამრაც, ფარვანასაფით, ვიდრე სანთლის ალზე სუსტ ფრთებს მთლიანად არ შეიტრუსავს, თავს შემოივლება. თვალმაც დაუღვეს გულის სიბრძნევს, — ალგერის გვერდით სიკვდილი ურჩევნია, სხვაგან ყოფნას.

ხარზამანი უკვე შინაა. შინაა, მაგრამ რა მოასვენებს, აღელვებული დაეხეტება ერთ მუჟა ეზოში, მის უკან კი უხმოდ მიჩანალებს ხეიბარი ბილგია.

ამრა შინ არ დაბრუნებულა. თავი აარიდა ბაბუსთან შეხვედრას. გინდაც, შეხვდეს, რა უნდა უხმობს? თავი ვერ დაუმორჩილებია, თორემ თვითონაც კარგად გრძნობს, რომ არ არის მართალი. ქალიშვილს უფლება აქვს ისე მოიქცეს როგორც თვითონ სურს, თავისი ბედიც თავად წარმართოს. ალბათ ასეთია განგების ნება. რას იზამ, განა ცხოვრება იმნაირად მიედინება, როგორც ხარზამანს უნდა?.. ცხოვრებაც თავის კანონებს იცავს ბებერ და გულქვა მეველესაფით.

ხედავს ხარზამანი, კარგად ხედავს, რომ ცხოვრების კანონებს დაშორდა მაგრამ რა ქნას, ასე ადვილად ვერ ურიგდება, თვითონ რომ მოინდომოს, შინაგანი ძალა არ აძლევს ნებას, დამორჩილდეს ახლებურ წესებს.

ეზოდან გამოვიდა, აღმართს აუყვავა. ცოტა რომ გაიარა, ცუღმა არ მოუთმინა, შეჩერდა და უკან მოიხედა.

ზევიდან დააკქერდა თავის სახლ-კარს.

ეზოში შიშველ დანასავით ეგლო ახალგაყვანილი გზა...

რა მოიფიქრა მაშინ ბერეკაცმა? ღმერთმა უწყის!..

ან იქნებ არც ღმერთმა?!

19

უეცრად დინამიტის აფეთქების ხმა გაისმო. ხარზამანი ისე შეტორტმანდა, თითქოს ვიღაცამ მკერდში მჭილი ჰქარაო.

მის წინ აღმართული ზვიადი კლდე, რომელსაც ხარზამანმა სულ ერთი წამის წინ მოწყვიტა მზერა, ჯერ აიზიდა, მერე კი თითქოს ამოიგმინაო, ისე ჩამოინგრა, ხოლო მისი ნამსხვრეუები ბალიშოდან გადმოყრილ ბუმბულოვით გაიფანტა სივრცეში, ბოლოს კი სეტყვესაფით წამოვიდა დაბლა.

ამ ნამსხვრეუების ნაწილი ხარზამანის ირგვლივ დაკვივდა.

— არა, ყველაფერს რომ გადავურჩეთ ამ ხალხს ვერ გადავურჩებით, ცუდად შემოგვიჩნდნენ, ცუდად, — თავისთვის

ჩაიბურღლუნა ხარზამანმა, — ჩვენცა და ამ მთებსაც აღგვეგვიან პირისაგან მიწისა. აბა, რანი ვართ ჩვენ, ჩემო თავო, მათთან შედარებით?!

მოხუცი ბილიკიდან გადავიდა და რომელიღაც ზის ძირას დაღვა. იქვე ახლოს, გამოშვიგულ კლდესთან ორნი გამოჩნდნენ. ხარზამანმა მაშინვე იცნო ალგერი და მიტა. ისინი პირდაპირ მისკენ გამოეშურნენ.

— თქვენ რა, გადაწყვიტეთ, დღისით, მზისით ააფეთქეთ მიწა, რომელზედაც ვდგავართ? — მწარედ იხუმრა მოხუცმა. — როგორც ვხედავ, ვერა და ვერ ისვენებთ!

— ტყუილად გვადანამაულებთ, ხარზამან, — შეესიტყვა მიტა, — აგერ, წითელბაფთიან მარგილზე ნათლად წერია, რომ წინ წასვლა საბიფათოა.

— რომელი მარგილი? — გაიკვირვა ხარზამანმა. — მე არაფერი შემიძინია. მერე კიდევ მაგ ნიშნებს მე კი არა, თქვენც ურევთ ზოგჯერ... ჩემთვის გაუგებარია ერთი რამ, რატომ უნდა მეშინოდეს წითელი ფერის?.. ჩვენი სოფსაბჭოს თავზე, ყოველი დღესასწაულის წინ ააფრიალებენ ბოლშე წითელ დროშას. ამას ჩვენს შესაშინებლად აკეთებენ თუ რა? მე კი მგონია, ასე იმისთვის სჩადიან, რომ უფრო აშკარად გამოხატონ ჩვენი სიხარული, ხომ ასეა, დაღ?..

— ამას დღესასწაულის დღეებში აკეთებენ, — სცადა შესიტყვება მიტამ, სამუშაოზე ეს ფერი სულ სხვას ნიშნავს...

— რას მელაპარაკები? დღესასწაულის დღეებში ამ ფერით გვაშვიდებთ, გვასიამოვნებთ, მუშაობის დროს კი გვაფრთხილებთ... ვერაფერი გამოვიდა! — არ ცხრებოდა ხარზამანი.

მიტა ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ასე შებურღლბოდა მისი და ხარზამანის საუბარი.

ალგერი სულ არ ჩარეულა ამ კამათში. იხანა კიდევ, რომ მისდაუნებურად გახდა ამ უსიამოვნო კამათის მოწმე.

— თქვენ ჩემი შეშინება გინდოდათ, მაგრამ არ გამოგივიდათ, — ხარზამანმა

შეატყო რომ უხერხულ მდგომარეობაში ჩაედო ახალგაზრდები, ამიტომ ისევ ხუმრობას მოჰყვა, — ფავდაპირველად თუმცა შეგვამინეთ, მაგრამ ეგ არაფერი, მთავარია, რომ გზას გვიკეთებთ. ჩვენი ფერმის გასწვრივ გაგყავთ გზა, — ვადიჩანა სიტყვა სხვა საგანზე, — სადამდე გავა ეს გზა, როდემდის ივლით ასე მაღლა-მაღლა?..

— სადამდისაც შესაძლებელი იქნება, — მიტასაც აღარ დასჭირებია სიტყვის ძებნა, პირდაპირ მიახალა მოხუცს.

— მიინც?

— ეს გზა ძალიან გრძელი იქნება.

— გადაწყვიტეთ სამზრეთი ჩრდილოეთის დაუკავშიროთ?..

— თუ საქირო იქნება მაგასაც ვაგაკეთებთ. მაგრამ ამკერად ჩვენი ამოცანა უფრო იოლია.

— აბა რა საქირო იყო ამდენი ალიაქოთის ატეხა?

— იმიტომ რომ უზრუნველყოთ ხეტყის დამზადების საქმე.

— ტყე უნდა მოსპოთ?

— ნელდ მასალას გამოვიზიდავთ, თან ტყეს გავწმენდთ.

— ტყე აქამდე თვითონ წმენდდა თავის თავს, დღეს რაღა მოუვიდა.

ალგერიმ რაღაც მოიმიზეზა და წავიდა.

როცა მიტა და ხარზამანი მარტო დარჩნენ, კამათიც შეწყდა.

— შეილო, მიტა, — მაშინვე დასძინა ხარზამანმა, — ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ გზას რომ დაამთავრებთ, მერე სადღა წახვალთ?

— სხვაგან.

— მიინც?

— სადაც გამგზავნიან.

— სად უნდა გაგზავნონ?

— სადაც გზის გაყვანა იქნება საქირო!

— ჩვენს სოფელთან ახლოსა?

— ვერ გეტყვით, წინასწარ არ ვიცით. თქვენ გიჩქარებათ, გინდათ, რაც შეიძლება მაღე წავიდეთ აქედან.

— არა, რას ამბობთ, თქვენ ისე ჩქარობთ ამ გზის გაყვანას...

— ჰო, ალბათ, მალე დავამთავრებთ.

— ელსადგურის მშენებლობას რომ დამთავრებენ, მერე... სად წავა ალგერი? — მიტა შეჩერდა, ნათქვამს ჩაუკვირდა, და როცა ამოხსნა, თავი ვერ შეიმაგრა, ცოტა არ იყოს უხეშად და ცივად უპასუხა ხარზამანს:

— მანამ თავის ჩანაფიქრს არ შეისრულებს, ფეხს არ მოიცივლის აქედან!

— როცა ელსადგურის მშენებლობა დამთავრდება, არც მაშინ?

— არც მაშინ და არც ახლა, არსად არ წავა!

— ეს როგორ?

— ისე, როგორც ვითხარით, არ ემეტება ასე ადვილად დატოვოს თქვენი სოფელი.

— არც მაშინ, როცა ელსადგურის მშენებლობა დამთავრდება?

— ხომ ვითხარი, არც მშენებლობამდე და არც მისი დამთავრების შემდეგ ფეხს არ მოიცივლის-მეთქი.

— ვერაფერი გავიგე.

— აქედან ისე არ წავა, რომ თქვენი სოფლის რაიმე ნაწილი თან არ წაიღოს. რამდენადაც მე ვიცი...

— რა ნაწილს გულისხმობთ? — ერთბაშად აენტო და ანერვიულდა, მოხუცი.

— ალგერი ცარიელი ხელით არ წავა აქედან!

— კი მაგრამ, რას წაიღებს-მეთქი აქედან? — ხარზამანი თანდათან ააშკარავებდა თავის გულისწყრომას.

— ეს უკვე თავის საქმეა, თვითონ იცის, რასაც წაიღებს, — მშვილად უთხრა მიტამ. ამან უფრო გააღიზიანა ხარზამანი.

— ყური დამიგდე, თქვენ აქ იმიტომ მოხვედით, რომ დამაავადოთ? შემოჩენილები ხართ, თუ რა?!

— არც შემოჩენილები ვართ და არც თქვენი დავადება გმწადია. პირიქით, ჩვენ გვინდა ერთად ვიცხოვროთ... თქვენი ოჯახის სასურველი მოყვრები გავხდეთ...

მოხუცი სულ მოიშალა.

„როგორ ურცხვად მელაპარაკება ეს ლაწირაკი, თმათეთრი მოხუცი! არაფრად ჩამავდომო სად, სად გაქრა ის სიხდისი და თავდაქერილობა, რომელსაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ხარზამანი და მისთანები დიდი ხნის წინათ, ახალგაზრდობის დროს? ახლა ყველა მოხუცი და ახალგაზრდაც ერთ ტაფაში იხრავება.“

მერე, ესაა საქმე?!

— დამოყვრება კი არა, აქამდე მტრები რომ არ გავხდით ერთმანეთისა, რაც მართალია მართალია, ძალიან მიუკერძოებს — თქვა და ამ სიტყვებს ბერიკაცმა თითქოს გულიც ამოაყოლა.

მიტა ისეე მოხუცს მიუბრუნდა:

— მითხარით, ხარზამან ბატონო, რასაც ამრახე ამბობენ მართალია?

ახლა კი ჩაიქცა ის მიწა, რომელზედაც ხარზამანი იდგა: „ერთომ რაო, რას ამბობენ? საბრალო ამრა!.. როგორ გაუშწარეს სიცოცხლე!.. თავს მომაკვლევინებენ და ეს არი, ამრას დაჩაგვრას ვერ ავიტან, ვერა!.. ეს ბიჭბუჭები თვალსაც არ დაახამხამებენ, ისე მოვახლიან დაგესლილ სიტყვებს!.. რას ჩააცივდნენ ჩემს შვილიშვილს?.. თითქოს ამრას მეტი არავინ იყოს ამ ცოდვილიან დედამიწაზე!..“

— საინტერესოა, შენ როგორ გაიგე?

ამან ცოტა არ იყოს შეაცბუნა მიტა, თავი უხერხულად იგრძნო,

— მეე?.. როგორღა გავიგებდი?..

— ჰო, შენ, როგორღა გაიგე-მეთქი?

— ცული არაფერი გამიგია, თქვეს რომ ამრას აწყენინეს...

ხარზამანს თავის შეკავება აღარ შეეძლო, ხოლო მიტა წამდაუწუმ უკან იხვედა.

— რაო? როგორ თქვეს?

— ისე, უბრალოდ, ამრას ცოტა აწყენინესო.

— ვინ, თქვა?.. როდის?..

— ეგ კი არ ვიცი, ღმერთმანი...

— ჰოდა, თუ არ იცი, ენას კბილი დაეჭირე! — თითქოს ირველივ შემოკრებილ ხალხს შემოსწყრო, ხარზამანი ცი-

ვად გაშორდა მიტას და თავის გზა გაუყვა...

მიტა ენაჩავარდნილივით რღვა.

ხარზამანი მიდიოდა და თვალუბიდან ცეცხლს აკეცებდა. სუნთქვა უჭირდა. მის თვალში სოფელს ერთბაშად გასძვრა თავისი მშვენიერი სამოსი.

მისი სახე აღარ იყო ნათელი და ფერდაწმენდილი. უფრო ხარზამანის სახეს ჰგავდა — მოღუშულსა და გამკაცრებულს. სად გაჰქრა ის მომხიბვლელი ღიმილი, რომელიც მის სოფელს არასოდეს არ სცილდებოდა? სად გაჰქრა მისი სიტურფე? თითქოს ხეებიც უნიათად იცქირებიაწ. სად გაჰქრა სოფლის მაცოცხლებელი ჰაერი, ბავშვობიდან რომ საამუხრად ესალბუნებოდა მის სულსა და გულს? რა სიძნელის წინაშეც არ უნდა ყოფილიყო, ეს ჰაერი ამხნევებდა და ძალას მატებდა მას.

ახლა რატომ უჭირს სუნთქვა? ან, რამ გამოაცალა ჯანი და ღონე?

მიდიოდა იგი თავის ფიჭვივით დაუსრულებელ გზაზე. ერთადერთ ნუგეშად თავისივე სამუშაო დარჩენოდა და იქითკენ მიეშურებოდა.

ბოლოსდაბოლოს საშინლად განვრისხდი საკუთარ თავზე. ვერც დამნაშავეს ვხედავდი ვერავის, ჩემს გარდა. მე მთლიანად შთანთქმული ვიყავი ათასწარიად ჩახლართულ და ბუნდოვან საქმეში.

როდემდის ვიჯდები ასე გულხელდაკრფილი, როდემდის უნდა ვუყურო სხვათა საქმიანობას.

ყველა თავისთვის და თავისებურად იბრძვის და მეც თუ არ გავანძრე ხელი. როგორც ჩანს, გამთელავენ, დროა ავიკაბიწო სახელოები:

პირველი, ვინც გზაზე მელობება და აღრეც მელობებოდა, ეს ალგერია. მე კი ისე ჩაეუვლი ხოლმე წინ, თითქოს მასთან არაფერი მესაქმება.

გადაწყდა, ახლავე უნდა მივიდე და მოველაპარაკო, ამ საქმის სახვლიოდ გადადება ზიანის მეტს არაფერს მომიტანს.

მთელი სოფელი შემოვიარე, ყველგან

ვიყავი, სადაც კი ალგერი მეგულებოდა, მაგრამ ვერსად ვნახე.

„იქნებ თავის მეგობარ შიტასთან არის?“ — გავიფიქრე და მაშინათვე მისკენ გავეშურე.

წინათგრძნობამ არ მიმტყუნა. ჩემს წინ ბილიცზე ჩქარი ნაბიჯით მიმავალი ალგერი დავინახე.

მეც ავუჩქარე ნაბიჯს, — ერთი სული მქონდა მთელი ჯავრი ამომეყარა გულიდან, დამეველო ხელი და უფსკრულში გადაემეხეხა.

ნებისყოფა გამომელია და სუნთქვა შეერულმა დაეუძახე:

— ალგერ, ჰეი, ალგერ!

ალგერი უმაღვე შედგა.

მე მტკიცედ და დაბეჯითებით მივიწწრაფოდი მისკენ, თითქოს მსურდა, კბილით დამეგლიჯა.

ალგერი გაოგნებული მიყურებდა და ვერ გავგო რა მოხდა; ეტყობა არ მოეწონა, ჩემი გამომეტყველება, ისეთი ტონით მოთხრა:

— რაშია საქმე, ალოუ, რაღაც აფორიაქებული მეჩვენები!

გაშწარებული მივეარდი, თვალემი ლამის ბუდიდან ამომვარდეს, ქშენაქშენით ავხედ-დავხედე, თავიდან ფეხებამდე შევათვალე რე და დაეუღრიალე:

— რაზე ფიქრობ ახლა შენ?

ამ უაზრო შეკითხვისა ვერა ვაიგო რა და ხმა არ დაუძრავს.

— მე შენ გეკითხები, რაზე ფიქრობ-მეთქი?

— მე მეუბნები? — მკითხა გაკვირვებულმა.

— დიახ, სწორედ შენ გეკითხები

— არაფერზე.

— გეყოფა, გესმის? პასუხი გამეცი!

— არაფერი მესმის, ალოუ, გამაგებინე რაშია საქმე?

— ძალიან კარგად გესმის, თავს ნუ ისულელებ. ჯობს გულახდილად ველაპარაკოთ ერთმანეთს.

— მაინც...

— გზიდან ჩამონეცალე, გესმის?

— კეთილი მგზავრობა! — თქვა და ბილიკიდან გვერდზე გადადგა.

— გეყოფა, ხუმრობა!

— ალოუ, ნუთუ არ შეგიძლია გამაგებინო, რაშია საქმე?

ალგერის თვალეზში დანაშაულის ნიშანწყალი არ იგრძნობოდა, თითქოს იგი საქმის ყურში არ იყო, მაგრამ მეც ზუსტად ისე მომივიდა, როგორც იტყვიან, — კურდღელმა იმდენ ხანს ირბინა, რამდენ ხანსაც იჯდაო და მოვხსენი გუდას თავი.

— ბოლოს და ბოლოს ჩამომეცლები გზიდან თუ არა? — ხმას აფუძალღე.

— შენი გზა ფართოა და ხსნილი, დამილოცნია.

— ალგერ, იცი რა უნდა ვითხრა? — ვცადე მშვიდად მეტყვა, — მოეშვი იმ გოგოს, არაა შენი საქმე.

— რაო! — დაიჭექა ალგერიმ და ჩემს თვალწინ მოულოდნელად ელვის უსწრაფესად იცვალა სახე. სულ სხვა კაცად იქცა, თითქოს უფრო ამიღლდა კიდევ, მხრებში მჭიდროდ ჩამჯდარი თავიცი თითქოს თვალდათვალ აიშართა — დღეიდან შენი ხმა არ გავიგო, ერთ დღეს აღღიზი ჩამჩიჩინებს, მეორე დღეს — შენ. თავი დამანებეთ თორემ...

— ალგერ, გზიდან ჩამომეცალე, სხვას არაფერს გთხოვ! — ახლა უფრო მშვიდად ვუთხარი, თუმცა ვგრძნობდი რომ ეს სიმშვიდე თანდათან იძაბებოდა და ზამბარასავით იჭიმებოდა.

— მაინც საინტერესოა, რისი იმედით ლაპარაკობ ასე თამამად? — გაიკვირვა ალგერიმ და ხმასაც დაუწია.

— ჩვენ შევთანხმდით, მე ამრას ცოლად ვირთავ, დღედაღამე ვვოცნებობ, ეს არის ჩემი გზა.

— შეეენ?.. შენ უნდა შეირთო?.. — და ალგერიმ მთელი ძალით გადაიხარხარა, — მაშ, შენ?.. შენ, არა?..

— ჰო, მე! მე! მე!

— ესე იგი შენ?.. — მის სიცილში ჩანდა მუქარა, რომელსაც ვაღვიძებულნი გრძნობა იწვევდა.

— ჰო, ჰო, მე! სწორედ მე!

— გაჩუბდი-მეთქი!

— ალგერ, იცოდე, გზიდან ჩამოგვეცალე!

— თუ მართლა ამრამ სიტყვა მოგცა, დამილოცინხართ, მაგრამ თუ შევალთ-მაქტობ და ჩემი გაცრუება განვიზრახავს... — ბოლო სიტყვები, კბილებში გამოცრა და თვალის დახამხამებაში ადგილიდან მოწყდა.

მაშ, ასე, გადაწყდა, მაგრამ რა გადაწყდა? რა გადაწყვიტე?.. ყველაფერს, რაც მოხდა. შემთხვევითობის ელფერი აღევს. მეც ისევე უნებურად გამიეარდა თოფი, როგორც იმას, ვინც შიშისაგან ისროლა, ისროლა, მაგრამ უდროოდ დროს, უმიზნოდ და ნასროლიც უკვალოდ გაქრა დროისა და სივრცის ვრცელ უდაბნოში.

როგორ უსინდისოდ მოვიქეცი? როგორ გაცხარდა ალგერი? შეუძლებელია ეს ამბავი ამრას არ უთხრას. მაგრამ პასუხად რას მიიღებს? მე ხომ საშინლად ვიცრუე. რას იტყვის ამრა? ღმერთო, დამიცავ სირცხვილისაგან.

სხვა გზა არ არის, ამრა უნდა ვნახო, ვიდრე ის ნახავს, უნდა ვნახო და ყველაფერი დაწერილებით ვუამბო.

რა უნდა ვუამბო? ის, რომ ალგერი უსინდისოდ მოვატყუე? ამის შემდეგ განა ალგერი დაიჯერებს, თუნდაც მე და ამრა ხელიხელჩაკიდებული გამოცხადდეთ მასთან და ავუხსნათ, რომ ყველაფერი ეს ჩემი მოგონილია და სიმართლესთან არაფერთარი კავშირი არა აქვს?

ისე, რომ ვთქვათ, რატომ უნდა დაიჯეროს? რატომ ვთქვი ასეთი სისულელე?

შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გაქერი, რა კარგად უთქვამთ? მე კი ბრმად გადავწყვიტე და აჰა, სანამდე მივედი, ახია ჩემზე!

საბრალო ამრა!

ფეხები თითქო თავისით მოწყდა მიწას.

პირდაპირ ამრასკენ გავეშურე.

ბედი თურმე ყურისძირში მითვალთვალედა, — ამრა დიდხანს არ მიძებნია, იგი იქვე იჯდა წყაროს პირას და პატარ-პატარა, გამხმარ ღეროებს მორევში ყრიდა. ამას ისეთი მონდომები-

თა და ყურადღებით აკეთებდა, რომ ეტყობოდა, არც არაფერზე ფიქრობდა და არც არავის ამჩნევდა.

მიუვახლოვდი.

ამრას თავი არ აუღია.

უფრო ახლოს მივედი.

მაინც ვერ შემამჩნია.

ვდგევარ მის გვერდით და ველოდებო. ვდგევარ და ხმას ვერ ვიღებ. ვარშემო მივიხედ-მოვიხედე. კაციშვილი არ ჰქაჟანებს.

მერე დავიხარე და თვალებზე ხელი ავაფარე. ეს ისე, უნებლიეთ გავაკეთე, თითქოს ხელებმა ჩემგან დამოუკიდებლად, თვითნებურად დაუხუტეს თვალები ამრას.

— ვინა ხარ? — მაშინვე იკითხა ამრამ.

მე ვაჩუქდი, გავინაბე, ხელები კი უფრო მჭიდროდ მივაფარე თვალებზე, ასე მეგონა მეც ვიპალებოდი ამრას დახუტულ თვალთა მიღმა.

— ვინა ხარ-მეთქი, მითხარი! — ქალიშვილმა ხმას აუშალა, — სულერთია, მაინც გიცნობ! — იგი თვეზივით გამისხლტა და ცეცხლოვანი თვალები ისე შემომანათა, გავიფიქრე, ვლევამ ხომ არ გავკესა-მეთქი. მაგრამ ეს სულ ერთ წამს ვაგრძელდა, იგი თვალის დახამხამებაში გაბრწყინდა და გამხიარულდა:

— ალოუ, ეს შენ ხარ? ასე მოულოდნელად აქ როგორ გაჩნდი?!

ცხადი იყო, — ის უსაზღვროდ ბედნიერად და კმაყოფილად გრძნობდა თავს, ეს თვალნათლად დავინახე და სახეზე სიწითლე მომეღო.

— აქეთ რა გინდოდა, ალოუ? რამდენი ხანია არ მინახიხარ, სად დიქარგე?

მის შეკითხვაში იოტის ოდენი საყვედურიც არ იგრძნობოდა. ამრას სიტყვებს ვარეგნულად შეკითხვის ხასიათი ჰქონდა, მაგრამ საკსენი იყვნენ სიტბოთი. მე ეს სიტყვები შევიგრძენი მთელი სხეულით და მომიჩვენა, რომ მის თვალბუმბში ზეიმობდა სიხარული. და ეს სი-

ხარული გამოწვეული იყო იმიტომ, რომ ამრა მე მიყურებდა...

— ჰო, ეს მე ვარ აქ, — ვუხმასუხე, თითქოს ამრამ არ იცოდა, რომ მე ვიყავი.

— მოდი, ჩამოჯექი, — მითხრა და ჩვე ქვაზე ჩამოჯდა. მეც მის გვერდით დავჯექი.

მან მაშინვე გამიბა საუბარი, თითქოს ჩემს მოსვლამდის მისი სევდა, მისაფიქრები უთქმელობით იტანჯებოდნენ.

არ ვცდილობდი რაიმე საწინააღმდეგო აზრი გამომეთქვა. ვიჯექი ამრას გვერდით და მონუსხულივით ვუსმენდი წყაროს წყალივით მომდინარე საოცარ სიტყვებს.

ვინა ტკბილი სიზმრით ოდესმე დაიღლები? იგი ხომ ფოთოლივით ვაგიტაცებს სადღაც შორს, ფერადი ბურუსით მოცულ სიმაღლეში და გაიძულებს, რომ მიეცე თავდავიწყებას.

მეც სწორედ ასე დამემართა.

მაგრამ, ვინა მე იმისათვის მოვედი აქ, რომ მხოლოდ ამრას ვუსმინო? მეც ხომ მაქვს სათქმელი?.. არა, მე ამრას სიხარულის მრავალნაირ მიუზთა მოწინდ ვერ გამოვდგები, ეს არ უშველის ჩემს გაჭირვებას.

არა! არ მინდა!

დაე, შეწყვიტოს ლაპარაკი, რათა ჩემს სულშიც ჩამოიხედოს, იქაც სიღრმეა და საიდუმლოება!

არ მინდა!

კმარა!

როცა ჩემგან შემთხვევით წამოსროლილი სიტყვა ოდნავ შეეხო ამრას სმენას, თითქოს ცეცხლის ალს შეუბერესო, ამრას დაწვები უფრო აეგზნო. იგი ჩემცენ შემობრუნდა, გამიღიმა და მითხრა:

— ალოუ, შენ უნდა გამაცილო მე, გესმის? მე მინდა, მხოლოდ შენ იყო ჩემი ხელისმომკიდე!

— რაო, რა სთქვი? — ვუპასუხე ისე, რომ ენის მობრუნება ვერ მოვახერხე.

— მალე გზას უნდა გავუდგე, ალოუ, ამიტომ შენ უნდა იყო-მეთქი ჩემი ხელისმომკიდე, გამცილებელი.

ჭირის ოფლმა დამასხა.

როგორ მოვიქცე? რა უნდასუხო?

აჰა, ამრა სხვაზე თხოვდება, მე კი... მე... უნდა ვიყო მისი ხელისმომკიდე... კი, მაგრამ ვის მიყვება? ალგერის? წყლან ალგერის ხმა არ ამოვადებინე, ამრა ჩემი საცოლეა-მეთქი? რა ვუთხრა ახლა? ეს ხომ ორგზის სიკვდილს უდრის? ვაი, სირცხვილო! გათელილო თავმოყვარეობავე?

როგორ ვიმაართლო თავი?

რატომ ჩამოვედი ახალმთვარეში, რატომ, რატომ?

20.

ჭერ კარგად არ გათენებულყო, როცა ხარზამანი ეზოში შევიდა. მთელი ღამე მოუსვენრობდა, ეზოში დაეხეტებოდა.

ვიღრე მანქანები ახმაურდებოდნენ და ხალხი აირეოდა, ისე რომ არავის შეემჩნია, გამოვიდა ეზოდან, ჩამოჭრილ მიწას ერთხელ კიდევ მოუფათურა ხელი, ზედ გაიარა-გამოიარა და ისევ უკან შებრუნდა. მიწის ამ ნაწილს ხარზამანი ისე უყურებდა, თითქოს საკუთარი ხორცის ნაჭერი ჩამოეჭრათ. თუმცა შინაგანად ეს ადგილი მისი განუყრელი ნაწილია, მისი საკუთრებაა და როგორც უნდა, ისე მოიხმარს. იმაზეც მადლობა თქვან, რომ გზის გაყვანის უფლება მისცა!

ხარზამანიც არავის ეკითხება. ადგილი, რომელზედაც გზა გაიყვანეს, ისევ მას ეკუთვნის თუ არა. თავის გონებაში მოხუცს თავისად მიიჩნია, და როცა ეზო-კარს ათვალეირებს, არასოდეს არც ერთი წუთით არ ტოვებს მხედველობის გარეშე ეზოს მიღმა დარჩენილ მიწას.

იმ ღამესაც ასე მოიქცა, მაგრამ, როცა ეზოში შევიდა, ეზო ძალიან ებატარადა, შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა და მზერა გარეთ დარჩენილ მიწაზე შეაჩერა. ერთი ამოიოხრა და სახლისკენ გაემართა. მას ფეხათრევით გაჰყვა ბილგია.

შეებრალა მოხუცს ეს უტყვი არსება, რომელიც კულისჭიციანით ეფერება, ათასი რამ უნდა უთხრას თავის პატ-  
2. „წინათბა“, № 4.

რონს, მაგრამ რა ქნას, როგორ გააგებინოს? ხარზამანს უამრავი უცხოელები ფიქრი აუწეწა ბილგიას დანახვამდე.

„საცოდავი ბილგია, მთლად მოფაფალდა, აღარავის სჭირდება, დარჩა უთვისტომოდ მიტოვებულ კარ-მიღამოში. მე და ის აღარც ცოცხლებში ვწერივართ, აღარც მკვდრებში. ერთ ბედ ქვეშა ვართ, ისიც მარტოა უმეგობროდ. დაეხეტება ეზოს კუნძულ-კუთხეში, ათასი კაცი ჩაივლის მის წინ, მაგრამ მისთვის არავის სცხელა, ყურადღებას არავინ აქცევს, არავინ ეკითხება ულხინს თუ უჭირს, მაგრამ ისიც ისევე, როგორც მე, სიკვდილამდის ვერ მიატოვებს ამ ეზოს, აქ, ამ მიწაზე უნდა ამოძვრეს სული.“

დანარჩენები?

დანარჩენები ცხრა მთას იქით იყურებოან. ათასში ერთხელ თუ გაივლევებს მათი ლანდი ამ ეზოში, სულით კი შორს არიან, ძალიან შორს.

როდესაც ჩემი და ბილგიას სხეული აღიგვება პირისაგან მიწისა, აჭედავენ ჩვენი სახლის კარებს და თითოეული გასწევს თავისი გზით“.

მლივს დაშორდნენ ერთიმეორეს, ხარზამანი ივანზე ავიდა, ბილგია კი თავის ხუხულაში შეძვრა.

დიღხანს იყო ხარზამანი მოუსვენრად. ვერც ერთ საგანზე ვერ გაამახვილა ყურადღება. ელოდა, ეგებ რამე გამოჩნდეს და გამოაღვიძოს ჩემი გონებაო, და ეს წუთიც მალე დადგა.

კარის ჭრიალი გაიგონა, ხარზამანი შეტრიალდა, ოთახიდან ალიასი გამოვიდა, ხელში ჩემოდანი ეჭირა, უკან ამრა და დესი მოყვებოდა.


ხარზამანი ფეხზე წამოხტა:

— რაშია საქმე, ალიას, სად ახეტელხართ მთელი ოჯახი? მახაჯირისკენ<sup>1</sup> ხომ არ გიქნიათ პირი?

ალიასი დაიბნა, არ იცოდა, რა პასუხი გაეცა, რადგან არ ელოდა ახლა მა-

<sup>1</sup> მახაჯირობა ტრადიციული აშბუი იყო აფხაზთა ცხოვრებაში. XIX საუკუნის შორეულ ნახევარში აფხაზები თურქეთში გადასახლდნენ.

11637



მასთან შეხვედრას. დესიც და ამრაც აბუნუნენ.

— მე თქვენ გეკითხებით, სად მიდიხართ-მეთქი? — ხმას აუწია ხარზამანმა.

— რა იყო, მამა, რამ ავაღელვა ასე? — ჩიბუზღუნა ნირწამხდარმა ალიასმა.

— ვარ თუ არა ოჯახის უფროსი? თუ სიცოცხლეშივე ამომშაღეთ თქვენს სიიდან? არაფერად მაგდებთ, ხომ?

— რატომ, მამა? ასეთი საყვედური რით დავიმსახურე?

— გიკვირს კიდევაც? — არც ერთი არაფერად არ მაგდებთ, როგორც გსურთ. ისე მოქმედებთ, მე თქვენთვის სახლის ყარაული ვარ და მეტი არაფერი! დიახ, დიახ, მე თქვენ უკვე ისე მიყურებთ, როგორც ვადაღრჭუბულ ბილგიას!

ალიასმა ჩემოდანი დააგდო და კბილების ღრჭენით ორივე ხელი თავზე წაივლო.

— დმერთო კი მომკალი! — წამოიძახა დესიმ.

— ბაბუა! — მუდარით წარმოთქვა ამრამ.

— ჩემი მეურნეობა, რომელიც სალკლესავით იღვა, ინგრევა, დიახ წინაპართა სახლ-კარი თავზე გვენგრევა, ესენი კი მეკითხებიან რა მოხდა, რა გაწუხებსო, — ხმას დაუწია ხარზამანმა და სკამზე ჩამოჯდა. — მარტო მე რას ვუშველი, მხარში არავინ მიდგას!..

— აგრე ნუ ფიქრობ, მამა, — წამოიწყო ალიასმა, როცა შეატყო ხარზამანი ცოტათი დაწყნარდა.

— რას ამბობ, გესმის? ნუთუ ვერ ხედავ, რომ ჩვენი ოჯახის კარი სამუდამოდ იკეტება მტერ-მოყვარისათვის? მეც გეკითხები რა; ყველაზე უწინ შენ გეჩქარება ეს ამბავი.

— მამა, მარტო მე მივემგზავრები, დანარჩენები აქ რჩებიან...

— ეგ საკითხავია, აქ რჩებიან თუ არა... თუმცა შენთვის ყველაფერი სულ ერთია.

ამ სიტყვების გაგონებაზე, ამრა თავის ოთახში შევიარდა. ხარზამანმა ხმას უფრო აუმაღლა და მის გასაგონად რამდენჯერმე გაიმეორა:

— ეგ კიდევ საკითხავია, გესმის, საკითხავი!

— არაფერი არ მოხდება! დამეძრწე მუნე, მამა.

— წადი, წადი, — გადაკრულად უთხრა შვილს ხარზამანმა, — ხომ ხედავთ ბილისელები უშენოდ ფონს ვერ გადიან! მიეხმარე, ღეთის გულისათვის. ალიასი უხმოდ დაეშვა კბიზე.

დესი სამზარეულოში შებრუნდა.

მარტოდ დარჩენილი ბერკიაცი წელ-მოწყვეტილივით წამოდგა და ფერმისაკენ გასწია.

მალე ამრაც სამსახურში წავიდა.

იმ დღეს დესი მარტოდმარტო დარჩა სახლში. მთელი დღე საქმეში იყო გართული, მაგრამ ვერც ამან გაუქარწყლა დარდი და ვარამი. ამ ბოლო დროს ამრას ძალიან გაუფუჭდა ხასიათი. სადღაა ძველებური ამრა, სადღაა მისი მხიარული სიცილი. გაქრა მისი ადრინდელი მორიდება მშობლებისადმი. დესი ვერ დარცნობდა საკუთარ შვილს. ხმა ვერ გაეცა; როგორც კი რამეს ეტყოდა, მაშინვე კამათზე გადადიოდა. მტკიცებდა, რომ ისიც ადამიანია, რომ მასაც აქვს საკუთარი აზრები ცხოვრებაზე.

დესიმ, თავის მხრივ მტკიცედ გადაწყვიტა მაგრად მოეთოკა შვილი, რამდენჯერმე აკი დაემუქრა კიდევ შვილს, კარგა ხანს ხმასაც არ სცემდა; მაგრამ ამრა მტკიცედ იღვა თავის გადაწყვეტილებაზე. ამან სასოწარკვეთილებაში ჩააგდო დესი, მთლად დაეცა სულიერად. დედა თვალნათლივ ხედავდა, რომ შვილს ვეღარ იმორჩილებდა. ამრა აღარაფერს უმზელდა მას.

ძნელი ყოფილა, როცა დედა-შვილს შორის მყუდროების მიუვალი კედელი აღიმართება. ადრე ამრა ეკამათებოდა შინც დედას და ამით ნაწილობრივ ამჯღავენებდა თავის აზრს, ახლა კი ხმას აღარ იღებს, არაფერზე აღარ ეპასუხება, ბოლოს და ბოლოს დესი მიხვდა რომ ჩხუბით უარესს აცეთებდა და დათმობაზე წავიდა, გარეგნულად ისე აჩვენებდა თავს, თითქოს ამრას ყველა სურვილის თანახმა იყო; შინაგანად კი ისევ,

თავის გადაწყვეტილებაზე იდგა, ვერა და ვერ შერიგებოდა შვილის აზრებს.

იმ დღეს ამრა მეტად უცნაურად იქცეოდა სკოლაში. დამფრთხალი კურდღელივით აცეცებდა თვალებს. ფეხს ისე აბიჯებდა, თითქოს ვინმეს ძინავს და ეშინია არ გააღვიძოსო. ნათლად ჩანდა. რაღაც მძიმე დარდს მოეცვა იგი. ამხანაგებს არ გამოპარვიათ ამრას უჩვეულო ქცევა, მაგრამ არავინ ჩაჰკითხვია მიზეზს.

სამსახურის შემდეგ ამრა ძლივს ჩამოვიდა ეზოში. ფეხებს ვერ იმორჩილებდა. ნაბიჯის გადადგმა უჭირდა.

სკოლის ეზო!..

აქ გაატარა ბავშვობის წლები, აქ დახტოდა, როცა იგი მოსწავლე იყო, აქ ანცობდა და თავდაყირა გადადიოდა...

თვალი ვერ მოწყვეტა იქაურობას...

მერე უხალისოდ გამოვიდა ეზოდან. ცოტა მანძილი რომ გაიარა, ისევ შებრუნდა, ერთხელ კიდევ შეათვალიერა სკოლის შენობა, ხეივანი, სპორტული მოედანი, აუზი... მერე თავს ძალა დაატანა, მკაცრად გამობრუნდა, თითქოს დიდი ხნის გადასაწყვეტი ახლა გადაკრაო და საჩქაროდ გაეშურა შინისაკენ.

იგი მიდიოდა ნაცნობი ბილიკით, პირველად ამ გზით წაიყვანა სკოლაში თავისმა ბაბუამ. სწორედ მისმა ბაბუამ, ხარზამანმა წაიყვანა ხელჩაკიდებული. დღევანდელ დღესავით ახსოვს ის დღე, რა ბედნიერი იყო მაშინ; როგორ უხაროდა დიდი, წითელი ბაფთა, ახალი, ბრწყვილა ფეხსაცმელი და ნახი ვარდისფერი კაბა; ის კი არ მიდიოდა, პეპელასავით მიფრინავდა. და აი სკოლის ეზოც, პირველი ზარი.

ამ დღიდან მოკიდებული ხარზამანს დაჰყავდა ამრა სკოლაში, არავის ანდობდა თავის ერთადერთ შვილიშვილს.

გავიდა რამდენიმე წელი... ახლა ხარზამანი ქიშკრამდე მიიყვანდა გოგონას და გაუშვებდა. შემდეგ? შემდეგ ამრა უკვე მარტო დადიოდა სკოლაში.

სწრაფად გაიზბინეს სკოლის წლებმაც. ამრა უკვე სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტია. ინსტიტუ-

ტის დამთავრების შემდეგ თავის სოფელში დაბრუნდა და იმ სკოლაშიც დაწესდა. წავლიდა ბავშვებს, სადაც თავად აღიზარდა.

აი, ახლაც იმ გზას ადგია ამრა, მაგრამ არა როგორც მოსწავლე, არამედ, როგორც მასწავლებელი.

მიდის და ფიქრობს:

ყოველ დღით ამ გზით მივდიოდი სკოლაში, და უკანვე ამ გზით ვბრუნდებოდი. ისე შევისწავლე ეს ბილიკი, თვალდახუჭული გავივლი ზედ. ახლა რომელი გზით უნდა ვიარო? შევიყვარებ კი ახალ გზას ისე, როგორც ეს ჩემი ბილიკი მიყვარს?..

ფიქრებში გართული ამრა შეუმჩნევლად მიადგა კიშკარს, ეზოში არავინ იყო. მისმა განუყრელმა ბილგიამაც, რომელიც ყოველთვის ალერსიანად ხედებოდა, ზედაც არ შეხედა.

ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს უცხო ეზოში მიბიჯებს და იქვე ავი ნაგაზია ჩასაფრებული, ან სადაცაა ვინმე შესძახებს: „შენ აქ რა გინდა, რას დაეძებ, რა დაგკარგვია?..“

რა მოხდა? რატომ ეუცხოვება ამრას საკუთარი სახლი?

ამრა ჯერ ნელა მიდიოდა, ფრთხილად, უკებ ფეხს აუჩქარა და კიბებზე აირბინა.

— ამრა, მოხვედი? — გაისმა დესის ხმა.

ამ ხმამ ტყვიასავით გაიწივლა ამრას ყურში.

— მოვედი, ისე ჩუმად წარმოთქვა ამრამ, ალბათ თვითონვე ვერ გაიგონა თავისივე ნათქვამი.

დესის ხმა არ ამოუღია.

ამრამ ცოტა წაიხეშა და მუშაობას შეუდგა.

დესიმ ოთახში შეიხედა, წამით შეველო თვალი ქალიშვილს, რომელიც საკლასო რვეულებს ჩაჰკირკიტებდა და უკანვე გამობრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ ამრა ცუდ ხასიათზე იყო, თავის საქმეს მაინც არ დალატობდა, შუალამე ახლოვდებოდა, ამრას ოთახში კი არ ჰრებოდა სინათლე. დღე ი დიდხანს

წრიალებდა, შვილის დაწოლას ელოდა, ბოლოს ძილმა სძლია და ჩასთვლიმა.

მე?

მხოლოდ მე ერთი დავებეტებოდი უგზოუკვლოდ. ამბობენ ნარს სულელეზის ხელით კრეფენო. მეც ასე მომივიდა. ეს რა საქმეში გავები? რატომ დავეთანხმე? ან რა მექნა, ამრამ მთხოვა და უარი ვერ ვუთხარი. ახლა საცოდავად ვდგავარ, ერთ დიდ ხესთან და ველი ამრას გამოჩენას.

სად არის აქამდის? რატომ არ მოდის? იქნებ შეამჩნიეს და უკან დააბრუნეს?

არა მგონია! ქალოშვილმა სახლიდან წასვლა თუ გადაწყვიტა ცხრა უღელვი ხარი ვერ დააკავებს.

ჩქარა მაინც მოეღოს ბოლო ყოველივეს. ბოლოს და ბოლოს გამოჩნდეს ამრა, ღე, დროზე მოხდეს მოსახდენი.

ამრა ვერა და ვერ მოსწყდა საქმეს. მთელი რვეულები გაასწორა, უკანასკნელს კი ვედარ მოსცილდა. დაწერა ნიშანი, ხელიც მოაწერა და ახლა ალბათ დახურავს კიდეც.

ეს კი მეტად გაუძნელდა მასწავლებელს. თითქოს ამ რვეულის დახურვით, დაიხურება მისი ცხოვრებაც. ამრა ისე წამოადგა, რომ რვეული არ დაუხურავს, გადაშლილი დატოვა მაგიდაზე.

მაგრამ როგორ დატოვოს საკუთარი კერა, სახლი, სადაც ის აღიზარდა? როგორ შეეთვისოს ახალ ოჯახს? ან როგორ იქნება თვით ალგერი? დრო და დრო რატომ იცვლება ხოლმე ალგერი მართის თვისაგანით?..

აზა, არა! ალბათ მხედველობა დაღატობს! ან უფრო მეტს მოითხოვს მისგან. როგორი ქმარი იქნება ალგერი, ამის დადგენა, ისე როგორც არც ერთ ქალოშვილს ქვეყანაზე, არც ამრას შეუძლია.

ამრამ დასტოვა თავის ოთახი.

აივანზე შეჩერდა.

ირგვლივ უკუნეთი სიბნელე იდგა.

კიბეზე ჩამოვიდა.

ბილგაისაც ხმა არ დაუძრავს, ისე იწვა თავისთვის.

ეზოდანაც გამოვიდა. ცოტა ხნით შეჩერდა. ერთი მწარედ ამოიოხრა და წავიდა.

ახლა უკვე სახიფათო მიგნა უკან დარჩა — იგი თავისუფალია. როგორც ზღვის ტალღებში მოცურავე მითოლოგიური თეთრი ცხენი, ისე ჩანდა ამრას სილუეტი სიბნელეში.

ამრა ნელ-ნელა მიახლოვდებოდა.

მე, როგორც წინასწარ მოვილაპარაკეთ, ვიდექი დათქმულ ადგილზე.

აი გადმოვიღის ამ ვიწრო ხილს და ის უკვე ჩემთან იქნება, ჩემი ხელით უნდა ჩავაბარო ალგერის ის, ვინც ქვეყანას მირჩევნია. თუ აქამდის იმედის ოდნავი ნაპერწკალი მაინც ერთო ჩემს გულში, ამიერიდან სამუდამოდ ჩაქრება.

ამრა ხილზე გადმოდის, და მე მგონია, ხილზე კი არა, ჩემს ძარღვებზე მოაბიჯებს. მოაბიჯებს ნახად და მსუბუქად, ოდნავ თავდახრილი და ხელებდაშეცბული.

ჩუ! რა არის ეს? მოჩვენება? ვილაცამ წინ ჩამიარა და ხილს მოპირდაპირე მხარეს მიადგა.

ვინ უნდა იყოს?

ალგერი ხომ არ არის?

ამ უკანასკნელმა რომ შეამჩნია ხილზე ვილაც მოდისო, ჩაახველა... ამრამ თავი ასწია და მგზავრს შეხედა, ცივი ხმით შეჰკვიღლა...

ამრა ვედარც უკან წავიდა და ვედარც წინ წადგა ნაბიჯი, თოკზე მოქანავე კამბაზივით შეტორტმანდა, და ქვევით გადაეშვა.

— ეს რა ღეთის რისხვა დამატყდა თავს! — შეჰბღავლა ხილზე მდგომმა და თვითონაც გადაჰყვა ქალოშვილს... მე მაშინვე შევიცანი მისი ხმა—ეს ხარზამანი იყო.

თავდაპირველად დავიბენი, არ ვიცოდი როგორ მოექცეულიყავი, მაგრამ მალე გონს მოვედი და ხევისკენ გავქანდი.

— რა მოხდა?

— რომელი ხარ?

ხარზამანს ვუთხარი ვინც ვიყავი.

— მოგვეშველე, შვილო! — მომესმა

მოხუცის ხმა. ამრას კენესის ხმამაც მოაღწია ჩემამდე.

ხევისკენ დავეშვი. ხარზამანს უკვე ხელში აეტაცა ამრა. თვალის დახამხამებაში უკან ამოვხტი. ხარზამანმა მუხლი მოაბჯინა ხევის ნაპირს, მოხერხებულად ასწია შვილიშვილი და ჩემს მკლავებზე გადამოაწვინა.

როდესაც იგი ჩემს მკლავებში მოვიმწყვდიე, მსუბუქად წამოვხტი, თითქოს ძალა მომემატა. მინდოდა მთელი ხმით მეყვირა, რომ მთელ ქვეყანას დაენახა ამ უკუნ სიბნელეში ჩემს მკლავებზე გადაწოლილი ამრა. მისი მხურვალეობა გადმომედო, უცნაურმა ჟრუანტელმა დამიარა ტანში, თითქოს გაღზვა ამდენი ხნის გაყინული გული.

ამრა ქორის კლანჭებში მომწყვდევლ მწყერივით თრთოდა. მისი გულისცემა ისე ისმოდა, როგორც წყნარ დამეში საათის წიკწიკი.

რა მსუბუქია ეს სხეული, თანაც რა ლბილი, სულაც არ მიჭირს მისი ტარება. თუ საჭირო იქნება, ასე ვატარებ ქვეყნის დასასრულამდე — გადავატარებ ამ მთებსა და მდინარეებს, წაიყვან შორს, შორს, ცის დასავლამდე...

მომეჩვენა, რომ ამრასაც ესიაშოვნა ჩემს მკლავებზე ყოფნა, იმედინად მიყვარდნო ჩემს მკერდს და მშვიდად გაინახა.

თუ სხვა ბედნიერება არ მეღირსება, ასე მაინც იყოს დიდხანს, მაგრამ!

— მეხმა ჩაიტანოს ეს წყეული ადგილი, დასაბამიდან ასეა დაწყებული — ლანძღვა-კრულვით ამოვიდა ხევიდან ხარზამანი.

— ალოუ, დავიდუპე, რა მეშველება! — წარმოთქვა ამრამ ძლივს გასაკონად.

— ნუ გეშინია, ამრა! — დავამშვიდე იგი, თუმცა კი ვერ მიეჩედი რას ჩიოდა ქალიშვილი — იმას რომ არ გამემხილა მისი გათხოვების ამბავი თუ შევლას მთხოვდა?

— ჩამოსვი, შვილო, შენც დაიღლებოდი, — მირჩია მოახლოებულმა ხარზამანმა.

— როგორც ამრას უკომს, — გუჟსუხე ჩემად.

ამრამ, ბაბუას სიტყვები რომ გაეგონა, კისერზე მაგრად მომხვია ხელები, იმის ნიშნად, ძირს არ დამსვიაო.

— ამრა, შვილო, ფეხით წამოდი. — აღელვებული ხმით მიმართა მოხუცმა. გაუგებარი იყო ხარზამანს მართლა უნდოდა ამრა ფეხით წამოსულიყო, თუ უნდოდა გაეგო, შეძლებდა ამრა ფეხზე დადგომა.

ამრა უფრო მაგრად ჩამეკრა.

— არა უშვას, — ჩავილაპარაკე ჩემთვის, ისე რომ კაცი ვერ გაიგებდა ჩემს ნათქვამს.

ფეხი ხომ არ მოიტეხე, ამრა, — ხმის კანკალით კითხა ხარზამანმა. — ფეხზე ვერ დგები, შვილო, ჰა, ვერ დგები? — ჩაჰკიეინებდა მოხუცი.

— არაუშვას, — ისევ უღადგილოდ წამოვისროლე მე.

— არ მინდა, — კბილებში გამოსკრა ამრამ.

— რატომ, შვილო, რა მოხდა? — არ ცხრებოდა მოხუცი.

— არ შემიძლია!

— რა მოგივიდა, ბაბუ, აბა ჩემთან მოდი! — ხარზამანი წინ დაგვიდგა და ხელები გამოგვიწოდა, — მოდი, დად, მოდი...

— არა, ბაბუ, აქ მირჩევენია, — უარი უთხრა ამრამ.

— კარგი, ბაბუ, როგორც შენ გინდა. — დაეთანხმა მოხუცი.

— შინ წამიყვანე ალოუ, თუ ღმერთი გწამს, შინ! — მართოლუვარე ხმით მომმართა ამრამ, თითქოს სხვა ყველა გზა მისთვის საშუალოდ დაკეტილი იყო.

რატომ მიხარია სხვისი უბედურება? რალა მე ამომირჩია მთელი მისი უსიამოვნო ტვირთის საზიდად?

მაგრამ არა!

განა ამრა ჩემთვის ტვირთია? თუმცა ჰო, ტვირთია, მაგრამ ქვეყნად ყველაზე საამო ტვირთი, მარტოოდენ გულით სატარებელი. ნაბიჯს ავეჩქარე.

ხარზამანი წინ მიგვიძღვის, გზას გვიკვალავს.

საკვირველია, სად არის ალგერი? რატომ არ გამოჩნდა? აქამდე უნდა მოსულიყო, ნუთუ ჩვენი ხმა ვერ გაიგო. ეს დაუჭერებელია!

სულ არ მსურს ახლა თავს მეხვეოდეს ამნაირი უკუღმართი ფიქრები, ახლა მე მინდა მხოლოდ ბედნიერებაზე ვიფიქრო, იმ ბედნიერებაზე, რომელიც დროებით მარჯუნა ბედმა და ხელში ამატებინა...

უხმოდ მივაბიჯებ და ენით უთქმელ სიხარულსა ვგრძნობ, მართალი ყოფილა ის მადლიანი, რომელმაც თქვა, ხანმოკლე ნეტარება სჯობს ხანგრძლივ ტანჯვას და წვალებას.

ამრას თავი ჩემს მკერდზე აქვს მიყრდნობილი, მისი თბილი სუნთქვა მელერსება და ძალას მმატებს.

ფრთხილად მივდივარ უკუნ ღამეში და ხელით მიმაქვს ხელთუქმნელი ბედნიერება...

ამრა არაფერს ამბობდა, მაგრამ ეტყობოდა, რაღაცას მწარედ განიცდიდა...

„აი რანაირად წარიმართა მისი ბედი. სად უნდა წასულიყო და სად მიდის? კი მაგრამ ის სადღა? თითქოს ამ ღამემ შთანთქაო... ნუთუ ვერ დაინახა რა შეემთხვა? ძაფი, რომელიც მათ აკავშირებდათ, გაწყდა! ოჰ, როგორ უნდა ახლა, ამ ძნელბედობის ქამს ჩაიხედოს მის სულში, იგი უსათუოდ ამოიკითხავს რა იმალება იქ; რა ხერხსაც არ უნდა მიმართოს, როგორც არ უნდა ითვალთმაქცოს. მაინც ამოიკითხავს; უკვე ვერაფერს გამოაპარებს.“

„ალბათ ამის ეშინია, იმიტომაც არ გამოჩნდა, სადღაც კუთხეში ჩვარივით მოიკუჭვნა. თუ ეს ასეა, ლაჩარი ყოფილა, ნამდვილად ლაჩარი!“

უბირველეს ყოვლისა უნდა გაარკვიოს რაშია საქმე. უნდა იპოვოს ალგერი და გაიგოს სიმაართლე. მაგრამ რა გზით? შეძლებს კი ფეხზე დადგომას? ვაი რომ იგი იღუპებოდ გრძნობს, რომ ვერ გაივლის.“

თავი ისევ მაგრად მომაყრდნო და გაინაბა...

ხარზამანი ისე აცეცებდა ხელებს,

თითქოს სიბნელის განდევნა უნდოო ჩვენი გზიდან. ის მიდიოდა ჩუმად და უხმაუროდ.

მოსხუცს არ უნდოდა ვინმეს გაეგო მომხდარი ამბავი, რომ ხელახლა არ ამტყდარიყო მითქმა-მოთქმა.

„ესღა აკლდა ამრას. დიდი ხანია სალაპარაკო გამოეღიათ ენაქართლებს, ვაი, ჩემს ბედს... ახალი საქორაო გაუჩნდათ! ბედი სულ არ წყალობს! ყველაფერში ასეთი ხელმოცარულია, საწყალი გოგო! არა, მაინც სად მიდიოდა ამ შუადამისას. ნუთუ თავის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი? კი, მაგრამ რამ მიიყვანა თვითმკვლელობამდე?.. გზაკვალს ვინ ურევს, ვინა?!“

## 21

სისხამ დილით, ჩრდილივით შეუმჩნევლად მიუყვებოდა ალგერი გორაკს. იგი ისე მიბარბაცებდა, გეგონებოდა, ფეხები მას კი არ ემორჩილება, რაღაც გარეგანი ძალის ზეგავლენით მოძრაობენო. ზოგჯერ შეჩერდებოდა თავის გარშემო გულმოდგინედ მიიხედ-მოიხედავდა, მერე, ისევ აუჩქარებლად გაუბედავად გადადგამდა ნაბიჯს, თითქოს სიარულს ახლა სწავლობსო. აზროვნების თავი არა ჰქონდა. ფიქრებიც მასავით უწესრიგოდ და დაბნეულად ეხეტებოდნენ სხვადასხვა მხარეს. რამდენჯერმე სცადა თავი მოეყარა, არაფერი გამოუვიდა.

რას დაემსგავსა ასე უეცრად? არა, მას წინანდელი ალგერის არაფერი არ სცხია, თითქოს მკერდიდან გული ამოაცალეს და მის ადგილას ჩაუდგეს მეორე გული, სულ სხვა თვისების მქონე, სულ სხვა შეგრძნებებითა და სურვილებით დატვირთული. ერთის წამით ალგერის საშინლად შესძავდა თავისი თავი.

ასე ხეტიალობდა იგი, უმიზნოდ, და უთავებოლოდ, და უცებ, თითქოს ერთბაშად გამოფხიზლდოდა, შედგა, წელში გაიმართა — აქ ხომ გუშინ საღამოთა უნდა შეხვედროდა ამრას, მერე აქედან... ჩასულიყვნენ დაბლა... მერე...

ეს რა უსინდისობა ჩაიდინა!  
როგორ შეირცხვინა თავი!  
როგორ...

მაგრამ, არა! ეს არ არის უსინდისობა!  
შესაძლოა, იგი სწორედ ისე მოიქცა,  
როგორც ნამდვილი ადამიანი უნდა  
მოქცეულიყო, ადამიანი, რომელსაც  
ტყულის თქმა არ უყვარს და გზასაც  
არასოდეს არ გაიმრუდებს! მაგრამ რო-  
გორ უყელმა დატრიალდა ყველაფერი?  
მანც უნდა მისულიყო, სიტყვა არ უნ-  
და გაეტეხა. ახლა რა გამოუვიდა? სულ  
გაუტრუა იმედები საწყალ ქალს. სულ  
დაუმსხვრია ოცნებები, მთელი ცხოვ-  
რება... წუთით ჩაუკვირდა თავის საქ-  
ციელს, გრძნობას მოეგო. რამ, რამ ჩა-  
დენინა ასეთი სისაძაგლე? აწი რას  
იზამს, როგორ შეხედავს თვალბში ამ-  
რას? რით გაიმართლებს თავს? ვერაფ-  
რით. მიჰყვა ალგერი მოგონებას. თვალ-  
წინ გადმოეშალა ყველაფერი, რაც ამ  
ორ-სამ დღეში მოხდა.

...სოხუმში, სანაპიროზე მიდის მარ-  
ტოლმარტო. საღამო ხანია, ადამიანები  
კანტიკუნტად თუ გამოჩნდებიან აჭა-იჭ.  
ისეთი ნაცნობთაგანი კი ვერაფერს შეხე-  
და, რომ გააჩეროს და გამოესაუბროს,  
მიდის წყნარად, აუჩქარებლად, მოზო-  
მილი ნაბიჯებით, მიდის ნეტარი ოცნე-  
ბებით გარემოსილი. ხანდახან მის სმე-  
ნას ვილაცის მხიარული კისკისი მისწე-  
ლება. ის მანც მიდის, ყურადღებას არ  
აქცევს არავის, მიდის და ფიქრობს მარ-  
ტოოდენ საკუთარ თავზე.

„ალგერი“ — მას მოეჩვენა, რომ სო-  
ხუმის მთებიდან მონაბერმა ქარმა მია-  
წვდინა ეს ხმა. მაგრამ იგი მანც არ გა-  
ჩერებულა, არც უკან მოუხედავს,  
ისე, სხვათაშორის გააქენწლა ფიქრმა:  
„მანც რა იყო!“

„ალგერი“, — ახლა სხვა მხრიდან  
ჩაესმა ალგერის.

„საიდან მოდის?“

გარშემო მიმოიხედა.

ვერაფერს შეამჩნია.

მერე მობრუნდა.

შორს ვილაც ქალიშვილი დაღანდა,

სახე ვერ გააჩნია და კვლავ გაჰყვა სა-  
ნაპიროს.

მანც ვერ დამწვიდდა.

ეს მოჩვენება არ უნდა იყოს. მას ნამ-  
დვილად ეძახის ვილაც. „ალგერი“ —  
ახლა ზღვის მხრიდან მიესალბუნა ალგე-  
რის სმენას.

ეს უკვე ძალზე ნაცნობი ხმა იყო.  
ნაცნობი და ახლობელი. ვერ იქნა და  
ვერ გაერკვია, მანც ვისი ხმა უნდა ყო-  
ფილიყო?

„ალგერი“

ახლა მდუმარე ხეებს შორის დაირხა  
ეს ხმა.

„საოცარია! ვინმე ხომ არ ზის ხეი-  
ვანში და ქუკუმლობას მეთამაშება?“

ალგერიმ ფეხს აუჩქარა.

„ღმერთო, გამახსენე, სად გამიგონია  
ეს ხმა, ჩონგურის ხმასავით გულში  
ჩამწვდომი და მშობლიური? ღმერთო  
გამახსენე!.. დე, ერთხელ კიდევ გაიგო-  
ნოს ეს ხმა, ერთხელ კიდევ მისწედეს  
მის სმენას.

უსმინა ღმერთმა.

„ალგერი!“ — ზედ ყურისძირთან  
გაისმა ახლა.

ალგერი სწრაფად შემობრუნდა.

ქალიშვილი, რომელიც მას ეძახდა,  
ნელა უახლოვდებოდა.

ალგერიმ იცნო ქალიშვილი, კარგა-  
დაც იცნო, მაგრამ გულს რაღა მოუვი-  
და, რაღამ შებოჭა ალგერის გული? ასე  
ეგონა ხსოვნის კარი სულ დაეკეტა.

— ალგერი, ვერ მიცანი? — ჩურჩუ-  
ლით ჰკითხა ქალიშვილმა.

ალგერიმ ყურისძირთან თბილი სუნთ-  
ქვა იგრძნო და ფოთოლივით ათრთოლ-  
და.

— აა? — შიშნულად იკითხა ვაჟმა.

— ნუთუ მართლა ვერ მიცანი? — გა-  
უმეორა ქალიშვილმა.

მის ხმაში არც გაკვირება იგრძნო-  
ბოდა და არც წყენა.

— შეენ?.. ვინა ხარ შენ?.. თუმცა...  
მოიცა... შენ ხომ ... — გულით ეცადა  
ალგერი ქალიშვილის სახელი გაეხსენე-  
ბინა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა.

— ჰო, ალგერი... აბა, კარგად გაიხსენე? — წაეხმარა გოგონა.

— მოიცა, მოიცა... შენ ხომ?..

— მე ციციო, მქვია, — ველარ მოითმინა ქალიშვილმა, — ციციო ჩანბა!

— არა, არა! მოიცა... ეს ხომ მეც ვიცი... მინდა მხოლოდ შენი ნამდვილი სახელი გაეხსენა!..

— ციციო! — კვლავ შეახსენა ქალიშვილმა, მაგრამ ალგერი ყურს აღარ უგდებდა, იგი მთელი არსებით ეძებდა სხვა სახელს:

— არა, ეს არა!

— ციციო — მეტი, არ გესმის?

— სათუთა! სათუთა! — როგორც იქნა გაახსენდა თვალებგაბრწყინებულ ალგერის, — აბა, გამახსენდა, შენ კი გეგონა დამავიწყდა, „სათუთა“?

ალგერი, რა უცნაური ხარ, აქამდე როგორ არ დაგავიწყდა?.. ეს სახელიც, მასთან ერთად ჩვენი ბავშვობაც ხომ ზღვაში ჩაიმარხა?

— შენ კი დავივიწყე? — ფრთხილად, თითქოს სცდისო, ისე ჩაეკითხა ალგერი.

— არა, რას ამბობ, ამის დავიწყება როგორ შეიძლება! — შეირხა ქალიშვილი.

— ვინ დაგარქვა ეს სახელი პირველად?

— შენ!—მაშინვე უპასუხა გოგონამ.

—სათუთა!..

— არა, ციციო!..

— არა, სათუთა-მეტი!..

ასე შეხვდნენ ისინი ერთმანეთს, ასე იპოიეს მათ ერთმანეთი, თუმცა ერთმანეთი არ უძებნიათ. თითქოს მათი გზები ერთსა და იმავე დღეს გაიყარა და შეერთდა კიდევ.

გული გაეხსნა ალგერის. ყველაფერს თვალნათლივ შეხედა, რიგრიგობით დაუბრუნდა გონებას უგზოუკვლოდ მიმოზრატული აზრები.

აღსდგა ბავშვობა აქამდის ტკბილ სიზმრებში გახვეული, აღსდგა მთელი თავისი მშვენიერებით... ბროლის ნაქლობივით აბრჭყვიანდნენ შორეული წლები, და ყველაფერი ირგვლივ განათდა...

ალგერის წინ უკვე მოწიფული გოგონა იდგა და მომხიბვლელად ილიქებოდა.

მისი თვალები, როგორც ღრმა ტბები, მუქად ბრწყინავდნენ და შეხუბივით ისროდნენ განთიადის სხივებს.

როგორც კი ალგერიმ შეხედა, მაშინვე იგრძნო, რომ ამ თვალებმა ისევე დაატყვევეს, როგორც ოდესღაც, როცა ისინი ჯერ კიდევ სულ ბავშვები იყვნენ, როცა ციციოს ზღვაზე გასვლა ეწადა, დედას გამოეპარა და თვალებით ანიშნა ალგერის — რაც შეიძლება ჩქარა გავიქცეთ აქედანო.

ციციონზე ერთი წლით აღრე შევიდა ალგერი სკოლაში. ისინი მეზობლები იყვნენ, მათ ოდას შორის მხოლოდ ერთი მოსახლე იდგა, თამაშის დროს მეზობლის გოგო-ბიჭები ალგერის ეზოში იყრიდნენ თავს.

როცა ციციოს კბილა ბავშვები თამაშობდნენ, ალგერი მარცვალ-მარცვალ კითხულობდა რაღაც ნახატებიან წიგნს.

—მეც კი ვიცი, მანდ რა წერია! — მიიბრინა ციციონმ ალგერთან:

— არაფერიც არ იცი! — მკაცრად შეუტია ალგერიმ თავნება გოგოს, თან გაიფიქრა, ჯერ სკოლაშიაც არ დადის და ასოები საიდან უნდა იცოდესო.

— ვიცი!

—არაფერიც.

— როგორ არ ვიცი, ძალიან კარგადაც ვიცი! — გაჭიუტდა ციციო.

— აბა, წაიკითხე!

— კატა.

— ასო-ასო წაიკითხე.

— ასო-ასო არ ვიცი.

— აბა, როგორ კითხულობ?

— სურათს დაგხედავ და ისე. აქ ხომ კატა ხატია? წაიკითხვა რად უნდა?

— ოო, ხომ გითხარი, კითხვა არ გეცოდინება-მეტი?

— წაუკითხავადაც მშვენივრად მესმის ყველაფერი! — მიუგო ნაწყენმა გოგონამ და კალისავით მოწყდა ადგილს.

„რატომ გაახსენდა მაინცდამაინც ციციოს ბავშვობის ამბავი და არა სხვა რამ?“

ისინი ზღვაზე დაუახლოვდნენ ერთ-  
მანეთს. სულ პაწაწინები, ტიტლიკანები  
დარბოდნენ აღმა-დაღმა. მათი მშობლე-  
ბი რაღაზე არ საუბრობდნენ, ბავშვები  
კი თავიანთების ერთობოდნენ.

ხელ-ფეხს უტყაპუნებდნენ ზღვის  
ტალღებს, ერთმანეთს წუწავდნენ, კის-  
კისებდნენ და უსაზღვროდ ბედნიერე-  
ბი იყვნენ.

როცა წამოიზარდნენ, სკოლაშიც ერ-  
თად დაიწყეს სიარული. გაკვეთილებს  
შემდეგ კვლავ ზღვას მიაშურებდნენ  
ხოლმე.

ცურვაც ერთად ისწავლეს. ციციხო  
ხომ სასწაულებს ახდენდა ცურვაში.  
თამამად შეიძლებოდა მასზე ვეთქვათ,  
თევზივით ცურავსო. ზოგჯერ ისე შორს  
მიცურავდა, ნაპირიდან დანახვა შეუძ-  
ლებელი იყო. წყლის ქვეშაც დიდხანს  
შეეძლო ყოფნა.

როდესაც დრო ჰქონდა, მთელი დღე  
ზღვის ტალღებზე მინანობდა. თუ ალ-  
გერიც მასთან იყო მთლად გადაირეო-  
და ხოლმე. ველარაფერი აკავებდა. გო-  
გონა და ტალღები ერთად ცელქობდ-  
ნენ, თამაშობდნენ ქანცგაწყვეტამდე.

დრო გადიოდა, გოგონას გულში უც-  
ნობი, თბილი გრძნობა იღვიძებდა, მა-  
ნამდე უხსლავი და უცხო... ეს გრძნო-  
ბა თანდათან იზრდებოდა და ფეხს  
იკიდებდა მთრთოლვარე გულში.

ალგერიც გამოიცვალა, უცნაურად  
დასერიოზულდა, ლაპარაკიც, ქცევაც  
სხეანიარი გაუხდა.

„რამ გამოსცვალა იგი ასე?“

„შეიძლება იმან, რომ ციციხო უკვე  
დასრულებული ჭალიშვილია და თვი-  
თონაც დაეჯეკაცდა?“

ციციხო მაშინ მერვე კლასში იყო.  
ალგერი კი მეცხრეში. უწინ, როდესაც  
ზღვაზე საბანაოდ წავიდოდნენ, იქვე,  
ერთმანეთის თვალწინ მოუტირებლად  
გამიშვლდებოდნენ და წყალში შეკვივ-  
დებოდნენ. ეს იყო აღრე...

შემდეგ?

შემდეგ ციციხო განმარტოვდებოდა  
და ისე შიშვლდებოდა. ასევე იქცეოდა  
ალგერიც.

ერთხელ, როდესაც ბანაობით გულ-  
იჯერეს და ნაპირზე გამოვიდნენ, ალგე-  
რი ციციხოსკენ გაემართა. ციციხოს  
ციციხოს საბანაო ტანსაცმელი წე-  
ლამდე ჩაეხსნა და შიშველი ზურგი  
ზღვისთვის მიეფიცებინა.

ალგერი ზურგსუკან იდგა და ქალი-  
შვილმა ვერ შეამჩნია. დიდხანს იდგა  
ქაბუკი სუნთქვამწეკრული. ბოლოს ვე-  
ლარ მოითმინა:

— რა ნაზი ზურგი გაქვს, ციციხო!

— რაა? — შეშინებული ხმით წამო-  
იძახა გოგონამ. — არა გრცხვენია, რო-  
გორ შემამინე?

— შენ ციციხო კი არა სათუთა უნდა  
გერქვას.

— რას ამბობ, ალგერ, სირცხვილია, —  
და სხივმოსილი თვალები საოცრად  
თბილად აელვარდნენ სველ წამწამებში.

როგორ თვალსა და ხელს შუა გამოი-  
ცვალა გოგონა, როგორ დასრულდა.  
აქამდე ისე უყურებდა, როგორც ახლო-  
ბელ მეგობარს. მხოლოდ ამ დღეს შე-  
ნიშნა ალგერიმ, რომ იგი უკვე დაქალი-  
შვილდა.

სწორედ ეს ამბავი გაახსენდა ახლა  
ალგერის. გაახსენდა ის საამური განც-  
დაც, თბილ ქრუანტელად რომ დაუარა  
სხეულში. ჰო, სწორედ ეს გაახსენდა.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ,  
ციციხო სხვა სოფელში მუშაობდა; მე-  
რე მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა,  
გადაწყვიტა მშობლიური კუთხის კე-  
თილდღეობას შეალიოს მთელი თავისი  
ენერგია და ცოდნა.

— სათუთა, — ალერსიანად უთხრა  
ალგერიმ.

— ციციხო, — ღიმილით შეუსწორა  
გოგონამ.

— სათუთა! — ისევ გაიმეორა ალგე-  
რიმ.

ალგერი უყურებდა მოტიკტიკე ქა-  
ლიშვილს, უყურებდა და უნებლიეთ გა-  
ახსენდა ის დღე, როდესაც პირველად  
უწოდა სათუთა. ეს იყო და ეს. იმ დღის  
შემდეგ აღარ უნახავს ციციხოს სანეტა-  
რო თვალები. მამამისი ახალ სამსახურ-

ში გადაიყვანეს და მთელი ოჯახი იქ გადავიდა საცხოვრებლად.

მაგრამ, დახეთ, როგორ ბრუნავს ცხოვრების ჩარბი. ერთ-ერთი რუსული სიმღერის არ იყო: „სიყვარული მაშინ მოვა, როცა არ ელოდები!“

როგორ თუ არ ელოდები! ან სიყვარული რა შუაშია? განა რა მოხდა მათ შორის. შეხედნენ ძველი ნაცნობები, მოიკითხეს ერთმანეთი, გაიხსენეს ბავშვობა, სკოლის წლები, — ახლა კი, გამოეთხოვენიან ერთმანეთს და თვითიული თავისი გზით წავა.

მაგრამ, ნურას უკაცრავად. ალგერი მოკადრებულივით დგას ქალიშვილის წინაშე. ახლა მისთვის აღარაფერი არსებობს ციციხის გარდა. მხოლოდ ის უტრიალებს თავში, მხოლოდ მის ხედავს...

მაგრამ მოულოდნელად მათ შორის ელვასავით გაკრთა ვიღაც გოგონას თეთრი ხატება. ალგერიმ მოასწრო თვალის შევლება — ეს ზომ ამრა იყო!

იგი მთელი სხეულით ამაგაგდა.

მის წინაშე სურათებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ორი სახე. როდესაც ერთი გაჭრებოდა, მეორე გამოჩნდებოდა მთელი თავის ძლიერებით. და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად. ციციხის ხმა კი მონოტონურად გაისმოდა და საოცრად ტკბილად ჩაესმოდა ალგერის სმენას.

ორი ძალა იბრძოდა ალგერის სულში, ერთ-ერთს უნდა გამარჯვანა. ეს კი თვით ალგერის გამოცდა იყო. მას ახლა, აქვე უნდა გადაეწყვიტა ამ ორთა ბრძოლის უცნობი ბედი.

ვთქვი დაიბნა. არ იცოდა რომელს მიმხრობოდა. იგი ვაოგნებული მისჩერებოდა გოგონას.

— ოჰ! — უნებლიე ოხერა აღმოხდა ალგერის.

— რა იყო? — მორიდებით ჰკითხა ქალიშვილმა, — მითხარი რამე?

— რაო? — გამოერკვა ალგერი. — არა, არა. მე ისე, სხვათაშორის...

ციციხე ვერაფერს მიხვდა.

— წავიდეთ. — სხვა ელარაფერი მოახერხა ალგერიმ.

— მე გაგაჩერე. სადმე გეჩქარებოდა. — უხალისოდ მიმართა ციციხემ, წადი, წადი... ლაპარაკში გავერწყინეთ.

— სად უნდა მეჩქარებოდეს, აბა რას ამბობ...

— მთელი ღამე იხეტიალეს, რა არ თქვეს, რა არ მოიგონეს, სულ გაძარცვეს ღამის მყუდროება, არც სიმარტოვე დაანებეს საბრალო ღამეს და როცა შორეულ დასავალს თბლის ღიმილივით მორიდებულად შეეხო ცისკარი, მხოლოდ მაშინ გაიყარა გოგო და ბიჭი.

მეორე საღამოსაც შეხედნენ ერთმანეთს, მესამე საღამოსაც, და ასე, დიდხანს, დიდხანს იყვნენ მარტონი ღამის იღუმალეზასთან ერთად.

თურმე რამდენი რამ ჰქონდათ სათქმელი. მათ საუბარს არც დასაწყისი უჩანდა და არც დასასრული. საუბარი საუბარს მოსდევდა და ერთმანეთში უსურვაზივით იხლართებოდა.

მაგრამ მთავარი სათქმელი მაინც უთქმელი დარჩა.

რაც უფრო დიდხანს საუბრობდნენ, მით უფრო იფანტებოდა მათ შორის წლების მანძილზე ჩამოწოლილი ბურუსი, უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, თვითიულის გულში ღვივდებოდა ის ნაპერწყალი, ოდესღაც რომ დაინთო ზღვის სანაპიროზე.

— ეს რა არის, ჯვარი გვიღია გულზე? — მოულოდნელად ჰკითხა ალგერიმ.

— მე მართლმადიდებელი ვარ და ჯვარს არ ვატარებ; — გაიხუმრა ქალიშვილმა.

— ეს სხვა საქმეა. მაშ, ჯვარი არ დაგეისზმრება.

— გინდა, ჯვარს ვატარებდე? — ღიმილივით ჩაეკითხა გოგონა.

— არა, რად მინდა, — მხრები აიჩინა ალგერი და ისევ გააბარა მზერა, — მაინც არ იტყვი რა გვიღია გულზე?

ციციხე მოუთმენლად ელოდა ამ კითხვას. ყველაფერი გააკეთა იმისათვის რომ ალგერის შეემჩნია ეს სამკაული.

— ეს ჯვარი არ არის, მაგრამ ეს მელალიონი ჩემთვის მეტად ძვირფასია;

როგორც ჩემს ბავშვობას ვერ გავეყრები. ისევე ამ მედალიონს, ეს ჩემი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია!

— მაინც რა არის-მეთქი, ასეთი? — ისევე იკითხა ვაჟმა. რადგან ვერაფერს მიხვდა. — ალბათ არის რაიმე მნიშვნელოვანი, რაკი ასე ძვირფასია შენთვის. თითქოს გული გადმოუვარდაო, ისე ვახსნა მედალიონი და ალგერის სულ ახლოს მიუტანა.

— სათუთა! — წარმოთქვა ალგერიმ და თვალს არ დაუჭერა. ეს სახელი თითქოს დანახულის სანაცვლოდ უწოდა. ამ მედალიონში ალგერის სურათი იყო მოთავსებული.

ციცინო თვალის დახამხამებაში მოწყდა ადგილს და სიბნელეში გაუჩინარდა.

ვაჟი იმ ბოძივით გაშეშდა, იქვე რომ იყო აღმართული, რომელზედაც დიდი ნათურა კაშკაშებდა.

ვერ დაინახა საით წავიდა ციცინო, კარგა ხნის შემდეგ ფეხთორევით გაუდგა გზას და მხოლოდ გამთენიისას მივიდა ახალმთვარეში.

ხომ შეთანხმდნენ ამრა და ალგერი აუ ადგილას შეხვედროდნენ ერთმანეთს? რატომ არ ჩანს ქალიშვილი? ბოლოს და ბოლოს როდემდის იდგებოდა ამ შეუღამეს მარტოდმარტო?

მაინც სად იქნება? უკან ველარ დაბრუნდებოდა თავისიანებთან, სად ვეძებო ახლა? ბარემ მოსულიყო ალგერისთან სახლში და ყველაფერი გადაწყდებოდა. ხომ ასე ჰქონდათ მოლაპარაკებული.

იქნებ შინ დაბრუნდა? არა, ეს შეუძლებელია. თავის გადაწყვეტილებას არ უღალატებდა!.. მაშ სად იქნება? — საგონებელში ჩაეხარდა ალგერი.

ალგერი ისე უშიზნოდ ედებოდა დობე-ყორეს, როგორც ღრუბლებს შორის მოცურავე მთვარე.

მოულოდნელად ამრას კიშკართან აღმოჩნდა.

ირიყრაჟა, როგორც კარს მომდგარი მათხოვარი, ისე იყურებოდა ალგერი ამრას ეზოში.

დაეინებით შესცქეროდა სახლს, რომელშიც სიცოცხლის ნიშანწყალი არ იგრძნობოდა, სახლი ცივი იყო და უკარება. იგი ძველ, მივიწყებულ ამბარს უფრო წაავადა, ვიდრე საცხოვრებელ შენობას.

სად გადაშენდა მთელი ოჯახი? ალგერი კიშკარს დაეყრდნო, რათა ოდნავ შეეხებოდა ვარძნო, ის ხომ საშინლად დაღლილი იყო.

მოულოდნელად თავის ბუნებიდან ბილგია გამოძვრა. მან ყურადღება არ მიაქცია ალგერის, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ეზოს შუაგულში გაჩერდა. ერთი გაიზმორა, ტანი შეიბერტყა და ალგერის მხარეს გაიხედა. იგი უაზრო თვალებით შესცქეროდა ჭაბუკს, ისიც ერთ ხანს დააქებდა ძალს მერე ალერსიანი ხმით დაუძახა:

— ბილგია, ბილგია, ბილგია!..

ძალღი ადგილიდან არ დაძრულა. ამისთანებისთვის თავს არ იწუხებს ბილგია. მათ სახლის წინ დღეში რამდენი კაცი ჩაივლის და რამდენი მოადგება კიშკარს, ყველას ხომ არ შეჰყეფს.

მაშ რისთვის ინახავენ, თუ პირის გაღება ეზარება?

ნურას უკაცრავად, აბა ვინმე გაბედოს და სახლის უკანა მხრიდან მოვიდეს — გაჩენის დღეს აწყვევინებს.

— ბილგია, ბილგია! — ისევე დაუძახა ალგერიმ.

ბილგიამ ზანტად გაიარა, ალგერის დაძახილს ყური არ ათხოვა, თითქოს არც გაუგონიაო, ნელა შეძვრა სახლს ქვემოთ და მიიმაღა.

22

ჩვენ რომ ეზოში შევედით, ბილგია აწრიალდა, ფეხებში გაგვებლანდა. ძლივს მოვიმორეთ. განაწყენებული აწკმუტუნდა.

ამრა შინ შევიყვანეთ.

საბრალო დესიმ ამრას დანახვაზე ცივი ხმით შეჰკვივლა.

— ვინ მოგვჭრა თავი! ვინ არის ჩვენი ამომგდები, ვინა! — და ორივე ხელი პაერში უმწეოდ გაასავსავა.

— ჩემად იყავ, აბა, ეს საქმეა? — უპასუხა ხარზამანმა დაბალი ხმით, — ამრა აქ არის, რაღა გაყვირებს!

დაეწვინეთ თუ არა ამრა თავის საწოლზე, მაშინვე უკან გამოვბრუნდი. „რაღა გველებოდა, ხომ გააკეთე? ახლა ადექი და წადი“ — ჩამჩურჩულებდა იდუმალი ხმა, — ჰო, რა თქმა უნდა-მეთქი“ — ვუპასუხე იმ ხმას და უხმოდ გავემართე გასასვლელისაკენ.

— ნუ წახვალ, ალოუ! — კარებთან დამეწია ამრას ხმა.

მონუსხულივით შეეჩერდი.

— დარჩე, ალოუ! — გაიმეორა ამრამ. შემოვბრუნდი და ამრას შევხედე.

— ჰო, შეილო, დარჩი, სად მიგეჩქარება! — დაუმატა ხარზამანმა.

— ფეხები... ფეხები მტკივა... ძალიან... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა ამრამ. და სიმწრისაგან ქვედა ტუჩის კბილები დააჭირა.

— რაო?.. ფეხები?.. აბა, სად შეილო, აბა სად?.. — მაშინვე მიიჭრა ხარზამანი ამრას საწოლთან.

ოთახში დესი შემოვიდა.

— ექიმი, ალოუ, ექიმი, ჩქარა! — შემოსვლისთანავე შემევედრა დესი.

ჭარივით გავვარდი გარეთ.

აღღიზი გავავლიძე და ჩემი მისვლის მიზეზიც ხელდახელ ვუთხარი. იგი მაშინვე დაფაცურდა. ორიოდე წუთის შემდეგ ჩვენ უკვე მანქანაში ვისხედით.

— ამრა შეუძლოდ შეიქმნა და უნდა გასინჯოთ, — გზაში ამის მეტი აღღიზისათვის არაფერი მითქვამს.

ოჯახურ პირობებში შეუძლებელი იყო არა თუ ავადმყოფის ნორმალური მკურნალობა, არამედ გასინჯვაც კი. ამიტომ აღღიზმა განაცხადა, ამრა დაუყოვნებლივ საავადმყოფოში უნდა მოვთავსოთო.

ხარზამანსა და დესის არ მოეწონათ ექიმის მოთხოვნა. ორთავეს ერთი და იგივე ექვი უღრღნიდა სულსა და გულს: ამრას ამბავს ქვეყანა გაიგებს და გარეთ აღარ გამოგვესვლებაო. ამიტომ თავდაპირველად სცადეს აღღიზის გადაბირება, საჭირო წამლებს **რო-**

გორც იქნება ვიშოვით და ეგებ ჩვენს გაქირებულს ჩვენვე მოვუაროთო... აღღიზმა გადაქრით უარყო ხარზამანის თხოვნა.

— ეტყობა, ფეხი ნაღრძობი აქვს, — ისევე გაბრძოლა მოხუცმა, — შემოხვევით დაუტურდა და... თქვენის შემწეობით აქაც კარგად ვუშველით.

— მართლა და მართლა, განა ისეთი რა მოხდა, რომ შინ მკურნალობა ვაგვიჭირდეს? — ვაწიწმატა დესიც, — იქ მარტო შეკითხვებით გაუწყალბენ გულს, სად მიდიოდით, როგორ დაეარდიო, მარტო იყავით და რა ვიცი.

— არა ხართ მართალი, — დინჯად და აუჩქარებლად უპასუხა აღღიზმა, — საშიში შესაძლოა მართლაც არაფერი იყოს, მაგრამ საავადმყოფო მაინც ჯობია, იქ სულ სხვაგვარი მომსახურებაა.

თავდაპირველად ამრაც უარზე იდგა, მაგრამ, რაკი ტკივილები უფრო და უფრო აუტანელი გახდა, დარწმუნდა, რომ სხვა გზა არ იყო.

ხარზამანი ჩემკენ შემობრუნდა, შენ რაღას იტყვიო. მე უხმოდ დავუძინე თავი. ამის შემდეგ ყველანი შეეუდევით საავადმყოფოში ამრას გადაყვანის უსიამოვნო თადარიგს.

აღღიზსა და დესის შორის სწრაფად მოინახა სალაპარაკო ენა. ეს ბუნებრივი იყო; ერთი ექიმი, მეორე — დედა, ხოლო მათ შორის ავადმყოფი ქალი-შვილი.

მანქანიდან გადმოვიყვანეთ თუ არა, საავადმყოფოს მუშაკებმა მაშინვე საკაცით გააქანეს ამრა, დესი და აღღიზიც თან გაჰყვინენ. მე და ხარზამანი კი შესასვლელ კარებთან დავრჩით.

არც ერთს არ ამოგვიღია ხმა. უცბად აღღიზმა ფანჯარა გამოაღო, მანქანის გასაღები გადმოაგდო და მიიხრა:

— სასწრაფოდ წადი და ამტონი მოიყვანე, ექიმმაში რომ არის, ხომ იცი?

— რაო? რა თქვი, შეილო? — შეშინებულად მიუბრუნდა აღღიზს ხარზამანი, — ამტონი მოიყვანეო?

— ჰო! — აღღიზმა საკმარისად ჩათვალა ეს ერთი სიტყვა და თვალს მიეფარა.

— ეეჰ, მე ხომ ვიფიქრე ეს, მაგრამ ხმა ვინ ამომადებინა. ექიმბაში ამტონა სახლებშიც მშვენივრად მკურნალობს, მაშ, ნაღრძობი აქვს, ჰა?.. საბრალო გოგო!

მანქანაში ჩაეჯექი და წავედი. მაშინვე მივხვდი, ამრას ან მოტეხილი აქვს ფეხი, ან — ნაღრძობი.

ამტონმა მოითხოვა დაუყოვნებლივ ძვლის გასწორება. ექიმებმა დიდხანს მხარი არ დაუჭირეს.

ამტონის გარშემო ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები შეიქმნა: ერთნი დარწმუნებულნი იყვნენ მის გამოცდილებასა და ცოდნაში, მეორენი კი, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად უყურებდნენ თვითნასწავლ ექიმბაშს. იყვნენ მესამენიც. რომლებიც მთელი გულით ემადლიერებოდნენ ამტონის ხელოვნებას. ესენი ამტონის ყოფილი პაციენტები იყვნენ და საკუთარ თავზე გამოცდათ ხელმართალი ექიმბაშის „მაგიური ძალა“, მის მიერ დამზადებული შინაური მალამოების საოცარი ზემოქმედება.

დღეს დღე მისდევდა, და ამტონს უკვე რაიონის ექიმებიც რჩევას ეკითხებოდნენ, იბარებდნენ, მკურნალობის სხვადასხვა მეთოდებზე ესაუბრებოდნენ... ამრიგად, ამტონს ახლა მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა არა მარტო თავის სოფლის ექიმებთან, არამედ თვით რაიონის საავადმყოფოს ექიმებთანაც.

მალე ამტონის სახელი ჩვენი რაიონის ფარგლებსაც გასცდა. ამტონს იბარებენ სოხუმში. მერე კი მისი დოსტაქრობის ამბავმა თბილისამდეც მიადწია.

ასე დაიპყრო ხალხის გული ასთუთმეტი წლის აფხაზმა ექიმბაშმა, ასე ალაპარაკა დიდი და პატარა მის მიერ დამზადებული მალამოების „მაგიურმა ძალამ“.

ამტონი შინ დამხვდა. მაშინვე ვუთხარი ჩემი მისვლის მიზეზი.

— ეს როდის მოხდა, შვილო? — შემიკითხა მოხუცი და წამოსვლის თადარიგს შეუდგა.

— სულ ახალი ამბავია, ბატონო. — ფეხი მოტეხილი აქვს თუ ხალხობრივად?

— ეგ კი არ ვიცი. მაგილაზე ქაქის არაყით საცხე ბოთლი იდგა, იქვე, თეფშზე ჩურჩხელები ელაგა.

ამტონმა კიკები შეავსო. — ჩვენს ბედნიერ ვზას გაუძმარჯოს! — მოკლედ მოჭრა მოხუცმა და არაყი გადაჰკრა.

მე უარი ვთქვი, საქესთან ვზივარმეთქი.

ამტონმა გულიანად გაიცინა. — არ გეწყინოს, შვილო, და, ეს თქვენი მანქანები ძალიან აუფერულებს თქვენივე ცხოვრებას. აბა, ასე როგორ შეიძლება, რაკი საქეს უზიხარ, წვეთიც არ უნდა გადაგცდეს?!

ოთახიდან გამოვედი.

— არა, მანქანა სულ არ არის ხელსაყრელი, — გაიუტდა მოხუცი, — აბა წარმოიდგინე, ცხენით ჯირითი რა დიდ ვაჟაკობასა და გაბედულებას მოითხოვს. დილით იდრე ადგები, გადაჰკრავ კიქა არაყს, შეაფრინდები უნაგირს, ეზოდან ცეკვა-ცეკვით გამოხვალ და ჰერი! შენსავით ზეიმობს შენი მერანიც. ნაჯარლობს, ხტის და პატრონის მხიარულ ხასიათს ესალბუნება.

პირველი, ვინც ამტონს საავადმყოფოს ეზოშივე შეხვდა, ხარზამანი იყო.

— აბა, რა უნდა გითხრა, ამტონ, შენ იცი და შენმა ჭკუა-გამოცდილებამ... მერედა, ვასათოვარია... რამე წყენა არ დაუტოვოს ამ უბედურმა შემთხვევამ.

— საშიში აღბათ, არაფერი იქნება, ხარზამან... გამხნევი! — ამტონს არ შეეძლო გადაწყვეტით ეთქვა რამე, რადგან ავადმყოფი ჯერ არ ენახა, — ისე კი, ყველაფერს გაეკეთებთ.

ხარზამანს აღარაფერი უთქვამს, დეტუქსული ბავშვივით განზე გადგა და თავი დახარა.

მე ჯერ კიდევ მანქანაში ვიჯექი და იქედან ვიყურებოდი.

ხარზამანმა ჭვარივით დაიწყო ხელები გულზე და ასე იდგა საავადმყოფოს

წინ. მერე ბოლოს ცემას შეუდგა.

კარგა ხანმა გაიარა. თვალი სულ საავადმყოფოს მთავარი შესასვლელისაკენ გვეჭირა.

ბოლოს, როგორც იქნა, კარებში აღდინი გამოჩნდა.

ხარზამანი მაშინვე მისკენ გაქანდა. მეც გამოვევარდი მანქანიდან.

ვიდრე აღდინი რამეს იტყოდა, ხარზამანმა ველარ მოითმინა და შევედრა:

— ღვთის გულსათვის, მითხარი, როგორაა საქმე?

— კარგად, ოსტატურად ჩაუგდო ნაღობი ფეხი. ამრამ ერთი თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი მოიშორაო და ჩაეძინა კიდეც.

— ღმერთმა კარგად გამყოფოს, როგორ გამახარე!.. მაშე, ჩემს გოგოს საფრთხე არ ემუქრება, ჰა?..

— არავითარი! — დაჯერებით გაიმეორა აღდინმა, — ხარზამან ბატონო, არავითარი! პირდაპირ საოცარია, ისე ოსტატურად ჩაუგდო დალოცვილმა კალაბოტში...

— აღდინ! აღდინ! — გაისმა ვიღაცის ხმა.

ყველანი იქითკენ მივბრუნდით, სიდანაც ეს ხმა მოგვესმა.

— აღდინ, ერთი წუთით მოიცადე! — ჩვენკენ აგრა მორბოდა.

მე და ხარზამანი განზე ვავდექით. მოხუცმა ჩუმად რაღაც ჩაიბურტყუნა და თავი ისე გაქანია, თითქოს რაღაც ეშმაკურად შემოჩენილ აბუხარ ბუზს იგერიებდეს.

— რა ამბავია, რას ჩავიქინდრავთ თავი! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა აგრამ.

— ისეთი არაფერი, — სხვათაშორის გაეპასუხა აღდინი.

წუთიერი უხერხულობაც ამით გაუყანტა.

— როგორ, არაფერი? — არ მოეშვა აგრა ძმას.

— ისე... ამრამ ფეხი იტყინა... მსუბუქად.

— რაო? — ყურები დაცქვიტა აგ-

რამ, — ფეხი იტყინაო?.. იღრბო / თუ მოიტყნა?..

— არა, მოტეხილობა, არა, არა, არა, უპასუხა აღდინმა და თან თვალით ანიშნა, შეეწყვიტა ამბზე ლაპარაკი.

— ვატყობ, სერიოზული რაღაც მოხდა.. როგორ მეწყინა... ალოუ...

— აქეთ რა გინდოდა, ჩემთან ხომ არ გაქვს საქმე? — შეგვითხა აღდინი.

— ჰო.

და-ძმა აუჩქარებლად გავიდა საავადმყოფოს ეზოდან.

აგრა ანთებული თვალებით ესაუბრებოდა აღდინს. ისიც ღიმილით შესცქეროდა და ისე უსმენდა საუბრის ეშში შესულ ქალიშვილს.

ღიმი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც აგრამ ახალმთვარე მიატოვა. იგი ჩაის ფაბრიკაში მოეწყო სამუშაოდ. როგორც გაზეთებში წერენ, მან წარჩინებული მუშაობით ისახელა თავი.

ფაბრიკის ეზოში „საპატიო დაფაზე“ მინის ქვეშ ჰკიდია მისი მოღიპარე ფოტოსურათი, რომლის მიხედვით შეიძლება ვაცმა იფიქროს, რომ-ოგი ბედნიერია და თავისთავში მტკიცედ დაჯერებული.

აგრა გუშინ ჩამოვიდა სოხუმიდან და ახლა აღდინს სწორედ თავის ამბავს უყვებოდა. მან წარმატებით ჩააბარა ყველა გამოცდა და მოეწყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, იგი სწავლას ჰკვიანურად და საქმიოდ მოხერხებულად უთავსებს საფაბრიკო სამუშაოს.

და-ძმამ ღიღხანს ილაპარაკა საავადმყოფოს ეზოსთან, მერე აღდინი ჩვენთან მოვიდა. მანქანაში ჩავსხედით და ახალმთვარისაკენ გავწიეთ. ავადმყოფთან ღესი დარჩა. ამტობიც კარგა ხანს არ მოშორებია ამრას.

გზაში არცერთ ჩვენთავანს ხმა არ აქოუღია. ენაჩავარდნილებივით ვისხედით.

როდესაც სოფსაბჭოს შენობას მივეუახლოვდით, აღდინმა მანქანა გააჩერა:

— მოდით, ენახოთ, როგორ მიღის

მშენებლობა. — თქვა და მანქანიდან გადმოვიდა.

ჩვენც არ დავაყოვნებთ.

სოფსაბჭოს ვეებერთელა ეზოს ერთ კუთხეში ორსართულიანი სახლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა, მხოლოდ სახურავილა აკლდა. ეს ჩვენი სოფლის საავადმყოფოა.

აღდიშმა შენობაში შეგვიყვანა და ოთახები დაგვათვალერებინა. საავადმყოფო სხვადასხვა განყოფილებისაგან შედგება, სამშობიარო ცოტა მოშორებით დგას.

— ეს მართლაც დიდი საქმე გაკეთდა ვინმე რომ ავად გახდეს, აღარ მოგვიხდება იმ სოფორზე წაყვანა, აქვე გვექნება საავადმყოფო. ეს ძალიან კარგია, ძალიან — მოიწონა ხარზამანმა.

— აი, აქ კი რენტგენის კაბინეტი იქნება. — თქვა ბოლოს აღდიშმა და გვერდით ოთახში შეგვიყვანა, — აქ კაცის მთელი შინაგანი სამყარო ხელისგულივით გამოჩნდება.

— როგორ, ყველაფერი გამოჩნდება რაც შეიძლება აქვს? — ეშმაკურად იკითხა ხარზამანმა, — ყველაფერი გამოჩნდება?..

— კი, ნამდვილად გამოჩნდება! — გულუბრყვილოდ უპასუხა აღდიშმა.

— მან შეიძლება აჩვენოს ადამიანის გული, ფილტვები და სხვა შინაგანი ორგანო და მისი დაავადებანი, მაგრამ სულიერ სატკივარს ვერ აჩვენებს ეგ თქვენი რენტგენი! განა შეიძლება ამის დანახვა შუშაში? არ შეიძლება! — მაშინათვე უპასუხა თავისივე კითხვას.

— მე გეუბნებით ნამდვილ სატკივარზე, — თქვა აღდიშმა.

— მე ეჭიმი არა ვარ, შეილო, და მაგ რენტგენისაც არაფერი გამეგება, — არ ნებდებოდა ხარზამანი, — ეგ თქვენ უფრო კარგად იცით, მე იმის თქმა მიწინაა, რომ საშიში ის სატკივარი კი არ არის, რომლის გამოვლენა შეიძლება, საშიშია ის, რომელიც სხეულში იმალება და მისი-მიგნება არ შეიძლება.

აღდიშმა მანქანით აგვიყვანა მადლოზზე. ხარზამანი სახლში შევიდა, მე კი

ფეხით ავეყევი მთის ბილიც, საბუხარზე გავეშურე. მთელი ღამე უძილოდ ვიყავი და ძილი კი მაინც არ მიმეღებოდა. უცებ, ჩემ წინ, ალგერი გამოჩნდა. რაღაც საცოდავად მოაბიჯებდა მხრებჩამოყრილი და თავჩალუნული. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ყურსაც არ გააპარტყუნებდა. როგორც კი ერთმანეთს შევხედეთ, ძვლებმა ქახაქუხი დამიწყო. ალგერის თვალები უცნაურად აუგიზგიზდა. ძალიან მინდოდა მასთან შეხვედრა, მაგრამ ახლა, რალაცნაირად თვალზე ბინდი გადამეფარა. უსიამოვნო წინაგრძნობამ შემიპყრო. სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავდი. — პირდაპირ უნდა შევხვედროდი.

— ბიჭოს, ეს შენ ხარ? მადლობე ღმერთს, ცოცხალი შემხვდი! — ვუთხარი მე.

— ვითომ რაო, ალგერიმ თავი მოიკლაო, ხომ არ გითხრეს?

— არა, მე მინდა სიმართლე გავიგო, გესმის?!

— მაინც რა გაინტერესებს?

— სად იყავი!

— ეინ გეკითხება!

— ჩემი სინდისი.

— ვისი დავალებით დამდევ ფეხდაფეხ.

— ჩემივე თავის დავალებით.

— ლათაიებს მოეშვი, გირჩევნია.

— არ მოეშვები! ჩემი სინდისი არ გაჩუმდება, სანამდის ხედავს უსინდისობას!

— მოკლედ მითხარი, რა გინდა?

— რატომ არ მოხვედი გუშინ!

— რა შენი საქმეა?

— გეკითხები, რატომ არ მოხვედი-მეთქი, სად იყავი?

— კითხვა სირცხვილი არაა, ოღონდ ტონს დაუკელი, შენ თვითონ სად ბრძანდები?

— შენ კარგად იცი, სადაც ვიყავი ჩემს შეკითხვაზე მიპასუხე.

— მთელი ღამე გეძებდი, ფეხისგულები დამასკდა, იმდენი ვიარე აღმა-

დადმა, — ყრუდ ჩაიბურტყუნა ალგერიმ.

— ამრასთან ვახლდი — უეცრად წამომცდა ეს ორი სიტყვა.

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! ეს საესებით საქმარისია.

— ახლა მიბასუხე, რატომ არ მოხვედი!

— არ მინდოდა, თქვენთვის ხელი შემეშალა.

— ალგერი!

— ჰო, ჰო, აგრეთ!

— ამრა შენ გელოდა, ალგერი!

— ვიცო...

— მაშ, პაემანი რატომ ჩაშალე?

— აკი გითხარი, არ მინდოდა თქვენთვის ხელი შემეშალა-მეთქი?

— ეგ როგორ.

— შენ ხომ გიყვარს ამრა.

— ჰო!

— ჰოდა, შენ და ამრამ ხომ მიეციოთ სიტყვა ერთმანეთს, რომ დაქორწინებულყოფით?

— გეყოფა, ალგერი!

— კიდევ აქეთ მედავებნი?

— ცოდვის ნუ ამბობ!

— ღმერთი და რჯული, ისე მოვიქეცი, როგორც ვაქაცს შეეფერება!

— შენს გამო ამრა კინალამ მოკვდა. ეგ რომ სცოდნოდა, რა ვაქაცოც ბრძანდებოდი...

— როგორ, რა მოუვიდა!

— შენთან მოდიოდა. უმთვარო და წყვარამ ღამეში ზიდზე ფეხი დაუტურდა და ხევში ჩავარდა, ახლა სააუადმყოფოში წევს, ფეხი აქვს ნალრძობი.

— როგორც ჩანს, ყველაფერი შემთხვევის ბრალია, — ალგერის ეგონა, სწორედ ეს შემთხვევა დაიხსნის მას საკმაოდ უსიამოვნო განსაცდელისაგან — რა თქმა უნდა, ეს აშკარა შემთხვევითობის ბრალია და... დაეა იმის შესახებ, თუ რატომ მოხდა, საკმაოდ არასერიოზულად მიიჩნია. — თქვა, მხრები მსუბუქად შეათამაშა და გამოშორდა.

— უსინდისო!...

იგი არ მობრუნებულა.

— ლაჩარო! — უფრო ხმამაღლა ვე-

სროლე, — თითქოს მსურდა საბოლოოდ დაერწმუნებულყოფიერებას. ძალსა და სიმართლეში, კდ. ამ. რწმუნებ. შიკ, რომელმაც ეს-ეს არის ფეხქვეშ ნყარი ნიადაგი მაგრძობინა.

„საბრალო გოგონა!“ — გაივლე გულში. თან მიმავალ ალგერის ვუყურებდი, — როგორ დაბრმავდი ისე, რომ ბოროტი სული ვერ შეიცანი?... მე კი რას ვიფიქრებდი? ან ვის ეგონა, თუ ალგერის შეეძლო სიცოცხლე ამრას გარეშე?

— ლაჩარო! — ერთხელ კიდევ მოვიხზე გული, მივაფურთხე იმ ბილიკს, რომელზედაც ახლა ალგერიმ გაიარა და წელმოწყვეტილმა ძლივს გადავდგი ნაბიჯი.

23.

დრო გადიოდა და ხარზამანიც უფრო და უფრო მშვიდდებოდა, მიხვდა, სხვა გამოსავალი არ იყო, გარდა იმისა, რომ კვალდაკვალ მიჰყოლოდა ცხოვრების დინებას.

იგი ბრანდებოდა, ჩხუბობდა, იმუქარებოდა კიდევ, მაგრამ თავისივე ოჯახშიც კი ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო. ყველა ისე მოქმედებდა, როგორც ამას გული და გონება უკარნახებდა. ბევრჯერ ეცადა ოჯახის ზურგის გამაგრებას, შემქიდროებასა და ძველებურ ყაიდაზე მოწყობას, თითქოს განგებ ხდებოდა, საქმე უფროდაუფრო უკულმა მიდიოდა, ახლა კი ყველაფერს დაეპყვებით შესცქერის. თითქოს თვითონაა დამნაშავე... უცნაურია, მაგრამ ფაქტია, გინდა კარგი გააკეთო და ცუდად გამოგდის.

თბილისიდან ალიასის დაბრუნებამ ცოტა წელში გამართა ხარზამანი, შეიღს ალურსიანად და ღმობიერად ეპყრობოდა. ამ წინასწარმოფიქრებულს და სიინედოდ აწონილ-ვაზომილ ხერხს თავისი დანიშნულება ჰქონდა, — შეიღს არ ესაყვედურა მამისთვის.

ალიასში უფრო და უფრო მოეკიდა ფეხი უიმედო განწყობილებას, არა და არ უმართლებს. როგორც კი თავისი ეზოდან ფეხს გადაგამს, მის დაბრუნე-

ბამდე აფცილებლად უნდა მოხდეს რა-  
ღაც უსიამოვნო და არასასურველი შე-  
მთხვევა.

აი, ახლაც, დაბრუნდა თუ არა, თით-  
ქოს კარგი რამ უნდა ახარონო, გარს  
შემოეხევივნენ და უთხრეს ამრამ ფეხი  
იღრძო და ახლა საავადმყოფოში წვე-  
სო.

თვითონ ამრა რომ იყოს თავქარიანი  
და არ იცოდეს, როგორ უნდა მოიქცეს  
კაცი იფიქრებდა, რაც მოუვიდა ახიო,  
მაგრამ ალიასის ქალიშვილი ძალზე თავ-  
დაშერილი, გულკეთილი და სანდომი-  
ანი გოგონაა, მერე? მერე ის, რომ სადაც  
ფეხი დაადგა, ყველგან მიწა ჩაენგრა,  
სადაც ტბილი სიტყვა დასთესა, ეკალი  
ამოვიდა...

როცა ალიასმა შეილი იხახელა, ამრა  
ლოგინზე წამოჯდა და გულაჩუყებული  
ჩაეკრა მამას. მე ვარ დამნაშავე, მამა-  
ტიეო, ქვითინებდა იგი.

ალიასი ძლივს იკავებდა თვალზე მო-  
მღვარ ცრემლს, შეებრალა საბრალო.  
ჩასჩურჩულებდა, დამშვიდდი, ჩემო  
გოგონაო.

ბოლოს, როგორც იქნა, ერთი დამ-  
შვიდდა და მეორეც. მამა-შვილის საუ-  
ბარი არც ისე დიდხანს გაგრძელდა.  
სადილობამ მოაწია და ავადმყოფებიც  
საქმიანად აფუსფუსდნენ თავიანთ სა-  
წოლებში. ახლა კი დროა წავიდეთ,  
გაიფიქრა ალიასმა, ამრას აკოცა, ერთ-  
ხელ კიდევ გაამსხევა, მერე ოდნავ გაუ-  
ლიმა, თვალი ჩაუკრა და პალატიდან გა-  
ვიდა.

ვიდრე ამრა საავადმყოფოში იწვა  
დესი თავზე ედგა ქალიშვილს, ხარზა-  
მანი საკვირველი გულმოდგინებით შეუ-  
დგა შეილის მოვლას.

იმ დღესაც უთენია ადგა და სამზარე-  
ულოსკენ გასწია. კარგა ხანს იფუს-  
ფუსა, საუზმეს თავი მოუბა და რო-  
გორც კი თვანზე ალიასს მოჰკრა თვა-  
ლი, სამზარეულოდან მკლავებდაკაპი-  
წებული გამოვიდა და ამაყად შეუძახა:

— ალიას, ბეჭო, ალიას!

— რა, მამა!

— აქ მოდი, ცოტა წავიხემსოთ.

საუზმის შემდეგ ხარზამანმა მოუყ-  
რებით მიმართა შეილს:

— როგორც ჩანს, დასასრულს უნდა  
ლოვდება შენი წამოწყებული საქმე,  
მა რას იტყვი, ალიას?

— რა ვიცი, ემუშაობთ... ვნახოთ, რა  
გამოვა.

— ისინი, რომლებიც შენთან ერთად  
მუშაობენ, თავს არ შეირცხვენდნენ,  
რატომღაც მჯერა, რამე კარგი რომ არ  
შეენიშნათ შენს გამოგონებაში, ხელს  
არ ახლებდნენ. სხვანაირი ხალხია, ისიც  
კი იციან, ცაში რამდენი ვარსკვლავი  
ბრწყინავს, ამ საქმესაც ბოლომდე მიი-  
ყვანენ, რა დღეს, რა ხვალ, აქ საეპკო  
არაფერია!

ალიასმა არ იცოდა რა ეპასუხა, ელ-  
დნაკრავივით უყურებდა მამას. ხარზა-  
მანი ის აღარ იყო, როგორსაც ალიასი  
იცნობდა, ხასიათი, რომელსაც თანდა-  
თან ამქვადებდა ბერიკაცი, ნელ-ნელა  
იკიდებდა ფეხს დასვედიანებულ ოჯახ-  
ში. იმის მაგივრად, რომ თავს დაესხას  
შვილს, როგორც იცოდა ბერიკაცმა,  
რომ ყველაფერი მისი ბრალია, რომ გა-  
დაპყვა იმ ოხრადდასარჩენ მანქანას და  
ყურადღებებს არაფერს აქცევს, ბოლო  
ამსობაში ოჯახი დანგრევის პირას მი-  
ვიდა, ახლა თვითონვე უქებს და არწმუ-  
ნებს კიდევაც — აზრი აქვს ბოლომდე  
მუშაობას და აბა შენ იციო.

— თამბაქოსამსხმელი მანქანაც იქ-  
ნება და შენი ოცნებაც აღსრულდება,  
შვილო ჩემო! ყველაფერი, ყველაფერი  
კარგად იქნება, მხოლოდ, ესეც უნდა  
გითხრა, ალიასს, დარდსა და სევდას  
ხშირად ეჩაგვრინები, ეს კი არ ვარგა.  
გასაჭირი გამოცდილებით უნდა დაძ-  
ლიო. დარდს ერთი კარგი თვისება აქვს,  
წინასწარ გწრთენის და გამზადებს, რა-  
თა ახალ დარდს ვაეკაცურად შეხვდე!

სამუშაოდ წასული ალიასი რამდენს  
ეცადა, მაგრამ ვერა და ვერ გაერკვია  
— რას შეეძლო ასე გარდაეჭმნა მამა-  
მისი!

დესი საავადმყოფოს დერეფანში ბო-  
ლთას სცემდა. უეცრად ეილაის ხმა

მოხვმა, როცა შემობრუნდა, საკუთარ თვალებს არ დაუჭერა:

— ციციწო! აქ საიდან გაჩნდი? — მოხვხვია დესი ქალიშვილს.

— ამ საავადმყოფოში დავიწეე მუშაობა, — მოკლედ უთხრა ციციწომ.

— ჩვენს საავადმყოფოში?

— დიახ, სწორედ თქვენს საავადმყოფოში.

— საკვირველია.

— როგორ არის ჩემი და, მამაშენი, შენი მამა, ხომ კარგად არიან? — სათითაოდ მოიკითხა დესიმ ყველანი.

— კარგად არიან!

როცა საავადმყოფოში თავისი დისწული ციციწო ნახა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— ამრა წევს.. აქ.. ფეხი აქვს ნატყენი, ამოვარდნილი უხდა ჰქონდეს, — სხვათაშორის უთხრა დესიმ ციციწოს, — ისეთი არაფერი სჭირს, მაგრამ შენ რომ აქ დავიგულებ, უფრო მშვიდად ვიქნები.

— რომელ ოთახში წევს? — იკითხა ციციწომ.

— აი, აქ! — თითოთ ანიშნა იმ ოთახზე, სადაც ამრა იწვა.

— რამდენი ხანია ამრა არ მინახავს, — თქვა და მაშინათვე ამრას ოთახისაკენ გაემართა. დესიც უკან მიჰყვა.

დიღხანს, დიღხანს ჰკოცნეს დეიდამშვილებმა ერთმანეთი. დესიმ სიხარულის ცრემლები მოიწმინდა თვალებიდან...

გოგონები მერცხლებივით აქიკიკდნენ. ორივეს ერთი წუთით ყველაფერი დაევიწყდა: აღარ ახსოვდათ თავისი დარდი, რომ ამრას ავადმყოფობისა არაფერი ეტყობოდა, გაღაშლილი ვარდივით იწვა ლოგინში და თავის სიტურფით ყველას აჯადოებდა.

ციციწოც როგორ დამშვენებულია რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთმანეთს არ შეხვედრიან და არ გადაუხსნიათ ერთმანეთისათვის გულის საიდუმლო. რა მათი ბრალაა, თუ ცხოვრებამ სულ სხვადასხვა მხარეზე გადაიხროლა ისინი.

— თქვენ ისაუბრეთ, შეილო, ამრა, მე კი ბაზარში გავიქცევი, ზღვს მოვიტან. — თქვა დესიმ, რადგან სიტყვით, რომ იგი სრულად ზედმეტი იყო.

— კარგი, დედა, — ამრასაც ეს უნდოდა.

— შენი საქმეები როგორ მიდის, ციციწო? რა არის შენთან ახალი? მიამბე, მე კი, თუ რაიმე მექნება სათქმელ მერეც მოვასწრებ, შენს მეტს, აბა, ვის გავანდობ? უნა მყავს შენზე ახლობელი?

— ჩემი საქმეები? — სახე გაუნათდა ციციწოს, — სიმართლე რომ გითხრა, სწორედ ჩემმა საქმეებმა მომიყვანა აქ, სულმოუთქმელად მოვდიოდი.

— მითხარი, ჩქარა მითხარი. ხომ კარგად წარიმართა შენი ცხოვრება? — ამრა ცდილობდა ციციწოს ამბობთ გართულიყო, რომ ღროებით მაინც დაევიწყა საკუთარი სატიკივარი.

— ჩემი ჩასვლის პირველივე დღიდან ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ვეჭირობდი, — უპასუხა სახეგაბრწყინებულმა ციციწომ.

— ეს ხომ ნამდვილი ბედნიერებაა! როგორც ჩანს, ცხოვრებაში ყველაფერი დამოკიდებულია წარმატებაზე. — სინანულით დაუმატა ამრამ ბოლოს და გონების თვალთ თავის ცხოვრებას გადახედა.

— ადამიანის ბედსა და იღბალს მისივე წარმატება ჰქმნის, ამ მხრივ ღმერთმა საყმაოდ უხვად დამაჭილოვია, იცი, თავდაპირველად როგორ განვიციდიდი?..

— ბუნებრივიცაა, — კვერი დაუჭრა ამრამ, — ამ დროს იღუმალი შიშიც შეიპყრობს ხოლმე ადამიანს, რა იცის, როგორ წარიმართება ყოველივე?

— შენ გგონია, თავდაპირველად ჩემს წარმატებაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული?

— მაინც, მაინც? — დაინტერესდა ამრა.

— მე გგონია, სიყვარულმაც გამიმართლა, მან მთელი ჩემი არსება მოაკცა. როგორც კი ჩამოვედი, თითქოს რამოდენიმე წლს წინათ დაგვენიშნოს

პემანი, შევხვდით ერთმანეთს. შევხვ-  
დი სწორედ მას, გესმის, ამრა! იგი ჩემს  
წინაშე ისე მოულოდნელად წარსდგა,  
თითქოს ციდან ჩამოფრინდო. ეს ის  
ადამიანი იყო, რომელსაც თვალდახუ-  
კული ვანდობდი მთელ ჩემს სიცოცხ-  
ლეს, ეს იყო ცაში მონაჯარდე ფრინვე-  
ლივით ლაღი და თავისუფალი. იგი მზად  
იყო თან წავეყვანე, თუკი ეს ჩემი სურ-  
ვილი იქნებოდა, ჩვენ იმ გრძნობას ვუ-  
ფრთხილდებოდით, ჩვენს შორის რომ  
ღიბადა ჯერ კიდევ ბავშვობისას, სკო-  
ლის მერსზე. ზოლო, როცა ეს გრძნობა  
გაღვივდა, ჩვენ მისგან ავანთეთ ცეცხ-  
ლი. ახლა კი ის ცეცხლი ჩვენს თვალ-  
წინ ბრწყინავს, როგორც მომავლის ნა-  
თელი კერას..

— მერე, მერე? — ამრას მოეჩვენა,  
რომ ციციწო ცოტახნით შეეყოვნა, —  
ილაპარაკე, ილაპარაკე, ჩემო კარგო.

— სხვა რაღა გითხრა? ზუსტად ისე,  
როგორც მე შეჩქარებოდა მასთან შეხ-  
ვედრა, მჯერა, რომ ისიც ასევე მოუთმე-  
ნლად მოელოდა ჩემს ჩამოსვლას. ჩემი  
გაეხსენეთ ჩვენი ბავშვობა. ბავშვობა  
კი ყველაფერია, ყველაფერი.. აბა, იფი-  
ქრე, შეიძლება თუ არა ვინმემ თავის  
ხსოვნაში შემოინახოს ძვირფასი ადა-  
მიანის ბავშვობის ყოველი დეტალიც  
კი, თუ მასზე არ იფიქრებს, არ გაუფრ-  
თხილდება სულში მის სახელს? ჩემის  
აზრით, ეს შეუძლებელია.

— შეუძლებელია! — მაშინვე მტკი-  
ცედ დაეთანხმა ამრა. — ის, ვინც შენ  
ასე აღგაფრთოვანა, ღირსია დიდი სი-  
ყვარულისა, პატივისცემისა!.. დიდის  
ამბით წარმოთქვა ამრამ.

— იცი, ვინ არის იგი? შენ მას უთუ-  
ოდ იცნობ, კარგადაც იცნობი..

— ნეტა ვინ უნდა იყოს? — თავის-  
თავს ჩაეეითხა ამრა, — თვალეები თანავე  
მოკუტა და სივრცეს გახედა.

— შენ მას ყოველდღე ხედავ, ამრი-  
კო, ყოველდღე! უბრალოდ, ყურადღე-  
ბა არ მიგიქცევია და ესაა.

— ღმერთო ჩემო! რაღას მაწვალებ,  
ბარემ თქვი, გოგო! — სულმა წასძლია  
ამრას.

— იგი ხომ.. იგი თქვენთან მუშაობს..

— აა? — თითქოს ელექტრონმა დაა-  
რტყა ამრას, მთელ სხეულში ერთგვ-  
ტელმა დაურბინა და ააცხცხცა.

— რა მოგივიდა, ამრა! — სკამიდან  
წამოხტა ციციწო და ავადმყოფის სა-  
წოლთან მიიჭრა, — ფეხი ხომ არ გე-  
ტკინა? ფერიც სულ დაგეკარგა, ექიმს  
დაუვძახო?

— არა, არ არის საჭირო..

ამრა თვალდახუკული მიესვენა ბალი-  
შზე.

— უთუოდ ფეხი გეტკინა და მიმა-  
ლავ, — შეწუხდა ციციწო და ამრას  
შუბლზე ხელი გადაუსვა.

— არა, ციციწო გული.. გული მე-  
ტკინა..

— ასე უეცრად რა დაგემართა?.. ვე-  
რაფერი გამოვიდა.

— უკვე გამიარა.. ხდება ხოლმე..  
ამ ბოლო ხანებში განსაუკუთრებით ხში-  
რად მემართება. — ამრა ახლა სხვაგან  
იყურებოდა, თვალეები უწინდებურად  
აღარ უციმციმებდა.

— გულის წამალს ხომ მიიღებ?

— არა.

— სველ ტილოს დაგადებ გულზე?

— არა, არ მინდა.

— წყალს ხომ არ დალივ?

— არა.

— იქნებ მარტო ყოფნა გირჩენსივ?

— ჰო.. წადი.. ჩქარა წადი!..

ციციწო უხერხულად შეიშმუნა. არ  
ელოდა ამგვარ პასუხს.

„ღმერთო, ისეთი რა დავაშავე, რომ  
პალატიდან მაგდებს?..“ — გულში გაი-  
ვლო და მაშინვე საწოლს მოშორდა,  
დერეფანში ექთანს გააფრთხილა, ამრა  
შეუძლოდ გახდა და კიბეზე სწრაფად  
დაეშვა.

ტყვია, რომელიც პირდაპირ გულში  
მოხვდა ამრას, თითქოს ცოცხალ არ-  
სებად გადაიქცა და ახლა სისხლს წოცს.

ამ შემთხვევის შემდეგ, ციციწო ხში-  
რად ნახულობდა ამრას, მაგრამ საუბარს  
თავს არიღებდა, ავადმყოფი აშკარად  
აგრძნობინებდა, რომ მასთან საუბარი  
არ სურდა. ციციწო ერთ უცნაურობა-

ში ვერ გარკვეულიყო, რამ შეცვალა ასე უცებ ამრა?

დესიმაც შეამჩნია თავისი ქალიშვილის ცვლილება, მაგრამ თქმით არაფერს ეუბნებოდა, თავს იკავებდა, ბოლოს, ვერ მოითმინა დედის გულმა და ჩუმად შეაპარა:

— ამრა, შვილო, რა მოგდის, როგორც კი პალატაში ციციწო გამოჩნდება მაშინვე პირს კედლისკენ იბრუნებ, რაღაც არ გსიაპოვნებს, ის კი, თავს გველება...

— გეჩვენება დედა, ციციწო კი არა, ღმერთი რომ ჩამოვიდეს ჩემს სანახავად, მაინც ასეთი ვიქნები, სხვანაირად არც შემიძლია, ბოლოს და ბოლოს რა მაქვს სასიხარულო?

— არ უნდა აპყვე ცუდ გრძნობებს, შვილო, არც ისაა კარგი, რომ ჩვენი გასაჭირი ქვეყანამ გაიგოს, მტრის ჯინაზე ზოგჯერ მაინც უნდა გამოიდარო!..

— არა, დედა, არ შემიძლია ზოგიერთებზე ვიფარისევლო და დავმლო ის, რაც ჩემში ხდება, მაშინ ნიღაბი უნდა ავიფარო, მე კი ამ მხრივ ძალზე უნიჭო მსახიობი ვარ!

— გატყობ! ციციწოზე ხარ გაჯავრებული, რა იცი, რას იფიქრებს?

— რაც უნდა, ის იფიქროს, ჩემთვის სულერთია.

— ისიც ადამიანია, ეწყინება, და გულიც გაუცივდება.

— მის გულს რას დავეძებ, ჩემი გულისთვის ვერ მომივლია.

— განა რა ვაგიკეთა ციციწომ ცუდი, რომ ასე გასწირე?

— კარგი რაღა გამიკეთა?

— ცოდვას ნუ ამბობ, შვილო, დაფიქრდი, ციციწო შენთვის სიკეთეს არ დაიშურებს, მე ეს მჯერა.

— მისგან არც კარგი მინდა, არც ცუდი, თავი დამანებე, დედა! — ვეღარ მოითმინა ამრამ და სახე კედლისკენ შეიბრუნა.

24.

საქორწილო სუფრის თავმომწონე თამადასავით შეხვდა შემოდგომას ჩვენი სოფელი. გადამდგარი გენერლებივით

დგანან თავჩაქინდრული სიმონდები, რომლებიც თვლემამორეულნი ქანაობენ ნიავის ოდნავი ჩაქროლებმის დროსაც...

თამბაქო, უკვე აიღეს, კაეებზე ჩამოჰკიდდეს და დაიწყეს მისი ნერგების განახლება; ნაგვიანევი თამბაქო ჯერ კიდევ შრებოდა აქა-იქ.

ნათქვამია, რასაც დასთეს, იმას მოიმკო, თუ აღებული თამბაქოს მიხედვით ვიმსჯელებთ, ცოტა როდი დაუთესიათ ჩვენი სოფლის მშრომელებს. თვალსა და გულს ახარებს უხვი დოვლათი.

ხეებზე უკვე ნათლად ჩანდა გვიანი შემოდგომის ძალა. ტოტებზე აქა-იქ შერჩენილი მწვანე ფოთლები ჩაკარგულიყო შემოდგომის სიყვითლეში. ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა, რომ სოფელს მალე ზამთარი ეწვეოდა. ვინმემ რომ მკითხოს, შემოდგომით თქვენს სოფელში რა უფრო მოხდება კაცს თვალშიო, ყველაფერს სხაპასხუბით ჩამოვუთვლი. შეიძლება ვინმე შემომედავოს უმნიშვნელო წვრილმანზე, ეგ რა სათვალავში მოსატანიო, მაგრამ ყველას საკუთარი გემოვნება აქვს და, რაც მე საოცრებად მიმაჩნია, შეიძლება სხვისთვის არაფერს არ წარმოადგენდეს, და უფრო მეტიც, ვერც კი ამჩნევს მას.

მე საოცრად მიყვარს სიმინდის ყანები, მაგრამ არანაკლებად მზიბლავს მანდარინის პლანტაციები, ლიმონისა და ფორთოხლის ყურება ხომ ყველაფერს მირჩვენია...

საშობაოდ მორთული ნაძვის ხესავით დაუხუნძვლიათ ტოტები ციტრუსებს.

ამ ღვთით ნაკურთხი ხილის ქამა ხომ სიაპოვნებაა, მაგრამ არანაკლებ ახარებს ადამიანის თვალსა და გულს მათი ნახვაც.

ახლა ხილს არ იკითხავთ?

რა ჯიშის ხილს ინატრებთ, რომ არ იყოს ჩვენს სოფელში. ადრეული ხილი უკვე დაკრეფილია, ნაგვიანევი კი — ახალმოყვანილ პატარძალივით კვლუცობს ხეხილთა შორის.

ამწვეების დაბლა დახრბილი კისრებივით მძიმე-მძიმედ ქანაობენ ნაყოფით

დახუნძლული აფხაზური ვაშლის ტოტები. ვისაც თავისი თვალით არ უნახავს ეს სილამაზე, ის ვერც გაიგებს ამ წარმატაცი სანახაობის საიდუმლოებას. მაგრამ მარტო ნახვა რას გარგავს? ამ სურათის მნახველს რა გული გაგიძლებს, არ გაიძრო ფეხზე და ხის კენწეროზე არ მოექცე! როცა მოწყვეტ თვალში-ამოღებულ ვაშლს და შექამ, მაშინ იგრძნობ აფხაზური ხილის გემოს.

შემოდგომით ჩვენი სოფლის ვერც ერთ უბანს ვერ ჩაუვლი გულგრილად, ყველგან გამოშფევევად გიღიმის ხილით ღამიძიმებული ტოტები. დამწიდდება თუ არა ყურძენი, ჩიტებისაგან მოსვენება აღარ არის. გუნდ-გუნდად შეესევინან ვენახს და ანადგურებენ. მაგრამ მათზე არავინ ჭავრობს. ჰამონ რამდენიც სურთ.

როცა ყურძენი დაიწურება და ქვევრებში დაბინადდება, მაჭრის გამაბრუებელი სურნელი მთელს სოფელს ეღება. როგორც კი საქმე მისუსტდება, იწყება გაუთავებელი სტუმრობა. თითქოს ამაშიც ეჯიბრებიან ერთმანეთს, ყველა ოჯახში ქეიფიხა და სიმღერის ხმა გაჟმის.

მასპინძელს ეზოდან გამოსვლა არ სჭირდება, ყველაფერი ამბარში აქვს. დოვლათის სიუხვე ყოველ კუნძულკუთხეში იგრძნობა.

ძვირფასო მკითხველო, არ იფიქრო, რომ მე ენამქვერი აფხაზი ვარ, მობრძანდით და ერთად ვეწვიოთ ნებისმიერ ოჯახს, რომელ კარზეც მიმითითებ, იქ დავაკაუნებ და ჩემი სიტყვების სიმართლეში მაშინათვე დარწმუნდები.

აქ გნებავთ?

კეთილი და პატიოსანი.

მაშ. ასე, თვითონვე ხარ მოწმე იმის, როგორ ექცევა დიასახლისი სტუმარს. თუ დეკეულს არ დაუკლავთ, უკიდურეს შემთხვევაში შემწვარ წიწილებს მაინც არ მოვაკლებთ, აბა, რად გვინდა თავი ცოცხალი, თუკი სტუმრისთვის რამე დაგვენანება?

მენდე, მკითხველო, არავითარი სიყალბე. არ არის იმაში, რასაც ისინი სტუ-

მრების შესახებ ლაპარაკობენ. ტყუილად კი არაა ნათქვამი, „აფხაზები სტუმრებისთვის არიან გაჩენილინი“.

აფხაზს ყველაზე გემრიელი საქმელი სტუმრისთვის აქვს საგულდაგულოდ გადანახული. მაგრამ მე აფხაზურ ოჯახში იმიტომ კი არ შეგიყვანე, თითქოს მინდოდეს გითხრა, მხოლოდ აფხაზებს შეუძლიათ სტუმართა მიღება რიგიანად-მეთქი, არა! უბრალოდ მსურდა, შენ თვითონ ისევე გეგრძნო სურნელება და გემო ჩვენი სოფლის შემოდგომისა, როგორც ამას ჩვენივე სოფლელები გრძნობენ. ამ საქმეს მე ვითავებ.

ახლა, რაკი თავი მასპინძლად ჩავთვალე, უნდა მოგმსახუროთ კიდევ. მოდით, მათან ერთად დავსხდეთ ავზგუზებულ კერიასთან და ცოტა წაილაყობოთ.

აბა, მოსინჯე, და უყოყმანოდ დამეთანხმები, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობს უფრო დიდი სიამოვნება. ჩვენ, აფხაზები ამას შეჩვეულსი ვართ და ამგვარ სიკეთეს ზოგჯერ ველარც ვამჩნევთ ხოლმე.

აი, ჩვენ უკვე კერიის გარშემო ვსხედვართ და უმნიშვნელო სიტყვებს გულდაგულ ვაწვდით ერთმანეთს.

ამბობენ „კარგ დიასახლისს კარგი ცეცხლი უნთიან“. ჩვენი საუბრის დროს ოჯახის უფროსი ცეცხლს შეუკეთებს და წამოიძახებს: „აბა, ჩვენ უკვე მზად ვართ!“ ცეცხლს ენები გარშემო ლოკავენ ქვაბს, რომელშიაც სხვადასხვა ჯიშის გოგრა იხარშება.

წითელლოყება ახალგაზრდა გოგონა შამფურზე წვავს ჭყინტი სიმინდის ტარობებს, რომელიც შემოდგომისას იშვიათ ხილად ითვლება.

თვალის დახამხამებაში მაგიდა ნაირნაირი საქმელებით აივსო. დიასახლისმა ლიტრით შემოიტანა ქაქის არაყი, რომელსაც ისეთი ბეწკვი ჰქონდა მოყოლებული, კაცს ეგონებოდა, საცაა საცობს ამოაგდებსო. არაყს ირველივ დათრთვილული ჩურჩხელები შემოუწყვეს. მაგიდაზე გამწკრივდა მოხარშუ-

ლი გოგრა, ჭყინტი სიმინდი, დატეხილი კაკალი, ლღვის ჩირი და სხვაღ ბევრი რამე.

ოჯახის უფროსმა სირჩა შემართა და ჩვენი შეხვედრის საღღეგრძელო ბოლომდე შესვა. შენ ხომ სტუმარი ხარ, ამიტომაც ალავერდი შენ გეკუთვნის! შენც ბოლომდე სვამ, მეც ასევე ვიჭყევი. თანდათან იფანტება სტუმრებსა და მასპინძლებს შორის გამეფებული ერთგვარი კრძალვა-რიდი და ქეიფიც ეშხში შედის.

ამასობაში დიასახლისმა თავისი საქმე გააკეთა. ვიღრე ჩვენ სახელდახელოდ გაწყობილ მაგიდას ეუსხედით, დიასახლისმა და მისმა ქალიშვილმა შებრაწული ქათმები შემოიტანა, ჩვენ კი ამ დროს ხილხულით ვიყავით გულნაჭერები. მაგრამ, ნურას უკაცრავად, მასპინძლები როგორ გამოგოშვებენ, ქაფქაფა ღომი თუ არ გასინჯე.

დიასახლისმა ქვაბი შეაიციცხლზე ჩამოჰკიდა.

წაბლი ყრველნაირად მიყვარს — შემწვარიც, მოხარშულიც, უმიც...

ვინ ჩამოთვლის ყველა იმ სიამოვნებას, იმ ფერშეცვლილ სილამაზეს, რომელიც მუდამ თან ახლავს ჩემი სოფლის შემოღვომას. ყველაფერი დაწვრილებით რომ მოგიყვებო, ამას ძალიან დიდი დრო სჭირდება, ამიტომ თავს აღარ შეგაწყენო.

არ იფიქროთ, რომ ახალმთვარეში ან კანდაქსკდარი ბროწეულების ბრიალა ცეცხლმა მომიყვანა, ან წაბლის ბერტყვის ყრმობისეულმა სიყვარულმა.

არა! მე სულ სხვა რამემ ამიძულა სამუდამოდ დაერჩენილიყავი აქ, ამ ღვითით კურთხეულ არემარეში. ეს სხვა რამე კი ჩემი პროფესიაა. ჩემმა სიყვარულმაც პირველად აქ გაშალა ფრთები-რომ არ ჩამოვსულიყავი ახალმთვარეში, აბა, საიდან შევხვდებოდი ამრას?

ახლა მზის ამოსვლას არ იკითხავთ?

ვისაც საკუთარი თვალით არ უნახავს მზის ამოსვლა ახალმთვარეში, რაც არ უნდა დაწვრილებით მოუყვებო, მინც

ვერ გაიგებს მისი სილამაზის სიზმარულ სიღღმლოებას.

პირველად მზის ამოსვლას მხარხამანმა მანჩენა, მანამდე მე ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. არა, ყურადღება როგორ არ მიმიქცევია, მაგრამ მე მას სულ სხვანაირად ვხედავდი.

მეორეჯერ იგი თათივამ დამანახვა. მისთვისაც ხარხამანს უსწავლებია თვალთვალი. როგორც შემდეგ გამოვარკვიე, თურმე ამ სოფლის ყოველ მკვიდრს მიანიჩნია, რომ მზე მათთან იღვიძებს.

კაცი, რომელსაც ეს სურათი არ უნახავს, იტყვის, დიდი ამბავი, რაო, ვითომ, ახალმთვარეში მზე სხვანაირია?

შეიძლება ჩემმა პასუხმა განგაცვიფროთ, მაგრამ მე იმას გეტყვით, რასაც ვფიქრობ და როგორცა მწამს:

მზე ახალმთვარეში სულ სხვანაირად იღვიძებს, ეს მზე სხვა მზეებს სულაც არა ჰგავს.

აი, დღესაც იალადებიდან მე და ხარხამანი მონუსხულივით ხმაამოუღებლივ შევხვდით მზის ამოსვლას.

შეეძლებო კი ვადმოგვცეთ ეს სურათი, ისე, როგორც მას ჩემი თვალები ხედავენ? ცდა ბედის მონახვერეაო, უთქვამთ, და მეც ვცდი.

ახალმთვარეს კერძის დიდ ქვსაყვით თაქს აღვას დიდებულნი „კიანთაზის“ მთა. თუ მზის ამოსვლა გინდა ნახო, გაშთენიდან უნდა უთვალთვალო ამ მთას! იგი მოვავონებთ ბეჭებგანიერ გოლიათს, რომელმაც მხრებიდან გადაიგდო შავი ნაბადი, ზღვაში შევიდა, იბანავა და ახლა მზეს ეფიცება. მთების ზურგს თანდათან სინათლე ეპარება, მათ მიღმა, ჩემთვის უხილავ მხარეს აგიზგიზდება კოცონი, რომლის ალი მთის მწვერვალამდე აღწევს, და ყველაფერს აფერმკრთალებს, შემდეგ ეს ალი მბუქრავ სინათლედ გადაიქცევა და ნელნელა იწყებს ქრობას.

ამის შემდეგ ფხიზლად უნდა იყო — მზე ამოსვლას იწყებს.

როცა თვალმოუშორებლად შეაიჭვრდება კიანთაზის შიშველ ზურგს. მოგეჩვენება, რომ პატარა გოგონა, რომე-

ლიც დამალობანას თამაშობს, ჩაც-  
ქულა ამ მთის იქით, და თავი ოდნავ  
წამოუყვია, აბრეშუმისგან ნაზ თმებზე  
შებმული წითელი ბაფთები კი ნიავის  
ყოველ ჩამოქროლვაზე ოდნავ ირხევა.  
შემდეგ, თითქოს ვერ გაბედა გამოსე-  
ლა, ისევ ჩაიმალა. და ასე გრძელდება  
დიღხანს; ბოლოს წამოდგება, რათა  
თავისი მომხიბვლელი სილამაზით დაა-  
ტყვევოს ყველა, თანდათან მალა-  
მალა იწევს.

შემდეგ კი, ეს წითელბაფთიანი თავი  
დაასკუპდება ამაყად აზიდულ მთის  
მწვერვალს.

ეკვვარეშეა, რომ სწორედ ეს არის  
ახალმთვარის მზე, თორემ გოგონას რა  
უნდა აქ? აი ასე იღვიძებს ყოველ დი-  
ლით მზე ამ სოფელში. იგი თავის პირ-  
ველ სხივებს იმ სოფელს აფრქვევს, სა-  
დაც იღვიძებს. შემდეგ კი იწევს სულ  
მალა, მალა და ასე იპყრობს ქვეყ-  
ნიერებას!

შეიძლება იკითხოს კაცმა, ეყოფა თუ  
არა მთელ მსოფლიოს ის მზე, რომელიც  
ახალმთვარეში ამოდის?

რა თქმა უნდა, ეყოფა.

და ეს ნურავინ ვაგვიკვირდებათ!

აქ ამოსული მზე ყველასათვის ერთ-  
ნაირად კეთილია და ყველას თანაბრად  
უნაწილებს მაცოცხლებელ სხივებს.

მე, როცა შევცქერი ჩვენი სოფლის  
მზეს (თითქოს მართლაც არსებობდეს  
სხვა მზე!) გული სიხარულით მეცხება  
და მთელ სხეულში ბედნიერების ქრუ-  
ნტელი მივლის. არა, არ ძალმიძს დავი-  
ჯერ თუნდ ერთის წამით, რომ ამ  
დროს შესაძლოა ვინმეს უჭირდეს, ან  
საშინელი წამების ქვეშ ამოსდიოდეს  
სული, ან კიდევ ცაში იხედებოდეს იმის  
შიშით, თავზე ყუმბარა არ დამეცესო.  
ასე მგონია, ქვეყნად ყველა ადამიანი  
ბედნიერი და სხივმოსილია, კეთილა  
და კაცთმოყვარე.

ყოტა დრო დაგვრჩა იმისათვის, რომ  
პირუტყვის თადარიგი დავიჭიროთ.

უცნაურად ექცევა წვრილფეხა საქო-  
ნელი მზის ამოსვლის დროს. იმ ბავ-  
შეებივით, რომლებმაც ეს-ეს არის ზღვა-

ში იბანავეს, თითქოს წვერცანცარა თხე-  
ბიც განთიადის სინათლეში ეტეხევენ  
და თან ისე მადლიანად იღებებანს ღმრს  
რთქო ბალახს, კაცს ეგონება, მზის სხი-  
ვებსაც თან ატანენო.

ახლა თიქნებს არ იკითხავთ?

აი, მათი დამორჩილებაა საქმე.

რას არ მოიმოქმედებენ ეს კუდრაკები!

ერთმანეთს ეჯახებიან და მთის ფერ-  
დობზე ისე მაგრად ენარჩებებიან, კაცო  
იფიქრებს ცოცხლები ვეღარ ადგებიან-  
ნო, მაგრამ ისევ ცქვიტად ჩამოხტებიან,  
ერთმანეთის რჩოლას მოჰყვებიან, თით-  
ქოს რქები ექაგებათო. დილიდან საღა-  
მომდე ამ ყოფაში არიან, მაგრამ დაღლა  
რაა, მათ არ იციან.

ვიდრე წვრილფეხა საქონელს ილა-  
ლებზე გარეკავენ, ხარზამანი ირგვლივ  
შემოუფლის და საგულდაგულოდ ათვა-  
ლიერებს მათ. ასევე ვიქცევი მეც. ვერ  
იქნა და ვერ შევაჩვიეთ ხარზამანი ბა-  
ლათის ტარებას. მისი აზრით, თუ ექი-  
მის გარდა სხვა ვინმე ჩაიცივას ხალათს,  
ძალიან უღამაზოდ და სასაცილოდ გა-  
მოიყურება.

თვითელი თხა ზედმიწევნით გვყავს  
შესწავლილი მე და ხარზამანს. ისე შე-  
ვეჩვიეთ და შევეთვისეთ ამ ცელქებს.  
საკმარისია თვალეში ჩახედოთ, რომ  
უკვე ვიცით, რომელი რის გამკეთებე-  
ლია, ყოველ თხას თავისი სახელი აქვს  
შერქმეული.

აი, ყველაზე ძლიერი თხა, ქვაზე რომ  
შემდგარა, მას დომბეი ჰქვია, ის არის  
წინამძღოლი. ყელზე ეყვანი ჰკიდია.  
როდესაც მე და ხარზამანი მივალთ მას-  
თან, თავს აქეთ-იქით ვადააქნევს,  
ეყვანს ააწკარუნებს და ამით ამცნობს  
დანარჩენებს: მოემზადეთ, ჩვენი უფრო-  
სები მობრძანდებიანო.

დანარჩენი თხებიც ყურებს დაცქე-  
ტენ და სხარტად წამოცვივდებიან ზეზე.  
ხარზამანი თვითელ პირუტყვს  
გულმოდგინედ ათვალერებს.

იგი წინ მიდის, მე კი უკან მივყვები,  
ამას უფროს-უმცროსობის წესი მოი-  
თხოვს.

თხებიც ისე გვიკრავენ თავს, თითქოს

გვესალმებიანო. ერთნი ამას დიდი სიამოვნებით აკეთებენ, მეორენი ზანტად, თვითეული საკუთარი ხასიათის მიხედვით იქცევა. ჩვენ ამას უსაქმურობის გამო კი არ ვაკეთებთ, საჭიროება მოითხოვს, ამით ვამოწმებთ პირუტყვის ჯანმრთელობას.

ამის დასადასტურებლად ახლავე გიამობით ერთ ფაქტს. როდესაც დომბეის მიუხაზლოვდით, რაღაცნაირად აიწურა. წინა ფეხი მალლა ჰქონდა აწეული ისე, რომ მიწას არ აკარებდა. როგორც ჩანს, ქვა დაგორებულა და ფეხი უტკე-ნია.

დამაეებელი თხა ცალკე გაგვყავს და ვემკურნალობთ.

აი, ასე ვიქცევით ყოველ დილით. ორივე ერთად ვაწარმოებთ შემოვლას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება თხემა საძოვრებზე გაირეკოს.

და აი ეს წუთიც დადგა. ხარზამანმა ისე ძლიერი და გამსჭვალავი ხმით დაიყვირა, რომ მისი ექო ცხრა მთას ცხრა ლუქმასავით დაურვიდა. საქონელმა იგრძნო, რომ მათი გზა გაიხსნა, ისინიც კენტრუმ-კენტრუმით გაეშურნენ საძოვრებისაკენ. მათ უკან მწყეპსები მიჰყვნენ.

ახალ სიძესავით იმალება თხა მახლოვ. რაც ამ ჯოგში გაჩნდა, თავს მეტად დაჩაგრულად გრძნობს. აი, ახლაც ყველასაგან განცალკევებით მიჩანჩალებს. ალბათ მახლოუსაც უნდა გაეროოს თხებში, მაგრამ მას ხარზამანის გარდა, ახლოს არავენ იკარებს, სუნი აქვს თავისებური და იმიტომ.

ხარზამანი დიდხანს გვედავებოდა, მახლოუს არავითარი სუნი არა აქვსო, მაგრამ ჩვენ მაინც დავრწმუნდით.

აქვეა მსხვილფეხა პირუტყვის სადგომი. იქაც უნდა შევიარო და თვალი გადავავლო საქონელს. ამას ჩემი სამსახურებრივი მოვალეობა მაიძულებს.

ზაფასს ბრიგადამ თავისი საქონელი უკვე წესრიგში მოიყვანა. ქვაბები პირთამდეა სავსე ქაფმომდგარი რძით.

მე კარგად ვიცი, რომ არც ერთი პირუტყვი არ არის ავად, მაგრამ მაინც

ვათვალევრებ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

ჯანსაღი და ჯიშიანი საქონელი ჩვენი სოფლის გული და სულია, უყურებ ჩიქანსაცვე ძროხებს და გული სიამით გვესება!

ნაწილი საქონელს მოჰყვება საძოვრებზე, ნაწილი კი იქვე რჩება. განა სადგომში ცოტაა სამუშაო? ყველა თავის საქმითაა დაკავებული; ზოგი ყველს იყვანს, ზოგი არაყანს აკეთებს, ზოგიც სულგუნს ხარშავს. ასე რომ, სამუშაო რამდენიც გნებავთ იმდენია.

ეს დრო იყო, როცა მზეს თავის ოქროსფერი თმები უკვე გაეშალა და ზღვის ზედაპირით ისველებდა. მეც დავტოვე იქაურობა და შინისკენ გავეშურე. დაგორებულ ქვასავით სწრაფად დავეში დაბლობისაკენ.

საოცარია ჩვენი სოფელი.

თითქოს მთელი აფხაზური მიწის მადლს აქ მოუყრია თავი. რას არ შეხედები აქ; პირტიტველა მთებს, თუ მწვანით დაფარულ მთა-გორებს, მინდვრებს და ქედებს, ვინ ჩამოთვლის ყველა სანახობას.

აი ახლაც, როცა შინისკენ მივისწრაფოდი, ვერც კი შევნიშნე, რანაირად აღმოჩნდი პატარა მინდორზე. ეს ჩემთვის ისეთი მოულოდნელი იყო, რომ უეცრად შევცბი: მინდვრის ირგვლივ უზარმაზარი ხეები ჩამწყრივებულყო, ჩვენში ამ ხეებს „ყინულას“ უწოდებენ.

როგორც ჩანს, მთებიდან სირბილით მოვიდიოდი, რადგან მომეჩვენა, რომ ჩემს თვალწინ მიწა ტრიალებდა და ხეებიც შეუჩერებლად, ნარნარით უვლიდნენ გარს მინდორს.

გზა ნელი ნაბიჯით განვაგრძე. ამასობაში მიდამოს ბინდი შეეპარა. მე არ ვჩქარობდი, რადგან მინდოდა კარგად დაბნელებულიყო. ეს სოფელი, როგორც დღისითაა ლამაზი და მომხიბვლელი, დამითაც ასევე თვალწარმტაცია. რამდენ ლამისეულ სურათს არ შეხედებით აქ; თითქოს ერთმანეთს ბანს ეუბნებიანო, მოისმის ძაღლების გაბმული ყეფა.

მოვდივარ ჩემთვის, უხმაუროდ, ისეთივე დიხჯი და მძიმე, როგორც თვით ეს ღამე, რომელიც გარს მარტყია.

ძაღლების ხმა მიწყდა, კანტიკუნტად გაისმის მხოლოდ.

როგორც კი ივრძნეს ღამის სიბნელე, ნაკადულებმა ჩურჩულს უმატეს, თითქოს გადაწყვიტეს თავიანთ წილ მყუდროებაში იჯრონ გული მთისა და ბარის ახალ-ახალი კორებით.

როდესაც ზაფხვის სახლის გვერდით მდგარ წისკვილს მიუახლოვდი, უნებლიედ შევჩერდი, წისკვილი ხმაშეწყობილად ფქვავდა და ფქვავდა. ამ ხმას რომ ვისმენ, ასე მგონია სოფლის ვეებერთელა გული აქ, ამ პატარა წისკვილში ფეთქავს-მეთქი.

დილაა.

ამრა მარტო წევს თავის პალატაში. ჭრის დილის ნიაგი და თუთის ტოტები განუწყვეტლივ ეხებიან ფანჯრის მინას, თითქოს ამრასკენ მიიწვევენო. ამრა კი აინუშნიაც არ აგდებს მათ ახირებულ წადილს და შორს, შორს იხედება... ტოტებს კი აგრე ჰგონიათ, რომ ამრა მათ უყურებს, ამრას მზერა მხოლოდ მათ ეალერსება... და ამ რწმენით გათამამებული თუთა მთელი ტანით იხრება სარკმელისაკენ და უთვალავი მწვანე თითებით ოჯახში შემოჭრას ღამობს. რაც უფრო ნელდებოდა ქარი, ტოტებიც მით უფრო წყნარდებოდნენ, დროგამოშვებით ისევ თუ მოაკითხავდნენ ამრას სარკმელს.

სად იყო და სად არა, მოფრინდა რომელიღაც ჩიტი და თუთის ხის ტოტს კენწეროზე მოექცა. ტოტი მაშინვე შეტოკდა, ჩიტუნამ ფრთა ფრთას შემოჰკრა, შეფრთხილდა და კისერი წაიგრძელა — ეს უკვე სიხარულს ნიშნავს, მერე თავმოქმონედ შებრუნდა ტოტზე — ოთხივე მხრივ შებრუნდა, თითქოს თავისი სილამაზე უნდა აჩვენოსო სარკმელთან მყოლიარე ქალიშვილს.

პაწია ფრინველი დიდხანს არ გაჩერდება, სადაცაა კამარას შეჰკრავს და გაფრინდება, მაგრამ მანამდე რაღაც სათქმელი აქვს ჩიტუნას, სათქმელი თუ

სამღერი?... თითქოს მისი პაწაწინა, ნისკარტიდან ოქროს ნამცეცხე გვედმტეცვიდა.

ამრამ გაიფიქრა, მშვიტ-მწყურვალად რომ იყოს კაცი, მაინც გატაცებით დაუგდებს ყურს ამ საოცარი ფრინველის წკრიალა ხმასო.

დაილოცოს, ბუნებავ, შენი მადლიანი კალთა, რომელიც მუდამ საცნეა სითბოთი და ნუგეშით და გაჭირვებულს არასოდეს არ შატოვებს შუა გზაზე.

ჩიტუნამ სტვენა დაიწყო და მაშინვე თავლად დაიღვარა. დროდადრო ფრთებს ისწორებდა, რათა უფრო მონერხებულად მკდარიყო თუთის კენწეროზე, სულმოუთქმელად სტვენდა ჩიტუნა, თითქოს ეშინოდა, ერთი წამითაც რომ შევჩერდე, ამრას ყურადღებას სხვა რამ წარიტაცებსო.

„იკიკიკე, ჩემო ჩიტუნავ, იკიკიკე, მხოლოდ ჩემთვის. იკიკიკე ყოველ დილით, ყოველ ღამე... იკიკიკე ზამთარ-ზაფხულ, მუდამ, მუდამ, რომ ჩემს ცხოვრებას შენი ხმები ალამაზებდეს, შენი წმინდა და ალალმართალი ხმები. მაშ, იკიკიკე, იკიკიკე შეუსვენებლივ და ჩემს მოწყენას უმკურნალე, ჩემო პატარავ!“

ჩიტუნა მთელ სხეულით თრთოდა და ცახცახებდა. ეს თრთოლა და ეს ცახცახი სიცოცხლისადმი შეუნელებელი ღტოლვა იყო, მარადიული სიყვარულის მწვანე სიმღერა!..

როცა პალატაში ექიმები შემოდინა, იმ წუთშივე ბოლო ეღება ლირიულ სტვენას, რომელიც უჩინარი ძაფებით ერთმანეთთან აახლოებს ამრასა და ჩიტუნას სულიერ განწყობილებას.

მათ არ სჭირდებათ მოწმე. ამიტომ ჩიტუნა თავის უქანასკნელ აკორდებს უკვე ფრთაგაშლილი აწედის ქალიშვილს და თვალს მიეფარება.

სადილობისას ისევ ბრუნდება ჩიტუნა, კვლავ მეორდება ლირიული სტვენა და უჩინარი ძაფებით კვლავ ეთვისებთან ერთმანეთს ამ ორი სხვადასხვა არსების სულიერი განწყობილებები.

მერე ჩიტუნა მიფრინავს.

ძალიან უმიძის ქალიშვილს მასთან განშორება, ძალიან უმიძის, მაგრამ რა ქნას? ჩიტუნა უნდა გაფრინდეს. ქალიშვილმა კი ახალ შეხვედრაზე იოცნებოს.

ამრაც წევს და ოცნებობს.

ოცნებობს და ელის თავის მგალობელს, რომელიც რატომღაც იგვიანებს. იგვიანებს ჩიტუნა და უნებურად იბადება შიშნარევი ფიქრი:

„ვაითუ, სამუდამოდ დაიგვიანა?... ვაითუ!... მაგრამ არა, ბუნება ისე უღვთოთ არ გასწირავს თავის ყველაზე უცოდველსა და ალაღმართალ ფრთოსან არსებას, რომელსაც შეუძლია აღმანის გული იმედებით აავსოს, სამუდამოდ ააცილოს სევდასა და სასოწარკვეთას!.. ის მოვა! მოვა! სხვანაირად არც შეიძლება!“

რა ძალუმად ძგერს ამრას გული?

ნეთუ, ასევე ძგერდა იგი, როცა პირველ პაემანზე მიეჩქარებოდა ან პირველ გამოცდას აბარებდა?..

თუ ახალგაზრდა ქალი ჩუმი და ტკბილი მღვლეარებით არავის ელის, ეს იმას ნიშნავს, მის ცხოვრებას ზღვარი დაედო.

საიდან ვიცი?

ჩვენი სოფლის მოხუცებისაგან გამოვიდა.

და ამრაც ელის თავის ჩიტუნას, ელის ჩუმი და ნეტარი თრთოლვით.

ელის თუთის ხეც, გამარცხელი და მარტოხელა.

ჩიტუნა კი არსად ჩანს.

მოიწყინა ამრამ.

მოიწყინა თუთამაც.

ამასობაში შეუმჩნეველად მოსალამოვდა.

„იღვს შინც იმდენი იჭიკჭიკა, იმდენი იფრთხილა, არ გავამხილე, თორემ იმთავითვე ავად მენიშნა, — თავისთვის გათვლო გუნებაში ამრამ, — შინც რა უნდა შემთხვეოდა?.. ვის რას დაუშავებდა მუჭის ოდენა მგალობელი?..“

მოფრინდა რომელიღაც სხვა ჩიტი და ჩუმად, ხმის ამოუღებლად ამოირჩია მისთვის ხელსაყრელი ადგილი.

დუმს ჩიტუნა. არ ინძრევა, თითქოს ნახატიაო, რომელიღაც სიტყვებში უზილაე წერტილს მისჩერებია. სიზნელე დაღვრილი მელანივით უცებ ედება გარემოს. ამრას ფიქრმა გაკეწეწლა: „ზიფათის მაცნე ზომ არ არის ნეტავ ეს ჩიტი?.. იქნებ ასეთ დროს დუმილით უზიარებენ ზოლმე ერთმანეთს მწუხარებას?... არა, სჯობია თავი დავიიმედო იმით, რომ ეს ჩიტუნა სრულიად შემთხვევით მოფრინდა აქ, იგი მარტოდმარტოა, ყველასაგან დავიწყებული და შეურაცხყოფილი და არავითარი საერთო არ აქვს იმ მაამებელ ჩიტუნასთან!“

ამრას არ შეუნიშნავს, როდის მოფრინდა თავისი გულის მაამებელი ჩიტუნა. ეს კი მაშინ მოხდა, როცა ქალიშვილმა დაღლილი თვალი მოსწყვიტა თუთის კენწეროს და პალატისაკენ შებრუნდა... ჩუმად იყურება ჩიტი განათებულ ფანჯარაში, რაღაც უნდა თქვას ჩიტუნამ, წამდაუწყებ ფრთას რომ ისწორებს, მაგრამ ხმას ვერ იღებს. იგი თითქოს იმითაც არის კმაყოფილი, რომ განათებულ ფანჯარაში ამრას ხედავს.

ქალიშვილმა თითქოს იგრძნო ლამეული მზერა, თითქოს იგრძნო და გულიც გაუთბა... მთელ სხეულში სიაშე ჩაელვარა, ნეტარებით გააფრეოლა და თვალები დახუჭა: „იჯექ, მანდ, ჩემო ჩიტუნია, ნურსად გაფრინდები, ღამეში ზიფათს რასმე არ გადაეყარო... იჯექ, თუ გინდა ტკბილად ჩამეძინოს... „მერე თავისთვის გაიფიქრა:“ რომ გავიხედო და არ დამხედეს, მაშინ?... ისე ჯობია ამ რწმენით ვიყო!..“

შუალამეა.

ამრას შინც არ ეძინება.

მღუმარე ჩიტი კარგა ხანია გაფრინდა. ამრას ჩიტი კი ისევ თვალმოუშორებლად იყურება სუსტიად განათებულ ფანჯარაში. თვალს არ აშორებს მისგან ზურგმეტყვევით მწოლიარე ავადმყოფს, რომელსაც მხოლოდ გამოთენისას მიუღწევა თვალი.

ამრამ რომ გაიღვიძა, ექიმებს შემოვლა უკვე დაწყებული ჰქონდათ და ის-

ის იყო. ამრას პალატაშიც შესულიყვნენ.

ამრამ პირველად თუთას შეხედა.

თუთის კენჭერთა ცარიელი იყო. „შესაძლოა ექიმებმა დააფრთხეს“, — გაიფიქრა გულდაჯერებით.

ექიმები პალატიდან რიგრიგობით გაიკრიფნენ, ამრა ისევ მარტო დარჩა.

მარტობას იგი ისე შეეჩვია, რომ ამ ბოლო დროს დესისაც ვეღარ იტანდა. აქ რა უნდა გამოეყოთ, შინ წადი და კაცებს მოუარო, — ეტყოდა ხოლმე. დესიც აღარ ეწინააღმდეგებოდა.

უცებ პალატის კარი ნელა გაიღო.

ამრამ მიიხედა და თვალებს არ დაუჭერა, — მის წინ ალგერი იდგა. იგი გაქვავებულივით ატუზულიყო კედელთან და არ იძროდა. ერთი ნაბიჯიც ვერ გადმოედგა...

სად არის ის ალგერი, რომელსაც ამრა აღრე იცნობდა?.. სად გაქრა მისი სიამაყე ახალგაზრდული, სად გაქრა მისი ახოვანება?.. ვინაა ეს, საცოდავად რომ მოკრუნჩხულა, თითქოს ქურდობაზე წასწრესო და ქვეშევშე იყურება?..

ენა რაღა იქნა! ენა, რომელიც აღრე წყაროს წყალივით მოტუსვენარობდა?.. რამ ჩააჩუმა, რამ ამოაშრო სათავე იგი წინანდელი სიხარულისა?..

ამრას არცერთი ნერვი არ შეტოკებია.

— ამრა!.. როგორა ხარ!.. თავს როგორა გრძნობ? — ძლივს ამოდერდა ალგერიმ, თან ორივე ხელის თითები ერთმანეთში გადაეჭლო და ამტვრევდა.

— დაჯექი! — ცივად უპასუხა ამრამ. ამ ერთ სიტყვაში უცებ გამოჩნდა ალგერის მიმართ მისი ახლანდელი დამოკიდებულება და მწარე სინანულიც მის მიერ დაუფიქრებლად გადადგმული ნაბიჯის გამო.

ალგერიმ რის ვაი-ვაგლახით გადმოედგა ორიოდ ნაბიჯი. მიწვდა სკამს და როგორც იქნა დაჯდა.

ამრამ ფანჯარაში გაიხედა.

„რატომ, რატომ დუმს ასე საშინლად?.. — ფიქრობდა ალგერი, — ხმა ამოიღოს, თქვას ყველაფერი, შემარ-

ცხენოს, გამავლოს კიდევ, რაც უნდა ის ჰქნას, ოღონდ ეს გულისგამაწვრილებელი სიჩუმე დაარღვიოს, ოღონდ ჩქარა“.

ამრა კი კვლავინდებურად მშვიდად იწვა, მას არც ეჩქარებოდა და არც აგვიანდებოდა. მისთვის ყველაფერი სულერთი იყო.

— ამრა.. მე... — ყრულ წარმოთქვა ალგერიმ, მაგრამ სიტყვებს თავი ვერ მოაბა და ისევ თითებს დაუწყყო მტვრევა.

— ჰო, თქვი, რა გაწუხებს? — ფიჩხივით შეუყვითა ამრამ ისედაც აღმოღებულ ალგერს.

— აი, ხედავ... ამრა, ადამიანმა აღრე თუ გვიან ხომ უნდა გაარკვიოს თავისი საქმე, რათა იცოდეს, მომავალში მაინც რომელ გზას დაადგეს?.. — ერთბაშად ამოედგა ალგერიმ ენა, — ჰოდა, აი, ამისათვის მოვედი.

— ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა!

— როცა მე შევეცადე გადამედგა გადამწყვეტი ნაბიჯი ჩემს ცხოვრებაში, ჩემი გონებაც მაშინ გაიხსნა, ბოლოს საქმეები, რომელთაც აღრე ნაკლებ ყურადღებას ექცევდი, ერთბაშად ამოტივტივდნენ და ჩამოთრეს.

ამრამ გადაწყვიტა ალგერისათვის ხელი არ შეეშალა, რათა თავისუფლად გამოეთქვა თავისი აზრი.

— აიკილო სხვისი ცოდვა, უსინდისობა, სულერთია, ბოლომდე ვერ ზიდავ, — ალგერი ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა, — ვინაიდან იგი თვითონვე გამომიტყდა შენს სიყვარულში, გადაწყვიტე გზიდან ჩამოეშორებოდი.

— ვინ არის იგი?

— ალოუ — ალგერის ეგონა ამ ერთადერთი სიტყვით დაამთავრა თავისი სათქმელი და თავისუფლად ამოისუნთქა.

— ალოუ? კი, მაგრამ რაში ადანაშაულებ მას?

— ოო, ალგერი! — გაკვირვებით ასწია წარბები მოულოდნელად შესულმა ციციანომ, — ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

— სულაც არა! — უმაღლვე უპასუხა

ამრამ. — ძალიან კარგ დროს მოხვედი. ციციწო გავარდა ოთახიდან.

დაბნეული ალგერი უაზროდ იყურებოდა აქეთ-იქით. ველარც ჯდებოდა და ველარც ოთახიდან გადიოდა. იგი ჰგავდა ფუტურო ხეს, რომელიც წასაქცევადაა გამზადებული.

— შემდეგ? — ჰკითხა მოთმინებად-კარგულმა ამრამ.

— ეს იყო და ეს. იგი გაქრა, არავის უწყის, სად გადაიკარგა.

იმ დღეს ციციწო აღარ შესულა ამრასთან. ყველაფერი უცნაურად აეწყო. მათი შეხვედრაც არ ჰგავდა ადრეულ შეხვედრებს. ციციწოსთვის ერთი რამ იყო გაუგებარი: რატომ გამოიცივლა ამრა ასე? პირველად, როდესაც ციციწომ ალგერის შესახებ ყველაფერი გულახდილად უთხრა, ამრას საზე შეეცვალა. აი, ახლაც... ისე მწარედ უკბინა. თითქოს შურს მათი სიყვარული ან კიცხავს მათ დამოკიდებულებასა...

ამრას ყველაზე მეტად ის ამწარებს, ალგერიმ თავის ქუქყიან საქმეში მეც რომ გამრიბა, მერე რა, ხომ მივედი მასთან და ვუთხარი, ამრა მე მიყვარს. და გზიდან ჩამომეცალე-მეთქი. ეს რა მისატანი იყო? თუმცა იგი ყველაფერს იკადრებს, ყველაფერს, აგერ, რამდენ ხანს ატარებდა სიცრუისა და უწყინდურობის ნიღაბს.

ის სიტყვები, რაც მან ამრას უთხრა, ნამდვილად ვუთხარი ალგერის, მაგრამ ხომ ხედავთ, როგორ გამოიყენა მან ჩემი ნათქვამი თავისი ბინძური საქმეების დასაფარავად! თუ ასე ძალიან შესტკიოდა ჩემზე გული, რატომ თავის დროზე არ უთხრა ამრას ყველაფერი? თუ ვაჟაკი იყო, მაშინვე ეთქვა მისთვის და გზიდან ჩამომეცლოდა! მაგრამ ამრამ რა იცის, რაშია საქმე!

ჩქარა მაინც დამთავრდეს ელსადგურის მშენებლობა, რომ წავიდეს აქედან, აიკრას გულანაბადი და წავიდეს.

ეს დღეც მალე დადგება, მშენებლობის მთავარი ინჟინერი ძალღონეს არ იშურებს, რომ დროზე დაამთავროს დაწყებული საქმე. თვითონ ალგერიც

ხმაშალა აცხადებს კრებაზე: უნდა გაორკეცდეს და გასამკეცდეს მუშაობა, მუშაობის ტემპი უნდა ამარტყდეს, არამ ხალხს მალე მივეცეთ სინათლეო. როდემდის უნდა იყვნენ ასე? მათ უნდა ვადაძლევ ადრე დაამთავრონ ნაქისრი ვალდებულება. აი, მხოლოდ ამით გამოავლენენ თავიანთ დიდ სიყვარულს სამშობლოსადმი; ხალხიც მადლიერი დარჩება.

ალგერის შეხედულებით ციციწოს და ამრას შედარება სისულელეა. ისინი ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ზღვა და მთა. სულ სხვაა ციციწო, როგორც გარეგნობით, ისე შინაარსით.

როგორი გოგო დადგა ციციწო — პირდაპირ ანგელოზს დაემსგავსა ლოყები ატმის ყვავილივით უღვივის. პროფესიაც რომ შესაფერი აქვს — ექიმი-ქირურგი. ყველა პაციენტი, რომელსაც ის განკურნავს, მადლიერების გრძნობით გაიხსენებს და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს!

ამრა! ამრა რაღას აკეთებს ამ დროს? მის გონებაში გაცოცხლდნენ ის დღეები, რომელიც ალგერის უკავშირდება. გაახსენდა შეხვედრის პირველი დღე, როცა ალგერი თავისი ამზანაგებით გამოჩნდა მათ ეზოში. ამ დღიდან ამრამ ვერ დაივიწყა იგი.

რატომ ეგონა, რომ ისინი ერთმანეთისათვის იყვნენ დაბადებულნი? და მხოლოდ ის ერთი არსებობდა მისთვის, დანარჩენებს კი შეუბრალებლად ჰკრავდა ხელს.

რატომ იყო ალგერის თვალები მუდამ ისეთი სუფთა და ნათელი, რომ ამრა ვერასოდეს ვერ შეიტანდა ეჭვს მის გულწრფელობაში?

ხელები? მისი ხელების ყოველი მოძრაობა, ამრასთან საუბრის დროს იყო მისი სიმართლის ყველაზე დიდი დანადასტურებელი. დროდადრო თუ შეეცდებოდა ხოლმე, ეს იმ სიხარულის გამო მოსდიოდა, რომელსაც ის განიცდის. მის თეთრ, ლამაზ სახეზე არასოდეს გამოჩენილა მეტი ჩრდილები. მაშ, სად,



სად იმალეობოდა, ის ბოროტება, ასე მო-  
ულოდნელად რომ გამოეჩინა? სად გაქ-  
რა მისი უმანკო თვალები?

პალატაში ამრას სკოლის ამხანაგები  
შემოვიდნენ.

მათ თითქოს იგრძნეს, რომ საჭირო  
იყო ავადმყოფის გონებიდან განდევნი-  
ლიყო ეს აწეწილი ფიქრები. თუმცა ქა-  
ლიშვილს იშვიათად ტოვებდნენ მარ-  
ტო. მნახველთა ერთი ჯგუფი რომ მი-  
დიოდა, მეორე-მოდდიოდა.

თანამშრომლებმა ცოტათი გაამხი-  
არულეს ამრა, გოგონები ერთმანეთს  
არ აცლიდნენ, სხაპასხუბით უყვებოდ-  
ნენ ახალ კორებს.

ამათ ფეხდაფეხ მოჰყვა თათეი.

— რა მოგივიდა, ამრა? — თათეიმ  
გულში ჩაიხუტა ამრას ხელები.

— ისეთი არაფერი, გადავრჩი, შეიძ-  
ლება უფრო ცუდად წასულიყო ჩემი  
საქმე. ხომ გაგიგონია, უბერუდება ადა-  
მიანს ფეხდაფეხ დასდევსო.

— როგორ მოგივიდა, რანიარად გა-  
დავარდი? — გულისტკივილით ეუბნე-  
ბოდა თათეი, თან თითქოს ესაყვედუ-  
რებოდა, „რატომ თავს არ უფრთხილ-  
დებიო!“

— როგორ ვაზრდილხარ, თათეი, ბი-  
ჭო, დავაეკაცებულხარ, — სხვა სიგან-  
ზე გადაიტანა ამრამ საუბარი და ამით  
ავრძნობინა, რომ აღარ სურს წარსულის  
გახსენება, — როდის ჩამოხვედი?

— დღეს, აი ახლა... მე არაფერი ვი-  
ცოდი. აგრა შემხვდა სოხუმში და მი-  
ამბო. მაშინათვე გამოვემგზავრე, აბა,  
რა მომასვენებდა.

— შენი საქმეები როგორღა მიდის?

— ჩემს საქმეებს არა უშავს, შენ კი,  
როგორც ვხედავ, თავს სრულებით არ  
უფრთხილდები.

— კარგი ერთი, ვუფრთხილდები კი  
არა! ახალი სიმღერა არ დაგიწერია?—  
ამრა ყოველმხრივ ცდილობდა ბანზე  
აეგდო თათეის სიტყვა.

— კი, დავწერე ცოტა რაღაც...

— ბაბუა ნახე?

— არა, ჯერ არსად არ ვყოფილვარ,  
პირდაპირ შენთან მოვედი.

— არ ნახე?

— როგორ არა, აუცილებლად ვნახე!

— ნახე, გაიხარებს!..

იმ დღეს ამრა ექიმბაშმა ამტონმაც  
ინახულა. ფეხი შეუხსნა და გულდასმით  
შეამოწმა. უკვე აღარ ჩასთვალა საჭი-  
როდ შეხვევა და ჯობი დაუდო საწოლ-  
თან, რომელიც თავისივე ხელით გამო-  
თალა ამრასთვის:

— შეილო, აი ამ ჯობით დაიწყე სი-  
არული, იგი ყოველთვის გაგახსენებს  
ჩემს თავს...

— გმადლობთ, — უთხრა ოდნავ გა-  
ღიმიბულმა ამრამ და ამ ერთ სიტყვა-  
ში გამოხატა მთელი თავისი სიმპათია  
ამ კაცის მიმართ.

— აბა, ყოჩაღად იყავი! — შუბლზე  
აკოცა ამტონმა ქალიშვილს და წავიდა.

26

ხარზამანი მანქანით ჩამოვიდა ახალ-  
მთვარეში და მაშინვე სოფსაბჭოში შე-  
ვიდა. კარგა ხანია სოფლის ხელმძღვა-  
ნელობას არ შეხვედრია. მისი აზრით,  
მათგან შეიძლება გაიგოს კაცმა: წელს  
როგორ მოსაეაღს უჩანს პირი, როგორ  
მიდის საქმე მეცხოველეობაში, რა  
მდგომარეობაშია მშენებლობა და ბო-  
ლოს, რა თქმა უნდა, საერთაშორისო  
მდგომარეობა.

ხარზამანი სწორედ მათ შეხვდა, ვი-  
საც დაეძებდა—სოფ. საბჭოსა და კოლ-  
მეურნეობის თავმჯდომარეებს.

დაწვრილებით ილაპარაკეს, როგორც  
საშინაო, ისე საგარეო საკითხებზე. ბო-  
ლოს, როცა ხარზამანმა წასვლა დააპი-  
რა, ისეთ რამეზე ჩამოუგდეს სიტყვა,  
რომ ბერიკაცი შეიძლება ძალზე გაგუ-  
ლისებულებიყო, კარგად იცოდნენ, რომ  
მოხუცს არ ესიამოვნებოდა მათი ნათქ-  
ვამი.

— სხვა ადგილი ველარ ნახა, იმ  
დალოცვილმა, მაინცდამაინც ჩეიი ნაქ-  
ვეთი რომ ამოირჩია და თავს გაბეზ-  
რებთ?

პიროვნება არ დაუსახელებიათ, რო-  
მელსაც ხარზამანის ნაკვეთში უნდო-

და ჩასახლება. თვითონაც არ ჰკითხა მისი ვინაობა.

— თუ გნებავთ, აიღეთ და ჩემს პირდაპირ დასახლებთ, ჩემს ცხვირწინ, რომ ერთმანეთს კარგად შევეუშალოთ ხელი.

— შენ თუ აგრე ფიქრობ?.. — შეყოყმანდა სოფსაბჭოს თავმჯდომარე.

— არა, თუ შენ არ გინდა... — დასტური მისცა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— როგორც თქვენ გინდათ და საქროდ სცნოთ, ისე მოიქეცით, — სხვათაშორის ჯიღალაპარაკი ხარზამანმა და ოთახიდან გავიდა.

შეუმჩნევლად მიადგა ბერიკაცი თავის ეზო-კარს. მაგრამ შინ არ შესულა. ის იმ ნაკვეთში მივიდა, რომელიც ღობის გარეთ დარჩა და ახლა ვიღაცის დასახლებას აპირებენ.

— ეს რა უბედურებაა? — ფიქრობდა ხარზამანი თან გარემოს ათვალეირებდა, — თითქოს სოფელში მიწა გამოილია, მაინცდამაინც აქ უნდა დასახლდეს; განგებ მიწყობენ თუ რა? — დილით გამოხვალ და თვალში ეკალივით ჩაგეჩხიბება ის ვიღაც. წყარო, რომელიც ჩემმა წინაბრებმა დამიტოვეს, ვერ უნდა მოვიხმარო, ჩემს მიცვალებულთა საფლავებზე სხვებმა უნდა ჰყარონ ნაგავი? — ეს მაინც რატომ არ იფიქრებს?

ვერც აქ მოისვენა ხარზამანმა და ფერმისაკენ გაუტია.

როდესაც ფერმაში მოვიდა, ყველან შევატყვევით, რაღაცაზე იყო განაწყენებული, მაგრამ, როგორც სხვა დროს იცოდა ხოლმე, არც ახლა მოგვცა ამის საშუალება, რაიმე გვეკითხა.

კარგად არ მახსოვს, მეორე თუ მესამე დღეს, მომჩვენა, რომ ხარზამანი შესაფერის დროს არჩევდა, რათა ჩემთვის რაღაც საიდუმლო ეთქვა.

ჩემი წინათვრძნობა გამართლდა.

გამთენიისას პირუტყვი საძოვარზე მიუღშვით, ხოლო ჩვენ ერთმანეთის პირისპირ, ქვებზე ჩამოვჯექით.

მოხუცმა დაიწყო:

— გახსოვს, ალოუ, როცა პირველად აქ ერთმანეთს გავესაუბრეთ, შენ ჩვენს სოფელზე თქვი, მშობლიურებით შემიყვარდაო?..

— როგორ არ მახსოვს!

— ამის შემდეგ შენგან აღარ მსმენია ასეთი რამ, გული ხომ არ გაგიგრილდა?.. იქნებ მოგწყინდა კიდევაც, ჰა?..

— ეგ რამ გაფიქრებინათ, ხარზამან ბატონო, გამიგრილდა კი არა ისე შევეთვისე იქაურობას...

— ღმერთმა გისმინოს, — აღარ დამამთავრებინა გულმოცემულმა ბერიკაცმა, — მაგრამ შენ იცი, თავად როგორ ვუყურებ ამ საქმეს?

— როგორ?

— ის, ვისაც სოფელში არ უცხოვრია და არ გაუდგამს მასში ფესვები, იმ ფოთოლსა ჰგავს, რომელიც მართოდმართა გარჩენილი ხეზე და შემოდგომის ნოტიო ქარი როგორც უნდა ისე ათამაშებს.

— განა ეჭვი გეპარებათ, რომ მე საკმაოდ მყარად ვგრძნობ ამ სოფელში თავს და არავითარ ქარს არ ძალუძს თავის ნებაზე მათამაშოს?

— არა, არა, შეილო, ალოუ! — იწყინა ხარზამანმა, — მე ეგ არ მითქვამს, უბრალოდ ვიფიქრე, ხომ არ დადგადრო, ოჯახი რომ შექმნა-მეთქი, მართალია, ზაფხულის სახლი, სადაც ახლა შენ ცხოვრობ, შენი სახლია, მაგრამ, როგორც იტყვიან, საკუთარი ოჯახი და საკუთარი ლუკმა უფრო ტკბილი და უფრო გემრიელია...

— რა თქმა უნდა, ხარზამან ბატონო, ამხედრად ვფიქრობ, ოღონდ, თუ ისე გამიმართლდა, როგორც მე მინდა...

— ყოჩაღ, ალოუ! — წამოიძახა ხარზამანმა და მხარზე ხელი დამკრა, — რას ჰქვია, თუ გაგიმართლდა, ჩვენ აჭ არა ვართ?!

— გმადლობთ, ხარზამან ბატონო! — გავიბადრე მე.

ხარზამანი მიხვეულ-მოხვეული სიტყვებით მიადგა იმ ძირითად საკითხს, რომლითაც იგი ძლიერ დაინტერესებული იყო.

— როგორც გეტყობა, ის ადგილიც მინიშნებული გაქვს, სადაც უნდა დასახლდე არა, ალთუ? — შემეკითხა ხარზამანი და ცალი თვალი ეშმაკურად მოკუტა.

— არა, ამაზე არ მიფიქრია.

— საითვენიც ხელს ვაიშვერ, ადგილსაც იქ მოქცემენ.

— ეს სათქმელად ადგილია.

— სათქმელადაც ადგილია და საქმედაც! — გაჩივტდა ხარზამანი, — ვინაჰყავთ კოლმეურნეობას შენზე უკეთესი, რომ უარი გითბრან?

— მიწის საკითხი საერთოდ რთულია, ხარზამან ბატონო, მიწა ხალხის საკუთრებაა.

— ღაე, ხალხსაც შეეკითხონ, თუ კი ვინმე წინააღმდეგი აღმოჩნდება, ეს უღვაში შემირცხვეს, რას ამბობ?

— არ მინდა ვინმეს ვაწყენინო.

— პირიქით, ყველას გაუხარდება!

— კაი დაგემართოთ, მეც ყველასი მადლობელი ვიქნები.

— მინდოდა რაღაც კიდევ შეთქვა შენთვის, ალთუ! — თითქოს თავისთავს შეეკითხა ხარზამანი და საძოვრებისაკენ შებრუნდა ისე, სხვათაშორის, — ვთქვათ ეს ადგილი არ მოგეწონა, ის ადგილიც, მერე სხვაც თვალში არ მოგივიდა, განა წახვიდოდი და მიატოვებდი სწორედ იმ ადგილს, რომელიც შესაძლოა გულის სიდრამეში უფრო მოგწონდეს?..

— რომელ ადგილს?.. — დავიხტერესდი მე.

— თუმცა, ვატყობ, არც ის ადგილი მოგეწონება, — ისევ შეყოყმანდა ხარზამანი.

— ახალმთვარის რომელი მიწა შეიძლება დაიწუნოს კაცმა?

— არა, ისე გამოდის, თითქოს ძალას გატანდე... — სცადა თავის შეკავება ხარზამანმა.

— მაინც, რომელ ადგილს გულისხმობ?

— აი, თავისუფალი მიწა რომ არის, ახალი გზის გადაღმა, მე რომ ჩამომპარეს. შენ იქ პირველად დაადგი ფეხი,

ახალმთვარეში რომ ჩამოხვედი, მოდა... იქ იცხოვრე, დმერთი და რჯული, ზმას არ ამოვიღებ, თვითონვე გულისწამება და ასე მოხდეს და იმიტომაც გეტუბნები!

— მჯერა, რომ გულით მეტუბნებით ამას, ხარზამან ბატონო, მაგრამ... — ცოტა ხნით ჩავფიქრდი, თითქოს ამ ადგილზე წაიფთოვრილე, — განა სხვა საცხოვრებელი ადგილი არ მოიძებნება, რომ მაინცდამაინც ცხვირწინ არ ჩაგისახლდეთ და თვალში ეკალივით არ ამოგივიდეთ?..

„საიდან იცის, — გაუკვირდა ხარზამანს, — საოცარია, პირდაპირ, ამ ხალხმა თვალეში რომ შემოგხედოს, უკვე იცის რას ფიქრობ და რა გაწუხებს.“

— ტყუილად ფიქრობ, რომ ხელს შემეშლი, — თქვა ბოლოს ბერიკაცმა, — მირჩევნია შენ იყო კარის მეზობელი, ვიდრე სხვა. ნათქვამია, „კარგი მეზობელი მზის უწინარეს დასანახავიაო“.

— ამაზე კარგი რაღა იქნება, მაგრამ ის მიწა, რომელზედაც თქვენი ოფლი დადგრილა და თქვენი მარჯვენითაა დამუშავებული... —

— შვილო ჩემო, — დამრიგებლური ტონით მომმართა ხარზამანმა, — ყოველივე ის, რითაც შეიძლება აღმაინიბენიერი იყოს, დაუნანებლად უნდა გაიყეს. თუ შენ იმ მიწაზე დასახლდები, ასე ჩავთვლი, რომ არაფერი არ დამიკარგავს, იცოდე, ამას მთელი სულითა და გულით გუბნები.

ფერმაში მომუშავე მუშაკთაგან არცერთმა არ იცოდა, რას აპირებდა ხარზამანი, ზოლო, როცა მოხუცმა შეატყო, რომ დადგა შესაფერი დრო, გულდაჩერებით მიადგა სოფსაბჭოს.

მან ამჯობინა მიემართა იმ ხალხსათვის, რომელთანაც ადრეც ჰქონდა საუბარი თავის მიწის შესახებ.

— აი, რა, ეს ჩემი მიწა კბილში ხომ არ უნდა, გაგეჩხიროთ ყველას? — თითქოს გულმოსულმა დაიწყო ხარზამანმა.

— აგრე რატომ ლაპარაკობ, ხარზამან? — დაუყვავა სოფსაბჭოს თავმჯდომარემ.

— ვინმე გეწინააღმდეგება, ან ძალას გატანს თუ რა? — კვერი დაუძრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— მომისმინეთ, რას ჩააცვიდით ამ წინააღმდეგობას, — ეტყობა, ხელმძღვანელობა ვერ მიხვდა, ხარზამანს სწყინდა რამე თუ, შესათანხმებლად მოვიდა, რაკი საფუძვლიანად აწონდა-წონა მათი წინადადება, — განა მე ვითხარით, რომ ვინმე მეწინააღმდეგება ან ძალას მატანს-მეთქი, თქვენ მხოლოდ არ გინდათ გაიგოთ ერთი რამ: ამისხენით, რატომ გავიწყდებათ, რომ ამ მიწაზე ჩემი შრომაა?

— ეს ყველამ ვიცით, — ხმამალა თქვა სოფსაბჭოს თავმჯდომარემ.

— და არც არასდროს დაგვაიწყდებდა — დაუმოწმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემაც.

— მაშ, ვინ უნდა მოიყვანოთ და ჩაასახლოთ ჩემს მიწაზე? განა არ ვარ ღირსი, წინდაწინ ვიცოდე, ვინ იქნება ჩემი კარის მეზობელი?

— ამას რა ლაპარაკი სჭირდება, უნდა იცოდე.

— თუ აღარ გვატყვევინებთ, საიდან გეცოდინება!

— თქვენი თქმა რად მინდა, — ბანზე აუჯდო სიტყვა ხარზამანმა, — დაუშვათ, როგორც თქვენ ფიქრობთ, მე არ დამიჯდა ჰუკუაში, მერე რაღა ვქნათ, იქ უნდა იცხოვროს ისეთიმა კაცმა, ვის მეზობლობასაც არასოდეს არ ვითაკნლებ!

— აგაშენა ღმერთმა!

— აგრე გეტყვა, შე კაცო!

— ჰოდა, სხვა არაფერი მაქვს სათხოვნელი, — როგორც იქნა დამშვიდდა ბერიკაცი.

— კი, მაგრამ, აღარ იტყვი ვინაა ის აღამიანი?

— ჰო, მართლა, ბარემ გვითხარი, ვინ ვინდა?

— აი, ეს მესმის, — დაკმაყოფილდა ხარზამანი, — რომ არა თქვათ, არ ვიცოდითო, გეტყვით, კეთილი და პატიოსანი, რატომაც არ გეტყვით? მე

მინდა იქ ალოუ დასახლდეს, ჩვენა ფერმის ეჭიმი.

— ალოუ?!

— ნანბა?!

თავმჯდომარეებმა ერთმანეთს გადახედეს, აშკარა იყო, ერთი ცლივს იკავებდა სიცილს და მეორეც.

— როგორც გინდა, ხარზამან!

— ჩვენ თანახმა ვართ.

— აგაშენათ ღმერთმა! — გაბადრული წამოდგა ხარზამანი.

სამივენი ერთად გამოვიდნენ სოფსაბჭოდან. შუა გზაში სოფსაბჭოს თავმჯდომარემ სხვათაშორის გადაულაპარაკა ხარზამანს:

— ისე კი, უნდა ვითხრა, რომ ის შენი მიწა, ჩვენც სწორედ ალოუ ნანბასათვის გვინდოდა.

— ჰოდა, რაღას მაწვალეზდით, თქვენ დალოცვილებო!

— აბა, აბა, როდის გაწვალეზდით, შე კაცო!

ხარზამანი დატკბა:

— ახლა ეს მითხარით, თვითონ ალოუ უნდა მოვიდეს თქვენთან და ვთხოვოთ ის მიწა, თუ თქვენვე შესთავაზებთ მას? — ესეც უნდა დაეზუსტებინა ხარზამანს.

— ეს მიწა ხომ თვითონ აირჩია, თავისი სურვილით?

— აბა, რა, თვითონვე აირჩია.

— ნამდვილად გამაგიყებთ! — გაუკვირდა მოხუცს, — რაო?.. თვითონვე აირჩიაო?.. ეს რა გავიგონე, ხალხო!.. კატას აიძულეზთ საკუთარი თათებით მოიპაროს თავისივე კნუტი, საკუთარი თათებით!.. ჰაიტ, თქვე ეშმაკებო, თქვენა!..

სამივენი კარგა ხანს გულიანად რინოდნენ.

ცარიელი სიტყვებით თავს არ შეგაწყენთ მკითხველო; ბოლოს და ბოლოს დავსახლდი იქ, სადაც ჩემი სურვილი იყო.

ამბობენ, „ხელი ხელსა ჰბანს, ორავე — პირსაო“, მაშინვე მხარში ამომიდგა ყველა ჩემი კეთილისმყოფელი, მალე აგაშენეთ პატარა სახლი და სა-

ცხოვრებად გადავიდა. პირდაპირ წელზე ფეხს იდგამდნენ ხარზამანბ და ალისის, ვიდრე მათ ყოფილ მიწაზე სახლს ჩავდგამდი და საცხოვრებლად გადავიდოდი.

სოფლებშია თუ შეგატყვეს, რომ მიწა გიყვარს, შენთვის სულსაც არ დაიშურებენ, მათ, ასე ვთქვათ, მზითევიც კი გამიმზადეს, თითქოსდა კი გასათხოვარი გოგო ვყოფილიყავი. ერთმა ქვაბი მომიტანა, მეორემ — კერიაზე ჩამოსაკიდებელი ჭაჭვი, მესამემ — ღობის ჩოგანი, მეოთხემ — ჭიჭები, თევშები და ათასგვარი წვირღმანი, რაც საცხოვრებლად აუცილებელია.

ჩქარა მაინც გამოეწეროს საავადმყოფოდან ამრა! შინ დაბრუნდეს და შეხედოს იმ ადგილს, სადაც მე ვცხოვრობ, მხოლოდ შეხედოს და თუგინდ ხმაც არ ამოიღოს, მაინც მიეხვდები, ეწყინა თუ გაუხარდა.

მალე ასრულდა ჩემი სურვილი — ამრა საავადმყოფოდან გამოეწერა და შინ დაბრუნდა. ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ამრას გამოჩენა, საიდან მეცოდინებოდა რამე, თუკი მისი შობილები არ მეტყოდნენ? ამ ამბავმა ცოტა არ იყოს შემაფიქრია, ჭიანჭველსავით უხმაუროდ შემომიჩნდა ეჭვი: ადრე, როცა მათთან ვცხოვრობდი, ყველას სჯეროდა, რომ მე აფხაზური ზნე-ჩვეულებების ერთგული ვიყავი და გულშიაც არ გავივლებდი ოჯახის შეურაცხყოფას, ახლა კი, როცა მათი მეზობელი გავხდი, უფრო უნდა გაუფრთხილდნენ ქალიშვილის სახელს და მოარიდონ ავ. ენას, სჩანს, ამის გამო არ შემატყობინეს საავადმყოფოდან ამრას გამოწერის ამბავი.

და როცა ხარზამანის ეზოში საავადმყოფოს მანქანა შევიდა, მაშინვე გავიფიქრე: „მე ხომ მისი მეზობელი ვარ?.. ალბათ ახლა ასე სჯობია!..“ ამრა მანქანიდან გადმოვიდა და ხელჯოხს დაეყრდნო. მას დესი და ალდიზი გამოყვნენ. ქალიშვილმა ხარზად მოავლო თვალი კარგახნის უნახავ ეზო-კარს, ბოლოს 4. „წათობი“, № 4.

ოდნავ შემობრუნდა და როცა ჩემი ეზო დაინახა, გაუკვირდა. მე მაშინვე მათკენ გავემართე.

— დედა, ეს რა სახლია, აუშენებიათ იქ?

— ის ალოუს სახლია, შვილო, — უპასუხა დესიმ ქალიშვილს და გაუღიშა, რადგან იცოდა ამრას გულწრფელად გაახარებდა.

— ახალი მეზობელი! — დიდის ამბით წარმოთქვა ალდიზმა, — ღმერთმანი, კარგი საქმეა, კარგი!

— მომილოცავს, ალოუს!.. რა მშვენივრად მოგწყვია ყველაფერი! — აღტაცებით წამოიძახა ამრამ და სცადა ჩემკენ გადმოედგა ნაბიჯი, მაგრამ ფეხი ისე თავისუფლად არ ემორჩილებოდა, როგორც თვითონ ამრას უნდოდა და ხელი შევაშველე.

ყველანი ოდისკენ გავემართეთ.

ამრას დაბრუნების დღიდან სიმშვიდე დავკარგე, — მე ხომ არ ვიცოდი, რა ხდებოდა ალგერის გულში? როგორ მოიქცევა იგი, დამორდება ქალიშვილს თუ ისევ თავგზას აუბნევს? ყველაფერი ამრაზეა დამოკიდებული, ვინ გავიგებს, ქალიშვილის გული მოღებება და აპატოებს, თუ უკან არ დაიხევს და კვლავინდებურად უარყოფს მას?!

აღმართს დავადექი და მშენებლობისაკენ გავწიე. ორ უხარმაზარ კლდეს შორის თვალწარმტაცად იდგა ახალმთვარის თეთრად შეფეთილი ელემტროსადგური.

ბედად მშენებლობის უკანასკნელი აკორდები ჩემს მოსვლას დავმთხვავ.

ცხადია, იმ საზეიმო მომენტში უხერხული იყო საუბრის დაწყება იმ საკითხებზე, რომელიც ყველაზე მეტად მაინტერესებდა, მაგრამ, რაკი ალგერის უკვე მოეუხმე, იბტიბარი აღარ გავიტეხე და ჭიჭურ მივმართე:

— ალგერი, გულახდილად მიპასუხე, როგორ ვადაწყუდა თქვენი ამბავი?

— ვისი? — გაიკვირვა ალგერიმ.

— შენი და ამრასი!

— ჰო, რა საკითხი? — ვითომ ახლა მიხვდამო.

— თქვენი ურთიერთობის...

— ჩემსა და ამრას შორის არავითარი კავშირი აღარ არსებობს. რამდენადაც ვიცი, მისი გული სხვაგან...

— მოეწვი, მაგ ზღაპრებს, თუ კაცი ხარ, შენ იცი რომ...

— მე ის ვიცი, რომ შენ ამრა გიყვარს! — მომიჭრა ალგერიმ, — გინდოდა გზიდან ჩამოგშორებოდი, აჰა, ძმაო, გზაც შენია, დამილოცინიხართ! — და ალგერიმ ორივე ხელი გაშალა, მეტი რა შემიძლიაო.

— ნუ მეზუმრები, ალგერი!

— სახუმროდ სულ არ შეკალია, ალოუ, მეჩქარება, დღეს თქვენს სოფელში სინათლე უნდა ჩავერთოთ, მერე კი თვალს ვედარ მომკრავთ.

— რაო? დღეს უნდა ჩართოთ?... დღეს?... — სიხარულის ქრუანტელმა მთელ სხეულში დამიბრინა.

მართალი გითხრათ, არ ვიცი, რა უფრო გამიხარდა; ის, რომ ამაღამ მთელი სოფელი ელნათურებით გაჩახახადება, თუ ის, რომ ამის შემდეგ ალგერი აღარ იქნება აქ?..

არ ვიცი!

— ჰო, დღეს! — ძუნწად მიპასუხა ალგერიმ.

— მერე და საზეიმო შეკრების ორგანიზაცია... მიტინგი და ამისთანები?..

— ამისთანები მაშინ იყო საკირო, როცა პირველი ელექტროსადგურები იხადებოდნენ... ახლა სადაა მიტინგების დრო?..

უცნაური ხასიათი მაქვს, რაც მართალია მართალია, როცა ალგერიმ მიითხრა, აჰა, ძმაო, გზაც შენია და ყველაფერი, დამილოცინიხართ კიდევაცო, უფრო მეტად დავიბენი, თითქოს მუხლებიცი ამიკანკალდა, ასე მეგონა, განადგურებული ვიდექი მის წინ და როგორ მოვეტყუეოყავი არ ვიცოდი.

ახლა რაღა ექნა? როგორც იტყვიან, „ცხელ გულზე“ შევუდღე საქმეს, თუ?..

თუ. აჯობებს, ცოტახანს კიდევ მოვიცადო?..

ამ დღეში ვიყავი, როდესაც ჩემსა და ამრას შორის ოჯახში ახალი ამბავი მოხდა. კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, რა დროს ეგ იყო?

იმ საღამოს, როცა სოფელში სინათლე უნდა ჩავერთოთ, დღეს მთელი დღე ესტუმრა თავისი და.

დღესიმ და ამრამ გულწრფელად გაიხარეს, მაგრამ ამბავი, რომელიც ამრამ გაიგო, ლახვარით მოხვდა გულში... სიკვდილი ერჩია ამ ამბის გაგონებას.

როგორც კი ყური მოჰკრა ციციუნოს დედის ლაპარაკს, ამრამ ვერ მოითმინა და იმ ოთახში შევიდა, სადაც დები საუბრობდნენ.

— წადი, შეილო ამრა, ცოტა მოისვენე, თორემ... გადაიღლები, — ურჩია დღესიმ, რადგან შევილის გამოხედვა არ მოეწონა.

— ჰო, ასე აჯობებს, — ირონიულად დაეთანხმა ამრა, — თორემ მართლა გადავიღლები!..

ბინდებოდა, როცა ხარზამანს აცნობებს, ოჯახში სტუმარი მოგვივიდაო. ისიც მაშინათვე მოემზადა და შინისკენ გასწია.

ცოტა მანძილი ჰქონდა გასავლელი, როცა ღრუბლებიდან ბადრი მთვარე გამოცურდა, მოხუცმა ცას შეხედა. აქაიქ ვარსკვლავნიც ისე კიაფობდნენ, თითქოს წაცარმოყრილ ნაპერწკლებს ქარმა დაჰბერა და გააღვივო.

თავის სახლ-კარს რომ მიუახლოვდა, როგორც ყოველთვის, ხარზამანი შეჩერდა, ცას ახედა, რომ, ვიდრე შინ შევიდოდა, ერთხელ კიდევ მოეკრა თვალი თავისი ვარსკვლავისათვის.

მოხუცმა სწორედ მაშინ შეამჩნია იგი, როცა ცას მოსწყდა და მთელი სისწრაფით დაბლა დაეშვა და სადღაც შორს, თვალსაწიერზე ტანატყორცნილ ხეებს შორის გაიხიჩა, მაგრამ არ ჩამქრალა.

ჰოი, საოცრებავ! სწორედ ამ დროს მას მოეჩვენა, თითქოს ცა გაძარცვეს.

უხილაგმა ორთქოჩებმა და ყველა ვარსკვლავი ახალმთვარის უბეში ააბრდღვიოლეს.

ეს მართლაც მოჩვენება იყო, ვარსკვლავებს დაბლა რა უნდოდათ, — ელექტროსადგური ამუშავდა და ახალმთვარის ოჯახებში სინათლის უთვალავი პატარ-პატარა ოქროს მდინარეები მიუშვა... როცა ბერიკაცი ხიდს მიუახლოვდა, სინათლემ, რომელიც ხიდს გვერდით აღმართულ ბოძზე კაშკაშებდა, თვალი მოსჭრა და ხარზამანმა უნებლიეთ გაიფიქრა: „ეს სინათლე რომ მაშინ ყოფილიყო, განა საბრალო ამრას შეემთხვეოდა ასეთი უსიამოვნება?..“

მთელ სოფელში, როგორც ეს ახალწლის დამეს ან ბავშვის დაბადების დროს იციან, ატყდა თოფების ბათქაბუთქი, ხან აქ და ხან იქ მხიარული შექაჩილებით ერთმანეთს უზიარებდნენ სინათლის წყაროს ოქროს შხეფებით ამეტყველებულ ბედნიერებას.

ძალღებმაც კი ისეთი ყუფა-ყმული ასტეხეს, თითქოს მათი „აღსასრულის ქამი“ დამდგარიყო.

ბილგიაც ფეხბორებით გამოძვრა თავის ხუხულადან. იგი თითქოს განაწყენებული იყო იმით, რომ ყველაზე გვიან შეიტყო თავის სოფელში მოხდარი ამბავი და ისეთი ყუფა ატეხა, გეგონებოდა ახალმთვარის ელნათურებს ერთიანად ჩაყლაპვას უპირებდა.

ყუფდა ბილგია, თავი მალდა აეწია და ყუფდა გაუთავებლივ. იქნებ თავის სიბერეს უყუფდა დაბეჩავებული პირუტყვი ამ უცნაურ საღამოს ერთბაშად გაახლავებდნენ სოფელში?..

როდესაც მთელი ოჯახი შეიკრიბა, ციციონოს დედამ გულდაწყვეტით დაიწყო:

— უბედურ დღეში ჩაგვადგო ციციონომ, რა დროს იმის გათხოვება იყო, ჯერ რა უნახია ქვეყანაზე, რომ უღელი დაიდგა კისერზე. ცოტა თვალი გაეხილა, მაგას ყოველთვის მოასწრებდა! ეჰ, ახლა გინდ უსაყვედურე, გინდ არა, აღარაფერი ეშველება! მათი ცხოვრება სამხედრო სამსახურთანაა დაკავშირე-

ბული, დღეს აქ არიან, ხვალ იქ. ამ გზის მეტი ვინ გაგაჩინა? როცა ციციონომ ასეთი ნაბიჯი გადადგა, მის გვერდით არაფერი იყო, არც მე და არც მამაძისი.

— ღმერთმა კარგი ბედი და იღბალი მისცეს. ძალიან სასიხარულო ამბავი გეთხარი, ეგ ჩვენი სისხრულიც არის, — თქვა ხარზამანმა.

ხარზამანის ნათქვამს ალიასმაც დაღესმაც დაუტრა კვერი.

— ვისზე თხოვდება აღარ იტყვი? — შეეციოთ ხარზამანი.

— განა ვიცი, ხეირიანად არც კი მიწახავს. მე მგონია, თქვენ უკეთ იცნობთ მას.

— მაინც ვინ არის? — ვერ მიხვდა ხარზამანი.

— ალგერი... ჰო, ალგერი ჰქვია, — ძლივს წარმოთქვა, — აქ მუშაობს, თქვენს სოფელში. ბავშვობაში მინახავს. ციციონო და ალგერი ერთად სწავლობდნენ, ერთ სკოლაში. მე მგონია იმ დროიდან უყვართ ერთმანეთი...

— აა, ალგერი? ძალიან კარგი ახალგაზრდაა, — შეაქო ხარზამანმა, — ძალიან კარგი! ეგ ურიგთ საქმე არ უნდა იყოს.

ალგერის სახელის ხსენებამ ხანჯალივით გაუარა გულში ამრას.

„როგორ არის ჩახლართული საქმე! — უიქრობდა ხარზამანი, — წადი და გაიგე, ვინ არის მართალი. თუ ალგერის და ციციონოს საქმე გადაწყვეტილია, მაშ აბრა უცოდველი ყოფილა! ხარზამანს კი დღემდე ეჭვი ეპარებოდა ალგერის და ამრას სიყვარულში. მაშ, ვისთან ჰქონდა ამრას საქმე, ვისთან?!“

— ალგერი მართლაც საკმაოდ ჰქვიანი და საქმეში ჩახედული ახალგაზრდაა, — კვერი დაუტრა ალიასმაც.

დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ სტუპარცია და მასპინძლებიც ერთ დასკვნამდე მივიდნენ, — ციციონო ხარზამანის სახლიდან უნდა გათხოვილიყო, ქორწილიც აქ უნდა გადაეხადა და აქედან უნდა წაეყვანა საქმროს.

ეს აფხაზებისათვის ჩვეულებრივი

ამბავია, მაგრამ ციციხო რას იტყვის. თვითონ ამრა ისე უნდა მოიქცეს, თითქოს არაფერი მომხდარა მათ შორის, დობა უნდა გაუწიოს ციციხოს, ყოველგვარი წყენა გულში ჩაიმარხოს და ციციხოს ბედნიერება საკუთარ ბედნიერებად ჩათვალოს, არა და, ხალხის ყბაში ჩავარდება.

როგორც არ უნდა გაუჭირდეს, ეს სცენა უნდა გაითამაშოს, მაგრამ შეძლებს ამრა ამას?

ვერა, ვერ შეძლებს.

მაშ, როგორ მოიქცეს? განა შეიძლება გვერდზე გადგეს ამ დროს და შორიდან უყუროს. ყველას ხომ ვერ ეტყვი თავის სატივიარს. ეს მხოლოდ მე და იმან ვიცით... ჰო, კიდეც — ალგერიმ.

ალგერის, ცხადია, არ უნდა, რომ ციციხო ამრას სახლიდან თხოვდება, მაგრამ რა ქნას? საიდანაც ეხერხება, იქიდან უნდა წაიყვანოს პატარძალი, ხომ ვერ ეტყვის ციციხოს, რა დამოკიდებულება ჰქონდა ამრასთან?

ასე იყო თუ ისე, ქორწილისათვის მზადება გაჩაღდა.

მე თავის გამოჩენის საშუალება მომეცა. ხელები დაეკაპიწე და მზადების ორმოტრიალში ჩავები. ამრამ ფეხის ტყვილი მოიმიზეზა და გან-გან დადიოდა, არაფერში არ იღებდა მონაწილეობას. კბილს კბილი დააჭირა. რაც ქორწილის ღამეს გადაიტანა ამრამ, ამას თვითონ მიხედები, მკითხველო. მე კი არაფერს ვეტყვი, რადგან მოგვიანებით ამრა დაწვრილებით მომიყვია. თავის განცდების შესახებ და მთხოვა არავისთვის გამეხსილა.

ციციხო წაიყვანეს. მაგიდას ერთი-ორი ჭირვეული სტუმარიღა შემორჩა.

ყველაფერმა ჩემს თვალწინ ჩაიარა. უზომოდ ბედნიერი ვიყავი.

მე და ამრა ერთ ოთახში ვართ... მეცხრე ცაზე მეგონა თავი. ო, რა ტკბილია ცხოვრება!

ეს ჩემამდეც უთქვამთ, არა?

ალბათ, დედამიწის ზურგზე ჩემზე ბედნიერი კაცი არ არსებობს, არა!

არც ახალმოთვარეზე უკეთესი სოფელია სადმე. ირგვლივ ყველაფერი მიციხის, სოფელი დგას ჩემს წინაშე. გულგახსნილი და თავისი ღონიერი მკლავებით მაღლა ვყავარ ატაცებული.

ყოველ დღით, ვარჯიშის შემდეგ, გამოვდივარ ჩემს პატარა აივანზე და გავეკერი ამრას ქიშკარს. ამრაც ერთსა და იმავე დროს გამოდის, ხელს მიჭნევს და თავის გზით მიდის.

— გამარჯობა, ამრა! — უხმოდ ვესალმები და მეც ვუქნევ ხელს.

ეს ერთი შეხედვაც საკმარისია ჩემთვის, მეორე დღიამდე ბედნიერად დავაბიჯებ ჩემს საყვარელ სოფელში.

დენი ახალ გომურებამდე ვაიყვანეთ და ძროხების ელექტროწველავზე გადავედით, ხარზამანი აღმაცერად უყურებდა ამ ამბავს.

მე და ხარზამანი სწორედ იმ დროს მივედით ფერმაში, როცა პირველად სინჯავდნენ ელექტროწველავ მანქანას. რაღაც საწოვარას მაგვარი „სისიძავლე“, ასე მონათლა იგი ხარზამანმა, მიუმაგრეს ძროხებს ჯიქნებზე და დაუწყეს წველა.

ძროხები, თუ ბუხები არ აწუხებდნენ, მშვიდად იდგნენ — ბედს დამორჩილებულნი.

მხოლოდ ხარზამანი იყო დაძაბულა, თითქოს დენი მის ძარღვებში მიედინებოდა.

არაფერი მომხდარა, წველა დაამთვარეს და ძროხები გაუშვეს, ხარზამანმა მხოლოდ ახლა ამოისუნთქა შვეებით.

— ძალიან თვინიერი ძროხები გყოლია, ზაფას, — უთხრა ხარზამანმა.

— ჩემი ძროხები მე მგვანან ხასიათით, იქვე გასცა პასუხი ზაფასმა.

— ჩემი თხები კი არ დანებდებიან, დავრდომილი თხაც არ მისცემს უფლებას, რომ ელექტრონით გამოწველოს. დაიმშვიდა გული ხარზამანმა.

— შეიძლება, როგორც აღმაიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ისე განსხვავდებიან პირუტყტებშიც. ძროხას სხვა ბუნებისაა, თხა კი — სულ სხვა, —

ხუმრობითა თუ ნიშნის მოგებით უთხრა ზაფასმა.

მეორე დღეს ფარდულში მე და ხარზამანი მარტონი დავრჩით, უცრად რადიოს ხმამ მიიქცია ჩვენი ყურადღება.

— ჩუმად, ჩუმად! — თქვა ხარზამანმა, თუმცა მე ხმას არ ვიღებდი. გესმის რას გადმოსცემს რადიო?

— მესმის, მესმის!

— ლაპარაკობს სოხუმი, რამდენიმე წუთის შემდეგ მოისმინეთ მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტის თათვი ახბას ნაწარმოებები, რომელსაც ეწოდება „მზე ჩვენთან ილვიძებს!“ მართლა ასე თქვა?

— ჰო, ზუსტად ასე თქვა, — დავუდასტურე მე, როცა ხარზამანმა უშეცდომოდ გაიმეორა დიქტორის სიტყვები.

— უსმინე! — ხარზამანი წამოდგა და გაიარ-გამოიარა, შემდეგ შეჩერდა და ირგვლივ ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს მწვერვალიდან გასცქერის ქვეყანასაო, — ათასობით ადამიანმა გაიგო, რაც რადიომ გადმოსცა, და ახლა სუნთქვაშეკრულნი უსმენენ მას. ჰა, როგორი საქმეა?

მალე გაისმა ჰარმონიული მუსიკა. თითქოს ჩვენს ლამაზ მიწიდან აფრინდა, და ლამობს ჩვენც ავგიტაცოს, ვაგვავფრინოს შორს, ძალიან შორს, თვალუწვდენელ სილაყვარდში.

მუსიკას მალე აჰყვა მომღერლის ხმაც.

სიმღერა დამთავრდა, ხარზამანი თავის ადგილზე დაქდა, მე კი ჩემს ადგილზე. მაგრამ რა სახე ჰქონდა ბერიკაცს! ამის გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია. მე რომ მხატვარი ვყოფილიყავი, დღევანდელი ზოგიერთი კრიტიკოსის სიტყვებით რომ ვთქვა, ადამიანის მთელ შინაგან სამყაროს ხარზამანის სახით გადმოვცემდი. იმ სახით, რომელზეც აღბეჭდილი იყო უდიდესი ბედნიერება!

მე ახალმთვარეში წავედი ყველის ჩასაბარებლად. შუაღლე გადასული

იყო, როცა ჩემი საქმეები მოვაგვარე და უკან ვბრუნდებოდი. გზაში ალგერის შემხედა, ცოლთან ერთად იდგო!

ოდნავადაც არ შემხარბებია მათი ბედნიერება. პირიქით, გულწრფელად გამეხარდა რომ დავინახე.

მისალმების შემდეგ ალგერის ვუთხარი:

— რატომ დავგვივიწყე ასე, ერთხელ არ ჩამოხვედი ახალმთვარეში? — ისე ვთქვი, თითქოს ძალიან მენატრებოდა მისი ნახვა. ასეთები ვართ ადამიანები, ზოგჯერ საკუთარი თავის მოტყუებითაც ვერთობით ხოლმე.

— დრო, დრო, — გაუგებრად მიპასუხა ალგერიმ. — თავზე რომ ცეცხლი მეციდოს, ჩასაქრობი დრო არა მაქვს. საქმე და საქმე, სულ საქმეში ვარ! როცა ახალმთვარეში ვიყავი, მაშინ ბევრი დრო მქონდა თავისუფალი. ახლა სულ სხვაა...

— ახლა სად აშენებ სადგურს?

— სადღა არ ვაშენებ?! — წარბები აზიდა და თავმომწონედ მიპასუხა.

— ჰო, თუ ასეა, სად გეცლება, დიდ გასაქირში იქნები! — თითქოს გულთან ახლოს მივიტანე მისი მოუცვლელობა.

— რას იზამ, ერთდროულად რამდენიმე ელექტროსადგურის მთავარი ინჟინერი ვარ, — თქვა და ხელები გაშალა, შემდეგ ისე შეაერთა, თითქოს მთელი აფხაზეთი მოიმწყვდია ხელებს შუა. — ახლა ჩამოვედი სოხუმიდან. დღეს დამამტკიცეს ამ თანამდებობაზე.

„ეს კაცი შორს წავა“, — გავიფიქრე, მაგრამ ეს აზრი ჩემთანვე დაეტოვე.

— აი, როგორც ხედავ, ჩემს ნივთებს ვაგროვებ, სოხუმში ვადავდივარ.

— თუ ასეა, გეჩქარება ალბათ, ღმერთმა კეთილად გატაროთ. მშვიდობით, დრო ვიხელთე და გავეცალე.

ჩაის ფაბრიკას მივუახლოვედი, ალყაფის კართან აგრა ვიღაც ვაქს სხაბასხუბით ელაპარაკებოდა. ჩვენი კოლმეურნეობის მძღოლს ვთხოვე მანქანა გაეჩერებინა.

მანქანიდან თავი გამოვყავი და აგრას მივესალმე.

მან გამოიღმა და ხელი დამიქნია.

— მე ძალიან კარგად ვარ — მომადება მერე, თუმცა არ მიკითხავს, როგორ ხარ-მეთქი, — ვიცი, შენი საქმეებიც სრულ წესრიგშია. ყოჩაღ, ასე უნდა! — შემდეგ ისევ მიუბრუნდა თავის თანამოსაუბრეს, თითქოს ამით მითხრა:

„აი, ხომ ხედავ, ვისთან ვდგავარ, არ იფიქრო, შენზე ნაკლები იყოს!“

ზინდღებოდა, როცა შინ მივედი. ნახევარი ეზოც არ მქონდა გავლილი, რომ მთელი სოფელი გაჩახჩახდა ელნათურებით.

და უცბად, ჩემი ეზოდან ისეთი სახახობა გადაიშალა, რომ ერთ ადგილზე მონუსხულივით შევდექი. მერე, როგორც იქნა, ლობესთან მივედი და ქვევით გადავიხედე. აქედან ხელისგულივით მოჩანდა მთელი სოფელი: ყოველი სახლიდან სინათლის ცინცხალ-ცინცხალა, ოქროსფერი წყაროები მოსჩქებდნენ. სიბნელეში შთანთქმული, მუდამ მშფოთვარე და მოუსვენარი აალობსტა ჰგავდა ჭერ კიდევ, ცოცხალ, დიდ თევზს, რომელიც მუცელამობურცული ვდია რიყზე და უმწვოდა ფართხალებს. მდინარე ჭერ გამოჩნდებოდა აჭა-იქ, მერე თვალს მიეფარებოდა, ბოლოს კი, როცა გაივსებდა, მხრებს გაშლიდა და თავისუფლად გაინავრდებდა, ზღვის პირას მიტანებული, მომაკვდავი თევზივით უკანასკნელად გაიბრძოლებდა, მძლავრად მოიქნევიდა კედს და ზღვის გაუმაძლარ ხახაში თვალსა და ხელს შუა ჩაიკარგებოდა.

ამ სიმაღლიდან ამკარად ჩანდა, როგორ მიიზღაზნებოდა გზაზე თამბაქოს ბარდანებით პირთამდი დატვირთული მანქანები და როგორ ახამამებდნენ ვეება ფარებს. მძიმე-მძიმედ გადიოდნენ მანქანები ახალმთვარიდან, რათა სახელმწიფოსათვის ჩაებარებინათ აფხაზური ოქროსფერი თამბაქო.

აღიასის ბრიგადა დღე და ღამეს ასწორებდა თამბაქოს ტეხვაში. მათ ამინდიც ხელს უწყობდა.

მთელ წელიწადს გრძელდება მუშაობა თამბაქოს პლანტაციებში. ტეხვა

დამთავრდება თუ არა, იწყება ნიადაგის გაფხვიერება, ამისათვის კი საჭიროა სასუქის გამოწვია, წუნწუნობის მიწის განოყვია, ნაცრის მოყრა და ათასი რამ.

როგორც კი თამბაქოს ტეხვის დრო დადგება, აღიასი თავის მანქანას მიუკლდება და გვიან დამემდე ჩაპიკრკიტებს. თუმცა ჭერჭერობით არაფერი გამოუღის, არასიმედო საქმეს მოჰკიდა ხელი აღიასმა. მაგარმ იგი ჯიუტია და ერთხელ დაწყებულ საქმეს ასე ადვილად არ მოეშვება. თუ რამე გამოვიდა, ხომ კარგი, თუ არა და, მას მტკიცედ სწამს, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, ახალმთვარეში დაიბადება ისეთი კაცი, რომელიც მის მიერ დაწყებულ საქმეს ხორცს შეასხამს და დიდი ხნის ნატვრას სინამდვილედ აქცევს, აუცილებლად დაიბადება ასეთი კაცი!

ჩემი სახლის ცოტა ქვემოთ თათვის ოდაა წამოკიმული, მე იქითკენ გავიხედე, ხვალ ხომ კვირადლეა და, როგორც ყოველ კვირადლეს, თათვი ახლაც შინაა, ჩემდაუნებურად შემოვბრუნდი და აივანზე გადმომდგარი აპრა დაივანზე, იგი ჩემს ეზო-კარს გადმოსცქერის.

საინტერესოა, მხედავს თუ არა?

ვერა, ვერ მხედავს.

მეჩვენება, რომ მისი სახე წამდაუწყებ იცვლება, რა ნაღვლიანმა ფიქრებმა მოიცვა? რომ დავენახე, ხელს დამიქნევიდა...

ამრა ნელა დაეშვა კიბეზე და ჩემკენ გამოემართა. აი, მოადგა იგი ჩემს ჭიშკარს, სადაცაა ეზოშიც შემოვია... მაგრამ, არა, იგი ვერ გაბედავს ასეთი ნაბიჯის გადადგმას, ვინმემ რომ დაინახოს, რას იფიქრებს, მართოხელა კაცთან ღამით ქალიშვილი თავისი ფეხით მივიდაო...

მართლაც, ამრამ ჩემს ჭიშკართან ჩაიარა... მე სულგანაბული ვიდექი ერთ ადგილზე. იგი ზღვისკენ წავიდა. ელანაკრავივით გამოვევარი ეზოდან. გადავწყვიტე გზა მომეჭრა და დავწვოდი.

აი, მიკუახლოვდი კიდევ, გრძნობს

თუ არა, რომ ფეხდაფეხ მიყვები?.. რას გაუგებ?

იგი სულ ახლოს მივიდა ზღვასთან, ისე ახლოს, რომ შხეფები ეწინააღმდეგებოდა სახეზე.

ამასობაში მის გვერდით აღმოვჩნდი.

— საღამო მშვიდობისა, ამრა!

— შენა ხარ, ალოუ? საღამო მშვიდობისა! — მორცხვად მომესალმა ქალიშვილი. — ხედავ, როგორ გაღამაზდა ჩვენი სოფელი? — მითხრა და ახალმთავარისკენ შებრუნდა.

— ჰო, ძალიან გაღამაზდა — ვუპასუხე და მეც შევბრუნდი.

კარგა ხანს უსიტყვოდ გავცქეროდი სოფელს. ელნათურებით გაჩახახებულნი ახალმთავარე ჰკავდა ვეებერთელა ხომალდს, რომელიც ეს-ეს არის ნაპირს მიადგება და ზღვის მსუბუქ ნისლეში ოდნავ ირწყვია...

იმ საღამოს ამრა პირველად გამოვიდა უჯობოდ. მომეჩვენა, რომ იგი ახლა უფრო მოხდენილად დადიოდა, ვიდრე ოდესმე, ნატყენ ფეხს ამრა უფრო სწორად გადადგამდა ხოლმე, თითქმის ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა, მაგრამ ესეც ძლიერ უხდებოდა მას!.. თითქოს ეს ფიზიკური ნაკლი კი არა, განგებ შერჩეული სიარულის მანერა იყო.

ორივემ თითქმის ერთბაშად შევნიშნეთ: თათვი ზღვის პირას იდგა და პატარა ჯოხს ისე იქნევდა, თითქოს სადირიკორო პულტთან ყოფილიყო.

სანამ რამეს მოვისაზრებდი, ამრამ მითხრა:

— ეტყობა მუსიკალურ ნაწარმოებს ქმნის, მოდი, ხელს ნუ შეეუშლით.

ჩვენს თავზე მთავარ გადაცურდა. მაღლე იგი ჩასაველისაყენ გადაიზნეჭა და თვალუწვდენელ ზღვაზე ვერცხლისფერი ბილიკი გადაქიმა.

ამ სანახაობას მე და ამრა უბმოვ

შეეცქეროდით, მოჯადოებულნი ვიდრე ერთმანეთის გვერდით და ისეთი შეგრძნება დაგვეუფლა, თითქოს ჩვენი ხომალდი სადაცაა მოწყდება თავის მყუდრო ნავსადგურს და შეცურდება თვალსაწიერზე გაშლილ სივრცეში.

— ალოუ! — გაისმა სიჩუმეში ამრას ხმა.

— რა იყო, ამრა?

— ამრა მიყვარსო გითქვამს ვინმესთვის?

— ჰო,...

— მე რატომ არაფერი მითხარი. ალოუ?

— საამისო ნიადაგი არ იყო შეშხადებული ამრა, რომ მეთქვა კიდევ, მაინც არ თანამიგრძნობდი.

— როგორც ვატყობ, ნიადაგი უკვე მომწიფდა არა?..

— ჰო, ამრა, ჰო, ახლა კი დროა, ყველაფერი გულწრფელად გითხრა.

— მე მჯერა შენი, ალოუ!

— ო, ამრა!..

როცა ამრას საოცრად თბილი და მითრთოლვარე ხელები ჩემმა თითებმა დაისაკუთრეს, ჩემი ალერსით მომზირალი მისი თვალები ნელ-ნელა მიიხუტუნენ, ჩაღამდნენ. ჩემმა თვალებმაც მათ მიბაძეს...

...სუნთქვაშეკრულნი გავცქეროდით ზღვაზე მთვარის გზას და გვეგონა, რომ ჩვენი რძისფერი ხომალდიც სწორედ მთვარის გზას მიჰყვებოდა წყნარი ტაატიტით. მაშინ მომინდა, ძლიერ მომინდა, რომ მთელ ქვეყანას გავგონა, უხმო ძახილი ჩემი სულისა:

„ჩვენ ახალმთავარიდან ვართ!.. ჩვენ თან იღვიძებს ის მზეც, რომელიც თქვენ ყველას გათბობს!.. ის ყოველ დღით ჩვენთან იღვიძებს. „მიშველ“ მთაზე ამოწვევრილი, გესმით? მზე ჩვენთან იღვიძებს!..“

აფხაზურიდან თარგმნეს ლადო სულაბა-რიძემ და მუშენა მაისურაძემ.



შოთა ნიჭინიანიძე

## აქილევსის ქუსლი და ფარი

ნაწევრები პოემიდან

ქალღმერთმა თეტიდამ თავისი პირმშო აქილევსი უკვდავების ემბაზში ვანბანა ჩვილის ქუსლს, რომელზედაც ხელი გაიდა მშობელს. ღვთაებრივი სიბრძნე არ შეგებია და აქილევსსაც მხოლოდ მამის ეწერა სიკვდილი თუ ქუსლში დაჰყოდადუნენ.

ღმერთმა ქედესტომ აქილევსისათვის გამოჰკვიღლ ფარზე ორი ქალაქი გამოსახა: ერთში ქორწილი და დროსტარებაა, მეორეში — ომი... ფარზე გამოსახულია აღამიანთა ცხოვრების მთელი ავკარგი და ბრძოლა მისი ღირსებისათვის.

## წ ი ნ ა თ ქ ე ა \*

მინდა, ავუბა მხარი დროებას,  
სიმღერით გავცდე დროს და განედებს.  
მეც კუზე შევავი ჩემი პოემა  
და აქილევსთან შეგმა გაგებდე.  
გამოდის გმირი ძველ ეპოსიდან  
და ბრმა პომეროსს შესთხოვს შეწევნას,

აჰა, ვეება მშვილდი მოზიდა,  
სტყორცნა ისარი ჯა დაედგნა.  
აქილევსს სჯობნის ეინი ალაგუნებს,  
გულფიცხია და ქარზე სწრაფია,  
ისარს დაიჭერს და კუს ბაკანზე  
წააწერს ჩემთვის ეპიტაფიას...

\* პოემა აქილევსის ქუსლი და ფარი\* თანა-მედროვეობის ამსახველი ეპიური ტილოა.

ნაწარმოების მთავარი გმირია ახალგაზრდა მხატვარი ჯოკია ლაში. მისი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი ბიოგრაფია გამსჭვალულია პატრიოტიზმის სულისკვეთებით და ეპოქის მხატვრულ დოკუმენტს წარმოადგენს. პოემის ალბელო დრო წარმოსახულია ეპიური პლანით, ხოლო დროისა და ცხოვრების მიერ წამოჭრილი საკითხები ვაშუქებულია ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ხასიათის შემცველი ლირიკული წიადსვლებით.

პოემის სათაური სიმბოლურია: ომი დასაბამიდან კაცობრიობის აქილევსის ქუსლია, ხო-

ლო მშვიდობა, ჰუმანიზმი, შემოქმედებითი შრომა — აღამიანური ძლიერების სიმბოლო — ფარი აქილევსისა.

ამ სიმბოლოების დედაზრი გადატანილია ცხოვრების სხვადასხვა განზომილებაში, აღამიანთა ურთიერთობებსა და სულიერ მეტამორფოზებში.

ამ პოემას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს შწერალთა კავშირის მიერ ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურსზე პრემია მიენიჭა.

ასე! კუს ზურგზე შევსვი პოემა,  
როგორც ძველ დროში რწმენა და მითი  
არის მიზანი!

გზაც იპოება!

კუც მიზნისაკენ მიდის და მიდის...

ასე წვეთ-წვეთად

და მისხალ-მისხალ

ვთქვი სასურველიც და მოსარდიც,  
ასე იზრდება და ნაყოფს ისხამს,  
რაც არის ნაღდი და ჭეშმარიტი

ო, მომავლო, იყავი მაცნე  
და ბედისწერის მსჯავრი გამოთქვი —  
კუს რჭოვან ბაკანს საფერფლედ აქცევ  
თუ გამარჯვების თასად გამოთლი?  
ოღონდ გაფრთხილდი, ფეხმარდო ეამო,  
თუნდ რკინის გეცვას წულა-მესტები,  
მოძრაობათა შევკრიბე ჯამი  
და კუს გასწრებას ნულა ეცდები.  
მინდა აეუბა მხარი დროებას  
და მინდა: მსგავსმა შეიცნოს მსგავსი.  
დევს მაგიდაზე ჩემი პოემა  
როგორც საფერფლე...  
ან როგორც თასი...

### კ ა რ ი პ ი რ ვ ე ლ ი

გვიანი იყო... გაეცდი მოედანს,  
ქალაქმა უკვე ძილი ინება,  
ვით უხმაურო სრბოლა კომეტის,  
ცით მოისმოდა ჟამთა დინება.  
ამ დროს ხეებზე სინეზე ცოცავს,  
ფანჯარებზე სიზმრის ჩრდილები თრთიან,  
ამ დროს გაისმის სინემის ლოცვად  
კვირტების სკდომა და რია-რია.  
ნამის კაპუნით ღამე ივსება,  
მყუდროება და გაზაფხულია  
და დედა ჩიტის ოქროს სიზმრები  
ბუდეებს ფრთებად გადაბურვია.  
ძილი ნებისა, ჩემო ქალაქო,  
ეს მყუდრო ძილი არ დაგკარგოდეს,  
ძილი ნებისა შენს აგარაკებს,  
შენს შემოგარენს, ზვრებს და წალკოტებს.  
„ძილი ნებისა“ — რაოდენ დიდის,  
რაოდენ ბრძნულის მთქმელია ჩემთვის,  
„ძილი ნებისა“ — ლოცვაა ჩიტის,  
ლოცვა-ვედრება ყოველი დედის.

ეს უფლებაა ჩვენი მიწა-წყლის  
და ენიჭება ყოველ ქმნილებას.  
ეს მოთხოვნაა თითონ სიცოცხლის  
და არა მხოლოდ მოთხოვნილება.  
ძილი ნებისა, ჩემო წარსულო,  
უნაგირზე და შუბზე მთვლემარეგ.  
ისევე გრძელდები... ხარ უსასრულო,  
სად მომწვივ, სად მომეპარე!  
შენა ხარ აზრი სიმღერით თქმული —  
(არ შეიძლება აზრის შეწყვეტა!)  
მაკურთხებელი რაინდულ სულის,  
ლიბო და დვრიტა ყოვლისშემძლეა.  
ეს ორი სიტყვა — „ძილი ნებისა“,  
ძველმა უძილო დრომ თუ დაბადა.  
გედირსათ... მყუდრო ძილი გედირსათ  
თქვენ, აჩრდილებო მამა-პაპათა.  
„ძილი ნებისა“ — ეს ყოვილია  
და სილამაზე რაინდულ სულის,  
ჩემო ქალაქო, სულ ტყუილია,  
ვერ ვინატრებდი უკეთეს სურვილს.  
ღამე საესვა ბევრი ტკივილით  
და ჩვენგან ითხოვს ზრუნვას და სითბოს,  
დაიბადება ჩვილი ტირილით  
და ეს — სიცოცხლე იცინის თვითონ.  
საწერ მაგიდებს უზის ქალაქი,  
ეძიებენ და კიდევ პპობენ  
და სახვალთო განძად ალაგებს  
ნახაზებს, სქემებს და განტოლებებს.  
და როგორც მწერი აბლაბუდაში,  
ანდა ბუტკოში ყვავილთ მრავლობა,  
ისე ცახცახებს გრძელ ფორმულაში  
შესაძლებლობა და რეალობა.  
როგორც პარკიდან ოქროს პეპლები  
ანდა ყლორტიდან კვირტი ულვევი,  
სულიდან ისე მოფრთხილებენ  
მეტაფორები და ფორმულები.  
უზის ქალაქი საწერ მაგიდებს  
და შთაგონებას ჭერქვეშ აბუდებს  
და ნოტებიდან ცაში გააქიდეებს  
ხმათა ბადეებს და აბლაბუდებს.  
ვიღაც აცოცხლებს წინაპრის ყოვილს,  
წლებით დარჩილულ პაპირუსიდან.  
და სულის ფსკერზე ტკივილად ღვივის,  
რა მძიმე ტვირთიც ბაპებს უზიდავთ.  
და როგორც ქარში თავთუხის ყანა,  
ირხვევა აზრი ქვაში, რკინაში  
და სიკვდილს ებრძვის დასტაქრის დანა,

სტრიქონი, გემი და ვარიეტაჟი ასეთი ფიქრით შუბლი მიხურდა და გაეცქეროდი ძირს სანაპიროს, ღამის დარაჯი იჯდა ჯიხურთან და მიძიმე-მიძიმედ სწევდა პაპიროსს. სადღაც გაისმა კასრის ხრიგინი, მერე დახშული ყურ ნაბიჯები და მოიტანა გაცმა ილლით წარმოდგენები და აფიშები. კასრიდან კედელს წებო ასხურა და აიშართა ფერთა სტელაჟი ბაგირზე ქოლგით როკავს მასხარა, მთლად გახვეული ცისარტყელაში.

#### პიდაოკან:

ზარბულ — ყარა მუსტაფა  
პაბალკამეილი — ბულო.

#### ფახაურთი:

ბასკები — თბილისის „ღინამო“.

ვიდაკამ გაზონს გადააბიჯა და შეამტკრია ჩრდილით კედელი, ახედ-დახედა ცირკის აფიშას, სადაც ესატა რკინის მკვებტელი, ძლივს მოუვიდა ბოლო პაპიროსს, მერე ის იყო ფეხარეულმა გამობრუნება რომ დააპირა, შე შემწრება ანაზღუულად. და გაოცებით წამოიმახა — ბიჭოს, ვის ვხვდავ, შენ ხარ, ჯოკია?! და შემიგუბა სუნთქვა კინაღამ, გრძელი ხელები ისე მოშხვია! — ველარ გიცანი... — მაშ, გაემდიდრდები...

ნახე?! ბასკების გუნდი ჩამოდის... მაშ, ჩემზე იყოს ორი ბილეთი ოღონდ შინ დამხვდი ზგე საღამოთი. ახლა კი წამო, რამე დაელიოთ, თუნდ თითო ჭიქა ცივი ბორჯომი. კარგი, პა, გვეო, ნულა ორჭოფობ... არა მცალკან-მეთქი — ვუთხარი,

ათასი რამე, მოვიმიზეზე, ბუბა კი მაინც ხვეწნა-მუღარით, ძალად ჩამიძღვა „გემოს“ კიბეზე. თითზე ვგეთა ოქროს ბეჭედი, პალსტუხზეც მსხვილი ოქროს სამაგრი — როგორც ვარსკვლავი ზღვათაქვეშეთის, ანუ ყვავილის მცირე ლარნაკი. ბუბას იცნობდა მთელი ქალაქი, ყველა უბანში ჰყავდა დოსტები, ბუბაზე მართლა ღირს ლაპარაკი და თუ გიამბობთ, ნუ გაოცდებით. ღამაში იყო და დედისერთა, ზრდიდნენ ფერებით და უჩვეულოდ. ეს ერთი ჰყავდა ჯაფარიძეთა ქალებით მდიდარ საკვარეულოს. ბავშვობიდანვე ანებიერებდნენ გამორჩეული ჩაცმა-დახურვით, ბავშვობიდანვე ანებიერებდნენ და სხვაზე მეტიც ჰქონდა თვალყური. არ დაუკლიათ უცხო ენები, მუსიკა... ცეკვა... და სხვა მრავალი. და ამტკიცებდნენ შინაბერები: „ბუბის ნამდვილად აქვს მომავალი“. აიკიდებდა ვეუბა ჩულოს, აუყვებოდა ზოზინით „ბელინსკს“. მიწაზე ისე მოჩანდა ჩერო, თითქოს მურა დათვს მისდევდა ბელი. შინაბერები ჰყავდა მეგობრად, ბავშვს კი სხვა სურდა, სხვა ადარდებდა — მონატრებული იყო ცელქობას, თავის ტოლებთან განავარდებას. უფერულია ბავშვის ცხოვრება თუკი ბავშვურად ვერ გაერთობა, ბუბას სწყუროდა თავის ტოლებთან ჩვეულებრივი ურთიერთობა. და ამდენ საგნებს, წრესა თუ სცენას პატარა ბუბი ვერ აუვიდა, მალე მუსიკა და უცხო ენა ამოირეცხა კედელს გულიდან. მაგრამ სწავლისთვის ასაჩუქრებდნენ, ქრთამს აძალბებდნენ შინაბერები, თან პირდებოდნენ უფრო უკეთესს ათასგვარ ფიცით და მოფერებით.



ბუბას უყვარდა თიხის ყულაბა —  
 ვეებერთელა ხარი ირემი  
 და დაუშინეს დიდი უღუფა  
 მამიდებისგან დანაპირები.  
 ხარი ხურდა ფულს არ დაგიღვედათ,  
 ჭირვეულობდა რქებგაფარჩხული,  
 მხოლოდ ტკიცინა ფულს მიირთმევდა  
 და ჩალასავით ნთქავდა ხრახუნით.  
 ბავშვს აუსრულდა რაც მოისურვა,  
 გახდა მომთხოვნი და მბრძანებელი,  
 კვლავ მიიწვიეს ჯერ ინგლისურის,  
 მერე მუსიკის მასწავლებელიც.  
 მაგრამ სწავლის დროს უბნის ბიჭები  
 ეპარებოდნენ ქურდულად სარკმელს,  
 ეღმიჭებოდნენ და აფუჭებდნენ  
 მამიდებისგან აწყობილ საქმეს.  
 და ბავშვმა სწავლის რეჟისს უმუხთლა,  
 უბნის ბიჭები დაიძმობილა.  
 მერე სკოლაშიც აჰყვა ცუდღუტებს  
 და „სატალოთი“ გახდა ცნობილი.  
 ეტანებოდა დილის კინოებს  
 „ვეუნდებოდნენ“ რაშიმ რჩეული,  
 ჯერ ნებბერობდნენ ესკიმოებით  
 ლადიმის წყლებით და ტკბილეულით,  
 მერე კი ლუდით... ლუდით... ოღონდაც  
 არ მოეწონათ... არც დაიძინეს.  
 დარდიმანდებათ თავი მოჰქონდათ  
 და გამხელისა შერცხვით ყვირილებს.  
 ლახტს თამაშობდნენ ნარიყალაზე  
 ან გაჰყურებდნენ ქალაქს ციხიდან.  
 ისანი, როგორც ქალი ლამაზი,  
 მტკვრისპირად ნისლის კაბას იხდიდა.  
 ცურავდა დილის მოღურჯო ბოლში  
 კუს ტბა თუ ბაღი ბოტანიკური  
 და ნარიყალა — დევების კოშკი  
 ცაზე ლეგენდის კვამლით მიკრული.  
 ხან კოჭაობდნენ სანაპიროზე,  
 ხან ტრამვაიდან სწავლობდნენ ხტომას,  
 ბლომად მიჰქონდათ პაპიროსები  
 ქართული პური და ძეხვიც ბლომად.  
 დიდი ყულაბა ბუბას უცდიდა  
 და უზოგავდა სარჩოს მუცლიდან,

მიიჭრებოდა ბუბაც ირემთან  
 და ყელზე დანას დაადირებდა,  
 უჩხიკინებდა, აჟანჯღარებდა,  
 თანაც დროდადრო იღგა კარებთან  
 გაფითრებული, თავაწყული,  
 ცახცახათა და სმუნაღქცული.  
 მაკრატლითა და წინდის ჩხირებით  
 გაწვალებული ჰყავდა ირემი  
 და ასე ჰქონდა გამოუღვევი  
 ტკიცინ-ტკიცინა მსხვილი ფულები.  
 ფული ეს სიტყვა როცა გაისმის  
 მთერალი მაშინვე ხდება ფხიწელი.  
 მოხუცი კარგავს სიღარბაისლეს  
 და ბავშვი ხდება დარბაისელი.  
 ვინ აღარ არის ფულის მოაჯე,  
 ბავშვიც კი ფულის მახვეწობია  
 ის ფულის ნიშანს ბევრს აღმოაჩენს,  
 სანამ ხუთ ნიშანს შეასწავლიან!  
 ერთ მშვენიერ დღეს კინო „სპარტაკში“  
 დილის სეანსი როცა დამთავრდა,  
 დამთავრდა კიდევ ბავშვთა პარბაში  
 თავაშეგებულთა და ონავართა.  
 კარებში იდგნენ ახალგაზრდები  
 და უბოდიშოდ ართმევდნენ ჩანთებს,  
 სხვა დროს მამაცნი და გულადები,  
 დაბნეული და წამხდრები ჩანდნენ.  
 სახლში კი ატყდა საშინელება  
 და ერთი ვაი-უშველებელი,  
 გულმეშორილმა შინაბჭრებმა  
 გაიციტეს ყველა მასწავლებელი.  
 მთელი ოჯახი თუმცა გოდებდა,  
 აუშდრეველი ჩანდა გარედან,  
 ბუბას იცავდა თავგამოდებით  
 და ყოველივეს სხვეს აბრალებდა.  
 მაგრამ ყველაფერს მისვდნენ მაშინვე  
 ყულაბას ეცნენ-სახეშეშლილი  
 და თუმანილა აღმოაჩინეს  
 ისიც მაკრატლით გვერდებშეჭერილი.  
 ...მაშინ სკოლასთან რაღაც ავბედათ  
 იყო პატარა სასაქარლამო,  
 სადაც უღვევად იყო გამფტვი  
 ბავშვებისათვის აგრე საამო.  
 გარეთ ლელავდნენ თანატოლები,  
 უთვალთვალვდნენ ბუბას ქუჩიდან,

მაგრამ „ჩვეების“ გადასწორებას ბუბა ერთხელაც არ შეუწინდა. „ჩვეს“ აიღებდა, და ტელეფონთან შეჩერდებოდა სალაროს უკან, უბის წიგნაკში იქექებოდა, და ყალბი „ჩვეიც“ მზად იყო უკვე. მაგრამ ერთ დღესაც ატყდა დებოში, მოგროვდა ხალხი ცნობისმოყვარე და წყველა-კრულვით სკოლის ეზოში შემოქლომინდა სქელი მოლარე. სულს ვერ ითქვამდა სახემშლილი, (გულთ სნეული იყო ვეების.) ცალ ხელში ბუბას ყური ეჭირა, ცალითაც მთელი შეგვრა ჩვეების. ბუბა გარიცხვას მაშინ გადაარჩა და გაფრთხილება აკმარეს მხოლოდ, მაგრამ დახედეთ! იმ წელს წამთარში ისევ მოლარემ იმსხვერპლა ბოლოს. ინათლებოდა თოვლის ემბაზით თვითეული ხე, ქვა თუ ნაფოტი. ბავშვები, ყოველ დახვეწებაზე, თოვლში გაფრბოდით და ვუნდაობდით. ზოგი თამამი და თავმომწონე შორს მიდიოდა სკოლის ეზოდან და გზად მიმავალ უცხო გოგონებს მძიმედ დაზეპილ გუნდებს ესროდა. ვიღაცამ გზაში ქაქანი მორთო და შემოგორდა ეზოში წყველით. წელს ქვემოთ აწინდა გუნდა მორტყმული, წელს ქვემოთ! თუმცა სად ქონდა წელი!! „ვიცი ვინც არი ის არააზადა, ას ბავშვში ვიცნობ თვალად, ტანადო“ ჰოდა, ძებნასაც კი არ დაზარდა, ადგა და ხელი ბუბას დაადო. შინ დაითხოვეს დასჯილი ბუბა, გარეთ კი ჩუმად ცვიოდა თოვლი და თეთრ ბურანში გახვეულ უბანს „ნავთის“ ძახილი ესმოდა შორით. თოვდა და თოვდა... ზამბახ-გვირილებს ზამთარი ჰყრიდა ათასი პეშვით და სიჩუმეში „ნავთის“ ყვირილი, დახტოდა როგორც თრითინა ტყეში. უცებ ფეხის კვრით კარი შექანდა და შემოიჭრა ოთახში ხვნეშით მთლად დამთვლილი ქურთი მენავთე ორი მოზრდილი ბიღონით ხელში, კლასი შეირჩა და აგუგუნდა,

ბუბე უნგრის თითქოს კრაზანას. — ჰა, ხაზიკა, რამთონი უნდა... აი იმ ბიჭმა გამოაგზავნა... ფანჯრებს მიეცვივდიო: გზაზე კიოსკთან წყალს მიირთმევდა ბუბა ანგალი, ხელებს გვიქნევდა და იცინოდა, ტკბებოდა თავის ნაფშაკარით. ყიფინით ფანჯრებს ახანზარებდა კლასი სიჩუმით ნამარხულვე, მოვიხედეთ და... ღია კარებთან ყვარა სველი ნაფხურები. აი ბუბაზე რაც კი ვიცოდი, რამე ამბავი თუ ეპიზოდი, რაც გავისხნე მის მოლოდინში... მოვიდა ბუბა, მოიბოდიშა, მერე ბოთლს დასწვდა დარდიმანდულად და ოსტატობაც მიჩვენა სრული, შამპანურს კრინტიც არ დასცდენია, ისე დალია მშფოთვარე სული. — ჩემო ჯოკია, დაიწყო ბუბამ, — მოდი, დავლით, ჩვენი ბავშვობის, ექვსი წელია, რაც ბაზრის უბანს და ოცდამერვე სკოლას დავემორდი. დროს არ ვაგდებდით აინუნშიაც და, აჰა, უკვე სკოლას ვამთავრებთ. შენ კი რა გიჭირს, თავი ქუდში გაჭებს, — აკადემია გელის სამხატვრო. კარგად ხატავდი, რაც მართალია, დიდს ამყარებდნენ შენზე იმედებს, ახლა კი ჩვენთვის სადღა გცალია, დროს ასე რიგად ვერ გაიმეტებ. თუ ნახვა გინდა — მნახე დილაღ, ბუბა როდია ბიჭი ურიგო. მხოლოდ თამაშზე თუ დაგინახავ, სტვენ და ღრიალებ — ნაღდად ხულიგნობ! არც „ზემელზე“ ხარ, არც „რუსთაველზე“, ერთმანეთს ვხვდებით ასე შემთხვევით... ... მერე ბავშვობის ფათერაკებზე ბევრი ვიცინეთ და სმას შევეყვით...

\* \* \*

გვიან „დინამოს“ სალაროებთან მომცრო კოცონებს უსხდნენ ბიჭები და მათ სხველებს დამახინჯებით

ძირს ქვაფენილი იმეორებდა.  
მოჩანდა როგორც ტვერი შუბების,  
რკინის მესერი —

ჩრდილით ტყუპები.

აგტომობილთა ფარები წამით  
გაქცეულ ჩრდილებს კედლებს ახლიდა,  
თითქოს ავსულებს ერთ-ერთი ღამე  
ამოებიათ ტროის ალიყიდან.  
რკინის მესერი მალა-მალალი  
მართლა მოჰგავდა აღერილ შუბებს,  
ეს გნიახი და აყალმაყალი  
იმ სულს, რომელიც ბანაკში სუფევს,  
იდგნენ ან ისხდნენ გზის ჩაყოლებით  
ამდენი კაცი ღამეს ათედა,  
თუმცა „დინამოს“ სალაროები  
გაიდებოდა დილის ათიდან.  
ისხდნენ ან გუნდად იდგნენ ბიჭები,  
იყო მსჯელობა, დავა, კამათი  
და თვითყულის სმენა იჭერდა  
სახელებს, როგორც ჩიტს კაკანათი.  
და ვრცელდებოდა ზეპირი წიგნი,  
დილაზე არცთუ მცირე ტირაჟით,  
ფათურაკები რიგი და რიგი  
შერლოკ-ჰოლმსის თუ კვატანტიარძის.  
ზოგი ყვინთავდა გალაყნის ძირას,  
ან ჩუმად სტვენდა საყვარელ მოტივს  
და კნაწუნებდა მზესუმზირასებრ  
ლაზღანდარობა და ანეგდოტი.  
ხან სიმღერებით ვითრინეთ ძილი  
და ძილთან ერთად წუთები თვლემის  
ხან „დვა უდართი“,  
ხან ლაზტის ცემით,  
ხან „მრგვალი ვირით“  
ხან „გრძელი ვირით“,  
სანამ დიდმიდან არ შემოვიდა  
რძითა და მაწონით ნამდვილი ვირი.  
მოკარბენინეთ პური თონედან  
და წავისხმსეთ ადრიან დილით.  
ქუჩებს მოედო ბოსტნების სუნი.  
მზე კი ცოცხვით ვჭირათ ხელში  
მეგზოვეებს,

და მათი ზრუნვით

სულ სხვა ხდებოდა ქალაქის ეშხი.  
მალე იმდენი ხალხი მოზღვაავდა,  
ქუჩაც ყაყანი იხე აივსო,  
გარეთ გამოსულ ბაზარს მოჰგავდა  
საშეიდნოემბროს და სამაისოს.  
ღამისმოველების ტალღა ევება

მაშინ აზავთდა და გაძლიერდა,  
როცა მოვიდნენ მოლარეები  
და მხედრიონი მილიციელთა.  
მოდგა თუ არა ცხენების მწკრივი  
ბიჭებში სტვენა ატვხა ზოგმა,  
ზოგი ცუდლუტიც მაშინვე მოჰყვა,  
„ვინ თქვა არსენა მოკვდაოს“ ყვირის.  
ჯერ ისევ აჭერს მზე აღმაცვრად,  
ჯერ ერთ საათსაც არ გაუვლია,  
სალაროებზე გაჩნდა წარწერა,  
„ყველა ბილეთი გაყიდულია“  
ბრბო აირია ზაფრანდაკრული,  
დაკარგა თავის პატვისიცემა.  
მესერზე ატყდა ქვების რაკუნი,  
სალაროებზე — მუშტების ცემა.  
და ბუზღუნებდნენ: „ამ თაღლითობას  
არც პატრონი ჰყავს, არც გამკითხველი?  
მიდგა და მოდგა

და ხელს ითობდა

ათასი ჯურის გადაწყვიდელი.  
და იზრდებოდა ფასი თანდათან,  
მაინც რა ღირდა ერთი ბილეთი,  
ზოგმა შეიხსნა მჯავის საათი  
და ზოგმა დათმო ველოსიპედი.  
„თუ ვერ ვიშოვე ბილეთი, მორჩა,  
ვერ დამაკავეს რკინის ჯებირიც,  
ან გადავძვრები სადმე მესერზე,  
ან შეგვარდები სხვა ბიჭებივით.“  
მეც ავედევნე უბილეთოებს  
და იერიშზე მეც გადავეშვი.  
ის იყო კიდევ შიგნით შეგტოპე,  
რომ ვიღაც კაცი წამწედა კარებში.  
სწრაფად შეგვრგვეს „ჩორნი ვორონში“  
თითქოს და ციხე გვქონდა მისჯილი  
და მალე სადღაც, დიღმის ბოლოში,  
ძირს ჩამოგვრგვეს სტვენა-ყივინით.  
ირგვლივ ჰყვაოდა მინდვრის ბილილა,  
მტვერში კუთავდა შარავზა თეთრი.  
ბიჭებს ვუთხარი მოდი, ვირბინოთ,  
რეპორტაჟს მაინც მივუსწროთ-მეთქი.  
„კარგი, მოდისო“...

და შევეყვებით

დიღმის ეზოებს, ხეხილებს, ვაზებს,  
მაგრამ სულ მალე (ჯერ მოუძღვლი!)  
მარტო მოვრბოდი სამხედრო გზაზე.  
მარტო მოვრბოდი, გზა იყო სწორი,  
მჩატვდ მოვრბოდი, ძალას ვიკრებდი

და, აჰა, ერთგან კოტეჯებს შორის  
გზად გამოიჭრა მოტოციკლეტი.  
მამინვე კვამლის სუნი ვიწყოს,  
გადიგრიალა, გაჰკრა მუხურად,  
მძლოს ტოლსტოურა ვევა ტილოსი,  
ვარსკვლავიანი ქუდი ეხურა.  
მოერბივარ თითქოს მზე მირტყამს უროს,  
ხვატი სხეულში დენივით მივლის,  
მზე მუჭში მიმწყვდევს,  
რომ გამომწეროს

ჩრდილი —

ხან მოკლე,

ხან გრძელი ჩრდილი.

წინ ყანებია მწვანეკორნება,  
ხან ოწინრები იწვდიან კისრებს.  
მოტოციკლეტი ხან ჩამორჩება,  
ხან გვერდით მომდევს

და ხანაც მისწრებს,

ბოლოს უცნობმა სვლა შეანელა,  
მოშიასლოვდა

და მოკლედ მოჭრა:

— ყოჩად, კარგია მართონელო,  
და მერე ისევ,

— კარგია, ყოჩად!

მერე რაღაცა თქვა სასაცილო,  
გვერდით მომისვა როგორც ლტოლვილი,  
— ალბათ ფეხბურთზე არა, ყმაწვილო?

თვალი ჩამივრა თანატოლივით.

ჰა, სტადიონიც ამხელს ხვაშიადს  
და მილიციაც დიდ ჯაფაშია —  
გზას გვიკაფავენ ხალხს მისეულნი,  
გვესალმებთან მოკრძალებულად.

და გულში ვფიქრობ, ვილაც ღირსეულ  
დიდკაცთან ერთად მოვბრძანებულვარ. —  
სამვით შევედით

და ვიყაბულეთ

ერთი ადგილი ლოფასთან ქვევით...

უკვე დრტვინავდა დევთა ქვაბული  
ღრინაცულით და ხელების ქნვეით...

ახლადგაცნობილი კაცი სპორტის ოსტატი  
აბელ როგავა გახლდათ. მან ჭოკიას დიდი წარ-  
მატებები აღუთქვა მძლეოსნობაში და ურჩია  
მასთან ევარჯიშა სექტემბრიდან „დინამოს“  
სტადიონზე.

შინ მოპრუნებულ ჭოკიას მავიდაზე ბუბას  
მოტანილი ორი ბილეთი დახვდა.

ორშაბათს კარნახისათვის  
ჭოკიას კლასი დაატოვებინა.

მასწავლებელმა  
ერქინული  
გონიერებისა

ზოგი ფანჯარა საკლასო ოთახს  
დერეფნის მხარეს ქუჩისკენ ჰქონდა.  
თეთრად შედებილ მინებზე ისხდნენ,  
როგორც პეპლები თალსოვანები,  
ფოთლისოდენა და მუჭის სისხლად  
ამოფხაჭნილი ტუჭრუტანები.  
დავხატე თვალი და მივაკარი  
ერთ-ერთ ამნაირ ტუჭრუტანაზე.  
ავად აბზინდა თვალის კაკალი,  
თითქოს ციკლოპის ან სატანასი,  
მასწავლებელი თითით მტუქსავდა  
და მიყვიროდა: „მოშორდი ფანჯრებს“.  
თვალი იმდენად იყო უზადო,  
შესრულებული იმდენად მარჯვედ,  
ყველას ნამდვილი თვალი ვგონა,  
უბრალოდ ვჭეიც კი არ შეჰქონდა.  
მასწავლებელი უცერად გაშრა  
და რა თქმა უნდა გაწყრა საშინლად,  
როცა ყოველგვარ ეჭვის გარეშე  
ნახატი თვალი აღმოაჩინა.

— ლაში? ა, ლაში?! — ყვიროდა  
დიდხანს,

არ იქნებოა შენი საშველი.

.....

დამრიგებელმა კი ცივად მითხრა:  
ხვალვე მოვიდეს მამიდაშენი.

• • •

ფუნიკულორზე თუკი ასულხარით  
და თბილისისთვის გადაგიხედავთ,  
როგორც ათასი კითხვის ბასუსი,  
ქალაქი ისე მოჩანს იქედან.  
ქალაქი მოჭკავს დიდებულ სურათს,  
მაგრამ აჰა-იქ უცხო ხილვებით  
აიჩინჩებება კუბიზმის სულიც  
კონუსით, პრიზმით და ტეხილებით.  
მერე თანდათან რბილდება მწერა  
და სახურავთა წითელ წარღვნიდან,  
ჯერ ორთაჭალა ამოდის ნელა,  
ვით მუხამბაში ძველი არღნიდან.  
მერე იშლება ქვის სიმფონია  
და სიმფონია მინის და რკინის.  
თითქოს ქალაქი დევის თონვა,

წითელი ფერი ღვივის და კივის, ერთდროს ჭადრების მწვანე ჯებირი სანაპიროსთან ერთ სახლს შევნიდა, კომუნარების ბაღს მიბჯენილი ეს იყო ჩვენი სკოლის შენობა. სკოლის პირდაპირ, როგორც კონუსი შეთანხმებული თითქო დრო-ჟამთან, ვეგებრთელა თეთრ სოკოსავით საპარაშუტე კოშკი მოჩანდა. ზემო სართულში იყო ჯიხური და ცახცახებდა როგორც ფოთოლი. თითქოს მიწიდან ცად გარიყული დირიებალია ანდა გოდოლი. როცა არ იყო ხტომის სეზონი კოშკზე ვიყავით ახირსლულები. ძირს ქუდებივით სწიანდნენ ეზონი ავსილი ქვების ხურდა ფულებით. ქალაქს დაეცქვრდით დევის სოკოდან, უქარო დარში, როცა თბილოდა. შიგ შეყუყულებს თავი მოგვექონდა, ზოგს მეციხოვნედ, ზოგსაც პილოტად, ხტომის სეზონი როცა დგებოდა, სულ სხვანაირად გვიძგერდა გული, მივიდოდით და იმდენს ვტკებოდით, რამდენიც გვექონდა საუზმის ფული, გაკვეთილების დამთავრებამდე მოსწავლეებზე არ ყიდდნენ ბილეთს, მაგრამ დარაჯი იყო შექრთამე, ყაბულდებოდა სრულიად მცირედს. ბაღში ყოველთვის იყვნენ ბავშვები, „შატალოებზე“ — მუდამ მრავალი, ამიტომ დარაჯს ამ შეთავსებით ცუდი არ ჰქონდა შემოსავალი. პოლა იმ დღითაც ქრთამით ავედი, — „სიფთა ხარ, აი, პირველი ხტები!“ „კლასში „ფიზიკა“ სწნიდა გაკვეთილს, მოჩანდა დაფა, მერხები, მხრები. ერთიც გაუხედე ზეცის კაბადონს და გადავეყვი ძირს გამხნეებით, მაგრამ ო, ნურას უკაცრავადო — ცამ ილღიებში მტაცა ხელები. ვერ გეტყვით, მაშინ რა განვიცადე, ერთი კი იყო — არ დავიბენი. კარგა მანძილი იყო მიწამდე და ქანაობდნენ კოშკის კიბენი. და პარაშუტი ზორბა ქორივით თავს დამცხრომოდა ფრთებგაფოფრილი.

ასე მეგონა, ცხენზე ვიჯექი და ვირწვოდი მთელი სხეულით და ქუნა როგორც ცხენი ჯაგლავი, ლაჯებში მყავდა გამომწყვდეული. ბაღში მაშინვე ატყდა განჯაში და ბრბო ყაყანით შეგროვდა ქვევით, გულგრილის როლი გავიტამაშე: დავიწყე ღრეჭა, ხელების ქნევა. კლასში შემნიშნეს, მოაწყდნენ სარკმელს, მე კი ტკუიდან მთლად გადავედი — ამოვაცოცე ჯიბიდან სარკე და მზეს გაგვარი, ვით კეკს-აბედი. და მზეც წრიპინით ასტა სარკიდან ცირკის გაწრთნილი თეთრი თავგვივით, კლასში შეფრინდა, ჭერს დაეკიდა, გადააქოთა ჩრდილის არქივი. მზის ნაოხუნჯარ ფრანად შეფრინდა. მხიარულება ყველას არგუნა, ყველა წიოდა და თვალებიდან ვერ იმორებდა მზის თეთრ თავგუნას. როცა მობეზრდა ქროლვა-თარეში, ოინბაზური ხტუნვა-თამაში, უცებ გაება შავ სათვალეში, როგორც ებმება თავეი საფანგში. ეს დამრიგებლის გახლდათ სათვალე, თითქოს მახეში მე გავები ისე ჩათვალეთ. ხელებმორდილვით მიმწერდა ხალხი, შენობებიდან გამოცვინილი. ქუნა კი თითქოს დგებოდა ყალყზე და ჭიხვინებდა ურა ცხენივით. უეცრად დაცხრა დიდი და მცირე სული განაბა და ხმა გაკმინდა — ვილაც გადმოდგა კოშკის ბაქინიდან და კატასავით გამოაყვა დირეს. პარაშუტს თავზე მოექცა სწრაფად, ჩამოგვიდა მავთულის ბაგირს და პარაშუტიც დაქანდა დაბლა და ყიყინისგან აფეთქდა ბაღი. და ხალხი, ხალხი აუარება ფუტკრის სკასავით გვეხედა ირგვლივ. — „გთხოვთ, წარმოგიდგეთ — შურკა ხარებმო — გასტროლოთრი ოდესის ცირკის!“ — რუსულად მითხრა

და მეგობრულად თმა მომიჩეჩა, რალაც მებუმრა, გზაზე გასული ერთიც მობრუნდა და მიესალმა ხალხს უხერხულად...

## გზაჯვარიდან

ამ დღეებში ჯოკია აბელ როგავას შეხვდა სამხატვრო გალერეაში და თავისი გასაჭირი უამბო. აბელი სკოლაში მიჰყვა.

იმვე ზაფხულში ჯოკია ლამხმა ათწლედი დაამთავრა და ცხოვრების ახალ გზაჯვარედინზე გავიდა.



არც მეცხრე ძმა ვარ, არც უფლისწული,  
 არც ფათერაკის მაძიებელი,  
 ერთად შევირღა და გახიზნულა  
 მზისა და მთვარის საბრძანებელი.  
 არც სიზმარში ვარ და არც ზღაპარში,  
 არც რაინდი ვარ, არც უცხო ელჩი.  
 არა მკიდია ზურგზე კაპარჭი,  
 არც მგზავრის კვერთხი მიჭირავს ხელში.  
 გზაზე აგდია ლოდის ნატეხი,  
 როგორც სასწორი მაღლის და ცოდვის, —  
 ზოგისთვის ძველად გამოსადგვი,  
 ზოგისთვის მხოლოდ სამარის ლოდი.  
 და შეუცნობი იღუმალებით  
 მიშინებს წუთი საბედისწერო,  
 რათა ცხოვრების გზა გასავლელი  
 გამიადვილოს ან გამიძნელოს.  
 და ყოვის წუთი, თითქოს წეროა,  
 რა ისმის ხმაში კარგი თუ ცუდი?  
 და რახან ლოდი უწარწეროა,  
 ზედ პირველ ასოდ სკუადება წუთი.  
 და იტვიფრება სხვა უფრო დიდი,  
 სხვა უფრო ძნელი წუთების მწკრივი.  
 ეს მათი ჯამი აღნიშნავს სიკვდილს  
 ან ბედისწერის არწიველ ყივილს.  
 ო, ღმერთო ჩემო, მომე იმედი,  
 ყმაწვილის რწმენა კეთილი ჰყავი.  
 ვერ დაჯვარდება მხოლოდ მცირედით,  
 მომე, ო, მომე ხვავი და ხვავი  
 ბედო, წყალობას თუ გაიმეტებ —  
 მოვეტანები ნადავლს ქორულად,  
 ერთად მომეცი ყველა სიკეთე,  
 ერთად, ერთბაშად და ერთდროულად!  
 საბედისწერო წუთს ვიჭერ გრძნებით  
 და ზელზე ვისვამ ჭიამაიად,  
 წუთო, შეისხი, შეისხი ფრთებად  
 ჩემი ჩურჩული და ლათაია,  
 ო, გიციობ, წუთო, ვარსკვლავთ ნათესავს  
 წუთო, მჭირდება შენი მისწობა,  
 დაგთესავ, წუთო, ფერში დაგთესავ  
 და სულში გაგზრდი მარადისობად.  
 გაფრინდი, წუთო — მფრინაო თესლო,  
 და ბედისწერის ჯადოსნურ ლოდზე  
 ის წააწერე, რაც უნდა შევძლო,

გაფრინდი... საგზლად გაგატან ლოცვებს...  
 სულში სხვა ჩქამი, სხვა განგაშია  
 და ფეხზე დგება გზა უჭკველი,  
 ო, რა მცირეა, რაც გამაჩნია  
 და რა დიდია მოსახვეჭელი!  
 მოდიდდა ეამი გამოფხიზლების,  
 მოდიდდა ეამი და გადმოდინდა.  
 მირაჭებევით დგება მიხნები  
 სხვა უფრო დიდი პორიზონტიდან.  
 დროა სხვა ფიქრის, სხვა აღზევების,  
 დროა ნამდვილად კანის გამოცვლის.  
 უნდა დავაგდო ძველი ჩვევები,  
 როგორც ნახშირი ტანისამოსი.  
 დამდგარა ეამი ახალი სმენის,  
 ახალი ყნოსვის, თვალის ახელის.  
 საღებავების ჯადოსნურ ენით  
 რამდენი რამე მაქვს გასამხელი!  
 უნდა მიაგნო შენს მოწოდებას,  
 როგორც დასაწერ წიგნის სათაურს,  
 რომ არ თრგუნაედეს სულს შეკოდება  
 და აღარ გქონდეს ბედთან სადაო,  
 უნდა ნამდვილი გზა გამონახო,  
 თორემ ცთომილი გზის გავლის შემდეგ,  
 სასტიკად იწვენვეს შენი ოჯახი  
 საბედისწერო ნაბიჯის შედეგს.  
 ... სალამურივით ვარ გამოთლილი  
 და ასაფრენად ფრთებაწურვილი,  
 მაქვს იმედები და მოლოდინი,  
 შექმნის და ძალვის დიდი წყურვილი.  
 ფუნჯია ჩემი ბედის ჭოგრიტი  
 და ჯადოსნური კვერთხი, ისარი,  
 ფუნჯიდან წვეთავს ნათილისმარი  
 მომავლის ხილვა, ფიქრი, სიზმარი,  
 ის ჯადოსნური გასაღებია  
 ბროლის კოშკების თუ ცხრაკლიტულის,  
 ფუნჯზე აცხია რაც მზმანებია  
 ნათყნებარი თუ წაითხული.  
 მე მაქვს სიზმრები მაცთუნებელი  
 და ვფურცლავ ბედის ჯადოსნურ რვეულს,  
 ყრმას მეოცნებებს, როგორც შეჭფერის,  
 როგორც შეჭფერის ღმერთების რჩეულს  
 დღეა, ღამეა — ჩემი ფრთებია,  
 რას არ მპირდება ხმა იღუმალი,

იმედები და სიზმრები  
ჩემი საწოლი და სასთუმალიც.  
ო, რა საშინლად დიდ დღეს შვევები,  
სიძნელები ო, რა დიდია,  
ჯერაც ბავშვობის ძველი ჩვევები,  
ვით საგზლის აბჯა ზურგზე მკიდია.  
თუ ჯადოსნური ფანდი არ იცი  
და თუ არა ხარ დალის ნაშობი,  
სულაც არ არის დღეს საკმარისი  
მცირე საგზალი შენი ბავშვობის  
თუ არ შექმენი ახალ სიცხადეთ  
ძველის ქაოსი მძიმე და რთული,  
თუ ახლებურად არ განიცადე,  
არ გაიაზრე შენამდე თქმული, —

შვერისხავს დევი, ჭურივით ჩაგფლავს  
და გაბზრიალებს ბედი ჩიკორად...  
გაქრება შენი ამოო ჯაფა, ბიზლირისხა...  
როგორც იყო და არა იყო რა...  
მზადა ვარ, სულო, შენი საჭმისთვის,  
შენი მორჩილი ყმა და მონა ჭარ,  
მორჩა...  
გათავდა... ველარ დავიციდი  
და მთროლოვარ ხელებს ეუწედი მომავალს.  
გზაჯვარედინო,  
ხელში ავიღებ,  
პალმის რტობად შეგკონაე დღესვე  
და გამარჯვების მაცნე თარიღებს  
თეთრ ჩიტებივით შეგიფრენ მხრებზე...

\* \* \*

დაიწყო სამხატვრო აკადემიაში მისაღები გამოცდებისათვის მზადების დღეები. ჟოკია ბევრს მეცადინეობდა... ვარჯიშობდა ფერწერაში. აბელ როგავა ზელოვნების მოყვარული გამოდგა, დიდად დაინტერესდა ახალგაზრდა შეგობრის შემოქმედებითი ბედ-იღბლით. ისინი კვირაობით ჭალაქვარეთ ვადიოდნენ. ტილოზე გადაჰქონდათ ციხე-ტაძრები, ხედები. ერთ დღეს მეცხეთა-არმაზის საინახები შემოიარეს.

მზე გამამძლარი გლეხკაცივით მთლად გაზარმაყდა,  
შუბს დაებჯინა და კიუტად დადგა არმაზთან.

ზურგზე ხორაგით, მოლბურტებით, და ანკესებით  
დავხეტიალობთ... წვიმითა და მზით ვიკემსებით.

დგება ალგეთი... თრიალეთი — მგლის სალკვევით...  
მოცურავს სული ისტორიის, სული ლეგენდის.

ორბივით ქუში ქონგურები თითქოს მისნობენ —  
მზეზე ჰკენკავენ სიჩუმეს და მარადისობას.

ხვეში ჩავედით და მივწექით  
ბიბინა მოლზე,  
სადღაც ბაწია ხეაკუნა სწავლობდა „მორზეს“.

მდინარის პირად ამოვიდა ვეება კაცი,  
მხარზე გაედო (როგორც ჩანდა შორიდან) ვარცლი.

კაცი ზვეიდან მოდიოდა, ხოლო ქვევიდან  
პატარა ბიჭი ლომა ხარებს მიიღენიდა.

უცებ ხარები, ბრვე ხარები (ო, საოცრება!)  
იმ კაცს როგორც კი გაუსწორდნენ, იქცნენ მოზერებად.

ვარცლი კი არა, თურმე დეკაკის ნავი მოჰქონდა,  
ნავი მოჰქონდა... ნავი ვარცლად ჩანდა ოლონდაც...



მერე მოზვრები, კუდბაწარა და შავხალემა,  
ნელ-ნელა ისევ გაიზარდნენ, იქცნენ ხარებად.

— ერიპაა, ამას ვისა ვხედავ, შენა ხარ კაცო?  
მაშ გამარჯობათ! — მოგვებულა მისი როხროხი,  
თითქოს ფესვებით ამოთხრილი დაფშუნეს გოროხი.

ნავი ჩამოდგა, მოიხადა პატარა ქუდი,  
რალა პატარა — ზორბა იყო, ვით ყვავის ბუდე!

— სად დამკარგე, ვერე უნდა, შე კაიკაცო?  
ე კარგი ბიჭი ვილა არი, რო აღარ მაცნობ?

...ნავის მთრეველი დევის ჩრდილი გაწვა მამონტად,  
თითქოს მამონტმა ლევენდიდან გადმოაბოტა.

მე კი მეგონა, თითქოს ტიტანმა  
მცხეთაში მწუხრი თავის ბეჭით შემოიტანა.

თითქოს დღე იყო იღუმალი, დღე რამ გრძნეული,  
პრეისტორიულ ქამთასელიდან ამოხეული.

გზაზე მანქანის გრძელი ჩრდილი წამოიშხვართა  
და მწვეარივით გაინაბა დევის ტიშკართან.

მანქანის კარი გაიღო და ვილაცამ რიხით  
მკერდზე ყოჩივით აიტატა ვეება ტივი.

— აბა, მიიღე, ძია სანდრო, სტუმრად მოდიან,  
აპანდე „გრემიც“ გამომართვი, სამი ბოთლია.

სულგუნე, დოში, შამაია და ხიზილალა  
ჭრელ ხურჯინიდან დასტა-დასტად გადმოილალა.

— აი, იცოცხლე, ქორწილებში მენახე მუდამ,  
სტუმარიც, ღმერთმა აგაშენა, ვეეთი უნდა!

მაინც ვინ არი, მითხარ ბიჭო, ვინ სტუმარია?  
— აბა მე რაფი, ძია სანდრო, ბევრნი არიან.

ერთი რუსია, სულ იცინის, ზორბა კაცია,  
ტანზე სახლვათ კაპიტანის ფორმა აცვია.

დიდს და პატარას ხელს გვართმევდა სულ სათითაოდ  
სვეტიცხოვლის და კანდელაკის ნახვა გვინდაო,  
ფრთხილად იყავი, ძია სანდრო, არ გეჭიდაოს.

გორში არიან, რაიკომის მდივანიც ახლავთ,  
სახლში დაუსვდი, ამოვლენ, მახლას...



ეს ვერეე... შენი სტუმრებისთვის რახან ვწალიწობ,  
ერთი თლაშოი ჩამასხი სამაღარიჩოდ...

\* \* \*

ასწლოვან მუხებს მოეფარა მზე სანახვეროდ,  
მუხების ჩრდილში წაიხეხესეთ სახელდახელოდ.

მასპინძლობაში წილი იდო ყველა ასაკმა,  
ვინც მოიხელთა ძია სანდრომ, ყველა დასაქმა.

— აბა, მიდითო, სულისმოთქმას აღარ აცლიდა...  
ზოგი საცერით გამოზრბოდა, ზოგი ვარცლითა.

შეიქნა ერთი ფაცაფუცი, აყალმაყალი,  
მიტქონდ-მოტქონდათ შამფურები, ჩაფი, მაყალი.

სახანკლე ქვაბი — მუზარადი ბაყბაყდევსა.  
არც ჯიხვის ყანწი, არც ჭინჭილა არ დავეიწყათ.

დღვის ჯალაბმა გაგვიფინა მოლზე ფარდაგი,  
სტუმრებმა თავის შესაქცევად ვთხოვეთ ჭადრაკი.

მანაც გადმოგვცა, როგორც თასი საალავერდე,  
ქვები არ გვეყო, აედექით და შაშით გავერთეთ.

და როცა შუკა  
გააშიშვლა მანქანის შუქმა, —  
ლიფსიტასავით ასხმარტალდა პატარა შუკა.

ფარების შუქმა აუქშია ხეებს ჩრდილები.  
ფოთოლდაფოთოლ ჩიტებივით ჩათვლემილები.

დანლიწა ღამე ყანასავით და გამოჩალა,  
საყდრის კრამიტი გამოზობლდა ვით კიბორჩხალა.

ლანდებმა მცხეთა გადატოპეს და გადასერეს,  
შუქი თვეზივით ჩუმად ხვედა ჩრდილის ფაცერებს.

შუქმა გადაჰკრა სვეტიცხოვლის გუმბათს ზემოდან,  
(მორწმუნეს ალბათ ანგელოზი ეგონებოდა).

და ქონგურები ბუებივით გაფუყულები  
ძირს ეცემოდნენ გალაგნიდან მოთიბულები.

რკინის ჭიშკართან აიზღარბა ჩრდილი ორდობის,  
გასხლტა კუნელი, აფართხალდა თითქოს ზოზობი.

მანქანის ფარებს ეხვეოდა ბოლქვი ქინქლისა,  
სინათლემ ღამე მიიწება და მიიგლისა.



როგორც ახდელ სკას დაეხვიოს ფუტკრის ღრუბელი,  
ისე მიაწყდა ავტომობილს იმა უბნელი.

ახალმოსულებს სურნელება მოჰყვათ დეკასი,  
დაწინაურდა, მიეგება სტუმრებს დეკაკაცი.

და მისი ჩრდილი სვეტიცხოვლის ჩრდილთან შებმული,  
ფარების შუქით გაზრდილი და გავეშებული.

მთელ მცბეთას ნთქავდა ვეშაპივით...  
მოდგნენ სტუმრები -  
ქათინაურით, გაოცებით თუ გახუმრებით.

— აი, ეს მესმის! — იძახოდა წითურ თმიანი, —  
ასეთი უნდა იყოს ყველა ადამიანი!

— ზარემბო, აქეთ! — დაიძახა გაოცებულმა, —  
— შეხე, ილია მურომეცი გაცოცხლებულა!

ეს ხელისგული კი არა და ლომის ტორია!  
ეს ტორი ქმნიდა ქართულ ტაძრებს და ისტორიას!

ბეჭებია თუ სვეტიცხოვლის გალავანია,  
ანდა ვკითხულობ ქართულ ზღაპარს ყარამანიანს?..

— „გთხოვთ ... გაიყანით, ბატონებო, შურკა ზარემბო!  
ნომრის ჩვენება ცირკის ვარსკვლავს არ ეზარება...“

ცირკის ჟონგლერი, პიანისტი და აკრობატი!“  
(ახალადა მივხვდით ნასგამები იყვნენ ცოტათი).

ზარემბოს მზერა, მიხრა-მოხრა ქქონდა ანგლური,  
ახმახი იყო, ფოცხვერივით ტანდაბარული.

ზურგზე მოვდო თავდაყირა თეთრი გიტარა,  
წვიმაში თოფს რომ ატარებენ სწორედ იმგვარად.

სწორედ ის იყო, დაილოცა მისი მარჯვენა,  
ეს მან მიშველა პარაშუტით ცაში გარჩენილს.

ზარემბო ჩვენსკენ წამოვიდა კატის ნაბიჯით,  
და რალაკათი წააგავდა ცირკის აფიშას.

მოხუცებს ქუდი მოუხადა პატივისცემით,  
ქალებს კი ხელზე ეამბორა რიდიტ და კდეშით.

შომიბახლოვდა, გამიღიმა და მორიდებით  
გამომიწოდა მათრახივით გრძელი თითები.



ის იყო ხელი გაუწოდებ, რომ უცაბედად რალაცა ცივმა შემოჩქვიფა და დამაფეთა,

გონს მოვეგე და რასა ვხედავ — როგორც ჭინჭილა ხელში სიმინდის მოხარშული ტარო მიჭირავს!

წამიც და დამფრთხალ მცნეთელებში ატყდა ხარხარი, მაგრამ ზარემბოს სხვაც ელოდა მსხვერპლი ახალი.

იმ ერთს ურცხვად რომ ჭიხვინებდა ველურ ულაცად ჯიბეებიდან „ბუბლიკები“ ამოულაცა.

ეზოში მიჯრით ფეთქებოდა სიცილის ნალმი და მძლავრი ექო დგაფუნებდა გალაუნის გაღმა.

შურკამ ვისკენაც წაიწია, ყველამ უგანა, უგანა წინას აქეზებდა, წინა — უგანას.

ბოლოს ვილაცა გამოუხტა მთლად თითის სივრცე, ზარემბომ იმ დღას ორი თითი წაავლო ცხვირზე,

დააცემინა და ბიჭუნას ნესტოებიდან ხურდა ფულების ჩქერალები გადმოვკიდა.

ბაღლებს პირები დაებჩინათ შოშიებივით და საცოდავ ბიჭს შესწქეროდნენ შეშინებულნი..

თითქოს ყველანი უზარმაზარ ქვევრში ვისხედით, — დევის ბუხუნი იდგა ისეთი.

მაშინ, რომ მარტი ყოფილიყო — სინედლე ხეთა, ალბათ იმ ხორხოსს მოჰყვებოდა კვირტების ხეთქვა.

და რომ მდგარიყო შემოდგომის მელანქოლია, გახშირდებოდა ფოთოლცვენა, ასე მგონია.

თამადამ სთხოვა და აბელიც დადგა თარჯიმნად; უხერხულობას როგორც იქნა გადაგვარჩინა.

ბევრი შეისვა, მხოლოდ ორი დარჩა ფხიზელი, შურკა ზარემბო და მასპინძელი.

„მეკრძალეზაო“, არა სვამდა ღვინოს პირველი, დეეს აბა, როგორ დაათრობდა ძეხორციელი.

ხოლო სკვორცოვმა, ცოტა ღვინით რომ შეთამამდა, თავისუფალი სადღეგრძელო სთხოვა თამადას.

„მე, მეგობრებო, ოდესელი ვარ,  
მეზღვარი ვარ და ზღვის მკვლევარი,  
აფხაზეთში ვარ მთელი წელია,  
ფშაგ-ხვესურეთში — თვე-ნახევარი.  
ვეჭებ და ვიკვლევ უძველეს ეგრისს,  
დროს ბიბლიაზე უფრო ადრინდელს,  
ხმელთაუფც ვსწავლობ ანტიურ ძეგლებს,  
საქმე რომ უფრო გამიაღვილდეს.  
დიოსკურიის ფსკერზე ჩავდივარ  
და ერთი მუჭა მზე ჩამაჭეს ბნელში,  
შავი ზღვის ფსკერზე ისე ჩავდივარ,  
როგორც წარსულში მომავლის ელჩი.  
ვნახე სვანეთი და ხვესურეთი,  
გზა ლალუმებით განაკაფარი,  
თითქოს ნახატი ვნახე სურათი,  
გაქვავებული ვნახე ზღაპარი,  
გადავიხედე ქონგურებიდან  
და დავინახე ქვეყნის სიკეთე,  
თითქოს წარსული მხარში შემიდგა  
და მომავალში გადავიხედე.  
არ განმიცდია ჯერ სიუცხოვის  
უხერხულობა არავითარი,

ყოველ ოჯახში მოკეთე ვპოვე  
და მასპინძელი სულით მდიდარი  
მინდა, ვადიდო ქართველი გლეხი  
მაოტებელი მტერთა-ფარსაგთა,  
ვინც თურქულ მთვარეს ნალივით გრეხდა  
და სპარსეთის ღოშს ხანჯლით პარსავდა.  
ვინც აწუნებდა ციხე-გალავანს,  
გლეხი იყო და დარჩა დევგმირად,  
ციხის ღობის და ტაძრის ბალავარს  
ჩაედუღაბა და ჩაგვირა.  
მტერს არა, მაგრამ სიკვდილს გაექცა,  
ტაძრებს ფრესკებად შემოგვეღდა.  
ქვა აამღერა და ქვა გაღვესა,  
კაცი იყო და იქცა ლეგენდად  
ჩემს ბუნებობაში სიზმრად მრავალი  
ფანტასტიური ჩვენება მდევდა,  
სიზმარი ახდა, ანდა ზღაპარი —  
საქართველოში სტუმრად ვარ დევთან.  
ომში გმირობა სახელს გიქმნიდათ  
და ფალავანიც ბეჭრი გყოლიათ.  
ერთი ფურცელი ჩემი წიგნიდან  
მინდა, მიუძღვნა მცხეთელ გოლიათს...

\* \* \*

დილით ავდექი, გადავიდე მხარზე მოლბერტი  
და არაგვისკენ გზა გადმოვფერდე.

მზით ბრიალებდა ბროლოვანი ცის ოკვანე  
ყვითლად, ჟოლოსფრად, ყაყაჩოსფრად, სხივმოკრიალედ,

მზემ ლაქვარდები გააჭაღა, გააჩახჩახა  
და დაამსხვრია ფრინველების სტვენა-ჭახჭახად.

ფეხქვეშ ბალახზე ხრაშუნებდა დამსხვრეული ცა,  
ნაპერწყალს ყრიდა ბლუჯა-ბლუჯად ნაში ურიცხვი.

მამ, დავიწყოთო, ჯვარმა თავი დამიკანტურა  
და მეც მოვხაზე მზისდისკოში ტაძრის კონტური,

მზე მოწვეთავდა მისხალ-მისხალ სველი ფუნჯიდან  
და გადახატულ ღრანტეებში ღამეს ჭმუჭნიდა.

შუადღით როცა მზეს ტკვერავდა ჭიჭინობელა  
და ქვების სიცხემ ქვამუხების ჩრდილშიც მობერა,

წყლისპირ ხეებში შეჭაქანდა თეთრი მანქანა  
და წკირ-ჩინჩხვარი ააკრიახ-ააჭაქანა.

სულ ოთხნი იყვნენ... გადმოლაგდნენ გაოფლილები  
და წყალში სიციხე ჩაიბერტყეს კმაყოფილებით.



ფეხთ დაინადეს და შეტოპეს წყალში წელამდე,  
მე კი თბილნარის საფარიდან ჩუმად ვზვერავდი.

წყალი დაკირეს... და ცოცხალი შეპკრეს ჯებირი...  
წყლის ბინადარნი ამოცვივდნენ ბრმა ელვებივით.

არაგვი ერთი ამობრუნდა მკედარი თევზივით  
და ამოპყარა კალმახები მზით მოთესილი.

ერთმა ქამარი შემოისხნა... მოიშლიდა,  
ფეხები წყალში ჩაუშვა და იქცა ტირიფად.

მალე ჰამაკი გამობებს იმ ერთისათვის  
და ისიც მძიმედ ჩაესვენა დათვის სიზანტით.

სანამ ყინულის ნატეხებით საესე სათლიდან  
სუკს დაითრევენ, სანამ, ვინმე შამფურს გათლიდა,

წყალში ჩაუშვეს, როგორც მომცრო წყალქვეშა გემი,  
მთელი ტომარა „წინანდალი“, „ბორჯომი“, „გრემი“.

და მწერს და სიცხეს ქვეროებით უგერიებდნენ.  
და მერე ღველფზე, რა განელდა ცეცხლის ღულუნი,  
ირმის ცურივით აშიშხინდა ჭყინტი სულგუნი.

ბროწეულიდან გამოსწურეს მზე და დაისი  
და სადღვრძელო ბულბულივით ყანწზე დაისვეს.

ახსენეს წმინდა სახელები მეფის თუ ხალხის,  
ვინც ღირსეულად ატარებდა სკიპტრას და მახვილს,

დალოცეს ჯვარი, ანანური, სვეტიცხოველი,  
დიდი მგოსნები — ერის დიდი შეციხოვნენი.

ვიყოთო კარგი მოქალაქე, მეზურე, მეშინდვრე,  
სათაყვანებელ წინაპართა ღირსი მემკვიდრე.

ყანწში ჩათალეს დაისივით სსივებგინგინა  
სპარსული ხმლებით აჩეხილი მზე კრწანისისა.

ბოლოს თამადაც ადღვრძელეს — სუფრის უფროსი,  
როგორც უფროსი მიწიერის და საუფლოსიც.

ალმზრდელი მამა, სიამაყე... ლომი, პანტერა,  
დიდთან დიდი და პატარასთან მუდამ პატარა.

დიდი ვაჟაკი, ბრძენთა ბრძენი, დიდი ქართველი —  
ჩვენი გედონ „ბარნაბიჩი“ — ტრესტის მმართველი.

ბახუსის სული გადმოსული საესე ჯიხვიდან  
მოკვდავთა გვამში აირია და აჭიხვინდა.



მალე „დიდ ქართველს“ თვითვეული ისე ღოშნიდა,  
თითქოს თოვლჭყაპი ჭყლობინებდა სველ კალოშიდან.

მიდგნენ და მოდგნენ,  
ნიძლავს სდებდნენ და ტყვიებით ამსხვრევდნენ ბოთლებს

თავი გადასდო „ბარნაბიჩმა“ ვაჭკაცობაზე,  
თითქოს ეშმაკი შეუჩნდაო მთვრალს და ქინიანს,

თავზე იდგამდა ცარიელ ბოთლს ოინბაზივით  
და გაჰყვიროდა, მესროლეთო, არ მეშინია!..

ბოლოს თხილნარში შემოვიდნენ... უცებ შემნიშნეს,  
და მომხვნიენ როგორც რაზმი მოიერიშე.

მოლბერტს მიცვივდნენ, მოწიწებით ჭვრეტდნენ სურათებს,  
თითებს იფშვრეტდნენ, საქმიანად თვალებს წკურავდნენ.

ახედ-დახედეს, მცოდნის თვალით ასწონ-დასწონეს,  
მაგრამ დაასწრო „ხაზეინმა“ თავის ამფსონებს.

— მდაა... ხელოვნება, მგლობრბო, რჩეულთ ხვედრია,  
ყველაზე დიდი შემოქმედი თვითონ ღმერთია!..

სუფრასთან ძალად მიმიყვანეს... მახრჩობდა ბრაზი.  
ხოტბას მასხამდნენ და ფუნჯივით მისვამდნენ ფრაზებს.

ყანწს მაძალბდნენ, მიირთვიო, ნუ დაიმორცხვე,  
— აბა, დაულოთ! ახალგაზრდა შოპენს სიცოცხლე!

მსხვერპლს მოითხოვესო ხელოვნება, — იყვილეს ოთხთა,  
ჯიხვი წვალეებით დასცალეს და კისერიც მოტყდათ...

მზემ მძიმე ტორი ჩამოადო ბეჭებზე მთვრალებს,  
ყაყანი, ცოხნა გადავიდა ხვრინვაში მალე.

ზოგმა ხის ჩრდილი წაიხურა, ზოგმა ლაბადა,  
სოლო პამაკში, როგორც იქნა, ჩაწვა თამადა,

თითქოს ობობა აფუთფუთდა აბლაბუდაში  
და პეპელასებრ აცახცახდა შავი ულვაში.

მალე მოიჭრა აბელი და დამტყუა კიდვეც,  
ჩემს საძებნელად დაჰყოლოდა მდინარის კიდეს.

რა ნახა ოჩოკოშებივით მიყრილი ხალხი  
გაშრა, გაფითრდა, ჩაულამდა თვალეები ნაღვლით.

ყველას აართვა საბუთები აბელ როგავამ  
და „ხვრეტდა“ ფოტოაპარატით დაუსოგავად.



\* \* \*

მურკამ იმ ღამით გვისახსოვრა ცირკის აფინა  
და სახვალიოდ ყველა ცირკში მიგვიპატიჟა.

მცხეთიდან დევი ჩამოვიდა ჯალაბ-მოყვასით,  
პატარა ბიჭი მასრასავით ესვა ჩოხაზე.

ანტრაქტზე იგორ სტეფანეს ძე თვითონ გვეახლა  
და ერთმანეთის სადღეგრძელოც შევსვით ხელახლა.

და შემოვიდა ცხენშებმული დიდი ფურგონი,  
ზედ ისხდა დასი ჭინკებივით რქიან-ურქონი —

აკრობატები, ჯამბაზები, ჟონგლიორები  
და... აკუწული ცისარტყელის დადგა მორვეი.

ისროდნენ რგოლებს და იქნევდნენ ფერად არშიებს.  
მურკა ზარემზო იმდენ ხალხში ვერც გავარჩიე.

გამოხდა კაცი ფაფარივით თმაწამოზრდილი,  
ჭვითკირა კუნთით აბელტილი და დაკორძილი.

მედლებით იყო შეჭედილი და შევერცხილი  
და სინათლეზე უბრწყინავდა თვეზის ქერცლივით.

მაჯები ჰქონდა შეხვეული ტყავით და თასმით  
და ვირას მადლა რომ შეტყორცნიდა,  
კუნთები ისე ასხდებოდა მკლავებზე, ტანზე  
თითქოს კუები ამოძვრნო სილის ბორცვიდან.

ლომკაცმა მუშტი შეიხვია და ერთი დარტყმით  
ლურსმანი ლურსმანს მიაცილა... მოჭედა ლარტყი.

მაჯაზე რკინა დაიგრისა სახელდახელოდ,  
ძალაყინისგან გაიკეთა რკინის საყელო.

ბოლოს ლომკაცმა მთელი დასი ფურგონზე შესვა,  
ოფლად გაღვრილი ჰგავდა წვიმით მორღვეულ ფრესკას.

ცხენი გამოხსნა და ხელნაზე თმით გამოეხა.  
ცირკში უბრალო ჩურჩულიც კი შეწყდა დროებით.

ნამდვილად იყო სასწაული ჯერ არ ნახული,  
კაცმა თავის თმით გაათრია ტვირთი ზღაპრული.

აღფრთოვანებას ვერ მალავდა მცხეთელი დევი  
და ხალხს აფრთხოდა ბუბუნით და ხელების ქნევით.

მოვიდა იგორ სკვორცოვი და შურკა ზარემბო

— ხვალ საგასტროლოდ შავი ზღვისკენ მივემგზავრებით“

საქართველოს  
საზღვაო მუზეუმი

• • •

ცბელა... ასფალტი დაკენკილა წვრილი ქუსლებით,  
თბილისელები თაკარა მზეს ვეღარ უძლებენ.

და ახლომახლო სოფლებიდან გლეხებს ჩამოაქვთ  
სიცხით დათენთილ კაცისათვის რაც საამოა:

ქანტი ტყვეობის, ხაფსიანი კბოდე-ფშანების  
მაცოცხლებელი სიგრილე და ლორთქოვანება.

ცვრიანი ხილით და ცივ-ცივი მაწვნის ქილებით  
ჩამოაქვთ თოვლის და სინედლის განწყობილება.

მე კი დილიდან ვეფარები მთაწმინდის უბეს,  
სადაც სიგრილე ჰგავს ფოფინა, უჩინარ ღრუბელს.

ვკითხულობ, ვსწავლობ, ვიმახსოვრებ... ისევ ვკითხულობ,  
ვიშვნებ ცოდნის ფუძე-კედელს, ვით კირითხურო.

• • •

...ბუბა შინ დამხვდა... დაფაცურდა, ეცა განჯინას,  
ხმელი ხილი და არყის ბოთლი აღმოაჩინა.

წვრილად ეუამბე შემთხვევები ბოლო დღისანი,  
როგორ შევედი სტადიონზე, ვინ გავიცანი.

ეუამბე, რატომ დამითხოვეს გუშინ სკოლიდან,  
თვალის დახატვის ოინიდან, რა გამოვიდა.  
ან პარაშუტით რანაირად დარჩა ჰაერში  
მერე ძირს ვისი წყალობით და როგორ დავეშვი...

კარი გაიღო

და ნამდვილად ამებნა თავგზა —

ზაქივით ზორბა დობერმანი შემოიზღაზნა,  
უკან შემოჰყვა და დივანზე დაემგა დინჯად,  
თორმეტოდე წლის ყმაწვილი — „დედიკოს ბიჭი“  
ცირკის პონივით ბუთქუნა და ნაპატიები  
ნამდვილი კერბი — მომვლულების და გადიების.

— რეჟს გაიცანი !

— სტუმარს თათი! — უბრძანა ბუბამ



რეჟისი ატოტდა... ცალი ტორით დამიწყო ბუბნა,  
 მერე მომეშვა და მზის გულზე გადაიტანა  
 გასისინებულ სელაპივით ლაპლაპა ტანი.  
 — კარტში მოვიგე, — მითხრა ბუბამ, — ჰა, როგორია?  
 ძალია, მაგრამ ლომის ტორი გამოჰყოლია,  
 — ეს კი მეზობლის ვაჟკაცია, და ჰაი გიდი,  
 (ბუბამ ბიჭუნას დაბაბისქვეშ ამოსადო თითი).  
 — ნახეთ, „პატარა მამელუკში“ რა ბდღვირს აადენს.  
 ვაპ, რა მაჯების პატრონია... ნახე, აპანდე!  
 ბიჭი სიამით წამოწითლდა, თავი ჩაჰკიდა  
 და ნეკა თითით უხვრხულად ფხვკდა მაგიდას...  
 — ჯერ, მართალია, მძიმეა და ვერ ჭიშავს ყირას,  
 სამაგიეროდ იჯაბნიებს ფუთიან გირას,  
 მგონი არსენას ბავშვობაშიც არა უჭირს რა,  
 ორიანებმა თუკი საქმე არ გაუჭირა.  
 აბა, ოროსანს კინოფილში ვინ ათამაშებს  
 თუნდაც, ჯოკია, მუხლმოდრეკით ვთხოვთ მამაშენს...  
 და ასე უცბად რეჟისორის შვილად გაესაღდი.  
 მე პაპიროსი ამოვიდე...  
 — ჩქარა, ასანთი!  
 — ბუთხუზ, ასანთი! — ბუბამ ყმაწვილს უყვილა  
 — მოემსახურე! რეჟისორის შვილთან გაქვს საქმე!  
 და იმ წუთიდან მლიქვნელური ყაღბი დიმილი  
 „მამელუკს“ პირზე ადნებოდა მწიფე ხილივით:  
 ბუბა წამოდგა — „აბანოში“ წავიდეთ მოდი.  
 ბუთხუზ, წალოში შეინახე ხილი და ბოთლი.  
 — ბუთხუზ, ღრუბელი!  
 — ბუთხუზ, სარკე!  
 — ჯაგრისი!  
 — ჩანთა!

ყვიროდა ბუბა და თავად კი იცვამდა ზანტად,  
 ჩქარა! კარგი ხარ! რეჟის მიხედვე, გაიყვა გარეთ,  
 ჩინ-მედლიანი წინსაფარიც ჩააცვი ბარემ,  
 ოღონდ შინ დამხვდი, ქურჩისაკენ ნუ იცქირები  
 სულ დაზუთხული დამახვედრე გაკვეთილები!  
 მოიცა, ბარემ გადამისვი ფეხზე ხავერდი,  
 აბა, წავედით!

ძაღლმა კბილებში დაიკავა აბანოს ჩანთა  
 და ახლა უფრო საშიში ჩანდა.  
 ქურჩაში ბუბას შევეკითხე — ერთი მითხარი,  
 რატომ აწვალე იმ ბავშვს-მეთქი ანდა ვინ არი?  
 — ოო, ვე ვირგლა შინაურთა ჯალათი გახლდათ,  
 მაგრამ რას იზამ, კრავია ახლა!  
 ჯალათი იყო, ჰო, ჯალათი და რა გგონია,  
 ჩემი ბავშვობა მასთან მართლაც მონაგონია.  
 ეს მე ვიკისრე მისი აღზრდა — მეურვეობა  
 და მიზანს ვალწევ არა ჩხუბით, ძალმომრეობით,  
 არამედ ისე, სულ უბრალოდ, ქება-დიდებით,



რაც მთავარია „მამელუკში“ თამაშს ვპირდები,  
ორებს ასწორებს... ვაგარჯიშებ, ცურვაზეც დამყავს,  
დავარბენინებ ძაღლთან ერთად ალმა და დაღმა,  
თუმცა საშინლად ზარმაცია, თანაც თავნება,  
რეკსს თუ გაატან, სადაც გინდა, გაგვეზაუნება,  
ამწვლა ქოფაკს მოვლა უნდა, ჩემო ჯოკია,  
ჩემი იყოს და სხვამ მიხედოს ის არ სჯობია?  
მოკლედ, მსახური მე და რეკსმა მუქთად ვიშოვეთ,  
ბებიამისი კი ავედრებს ჩემს თავს ღვთისმშობელს.  
მის ლამაზ დედას ჩემი ფასი არ ჰყავს არავინ,  
მმართველი მამაც შექლისება დაუფარავად...

• • •

წიგნებს ვუზივარ.. ვუკირკიტებ თარიღებს... თემებს  
და იღვიძებენ რა ამბებიც ხსოვნაში თვლემენ.

სხვენზე მოვიწყვე სამუშაოდ ერთი ოთახი,  
მხარზე ქუჩა რომ მიბჯენია როგორც კონდახი.

შუშაბანდები, ფანჯრები და სასურავები  
დაღამებამდე მზის მონეტას ასურდავებენ.

ვაზავებ ფერებს... მოთხერილი მაქვს თითი ხუთივე,  
აგდია დაფა ფარშევანგის მოჭრილ კუდივით.

სარკმელთან მტრედი გაივლევებს მზით შეფერილი —  
ჩემი ქალღმერთის — ჩემი მუზის თეთრი ხელივით.

როცა ქარია, ჭადრის ხეებს როცა აციებთ,  
მტრედები ჰგვანან კარგი დარის პროკლამაციებს...

წიგნებს ვუზივარ... ათას რამეს ვიწერ, ვინიშნავ,  
ვფურცლავ წიგნებს და დღეებს ვფურცლავ... ვდგები  
ფინიშთან...

## კენჭიროზე გავოლილი ხა

### მოთხრობა

შუა აზიაში მოგზაურობიდან დაე-  
ბრუნდი თუ არა, პირველი რაც გავიგე  
— ზაზა ჯანდიერის სიკვდილი იყო. მას  
შემდეგ დიდი ხანი გავიდა და აღარც  
მახსოვს ვინ შითხრა. დღეისთვის კი ის-  
ეთი შთაბეჭდილება შემომჩნა, თითქოს  
ქუჩის ერთ-ერთმა სადარბაზომ ყრულ  
ამომძახა ეს ცნობა. მცირე ხნით გოგ-  
ნებული შევდექი, მაგრამ დაბნეულობამ  
და გოგნებამ მალე გამიარა და იმა-  
ვე წამს ვიგარქენი, რომ ამ ცნობამ სრუ-  
ლიად არ გამაკვირვა — თითქოს წინა-  
თაც ვიცოდი ანუ მზად ვიყავი გამეგო  
ზაზა ჯანდიერის სიკვდილი. ამიტომ აღ-  
არც ის გამკვირვებია, რომ ზაზა მოკვდა  
სწორედ ასე — სრულიად შემთხვევით  
და ჩვეულებრივად. თუმცა, თუ ჩავუ-  
კვირდებით, ყოველ შემთხვევითობასა  
და ჩვეულებრივობას ფატალურობისა  
და აუცილებლობის ელფერიც ხომ და-  
პკრავს.

— ხეზე აღიოდა. ასელის დროს ტო-  
ტი მოსტყდომია...

— თუ ფეხი დაუსხლტა?

— ხეზე?

— აბა, კაცო! ბედი არ გინდა?!

შუა აზიაში გამგზავრების სწორედ  
წინა დღით ვინახულე ზაზა და წამოსე-  
ლა შევეთავაზე. მაგრამ წინათ მოგზაუ-  
რობისა და ეგზოტიკურ სანახაობათა

მოყვარულმა, საუბარი მკვახედ შემაწ-  
ყვეტინა:

— დამიჯერე, ზანზიბარში კატების  
დასათვლელად მთელი სამყაროს შემო-  
ვლა არ ღირს. თუმცა შენი საქმისა შენ  
უკეთ იცი... რომ ჩამოხვალ, აუცილებ-  
ლად მინახულე, — თქვა და ყოყმანით  
დასძინა: — ან იქნებ ვერც მინახულო?

— რატომ, აუცილებლად გესტუმრე-  
ბი.

— ჰო-ჰო, ყველა როგორ დარწმუნე-  
ბულია! ფიქრადაც არ მოუვა, გზაზე  
ეგებ ფეხი დამიციდესო, — ამ სიტყვებ-  
ზე რაღაც უცნაური ღიმილი გადაეკრა.

— ძალიან არ მამშვიდებ? გამომშვი-  
დობებაც ასეთი უნდა, რაღა! — ნაძალა-  
დგვად გავიციინე, რადგან მისი ზმაც,  
იერიცა და ქცევაც გაღიზიანებულაც  
იყო და გამაღიზიანებელიც.

გვიანი ზაფხულის დღე იწურებოდა.  
ჩრდილიან ქუჩებს მივყვებოდი და თუ-  
მცა წინასწარ არაფერი გადაამეწყვიტა,  
უკვე ვიცოდი სადაც უნდა წავსული-  
ყავი. მე უნდა წავსულიყავი ჯანდიერ-  
თან ქალაქგარეთ სახლში, მენახა ზაზას  
უმცროსი და, და გამეგო უკანასკნელი  
ცნობა, — ის უკანასკნელი სარწმუნო  
სიტყვა, რომელიც საბოლოოდ განმარ-  
ტავდა ჩემს ფიქრებში აღრეულ ვარაუ-  
დებს. მანამდე კი ჩემი მყარი ადგილ-  
სამყოფელიდან ვცდილობდი საამქვეყ-

ნოდ დაემშვიდობებოდი ზაზას იმ ადგილებთან, სადაც სტუდენტობის წლებში, — პაპისეულ „აგარაკზე“ გადასახლებამდე უყვარდა ზეტიალი: კაფე „სამაისთან“, სამხატვრო გალერეასთან, მდინარის პირა ბაღთან... და როგორც ყოველი ადამიანი, ასეთ დროს გრძნობიერად ზედმიწევნით გაფაჭიზებული, ვისხენებდი ყოველივეს, რაც კი მასზე ვიცოდი.

...ლევან ჯანდიერი, ზაზას პაპა, სახელმძღვანელო კომპოზიტორი იყო. მისმა პიროვნებამ უნებურად საშვილიშვილოდ გაჩნაზღვრა ოჯახის ბედი და ზურაბ ჯანდიერიც, ზაზას მამაც, იმავ მუსიკის გზას დაადგა. მხოლოდ თავის მუსიკალურ ნიჭს მინდობილმა, ნებიერად აღზრდილმა და ახალგაზრდობაშივე რაღაც სხვა ავადმყოფობის მიზეზით ნერვოზულად დაავადებულმა, ვერ შესძლო სახელმძღვანელო წინაპრისათვის მხარი აეხა. იქნებ ფარული შურისა და სიბრახის, ან იქნებ უკმაყოფილებისა თუ რაიმე სხვა მიზეზით, ქალაქიდან პროვინციაში გადასახლდა ცოლთან ერთად. ზაზა კი დედ-მამასთან, ბატონ ლევანთან და ქალბატონ ელისაბედთან დატოვა. იქ ზურაბ ჯანდიერი მალე გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე, ცოლს მიუტოვებია იგი — როგორც ამბობდნენ, ბოლო წლებში ზურაბ ჯანდიერს ლოთობისათვის მიუყვია ხელი და დამეგბსაც ქუჩებში ათევდა, — საგასტროლოდ ჩასულ მომღერალს წაყოლია და გადაკარგულა. მეორე შვილიც, პატარა ნაზი გოგონა, რომელსაც ქალბატონმა ელისაბედმა „სათბურის მცენარე“ შეარქვა, ნაცნობის ხელით ჯანდიერთა დიდ ოჯახში გაუგზავნია. მართალია, ზაზასთან სახლში იმ დროს ხშირად დავიარებოდი, მაგრამ მისი მშობლებისა და გამზრდელების ურთიერთობისთვის თვალყური არ მიდევნებია. ჯერ კიდევ არ ვიყავი იმ ხნის, როდესაც კაცი საკუთარის განსაჭერტად გარეშე ადამიანებს უყვირდება ფარულად. ასე რომ, არც არაფერი ვიცოდი და, არც არაფერი

მასსოვს. ღმერთმა უწყის, რამ აქედან ეს გაეკეთებინა? დედისგან ამგვარე სიქსასტიკის გამოვლენა აქამდე შეუძენარება. მხოლოდ აღვნიშნავ: ზურაბ ჯანდიერის ცოლი გათხოვებამდე მოცეკვავე იყო და წარმოშობით ლეკი... ბუნდოვნად თუ წარმოვისახავ იმ ორ ადამიანს. ერთის მხრივ: მხრებში ოდნავ მოხრილი, კეთილად თუ ნაღვლიანად მომღიმიარი კაცი, რბილი უღვაშებითა და გუგებში ღრმად ჩამწყვდეული ორი ლურჯი ლიცლიცა წვეთით; მეორეს მხრივ: მკაცრად ამოლტილი ქალის ტანი, და მეტისმეტად ფართოდ გახელილი, — თითქოს შეუკავებელი აღზნებისა და ბრძანების თუ გაოცების გამოხატველი დიდრონი შავი თვალები. რომელს ჰგავდა უფრო ზაზა? ვგონებ, ორივეს და, თან არც ერთს.

მეტისმეტად გულკეთილი, მაგრამ ცხოვრებით გააძაყებული, სახელსა და დიდებას მიჩვეული ქალბატონი ელისაბედი, — რომელიც სიცოცხლეზე მალა აყენებდა ოჯახის ღირსებას და კაცში მხოლოდ პიროვნებას წამდა, — დაჟინებული სიყვარულითა და მფარველობით ცდილობდა ზაზას ბუნებრივი მონაცემები („ტალანტი“, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე), მისთვის სასურველი, ამადლებული გზით წარემართა, ოღონდ ეს მოხუცი ქალი, ცხოვრებისეული პირობების გამო დროისაგან მოწყვეტილი, მხოლოდ საკუთარი წარმოდგენებით და ოცნებებით გართული გამზრდელი აღმოჩნდა. ალბათ ამის გამოც განუვითარდა ზაზას ისეთი თვისებები, რომლებსაც უახლესი მეგობრებიც ეჭვის თვლით ვაფასებდით.

ესეც უნდა ითქვას: ქალბატონ ელისაბედს ზაზასთვის ძალა არ დაუტანებია, თავიდანვე განსაზღვრული ჰქონოდა მომავალი. მართალია, მუსიკის მასწავლებლები პატარაობიდანვე მიუჩინა, მაგრამ დაბეჭივებით არ უნერგავდა მუსიკოსობის სურვილს. ალბათ შვილის უიღბლობით იყო დაშინებული. თვითონ ზაზაც თავს არ აკლავდა მუსიკას

და არც მასწავლებლები იყვნენ მაინცა-  
დამაინც კმაყოფილნი. მისი ყოველ-  
დღიური ვარჯიში როიალთან უფრო იმ-  
პროვიზაციას ჰგავდა; ნაწარმოებსაც  
ნაუცბადევად სწავლობდა.

მგონი, მეშვიდე კლასის გამოსაშვებ  
კონცერტზე მოხდა ეს ამბავი:

ზაზა და მე კულისებში ვიდევით.  
აღუღებებისაგან ადგილზე ვცქმუტავდი,  
ხოლო ზაზა მშვიდად გამოიყურებოდა;  
თითქოს უღიმოდა კიდევ სცენის შუა-  
გულში მდგარ როიალს.

— არ გეშინია? — ყურში ჩავჩურჩუ-  
ლე.

— სრულიადაც არა.

— სტყუი.

— რატომ უნდა ვსტყუოდე. პირიქით,  
მშვენიერ გუნებაზე ვარ. წარმოგიდგე-  
ნია, სონატის მეორე ნაწილის დასაწყისი  
თავიდან ამომვარდა! მგონი დასა-  
სრულიც, ვერაფრით ვერ გამიხსენებია.  
რაღაც მსგავსი მელოდია თავში მიტ-  
რიალებს, — ბუზი ლოყაზე რომ დაგ-  
აჯდება და გილიტინებს, აი ისე. სასა-  
ცილოა არა?

— რა არის სასაცილო!

მან ნაძალადევად გაიცინა და მითხრა:  
— ეეჰ, არაუშავს. მუსიკა მაინც არ  
არის ჩემი საქმე. იმას კი არ ვამბობ, არ  
მიყვარს-მეთქი. ძალიანაც მიყვარს, ოლ-  
ონდ, ჩემი საქმე არ უნდა იყოს...

სათქმელი არ დაემთავრებინა, რომ  
მისი გვარიც ამოიძახეს. ზაზა სწრაფად  
წავიდა როიალისაკენ, დაჯდა, ხელებით  
მუხლებს დაეყრდნო და უჩვეულოდ  
დიდხანს შეყოვნდა. თითქოს იმ წამებ-  
ში უნდოდა რაღაც გადაეწყვიტა. მგონი  
შუბერტის სონატას უკრავდა. პირველი  
ნაწილი უშვედომოდ შეასრულა და,  
როდესაც მეორეს შეუდგა, ნაწარმოე-  
ბის თემა მოულოდნელად შეიცვალა.  
ის უკრავდა რაღაც სხვა, ყველასთვის  
უცნობ მელოდიას და თან ისეთი სახით,  
ვითომ ყოველივე წესისამებრ ხდებოდა.  
მხოლოდ ერთხელ, მესამე ნაწილში და-  
უბრუნდა ისევ შუბერტს. დარბაზში  
მსხლმთავან ბევრი ვერაფერს მიხვდა.  
მხოლოდ მასწავლებლები აჩოჩქოლდ-

ნენ. რომ დაამთავრა, კანტიკუნტად ტა-  
შიც გაისმა. მეგონა, ზაზა მორცხვად  
კუდს ამოიჭებდა სცენიდან; მაინც კი  
კანტიკუნტა ტაშივეც მადლობის ნიშნად  
მდაბლად დახარა თავი, თითქოს დამცი-  
ნავი მჭერაც გადაავლო პირველ რიგში  
მსხდარ მასწავლებლებს და ღინჯად გა-  
მოემართა ჩემსკენ.

ახლა იმასაც ვეჭვობ, ეს „წარმოდგე-  
ნა“ წინასწარ ხომ არ შეამზადა?

იმ კონცერტის შემდეგ მართლაც  
დაანება მუსიკას თავი. ლაზლანდარა  
ბიჭებს აპყვა და მთელ ქუჩაში უსაქმუ-  
რად დაყიალობდა. თღონდ ასეთი ცხო-  
ვრებაც დიდხანს არ გაუგვრძელებია.  
უნივერსიტეტში შესვლას წინ, რამდე-  
ნიმე თვით ადრე, წიგნების კითხვაში  
ჩაეფლო და ფილოსოფიით დანტერე-  
სდა. თუმცა იმ გასულ მცირე დროშიც  
უამრავი ნაცნობები გააჩინა. ამის მიზე-  
ზი კი ის იყო, რომ ყველა, ვინც ერთ-  
ხელ მაინც შეხვდებოდა ზაზას, აუცი-  
ლებლად ივრძობდა რაღაც უნებურ  
სიახლოვეს მისდამი. მეტიც, ზაზას ყო-  
ველი ახალი ნაცნობი უსიტყვოდ ემ-  
ორჩილებოდა იმ ენერჯიას, რომელიც  
მისი საუბრიდან, ქცევიდან და თვით მი-  
სი სხეულიდანაც მოჭარბებულად აშუ-  
ქებდა. ემორჩილებოდა და ბოლომდე  
რჩებოდა მისი მიზეზმიუგნებელი გავ-  
ლენით დატყვევებულნი. ამას ზაზას გა-  
რეგნობაც უწყობდა ხელს: ბრტყელი  
ბეჭები, მუხლებში ოდნავ გაღუნული  
ფეხები, ნაზი და ფერმკრთალი სახის კა-  
ნი, ფართო შუბლი, კრაველივით მზზი-  
ნავი, მოკლე შეჭრილი ქერა თმა და  
ჭროლა თვალების როგორღაც მწყურვა-  
ლი გამოხედვა ჰქონდა. მეგობრების  
წრეში სიცოცხლის მოყვარულ, თვით-  
კმაყოფილ და ბედნიერ ამხანაგად ითვ-  
ლებოდა. და რამდენად მოულოდნელი,  
საოცარი იყო ჩემთვის ის ამბავი, რომე-  
ლიც მართალია მოგვიანებით, მაგრამ  
მაინც აღმოვაჩინე: უამრავი საბუთის  
შემდეგაც ძნელად დავიჯერე, რომ ზაზა  
მთელი თავისი ყრმობისა და ჭაბუკობის  
მანძილზე, თურმე გამუდმებით წვლო-

ბდა სიმარტოვისა და ერთი შეხედვით უსაგნო მწუხარებისაგან. გარეგნულად დალაგებული მისი ცხოვრება, თურმე, აღსაყვებელი უკმაყოფილებისა და ბუნდოვანი სურვილების უტყვე საათებით.

მახსოვს, უნივერსიტეტის მეოთხე კურსის უკანასკნელ სემესტრს რომ ვამთავრებდით, გამოცდების დასასველებლად კაფე „სამაიაში“ გადავწყვიტეთ ჩაგვესირონა. გზაში ზაზა როგორღაც უგუნებოდ იყო, თითქოს რაღაც აწუხებდა და ვერ გამოთქვდა. ბოლოს, როგორც იცოდა ხოლმე, მოულოდნელად მომიბრუნდა:

— იცი, ხანდახან ასე მეჩვენება, რომ ყველაზე სწორი არსებანი ამ ქვეყნად გადაგვარდნენ.

ზაზას საერთოდ უყვარდა სიტყვების უცნაურად ხმარება. „ლამაზის“ მაგიერ „უხეს“ იტყოდა, „კეთილშობილის“ ნაცვლად „სწორს“, ხოლო „მახინჯის“ ნაცვლად — „მრუდეს“.

— ყველაზე სწორი არსებანი ბრონტოზაურები და დინოზაურები იყვნენ, რომლებმაც არ იცოდნენ რა არის შეგუება.

— ვითომ მართლა ასეა?

— რა თქმა უნდა, ყველაზე შემგუებლური არსება — ყველაზე არასწორია.

— მერღვა, ჩვენ რომლებს ვეკუთვნით?

— ვითომ ვერ ხვდები?! აღამიანი ხომ ყველაფერს ეგუება. ეს კი არა და, უკანასკნელი ცოცხალი სხეული სწორედ მისი საბით წარმომადგება... აი ნახავ, მომავალში ის ყველაზე დიდ შემგუებლურ, საცოდავ სიმტკიცეს გამოიჩენს. თვით მინერალებზე დიდ სიმტკიცეს... აი ნახავ, ასე თუ არ იქნება! — იმგვარად დასძინა, თითქოს რომელიმე ჩვენგანი მართლა მოესწრებოდა უკანასკნელ დღეებს.

იმ ზაფხულს ბ-ნი ლევანი და ქ-ნი ელისაბედი თითქმის ერთდროულად გარდაიცვალნენ. ზაზა განსაკუთრებით

ქალბატონი ელისაბედის გარდაცვალებამ შეაცბუნა. მართალია, გარეგნულად არაფერს იმჩნევდა, — გასვენებამდე დაძაბული, ტუჩებმოკუმული იდგა და მხოლოდ დამსწრე კაცის გამოფიტული ცხერით მისჩერებოდა კუბოს ჩასადებად გამზადებულ ხაროს, — მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ იმ მოხუცმა ქალმა ზაზას საკუთარი ცხოვრების ნაწილიც თან წაიყოლა და დაბნეულობასთან ერთად, უმწეობაც შეაგრძნობინა.

არ ვიცი, ორმა შემთხვევამ, — თუ ჩემთვის უცნობმა კიდევ სხვა მიზეზებმა გამოიწვიეს ის უეცარი ცვლილება, რომელიც მის ცხოვრებაში მოხდა.

დასაფლავების ერთი კვირის თავზე, ზაზა პაპისეულ ქალაქგარე სახლში გადაბარგდა და დიდხანს აღარ გამოჩენილა. ძველი მეგობრები და ნაცნობები შორიდან თუ ვიგებდით მის ამბავს. თვითონ არ გვიხსენებდა და არც ჩვენ ვიწუხებდით თავს. საკუთარი საფიქრელ-სადარღებელიც გვეყოფნიდა. იმის შემდეგ ქალაქში მხოლოდ ერთხელ, რაღაც საყიდლებზე ჩამოსულს შევხვდი და ვკითხე, უნივერსიტეტს თავი რატომ დაანებე-მეთქი.

— აბა, ფილოსოფიურზე რა მინდოდა?! მე და ფილოსოფოსი?! ამ ამბავს სრულიად სხვანაირი აზროვნება სჭირდება, ჩემო ბატონო.

მისმა პასუხმა ცოტა არ იყოს გამაკვირვა. ზაზა საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა და ფილოსოფიური ფაკულტეტის პროფესორებიცა და სტუდენტებიც მოუთმენლად ელოდნენ მის დაბრუნებას. ამიტომაც გაბრაზებულმა შევუთხრე:

— მაშ, რაღას შედიოდი?

— ახლა თვითონაც კი არ ვიცი. ალბათ მაინტერესებდა, პატივცემული ჭეუისკოლოდები რას ფიქრობენ კაცზე და ცხოვრებაზე. მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, მათსავით განსწავლის ან ქადაგების ნიჭი მქონდეს.

მისმა ავტობიულმა, დამცინავმა პასუხმა კიდევ უფრო გამაბრაზა.

— გინდა მართალი გითხრა?!

— თქვი.

— თვითონაც არ იცი, რა ვინდა...

ესა და ეს.

— ამის ცოდნა არც ისე იოლია, ჩემო ბატონო. ერთი იმაზე თუ გიფიქრია, რომ უფრო ხშირად აღამიანებმა არ იციან რა უნდათ, და ისე ცხოვრობენ. უბრალოდ, რაც ხელთ მოხვდებათ იმას ჩაებლაუკებიან. თანდათან კი ზედებიან, რომ ყველაფერი მთლად რიგზე ვერ ბრძანდება. მაგრამ ძალა არ ჰყოფნით ცხოვრება შესცვალონ და არსებობაზე ზრუნვაში პიროვნულ მიდრეკილებებსა და მთავარ სურვილებს ახშობენ. ჰო, ნუ გეცინება! მე ხშირად შემინიშნავს ვაქარი, რომელსაც პოეტის გამოხედვა აქვს და პოეტი, რომელსაც სახეზე ყაჩაღის ან დაბლიდარის ღიმილი უთამაშებს.

— ლამაზი პარადოქსია...

— ლამაზი აქ არაფერია, პირიქით, ფრიად ულამაზო... განსაკუთრებით მეორე შემთხვევა. მე კი არ მინდა, ერთ-ერთი მორიგი ულამაზო შემთხვევა გავხდე. გასაუბრია?!

ამ სიტყვებზე სასწრაფოდ გამოემშვიდობა და გზა მარტოკამ განაგრძო.

„აგარაკზე“ ორი მოხუცი ნათესავი უვლიდა ზაზას. მაგრამ ერთადერთი ვისაც ახლოს იკარებდა, მისი დაი — ელისო იყო. ეს პატარა გოგონა, სიფრიფანა ტანთან შეუსაბამოდ შერწყმული გრძელი ხელებითა და ფართო მხრებით, — რომლის დაწვამალ სახეს დიდი სქელტუჩებიანი პირი ირიბი ღიმილივით სერავდა, — თავდავიწყებით იყო შეყვარებული თავის ძმაზე და წამითაც არ შორდებოდა. წინათაც შემინიშნავს, როგორი აღტაცებით უსმენდა ზოლმე მის ლაპარაკს, როგორი ალერსით ათვალისწინებდა მის გარეგნობას. მე ელიოსს აუცილებლად მახინჯად ჩავთვლიდი, ისე უცნაურად ნათელი თვალები რომ არ ჰქონოდა. სხვა განსაზღვრა არც კი შემიძლია მოუფიქრებო მის თვალს, რომლებიც უნებურად გიზიდავდნენ, გბოჭავდნენ და შემბარავდნენ.

გზიბლავდნენ კიდევ. ზოგჯერ იჭვიანო სწივითაც გადამკრავდა, როდესაც დავინახავდი, რა გულაბდილო სიყვარულით ეფერებოდა ზაზას.

მთელი წელიწადი ისე გავიდა, ერთმანეთი არ გვენახა. და აი, შობის წინა დღეებში ზედიზედ ორჯერ დანესიზმრა ზაზა: ორივეჯერ ქარაფის პირას იდგა თვალუბრაფეთებელი, მკერდგაღებული, გამშავებული, — უფსკრულსკენ გადაქანებული ჯიხვისთვის ორივე ხელი რქებში წაველო და უკან ექაჩებოდა. ამ სიზმარმა უნებურად შემაწუხა, თუმცა გარკვევით ვერაფერს მიეუხვდი, და მაშინვე გადავწყვიტე მომენახულებინა.

ლევან ჯანდიერის „აგარაკი“ პატარა უსახელო ტბის პირას იდგა, ქალაქიდან ოცდაათიოდე კილომეტრის დაშორებით. იქ იშვიათად ვყოფილვარ, მაგრამ მაინც კარგად მახსოვს გზა, — თუკი შეიძლება გზა ეწოდოს ოღროხოლორო დაუტყეპნავ შარას, რომელიც მთავარი ტრასიდან იხრებოდა, თანდათან ვიწროვდებოდა და ადგილ-ადგილ იკარგებოდა გარეული თხილნარის ბუჩქებში.

ჰყავით გაფლენილ გარდვიარდმო მთებს ბურუსი დასწოლოდა. ტალახით გაგლესილ ასფალტზე საბურავები სრიალებდა, ფანჯრები უმაღლეზარებოდა ქუჩუკიანი შხეფებით; მგზავრობა მეტად მოსაბეზრებელი და ხანგრძლივი გამოდგა. მაგრამ ყოველივე ეს მაინც ვერ აქარწყლებდა ჩემს ხალისიან განწყობილებას, რაც ზაზას მალე ნახვით იყო გამოწვეული. თუმცა, მეგობრის უბრალოდ ნახვის გარდა, ცნობისმოყვარეობის ეინითაც ვიყავი შეპყრობილი, რადგან არა მარტო მომნატრებოდა ზაზა, არამედ მაინტერესებდა კიდევ მისი ნახვა. პირველად სწორედ მაშინ შეენიშნე, რომ ზაზას ვუყურებდი და შევხაროდი ისევე, როგორც ბოტანიკოსი რაიმე იშვიათ მცენარეს.

როდესაც ტბას მივუახლოვდი, მოსაწყენად და უიმედოდ გაძარცვული მენვენა გარემო. ისედაც პატარა ტბის თი-

თქმის ნახევარი შამბნარლელიანს დაეფარა. თბილისარის წვრილი ტოტები ნეკრისის ქარიანი თითებივით ვადახლართულყვანენ; მალალი ხეების უბეებში ჩაყუქული ყვავის გამქვართლულივით შავი ბუდეები უტიფარი სიშიშვლით მალიზიანებდა. ტბისპირა ალგების მიღმა პირქუშად აღმართულიყო ჯანდიერთა ნაცრისფერი სახლი. ამ მკვრივად აგებული, ისედაც დიდრ შენობის კედლები და მარცხენა მხარეს დატანებული კოშკი ბურუსს ერწყმოდა და ტოვებდა ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს კიდევ უფრო მეტად იყო განვრცობილი და წაგრძელებული. ვათვალიერებდი მოუვლელ ეზოკარს, მარტო შენობას, მის მძიმე კედლებს, სველი ხეების გაშაგებულ შორებს და მეჩვენებოდა, რომ მთელი ეს მიდამო გარემოცული იყო მხოლოდ მისთვის კუთვნილი განსაკუთრებული ჰაერის გარსით, რომელიც ზამთრის მომპალ ბალახებიდან თუ უძრავი ტბიდან იხრჩოლებოდა, — ხაშმიანი, მთვლემარე, სულისშემხუთველი ჰაერის გარსით. სურათი და ისლათ შემბოზრული სახლიც უფრო ძველი, გამოფიტული მეჩვენებოდა, ვიდრე სინამდვილეში უნდა ყოფილიყო. ეს წამიერი, ბუნდოვანი შთაბეჭდილება გულს მიმიძიმებდა, მანაღვლიანებდა. მერე ძალით განვიქარევე ეს უხიაგი განწყობილება, — გაზაფხულზე ეს ადგილები საუცხოო სანახავი იქნება—მთქი, გავიფიქრე და ჭიშკარს მივაღდექი.

კარი ელისომ გამიღო. გაუკვირდა ჩემი დანახვა, როგორღაც თავშეკაცვებულად გამიღიმა და მითხრა:

— რა კარგია, რომ გაგვიხსენეთ... ძალიან გამეხარდა.

მისი მუდამ ფართოდ გახელილი ცისფერი თვალები თუ არა, ალბათ ვერც ვიცნობდი, ისე გამოცვლილიყო. თვრამეტი წლის გოგონას ნაცვლად ჩემს წინ იდგა ზედმეტად თავდაჭერილი და თავაზიანი ქალბატონი, რომელმაც მზა დიმილი შემავება და ხვეულ კიბეებზე წამიძღვა მეორე სართულისკენ. ცოტა არ იყოს, თავი უხე-

რხულად ვიგრძენი. მიუხედავად ამისა, გზაში ვცადე ძველებურად გავხუჭვებოდი და, როგორც მეგობრის უმცროსს დას, მივეფერებოდი. მაგრამ ყოველი ჩემი ქათინაური კედელს მიყრილი ფეტვივით ცვიოდა. უცებ გამიელვა, რომ ელისო ვილაყას მაგონებდა, ვილაყ კარვად ნაცნობ ადამიანს; მაგრამ ვის, — ვერასგზით ვერ გავიანბრე. კიდევ უფრო უხერხულად მაგრძნობინა თავი მთელს სახლში გამჯდარმა ნესტმა, სიცივემ და გარშემო მდგარმა ძველებურმა ავეჯმა. თითოეული კუთხე როგორღაც მოკლებული იყო მყუდროებას და გაცრეცილი ნივთები დათბებული მოწყენილობით განმსჭვალულიყვნენ.

მეორე სართულზე რომ ავედი, ყრულ მომესმა როიალის ხმა. ხალიჩადაგებული დერეფანი ისე ჩავიარეთ, არსად გავჩერებულვართ. დერეფნის მარცხენა თავში ისევე კიბეს მივადექით და მე მივხვდი, რომ ზაზას ოთახი სახლზე დატანებულ კოშკში იყო მოთავსებული. ასვლასთან ერთად დაკერის ხმა ძლიერდებოდა. კიბე ვიწრო კართან შეწყდა და როდესაც უკანასკნელ საფეხურზე შევდექი, ელისომ მწთხრა:

— მე ჩავალ ვახშაშს მოგიმზადებთ, — და მარტო დამტოვა.

როდესაც კარი შევადე და ზღვრბულზე გადავაბიჯე, მალაქქერიან დარბაზში აღმოვჩნდი. სხვა ოთახებისაგან განსხვავებით, აქ საკმაოდ თბილოდა. გამქვართლული ვისოსებით შემორკალილი ბუხარი გიზგიზებდა კუთხეში. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ მისი ალი ანათებდა ოთახს, რადგან ვიწროდ წაგრძელებულ ფანჯრებზე, — რომლებიც იატაკიდან იწყებოდა და თითქმის ჭერს ებჯინებოდა, — მწვანე ხავერდის ფარდები იყო ჩამოფარებული. აქა-იქ კრიტეებში ზოლებად თუ ატანდა ზამთრის საღამოს მჭრქალი შუქი. გრძელ მაგიდაზე და აბრეშუმშემოცვეთილ სავარძლებზე წიგნები, ნოტები და მუსიკალური საკრავები ელაგა. ერთი შეხედვით, მთელი ეს მოწყობილობა დიდი ხნის წინათ მიტოვებულ ადგილსამყო-

ფელს მოგაგონებდათ. მაგრამ როგორ-  
ღაც შეურევბული და ჩვეულებრივ  
გარემოსთან შეუსაბამო იერი დაჰკრა-  
ვდა ყველაფერს. სანამ თვალი ბინდ-  
ბუნდს შეეჩვეოდა, ზაზა ვერსად დაეი-  
ნახე, დაკვრის ხმა კი უკვე სულ ახლოს  
მესმოდა. ოდნავ დაბნეული ვიდექი და  
ყურს ვუფდებდი მუსიკას, რომელიც  
აშკარად ეხამუშებოდა ჩემს ყურთასმე-  
ნას. ეს იყო უფრო რთული, ვიდრე სა-  
სიამოვნო ხმები. ბოლოს, როგორც იქ-  
ნა მოვლანდე მოპირდაპირე მხარეს რო-  
იალთან მჭდარი ზაზა და კარი განგებ  
მიეჯახუნე.

— ელისო, რა ამბავია?! აკი ვითხარი  
ათამდე ვიძუშავებ! — დაკვრის ხმა შე-  
წყდა და ზაზა სწრაფად, ბრაზიანად  
შემობრუნდა.

— ბოდიშს ვითხოვ, ბატონო ჩემო.  
— მინდოდა მეხუმრა, მაგრამ ამ სახლ-  
ში თავიდანვე ისე უხერხულად ვგრძ-  
ნობდი თავს, რომ მხოლოდ ესდა და-  
ესძინე, — როგორადაც უცნაურად არ  
უნდა გეჩვენებოდეთ, ეს მაინც მე ვარ.

მეორე წამს ბინდბუნდში ღიმილმა  
თეთრად გაიელვა და გულზე მომეშვა.  
დაუკითხავად მიეუახლოვდი ფანჯარას,  
ფარდა გადავწიე. ზაზა თვალების  
ფშვინტით ჩემსეკნ წამოვიდა. ერთი შე-  
ხედვით, ვითომ გახარებულიც იყო,  
მაგრამ მისი ხელის ჩამორთმევაცა და  
კოცნაც ნაძალადევი, ხელოვნური მეჩ-  
ვენა. მალე ეს შთაბეჭდილება გამიჭრა,  
და მაინც რიდითა და შეშფოთებითაც  
შეგყურებდი. მასში თითქმის სრულიად  
ვეღარ ვცნობდი ჩემი ბავშვური ოინე-  
ბის მონაწილეს. ამას თავიდანვე კი ვე-  
ლოდი, — ველოდი იმ წუთიდან, როდენ-  
საც ელისოს შევხვდი. ოდნავ თუ ელ-  
ისოს გარეგნობაში სიმტკიცე და თავ-  
დაჰქერილობა იხატებოდა, ზაზა შეუბო-  
ვრად დაძაბული, უხილავი ზღუდის წი-  
ნაშე მბორგავი კაცის შთაბეჭდილე-  
ბას ტოვებდა. სახის ნაკეთები წაგრძე-  
ლებოდა, მხრებში ოდნავ მოხრილიყო  
და მასთან შედარებით ყმაწვილ კაცად  
გამოვიყურებოდი. ყველაზე მეტად  
სწორედ ამან ჩამისახა გულში რიდისა

და შეშფოთების არეული შეგრძნება,  
კიდევ უფრო გამაყვირვა მისმა ლაპარა-  
კმა და ქცევამ. საუბრის დროს წაბრწყამ-  
ხან მოწყენილობა, ხანაც მხიარულება  
აიტანდა. ასევე სწრაფად ეცვლებოდა  
ხმის კილო, — დროდადრო ძალზე მჭა-  
ხე, ენერგიულად თვითდაჯერებული და  
უხეში ხდებოდა, ზუსტად ისეთი მჭახე  
და ხორხისმიერი, როგორიც ხელიდან  
წასულ ლოთებსა და ჰაშიშის მწველებს  
აქვთ მძაფრი ალტყინების წამებში. წი-  
ნადადებსაც დაუკავშირებლად წამოი-  
სროდა ხოლმე და თითქოს ძალით ცდი-  
ლობდა ყოველი ახრი ახირებულად  
წარმოეთქვა, თავიდანვე რამდენჯერმე  
მისაყვედურა, სავსებით დამივიწყეო:

— თუმცა დაეიწყება ხომ აღამიანთა  
ყველაზე საჭირო სენია, — სიცილით  
დასძინა, — არაფერი რომ არ გვაეიწ-  
ყდებოდეს, არც არაფერს ახალს შევქ-  
მნილით. უფრო სწორად, აღამიანი იმი-  
ტომ ქმნის ახალს, რომ ძველი ავიწყდე-  
ბა. ასე არ არის? — და მაშინვე მოიწ-  
ყინა.

ჩვენ გაკვრით გავიხსენეთ ძველი საე-  
რთო მეგობრები და ნაცნობები. ვცდი-  
ლობდი ქალაქში მომხდარი წერილმა-  
ნიც კი მომიყოლა. მის საკუთარ ცხოვ-  
რებაზე კი განგებ არაფერს ვეკითხე-  
ბოდი. ოთანში მიმობნეული საკრავები  
და ნოტები ისედაც მიმხელდა ზაზას  
ახლანდელ საქმიანობას. მხოლოდ რო-  
დესაც სალაპარაკო გამოგველია, თით-  
ქოსდა ზერეღედ სიტყვა მუსიკაზე ჩა-  
მოვავდე. ასეთივე ნათამაშევი წინას-  
წარგანუზრახველობით ჩაერთვევინე  
მაგნიტოფონი და საკმაოდ დიდ ხანს  
ყურს ვუფდებდი თუა საუკუნეების  
საგალობლებს. ჩანაწერი რომ დასრუ-  
ლდა, ზაზამ უკებ თინიანად მითხრა:

— ხომ მაღალია?! ასევე მაღალია ყო-  
ველი დიდი მხატვრული ნაწარმოები.  
მაგრამ მუსიკა... — წამით შეყოვნდა  
და უკვე ღიქრში გართულმა თითქოს  
თავისთვის განავრძო, — მუსიკა ეს  
უკვე არის საგანი თავისთავად თუ თა-  
ვის თავში. სწორედ ის საგანი, რომელ-  
საც პატივცემული ფილოსოფოსი მხო-

ლოდ მიღმა სამყაროში ხედავდა, — რეალური და გრძნობადი მოვლენა. თუმცა სრულიად დამოუკიდებელი იმისგან, თუ რას შთააგონებს ან რა გრძნობებს აღუძრავს მსმენელებს. მსმენელი თავად უნდა მიეახლოს მას და თავად უნდა მისწვდეს, დიახ, მისწვდეს, როგორც ჰაერში გამოვიდულ უსხეულო ფანტომს... აბა, ამასაც მოუსმინე.

ის სწრაფად მიუჯდა როილს და ბახის ერთ-ერთი სულია დაუკრა, შეუჩერებლად გადავიდა სეზარ ფრანკის ნაწარმოებზე, რაველის რამდენიმე ნაწევრს დაუერთო. ბოლოს ვაგნერის მელიდიები აყვებდა „პარსიფალიდან“ და თან ლაპარაკი განაგრძო:

— ხედავ რამხელა სხვადასხვაობა, რამდენი შესაძლებლობა! დღეს კი ზოგიერთისთვის ყოველივე ამოწურულია. განა ამის ამოწურვა შეიძლება? რა თქმა უნდა, არა. და იცი რატომ? — შუაგზაზე უცხად შესწყვიტა დაკვრა და მომიტრიალდა, — სწორედ იმიტომ, რომ თავისთავად არსებობს, როგორც სიმბოლო, როგორც ნიშანი... მისი ანარეკლი წამიერად გაივლევებს სულში და სამუდამოდ ჩარჩება. ის გაეღვება კი ბრწყინვალეა, თვალისმომჭრელი, სამინლად თვალისმომჭრელი.

— მხედველობიდან ერთი რამ გამოგჩა, ზაზა?

— რა?

— მუსიკის არსი და ის, თუ რას გამოხატავს...

— სისულელეა! ეს ხომ მტკნარი სისულელეა! გამოხატველობა მუსიკისთვის არასდროს ყოფილა ნიშანდობლივი თვისება და თუ ეინმეს ხანდახან ეჩვენება, რომ რაიმეს გამოხატავს, ეს მხოლოდ ილუზიაა. გამოხატველობაო?! ჰე, ეს ხომ მუსიკის რაღაც დამატებითი, გარედან შეტენილი თვისებაა.

ზაზა ისე მოულოდნელად ადგლდა, რომ დავიბენი. ერთი პირობა გადაწყვიტე შეკვამათებოდი, რადგან მისი მსჯელობიდან გამომდინარე მუსიკას ყოველგვარი ცხოვრებისეული მნიშვნე-

ლობა ეკარგებოდა. მაგრამ ისევე გაჩუმება ვამჯობინე. თანაც შევატყვე, რომ თვითონაც პირდაპირ თუ არა, მოიარებოდა მინც მიმახვედრებდა ამ უცხადური მოსახრების მნიშვნელობას. მართლაც ზაზა წამით შემომამჩერდა, ალბათ სახეზე შემატყუო დატყვება და ჩაიციო:

— ეიცო, უთქმელია ცვლენები, რაც გაეკვებას, გგონია, ჩემი ნათქვამი მუსიკის საჭიროებას აქარწყლებს... ცდებით, დღეად ცდებით! სწორედ რომ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მუსიკა მიმაჩნია! უბრალოდ იმიტომ, რომ ეს ერთადერთი სფეროა, რომელშიც ადამიანი მყოფადს ახორციელებს. ნუ გიკვირს. ეს ასეა. ვერც მხატვრობა, ვერც პოეზია და მითუმეტეს ბელეტრისტიკა ამას ვერ ახერხებს, ერთადერთი მუსიკაა, რომელსაც ძალა შესწევს დაიჭიროს წამი და მოამწყვდოს თავის მარწუხებში. იქნებ გადაჯარბებულადაც მოგეჩვენოს, მაგრამ მუსიკას ყოველივე არსებულის მოწესრიგებაც კი ავალია... ის აწესრიგებს თვით უწყვეტ კავშირს ადამიანსა და დროს შორის. ახლა გამიგე? მიმიხვდი რატომ გითხარი, რომ გამომხატველობა ეს მისი მგორე, მესხეთე თუ მეთებარისხოვანი და გარედან მიკერებული თვისებაა?

შე არაფერი მიოქვამს. გაუნძრევლად ვიჯექი და თვალს არ ვაშორებდი ზაზას. მთელი ტანით შემართული ის ახლა გაცილებით უფრო მაღალი მჩვენებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. ვულის სიღრმეში უწინდებურად არ მჭეროდა, რასაც მიმოტყციებდა; მაგრამ სიტყვებს ისეთი შთამბეჭდავი, ყოველგვარი წინააღმდეგობის უგულვებელმყოფელი ენით გამოსატყვამდა, რომ უნებლიედ ვეთანხმებოდი.

— მუსიკის განხორციელებისათვის კი ერთი აუცილებელი პირობაა საჭირო. კერძოდ, განსაზღვრული აგებულება. დიახ, წესრიგი, ზუსტი, კანონზომიერა წესრიგი, რადგან თვით ის სიმბოლო თავის თავში ზედმოწვევით მოწესრიგებულია... როდესაც მიღწეულია გარკვეული წესრიგი, ნაწარმოები დამთავრე-

ბულად შეგვიძლია ჩავთვალოთ. სწორედ ეს მწყობრი ავებულება იწვევს განსაკუთრებული ხასიათის ემოციებს, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს ყოველდღიურ შეგრძნებებსა, და ცხოვრებისეულ განცდებთან. მუსიკით გამოწვეული აღტაცება ყველაზე უკეთ ჩვენს იმ სულიერ მდგომარეობას წაგავს, როდესაც რაიმე ბრწყინვალე არქიტექტურულ ნაგებობას შევყურებთ. გოეთემ აკი თქვა კიდევ: არქიტექტურა — ქვადატყული მუსიკააო. თუ ეს ასეა, — და მართლაც ასეა, მაშინ მუსიკა ხომ ბგერადატყული არქიტექტურა იქნება.

ჩემთვის უკვე თითქმის ყოველივე ნათელი გახდა. მაგრამ მაინც მინდოდა ბოლომდე ჩავწვდომოდი და დავრწმუნებულიყავი. ცნობისმოყვარეობამ ამიტანა, ველარ მოვითმინე და პირდაპირ ვკითხე:

— შეგიძლია რამე დამიკრა?

— რა? რაველი, ვაგნერი, ბახი თუ კიდევ რომელი? — ისე მომიგო, თითქოს კითხვას ვერ მიმძებნა, — ამ ერთი წლის მანძილზე თითქმის ყველა გადავღემა...

— თვითონაც იცი.

ზაზა ჩაფიქრდა. მერე უცებ მომიბრუნდა და მტკიცედ მიპასუხა:

— არა, ჯერ არ შემიძლია. ჯერ ის არ არის, რაც მინდა. მხოლოდ ვარჯიში, მკურნალები მივინებები... მაგრამ ეს ხომ მუსიკა არ არის. აი, როდესაც მივალწევ იმ სიმალეს — თუკი მხოლოდ ბავშვური ლილინისათვის არ ვარ განწირული, თუკი დადგება დრო და მომველინება ის ძალა... ყველაფერი ხომ იქიდან მოდის, იქ იმალება, გესმის, მხოლოდ იქ! — ძლიერ გასაგონი ჩურჩულით დაასრულა და გაბრაზებით, ნერვიულად ზევით აიშვირა გრძელი, ძვლიანი საჩვენებელი თითი.

სწორედ ამ დროს კარი გაიღო და ზღერბლზე ელისო გამოჩნდა. ხელში დიდი ძველებური სინი ეჭირა, რომელზეც ვაშში იყო შემოწყობილი. ფიქრში ისევ გამიღვავა იმ მსგავსებამ რომელმაც პირველ შეხვედრისას დამა-

ბნია. მაგრამ ახლა ეს მსგავსება სრულიად აშკარად წარმოძვსახა: ელისო ჰკავდა ქალბატონ ელისაბედს! მის სახეზე თითქოს ქალბატონი ელისაბედის თბილი, მოალერსე და იმავე დროს ქედ-მალღური ღიმილი კრთოდა; და იმავე ქალბატონი ელისაბედის მსგავსად, დაბალ მრგვალ მაგიდაზე გვიწყობდა სუფრას.

— საუბრის გარდა ვაშშითაც რომ გავმასპინძლებოდით სტუმარს, არ იქნებოდა ურიგო.

მის დანახვაზე ზაზა გამხიარულდა, სახეც კი გაუბრწყინდა და ხუმრობით იმავე კილოთი წარმოსთქვა:

— ჩემი დაიკო, როგორც ყოველთვის ბრძნულად მეტყველებს!

სუფრასთან ელისო გვერდით მომიგდა და მეკითხა:

— ზაზამ ვითხრაო, მუსიკას რომ დაუბრუნდა?

— არა, ასე პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ ისედაც მივხვდი. გულში უკვე ეუსურვე კიდევ წარმატება. მის გამარჯვებაში დარწმუნებულიცა ვარ თუ...

— თუ — რა?

მართლაც და ეს „თუ“ რაღა შუაში იყო? მართალია, როგორღაც უნებურად წამომცდა, მაგრამ მაინც რა ინიღბებოდა ამ თუნდაც უნებური „თუ“-ს მიღმა? თუ გული დაუდო? სისულელეა! ჩემს თვალწინ ამ იქვის არავითარი საბაზი არ არსებობდა. პირიქით. ან თვითონ ელისო ასე უცბად და დაკინებით რატომ ჩამეკითხა? თუ რა? თუ გაუძლო და გადაიჩინა? მაგრამ რისთვის უნდა გაეძლო? რას გადაიჩინოდა?

— თუ — რა? — ხელმეორედ გავიგონე ელისოს კითხვა.

— არაფერი, ეს ისე, ტყუილა ვთქვი. ყველაფერში იმდენად დაქვემდებარებული ვართ, რომ ეს „თუ“ ხშირად უადგილოდ წამოგვეცდება ხოლმე, სრულიად უაზროდ და უმიზნოდ, — ჩემი დაბნეულობა რომ არ შეენიშნა, შევეცადე, ლაპარაკი ხუმრობაში გადაეტანა, — ეს სენი პატივცემული პამლეტისაგან გადაგვეღო. ჰო, ნუ გეცინებათ, — თუ-

მცა ვხედავდი, რომ არც ერთი მათგანი არ იცინოდა, — მან ეს „თუ“ პირდაპირ გვიანდერძა. „ყოფნა თუ არ ყოფნა?“ აქ ყოფნასა და არყოფნას ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც იმ იქვს...

— ესე იგი...

— არავითარი ესე იგი, მოდით დავლიოთ.

იმ დღეს გვიან წამოვედი ზაზასგან. დაძმამ ჭიშკრამდე გამაცილა და როცა მანქანაში ჩავეჯექი, ელისომ ჩამჭურჩულა: „კარგი ტენება წშირად გამოიართო, ზაზას ხომ ძალიან უყვარხარო. ძველი მეგობრებიდან მხოლოდ თქვენ გახსენებთ“... აუცილებლად-მეთქი, დავპირდი და მანქანა დავძარი.

მჭრტალი ნისლი ჩამოწოლილიყო და ანთებული ფარებითაც გზას ძლივს მივიკვლევდი. ტბის იქითა მხარეს რომ მივადექი, მანქანა შევაჩერე და ნაპირთან ვაღმოვედი. მძიმედ, უძრავად იწვა ტბა და ლუღიანებიდან ბაყაყების გაუთავებელი ყიყინი ისმოდა. გარშემო არაფერი ჩანდა და სიცივისგან შემაგრეოლა, ზაზასთან მუსიკაზე საუბარმა და წითელმა ლენომ ოდნავ კი გამახალისა, მაგრამ მინც უწინდებურად რაღაც მაწუხებდა. ამ ტბის პირას, სიბნელეში, შეშფოთებისა და წუხილის გრძობა კიდევ უფრო გამეზარდა... ჩემს შთაბეჭდილებაში მკაფიოდ ისახებოდა ზაზას უცნაურად ამღვრეული თვალები, სახის მეტრსმეტი სიფერმკრთალე და თან, არაბუნებრივად მეჩვენებოდა ის ალტყინება, რომლითაც მუსიკაზე საუბრობდა, — ის მოთხოვნა, რომელსაც იგი მუსიკას უყენებდა. უცებ გავიფიქრე, რომ მუსიკა მისთვის მიზანი კი არა, არამედ ერთ-ერთი თუ ერთდერთილა საშუალება იყო. მაგრამ რისი?

ისევ ჯანდირთა სახლისაკენ გავიხედე და ნისლში მბეუტავი კოშკის ფანჯარა დავინახე. მერე, ზაზას უკანასკნელი სიტყვები გამახსენდა, როდესაც უკვე სუფრიდან ვდგებოდი.

— აღმადინს სიმალე ავიწყდება, ჩემო კარგო. ცას სრულიად აღარ აქვს ყურადღებას და მხოლოდ შიშას მისჩერებია, — როგორღაც ზიზღიანად თქვა და ნიშნისმოგებით დასძინა, — ცა კი არც ისე შორსაა, როგორც ბევრს ჰგონია. არცთუ ძალიან შორს...

საღამოვედებოდა, როდესაც ჯანდირთა სახლისკენ მიმავალ ბილიკს დავადექი. მანქანა გადასახვევითან ბუჩქებში დავტოვე და გზა ფეხით განვავრძე. ვითომ კიდევ რაღაც უნდა მომეფიქრებინა და ფეხით სიარულში თავი შემემზადებინა ელისოსთან შესახვედრად. ტბას რომ მივადწიე, წამით შემადღებულ ნაპირთან დავდექი და წყალში ჩავიხედე. კრიალა მთრთოლავ ზედაირზე, ციდან არეკილ ღრუბლებს შორის სამი ალვის ხე და დაგრებილი კოშკი დავლანდე. კოშკი ვრძლად განრთხმულიყო და ფულტროსავით ჩაბნელებულ ფანჯარას თითქოს ტბის ფსკერზე მდებარე ოთახი გამოეგმინა.

სწრაფად მოვეცილდი ტბას და მეორე მხარეს მდგარ სახლს მივაშურე.

გარშემო ისეთი სიჩუმე იყო, ისე უძრავად თელემდა ყოველი საგანი, რომ კაცი იფიქრებდა, აქ აღარავინ ცხოვრობსო. ზარს ხელი გამოვკარი და კარგა ხანს ველოდე კარის გაღებას. ბოლოს, პარმალზე ვილაც მოხუცი გამოჩნდა და გამომძახა, ჭიშკარი ღიააო. ვკითხე, ელისო შინ თუ არის-მეთქი. არაფერი უთქვამს, სახლში შებრუნდა და რამდენიმე წუთის შემდეგ კიბეზე ჩამომავალი ელისო დავინახე. შავი კაბა ეცვა, უხალისოდ მოაბიჯებდა, სანამ მომიახლოვდებოდა, თავიც არ აუწევია. შორიდანვე შემაძრწუნა მისმა სახემ, — უმეტყველომ და შეშუპებულმა. თვალები ამოღამებულ უკვებში ღრმად ჩასცვენოდა, ხელები გულზე გადაეჯვარებინა, — ალბათ ჩვევად ვადაქცეოდა ასე სიარული. როცა მომიახლოვდა და მიცნო, მაშინაც არ შერბევია სახის ნაკეთები და მხოლოდ მისაღმების ნიშნად თავი ოდნავ დახარა.

— შინ ხომ არ შემოხვიდოდით? — როგორც იქნა, მკითხა.

— არა, მე სულ ერთი წუთით...

— პო, გასაგებია.

— უბრალოდ, მინდოდა გამეგო... — ისე დავიბენი, რომ წინასწარ მოდიქრებული ყოველი სიტყვა გადამაგიწყდა, — მე ხომ აქ არ ვიყავი. დღეს დილით ჩამოვედი და... პირდაპირ წარმოუდგენელია. თანაც დახუსტებით ვერაფერი მითხრეს...

— ესე იგი, ის დღე გაინტერესებთ, — ელისოს ხმაცა და თვალუბიც სამუდამოდ გამოკეტილი ოთახივით ცივი და უსტკოცლო იყო.

იქვე, ჭიშკართან სკამზე ჩამოჯდა. მე კი უწინდებურად ვიდექი. როგორღაც უაზროდ მისჩერებოდა მუხლებზე დაწყობილ, მსხვილი, ლურჯი ძარღვებით დაღარულ ხელებს.

— ეს ბოლო თვე ვერ იყო კარგად. მოუსვენრად იყო, — ხმადაბლა დაიწყეთ, თითქოს მოსაბეზრებელ ვალდებულებას იხდიდა, — ვერც მუშაობდა. სულ უკმაყოფილო იყო. პო, მახსოვს, ერთხელ მითხრა, ყველაზე მაღალი მუსიკა ის არის, რომელიც არც და ვერც იწერება... დილიდან საღამომდე გარეთ ხეტიალობდა. ვეკითხებოდი, რატომ არ მუშაობ-მეთქი. არაფერს მპასუხობდა. ბოლოს დამიყვირა; ეს არც შენი და არც ჩემი საქმე არ არისო...

ლაბარაკისას ელისოს მცირე აღელვების კვალიც არ ემჩნეოდა. თითქოს მის მაგიერ ვიღაც სხვა წარმოთქვამდა იმ სიტყვებს. თვალეზე ლიბრივით კი გადაკვროდა რაღაც ნალგელის მსგავსი, მაგრამ ისიც უმოძრაო და გაყინული.

— ...იმ დღეს ტბის პირას ზეგების ქვეშ ვიწექით. უცებ, რატომღაც იმაზე დაიწყეთ ლაპარაკი, რომ ყველას წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა. ვითომ ჩემს წინაშეც... ათასი რაღაც სულელური წერილმანი გაიხსენა. მერე თვითონაც გაეცინა თავის ვულჩვილობაზე. გამხიარულდა და წამოიყვირა: ნახე, კენწეროზე ცა არის გაწოლილიო. ზუსტად ასე მითხრა. კიდეც რამდენიმე ხანს იწევა და მოულოდნელად ისეე გაიმეორა, მართლა კენწეროზეა გაწოლილიო. შემდეგ უცებ წამოდგა, ფეხზე გაიხადა და ხეზე აცოცება დაიწყო. ჭერ გაკვირვებული ვუყურებდი. როდესაც შუა ტანს მიუახლოვდა, დაუუვირე გეყოფა-მეთქი, ისეე მხიარულად მიპასუხა: დამაცადე, ახლავე ხელით მივწვდებიო... თან იცინოდა... არ ვიცი, ხუმრობდა თუ... — ელისო შეჩერდა. თვალეზე გადაკრული ლიბრი თითქოს შეირხა და ამეტყველდა, — რა, გინდათ, ბოლომდე მოვყვე?

მე უკვე სულ სხვა რაღაცაზე ვფიქრობდი და ამ კითხვამ გამომაფხიზლა. უცებ გამიელვა, რამ მომიყვანა-მეთქი, და მომინდა რაც შეიძლება მალე გველოდი იქაურობას. არც ელისოს დაუძალეგია დარჩენა.

როდესაც ტბას გავციდი, უკანასკნელად გავხედე ჯანდიერთა სახლსა და მოსაღამოებულზე გამუქებულ ცას. ის თითქოს მართლაც აღვის ხეთა კენწეროებზე იყო გაწოლილი, — მუჭი ლურჯი, უცნაურად მკვრივი, განსხეულებული, — და თითქოს კიდეც რაღაცას თუ ვიღაცას ელოდა.




## ზ ა რ ზ ე ბ ა

ჩემო ბიჭუნავ, დაიმახსოვრე  
ხატება მისი, გმირი რომ ჰქვია,  
ცრემლი დუდათა, მამების ღონე,  
მათი ლანდები აქ ჩუმად ჰქრიან.  
დაიმახსოვრე ტკივილი დიდი,  
ხელაპყრობილთა ლოცვა და არზა,  
შენაც გაიღე გულიდან მინდი,  
გახსოვდეს ზარზმა!

• • •

„ჩემო ქვეყნავ, მარად იდიდე,  
შენ აღზევების მოტრფიალე ვარ...  
უნდა ვამზობდეთ (გული ძვერს ვიდრე):  
გაუმარჯოს საქართველოს ერთიანობას.  
მოტრფიალე ვარ ნათლის და მართლის,  
არ ვჩემობ რასმეს მე უჩვეულოს.  
თქვენ მე გულსა მთხოვეთ სამშობლოსათვის?  
აჰა, თქვენთან ვარ, ძმებო რჩეულნი!  
ბერ ხეებს სჭრიდნენ, ბერ ხეებს სჭრიან,  
უნდა ვიცოდეთ, სად რა ბერდება,  
თორემ გაჩნდება ჩვენს სულში ჭია,  
მჩქროლავი სისხლი შეგვიდვდდება.  
„რა მენალვლება!“ — ეს რა თქმა არის?!  
უდარდელთაგან მუდამ ვწიშობდით,  
ძმაო, სამშობლო არის მთავარი,  
თორემ ლუკმაპურს ყველგან იშოვი.  
არ მომასვენა გულმა, ეჰ, გულმა,  
რაც სულს სწადია, როგორ არა ვთქვა...“



ზღვარს ნუ დამიდებთ სადმე ენგურთან,  
 სადმე ლიხთან და სადმე არაგვთან.  
 მე მგალობელი ერთი ჩიტი ვარ,  
 უნდა ვიფრინო მთა და ბარადა,  
 მოსაპოვნელი მარგალიტი მაქვს,  
 რა ვიცი, ღმერთი სად დამალავდა.  
 ცვალებადია ვინც ხმით და ფერით,  
 ლამაზად ფერავს შავ ფრთებს ყორნისას,  
 რისხვად დაატყდი, ჰე, ღმერთო ერის,  
 უზენაესო მძლევე ყოვლისა!

\* \* \*

ამ მთებს შორის გზებზე შინდა თრთოლვა,  
 სადაც ნატყრის თვალის ჩინად ჩანხარ,  
 ერთად მოვალთ მე და შემოდგომა  
 და მე ვიცი რომელ ბაღში გნახავ.  
 ფორთოხლების ოქროს ცვარით თმა სველს,  
 ფორთოხლების სურნელებით დამტკბარს,  
 გეტყვი: გოგოვ, გზა მასწავლე მთამსვლელს!  
 გამიცინებ ისე, თითქოს დათბა,  
 ჩიჩილაკი აენტება ჩემს წინ,  
 მერე რალა დააღამებს ჩემს ცას.  
 მოგუბვება ჩემი ლექსის ლერწი  
 და შენს გულზე ლურჯ ფრთებს ჩამოკეცავს.  
 შენი სოფლის გზებზე შინდა თრთოლვა,  
 სადაც ნატყრის თვალის ჩინად ჩანხარ.  
 ერთად მოვალთ მე და შემოდგომა,  
 ნიჟმარივით ფორთოხლებში გნახავ.



## პ ა ს ი ო ნ ე ბ ი

პასიონები „ჩვენი სიზმრების ილუზიები და აგრეთვე ჩვენი ოცნებანია, რომლებიც წარმოიშობიან ფიზიკობისა, როცა ჩვენი აზროვნება უიღუბს“.

დგარტე

### 1. იმედოვნები და პაბბრა თითოპანიანი

ადრიაანი გაზაფხული იყო, თბილოდა. ღია ფანჯარასთან ახალგაზრდა კაცი იდგა, გადაწყურებდა ქუჩას, ისუნთქავდა გაზაფხულის სურნელს და დინჯ მზერას აყოლებდა სახლების გაფერმკრთალებულ, დაგრძელებულ ჩრდილებს. მერე შესცივდა, ფანჯარა დახურა და იგრძნო, რომ ოთახში, მის ზურგს უკან ვიღაცაა, და მას უცქერის. შიშმა გაჰყინა. მერე დაძაბა ნებისყოფა და ნელა, მოშლილ მანქანასავით მოტრიალდა. ოთახში ბინდი ჩამდგარიყო. ძლიეს ანთო შუქი. არაფერი იყო, დამშვიდდა. თითქოს გაუქრა შიშოც და ის უცნაური გრძნობაც — სხვისი თვალთვალით გამოწვეული. მერე იგრძნო, უფრო სწორედ, გაახსენდა, რომ ოთახში მაგიდა იდგა, საწერი მაგიდა, მაგრამ ახლა მის მაგივრად მრავალწახანოვანი, ყვიფელ სხეულს ხედავდა, რომელიც სხვადასხვაფერად ანათებდა, იგი ხედავდა შრეებსაც, რომლებიც მეტნაკლები სიმე-

ვითრით გამოსცემდნენ სხივებს, შემდეგ მას აღარც გახსენებია მაგიდა, უფრო სწორად მან აღარც იცოდა, რა იყო მაგიდა, ამ სიტყვამ მისთვის დაკარგა მატერიალობა, ასევე გაქრა მისთვის სკამი, კედელი, კერი, იატაკი... გარშემო ყველაფერი ანათებდა, ყველაფერი — ნეტი თუ ნაკლები სიმკვეთრით, და იყო... რა იყო? მას ვერ მოენახა სახელი ამ მოვლენისთვის, არც უცდია. მაგრამ ფერთა ამ სიმრავლეში იგი მაინც ხედავდა რაღაც კანონზომიერებას, ერთგვარობას, თუმცა ერთი წყარო ამ სხივებისა მაინც სულ სხვაგვარი იყო. იგი განიზიდავდა მას და თანაც კაცი გრძნობდა საკუთარ ნათებაზე მის ზემოქმედებას. იგი გრძნობდა, რომ მისი ხელები, თუმც ხელები კი არა, არა, ხელებოც ხომ აღარ არსებობდნენ მისთვის, იგი გრძნობდა, რომ იწვის და გამოსცემს სხივებს, იწყებს სხივების გამოცემას როგორც ის, რაღაც უცხო: უცხო თვალისთვის იგი ჩვეულებრივი მამაკაცი იყო, უბრალოდ იდგა შუა

ოთახში და იცქირებოდა აქეთ-იქით, მერე მივიდა ფანჯარასთან და ვალო ფანჯარა, იცქირებოდა ბაღში, უცქეროდა ვარსკვლავებიან ცას, მთვარეს...

მის წინ ფერთა და სხივთა უცნაური სამყარო იყო. გარეშო ლივლივებდა, ყოველივე ერთერთს ირეკლავდა და თითქოს საზღვარი არ ჰქონდა არაფერს, ყველაფერი გადადიოდა ერთმანეთში...

მერე დადგა რაღაც წაში და ყველაფერს დაუბრუნდა თავისი ფორმა, ნივთებმა მიიღეს გამომწვევად დამოუკიდებელი სახე, ისინი დადგნენ, გაჩერდნენ, დამკვიდრდნენ ამა თუ იმ ადგილზე და თუ მისთვის ასე უეცრად დანახული ზღაპრული სამყარო იყო ყველაფერი — მეტყველი, ცოცხალი, მოძრავი... ახლა ბაღში იდგა ხე, რომელზეც მას უკეთეს შემთხვევაში შეეძლო მხოლოდ ეთქვა, რომ იგი იშმუშნება, მეტი არაფერი, რომ ოთახში დგას მაგიდა, ჩუმად დგას, მეტი არაფერი და რომ ოთახში აღარავინ აღარაა...

იგი მიხვდა, რომ ამ გარკვეული დროის განმავლობაში ეზიარა რაღაცას, სხეებისთვის მიუწვდომელს, მაგრამ რას, ვერ მიმხვდარიყო... „იქნებ ეს შთაგონებაა“ — ფიქრობდა იგი — „მაგრამ მაშინ მე ხომ უნდა მქონდეს რაიმეს შექმნის სურვილი?“

მას კი ყოველივეს ხელახლა განცდის სურვილი ჰქონდა და მეტი არაფერი, და ეს სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ იგი ყოველდღე, მწუხრისას ელოდა მას, დიდხანს ელოდა, იგონებდა ყოველივეს, მაგრამ ვერ იხსენებდა განცდას, ფერებს, ლივლივს...

ახლობლებმა შეამჩნიეს, რომ რაღაც აწუხებდა, მაგრამ პირველ ხანებში იგი ვერავის ვერაფერს ეუბნებოდა, მერე გაენდო ცოლს, დედას, ძმას, ყველა ინტერესით უგდებდა ყურს, მაგრამ იგი ზღუდებოდა, რომ მისი არ სჯეროდათ.

ექიმსაც კი გაასიხვეს. მას გაუკვირდა: „იგი ისევეა ავად, როგორც მე ან თქვენ“. — უთხრა მის ცოლს და მერე ძმას გადახედა მრავალმნიშვნელოვნად: „ეს უფრო სხვა ამბავია“. რას გულისხ-

მობდა ექიმი ამ სიტყვებში? მას არ დაუზუსტებია ნათქვამი.

კაცი კი გრძნობდა, რომ ამ რაღაც უცნაურის განცდამ და ცოდნამ იგი დაამოწა გარშემო მყოფთ და, საერთოდ, იგი გრძნობდა, რომ მას უკვე ეპეის თვალთ უცქირენ...

ზოგჯერ თვითონ კაცსაც კი აღარ სჯეროდა, რომ ყოველივე მომხდარი სინამდვილე იყო, რომ ეს საოცარი მეტამორფოზა მან ნამდვილად განიცადა, და გრძნობდა, რომ ყველაზე დიდ ტყვივლს მას სწორედ ეს აყენებდა...

და ერთხელ, როდესაც იგი გარინდებული იდგა ფანჯარასთან და ფიქრობდა, იყო თუ არა ყოველივე მომხდარი რეალობა, ფიქრი ცოლის ხმამ შეაწყვეტინა, იგი ბავშვს სტუქსავდა:

— მოაცილე ეს ჭუჭყიანი ჯოხი აქედან! არავითარი ცხენი ეგ არაა, ახლა შენც დამიწყე რაღაც სისულელეები, ერთი არ მეყოფოდა ვითომ...

კაცს გულზე მოხვდა ცოლის სიტყვები. თითქოს ყველაფერს ეჩვევა ადამიანი. ყველაფერს. ის კი ვერა და ვერ მიეჩვია.

— მამუ, — მერე იქვე მოესმა და მუხლზე ლეკვივით მიეხუტა ბიჭი, — მამუ...

„მაინც რა ეგოისტი ვარ — გაიფიქრა კაცმა — ნერვებს ვუფრთხილდები, ბავშვს კი არა“.

— ჰო, — უთხრა ბიჭს, — ჩემს ოთახში შეიყვანე შენი ცხენი და სკამზე მიაბი.

— მიბმა არ უნდა, — გაუსწორა ბიჭმა — უოდა. ის არსად წავა, თან ისე დილაღა, ისე...

— რატომ?

— ინდიელები მოგვედგნენ, იქ არიან, გარეთ...

— მერე შენ გამოეძევი?

— არა, — გაწითლდა ბიჭი, — არ გამოეძევი, ცხენს წყალი მოსწყურდა, დაისვენებს და დაებრუნდება.

— მეც წამიყვანე.

ბიჭი შეყოყმანდა.

— რო ვერ გაეტყვი?...  
 — ვეცდები, — უთხრა კაცმა, —  
 ნახე, როგორ შეეშინდებათ.

— არა, — უთხრა ბიჭმა, — იტყვიან, რომ მამა მოიყვანაო.

— მე სულაც არ ვიჭნები შენი მამა, მაგათთან მე ძველი ანგარიშები მაქვს...

კაცმა ტყავის ქურთუკი გადაიცივა. ბიჭი გავარდა და თეთრი პისტოლეტები გამოიტანა ოთახიდან. მერე ორიენი ბაღში ჩავიდნენ. ბიჭი წინ გარბოდა, ლელვის ბუჩქებთან მივიდა და ტოტები გადასწია.

— მე შეძახიან. — უთხრა პატარა თეთრკანიანმა დიდს.

— მესმის, — უთხრა დიდმა პატარას, — მათ უნდათ, რომ შენ მარტო, უიარაოდ შეეჭიდო მათ ბელადს.

— კარგი, მე წავალ. — წამოდგა პატარა თეთრკანიანი.

— წადი, — უთხრა დიდმა, — თუ დაარღვიეს ორთაბრძოლის წესი, მე სამიზნეზე მათი ბელადი მყავს დასმული...“

...კომანჩები იდგნენ და ხმამაღლა რაღაცას გაჰყვიროდნენ“.

მერე, ღამე, კაცი თვალგახელილი იწვა და ძილი არ ეკარებოდა.

„ესეც მარტოა, ეს პატარა ლეკვი“... — ფიქრობდა იგი.

ბავშვი მთელი ტანით იყო მასზე დაწოლილი და კაცს ეშინოდა განძრევის, რომ არ გაეღვიძებინა. გრძნობდა, როგორ დააკრა საწოლს ბავშვისა და საკუთარი სხეულის სიმძიმემ.

მერე ჩაეძინა, ასევე დაკრულს ჩაეძინა.

ბიჭს ისევ ინდიელები ესიზმრებოდა, მაგრამ რატომღაც იღიმოდა, მერე ხმამაღლა გაოცინა კიდეც. უფრო კარგად მოკალათდა მამის მკერდზე და ორივე ხელი ყელზე შემოხვია.

„ინდიელთა ბელადი მიწაზე ეგდო. მისი საბრძოლო ტომავაჯი ბიჭს ჰქონდა ქამარში გარტობილი, ცხენს ფაფარში ჩაფრენოდა და საფარსავე მოჰქროდა“.

## 11. ცისფერი, შავი და მწვანე

ძილის წინ იგი ყოველთვის იწვიებოდა თხუთმეტი-ოცი წუთით მარტო. მისი ცოლი შედარებით გვიან წვებოდა ხოლმე — სანამ მიაღაგებდა სახლს, დაუვლიდა ყველაფერს, გაზს, წყალს, სინათლეს შეამოწმებდა.

იგი იწვა მარტოცა, ბნელ ოთახში, თვალებს ხუჭავდა — ოცნებობდა თუ თელემდა. რაღაც იყო საშუალო, იმიტომ რომ ხმაური მეორე ოთახიდან სითქოს ესმოდა, მაგრამ სრულად არ აღიქვამდა. იგი დიდი ხნით ეთიშებოდა გარემოს. დახუჭავდა თვალებს და წარმოიდგენდა — რას წარმოიდგენდა?

მას შეეძლო ფერადი ზმანებები ენახა სურვილისდა მიხედვით, სურათები, რომლებიც ზღაპრული ფერებით ენთნენ. მას შეეძლო ფერების კომპოზიციაც შეექმნა, მას შეეძლო წარმოედგინა ზღვა, მეწამული ზღვა, რომელიც ჩვენ მხოლოდ ვიცით, რომ მეწამულია, მაგრამ არასოდეს არ გვინახავს. მას შეეძლო წარმოედგინა რაღაც არაჩვეულებრივი ფერის სინათლის სვეტი: აი, ასე — მარცხნივ სვეტი, შუაში მეწამული ზღვა, ცოტა აქეთ რაღაც გაურკვეველი მწვანე ფერი, გორაკებით და ამ ფერზე იგი ყოველთვის ხედავდა შავ ფერს, ღია ცისფერი ზოლებით. ეს ცისფერი არანორმალური ცისფერი იყო. ასეთ ფერს ჩვენ იშვიათად ვნახულობთ.

მას შეეძლო წარმოედგინა ყველაფერი და ყველა ფერი. წარმოედგინა ყინულის მთები, მოლივლივე ყინული, ისევე აი, იმ, ცისფერი ფერით და იქვე შავი ფერი. მას შეეძლო წარმოედგინა ბევრი ფერი, სხვადასხვა ფერი, მაგრამ ყოველთვის ეს შავი და ცისფერი ფერი მათ თან ახლდა ხოლმე. და როდესაც მივიდოდა ხოლმე იმ მომენტად, რომ უნდა გაეგო რა იყო ეს ცისფერი და შავი ფერის ერთიანობა, რას წარმოადგენდა, თითქმის ყოველთვის გრძნობდა ხოლმე ან ზელის წაყვრას ან საწოლის დაწვეას, ან ისმოდა საწოლის ჭრიალი,

ან კიდევ უფრო უარესი — ესმოდა დამკინაფი: „ჰმ, კიდევ ლოცულობ?“

იგი გაიფიქრებდა: „ხო, ის უკვე მოვიდა“, და დაიწყებოდა მისთვის ყოველდღიური, ჩვეულებრივი დამკინაფი, ოცი წუთი ოცნებისა და მთავრებული იყო.

ეს ჩვეულებრივი დამკინაფი იყო გაგრძელება ჩვეულებრივი დღის: ან ორივენი იძინებდნენ, ან არ იძინებდნენ, ან ერთი ბუზღუნებდა, ან მეორე ბუზღუნებდა, მოკლედ, აღარ იყო ზმანებები, აღარ იყო ფერები და, რაც მთავარია, აღარ იყო ცისფერი და შავი ფერი.

და ასე და ასე...

ეს ზმანებები მას თითქოს რაღაც ენერჯიას აძლევდნენ მეორე დღისათვის, ენერჯიას აძლევდნენ იმ დამკინაფისაკ, მეტიც, თითქოს წმენდდა მას ეს ფერადი ზმანებანი და ოცნებანი.

იგი ეკითხებოდა თავის ნაცნობებს: „თქვენ შეგიძლიათ ფერადი ოცნებები ნახოთ?“

ისინი თავს იქნევდნენ და „არ შეგიძლია“, ეუბნებოდნენ.

„თქვენ იცით ჯა ლამაზია ცისფერი და შავი ფერი?“

„ცისფერი და შავი ფერი მართლა ლამაზია“, ეუბნებოდნენ.

„არა, — იგი უხსნიდა, — არა ჩვეულებრივი ცისფერი და შავი ფერი, არამედ აი, იცით როგორი ცისფერი.“

„ხო... როგორი?...“

ის ჩაფიქრდებოდა და ყოველთვის აღმოაჩენდა ხოლმე, რომ მას არ შეუძლია თქვას როგორი ცისფერი ფერია ეს და იგი ამბობდა: არაჩვეულებრივი ცისფერი“.

თუ მოსაუბრე ზრდილობიანი იყო, ეტყოდა: „კი, მე ვიცი ასეთი ცისფერი, არანორმალური ცისფერი, მართლა ძალიან ლამაზია, თუმცა, თუმცა არანაქლებ ლამაზია ყვითელი და შავი“.

თუ მოსაუბრე ნაკლებზრდილობიანი და პატიოსანი ვახლდათ, ეტყოდა: „მაპატიეთ, არ ვიცი“.

ან კიდევ, თუ უფრო ნაკლებზრდი-

ლობიანი და თანაც ახლობელი, ეტყოდა: „ნეტა ერთი შენც“.

მას თითქოს ეცოდებოდა, კიდევ ერთი ახლობლები, რომლებსაც არ ჰქონდათ ეს ფერები ნანახი, არ შეეძლოთ წარმოედგინათ, ვერ შეეძლოთ გავგოთ... იგი ამ ბოლო ხანებში ხშირად ფიქრობდა, რა იყო ეს ცისფერი და შავი, რატომ აღელვებდა მას, რატომ სიამოვნებდა მას, და ვერ მიხვდარყო. „ვერც მიხვდებოდა. ვერასოდეს! ნუთუ ვერასოდეს?“ არა, თითქოს იყო რაღაც, რაღაც დაიწყებული ამბავი და იგი ცდილობდა, ცდილობდა, ცდილობდა გახსენებას, ალბათ გაიხსენებდა კიდევ, რომ ეს ზმანება მას ხშირად სწევოდა, რომ ყოველდღე ყოფილიყო, მაგრამ ვადიოდა დრო და უფრო და უფრო იშვიათად ხედავდა იგი ამ ფერებს — თვეში ერთხელ ან ორჯერ. ეს დაახლოებით ისეთივე რამ იყო, როგორც შთაგონება — ძნელად მოდიოდა და ადვილად ქრებოდა.

და მან არ იცოდა როდის, როდის დაეწყო მას ეს ზმანებები, არ ახსოვდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავიდანვე ამ ზმანებებით დაიბადა, მაგრამ მან, დამკლარი გონების კაცმა, შესანიშნავად იცოდა, რომ ეს ზმანებანი თავიდანვე მასთან არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ.

თუმცა ყველაფერს თავისი ბოლო აქვს, და, მართალია, გამოცანები ჩვენთვის ხშირად რჩებიან ამოუხსნელი, მაგრამ ამოუხსნელი რჩებიან მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი სიცოცხლისათვის განკუთვნილი დრო ალბათ საკმაოდ ცოტაა ამ გამოცანათა ამოსახსნელად. ისიც კია, რომ ხშირად გამოცანები ამოიხსნება ჩვენს სიცოცხლეშივე, ზოგჯერ უფრო ადრე, ზოგჯერ უფრო გვიან.

და აი, ერთ საღამოს, როცა იგი მარტოა იწვა, აბსოლუტურად მარტო მთელ სახლში, როცა დღისით იყო აუტანელი შრომა, როცა დღისით იყო ნერვიულობა, როცა დღისით იყო სუნი ტროლიბუსში, ცუდი საუზმე, სადილი

საღდაც სასაღილოში, მოკლედ, როცა მთელი დღე ყველაფერზე იყო ცუდი, მას უცებ ეწვია თავისი ზმანება.

და ეს ზმანება იყო საოცრად ლამაზი, ეს ზმანება იყო ისეთი მდიდარი ფერებით, ისეთი მდიდარი კომპოზიციით, ისეთი მდიდარი ნახატებით, რომ იგი ბედნიერად გრძნობდა თავს. და ჰქონდა მას თითქოს წინათგრძნობა რაღაც არაჩვეულებრივისა, ყოველ შემთხვევაში, რაღაც მოლოდინი არაჩვეულებრივისა. და აი, გავიდა თხუთმეტი წუთი ზმანებისა, გავიდა ოცი წუთი ზმანებისა და იგი წავიდა, წავიდა, წავიდა ამ ოცნებებში და უცებ აღმოაჩინა, აღმოაჩინა, რომ მას გაახსენდა საიდან არის ეს ცისფერი და შავი ფერი, საიდან არის ფერთა ეს შეხამება, ეს არაჩვეულებრივი შეხამება ფერებისა.

რამდენი ხანი, რამდენი ხანი აწვალბდა მას ეს გამოუცნობი რამდენადაც მის თვალწინ ყველაფერი კრძალს სიმკვეთრით იღვა. მან ხელი გაიწვდინა ფერებისკენ, უნდოდა შეხებოდა, თითქოს შეეხო კიდევ და აღტაცებისგან შეჰყვირა.

„აი, მოვიდა მისთვის ეს წუთიც, აი, განიხენა მის წინ ჭეშმარიტების კარიც, აი, ელოდა და ხელშესახები გახდა მისთვის საკუთარი ოცნებაც...“ გაიფიქრა, მაგრამ ფერებმა ერთბაშად დაკარგეს სიმკვეთრე, ცისფერი აირია შავში, შემდეგ ცისფერი და შავი მწვანეში, შემდეგ ყველაფერი აირია, სუყველა ფერი და მას აღარ უნახავს, აღარ გაუგია არაფერი, დადგა წუთი, როცა აღარ იყო აღარც ცისფერი, აღარც შავი, აღარც მწვანე, დადგა წუთი, როცა აღარ იყო აღარაფერი.



## მისვლისას თქვენი

ცვალიდან: „გზა მეგობრობისა“

სოციალისტურ ქვეყნების სივრცე  
მეჩემქვეყანა, არ მეუცხოვა.  
მე ყველა სახლის ოცნებას ვიწვევ,  
მე ყველა ქუჩის შემომრჩა ხსოვნა.

სურნელება მცემს ყველა სართულის,  
ყველა გამზირის, ყველა მოედნის.  
სიყვარულისგან ნებადართული  
მზისპირ ქვეყნებში გულით მოვედი.

ძმები ვარნაში და კონსტაცაში  
გებვდებოდნენ ზღვიდან მოჭრილ  
ტალღებად,  
იმ სილამაზის ძლიერ თავსხმაში  
ოქროს სილიან ნაპირს დავყვეით.

ვწვდებოდით ყველა კუნჭულს და კუთხეს,  
ჭაშნიკად მთების ღიმილი მოვსვი.  
მთებს ცისარტყლებად გადმოვეყუდნენ  
გრეგოლი, აბას და ანთიმოზი.

ციურ არსებებს ჰგავდნენ თვალ-ტანად,  
წინ ეშლებოდათ ნაწვეწი ბედი,  
მეზიდებოდა აქეთკენ მარად  
აწმყო — წარსულის ჯაჭვი უწყვეტი.

არ ყოფილიყო გზები სრულებით,  
არ ყოფილიყო ხიდი არცერთი,  
მანაც უხილავ ჯაჭვის უფლებით  
შემოვალწვედი, შემოვალწვედი.

ადამიანურ ნადღით ვივსებით,  
სულს გვიანგარებთ შორით წვეულებს,  
გითვალღიერებთ გაფაცვიცებით  
ცისა და მიწის ატლასეულებს.

ყოველი წამი აღურსად გვექცა,  
დროს ვუფრთხილდებით, თავზე ვველებით.  
ფართოვდებოდა ეს დედამიწა  
მზისა და მთვარის გამთბარ ფერებით.

## ოქვის კაბაკობაგში

შესვალ,  
ნასაგ,  
მტრისას!..

თუმც ნუ გინდა მტრისთვისაც.  
ბნელ მიწურებს ნესტი თრიმლავს,  
ჭვარტლიან თვალს ისრისავს.

ოდესთან კატაკომბები — სამამულო ომის  
გმირ პარტიზანთა თავშესაფარი... აქ მოხდა  
ფაშისტ ჯალათებთან სასტიკი შეტაკება.

დავალთ მოღრუბლული,  
ჯარნით, თეთრ სანთლებით.  
ზოგან მოღუნული,  
ზოგან ვიმართებით.

დრო სისხლწაგებული  
კედლებს ესიზმრებათ.  
ყველა დაღუპული  
ზედ კრთის ესკიზებად.

ზოგი ფერ-ხორცს ისხამს,  
ჩვენს სიცოცხლეს ერთვის,  
იმით შორის მკვირცხლად  
მე მაჩერებს ერთი.

დუმილის სულს გვაცლის,  
ფერი წვეთს ცხედრული,

მე მაჩერებს კაცი  
ამ ნესტიან კედელს  
სისხლად მიცხვებული.

ბედისწერაჲ ფიცხო!  
მგონი სისხლმა მიცნო,  
თრთიან ეს კედლები,  
ვეკვრი, ვედვლები.

შორ-შორს ბინდებია,  
ომის ქუბილს ვწვდები,  
სისხლში იზრდებიან  
კაკაკასის მთები.

## ოჩის ბესხენება

ქალაქის გარეთ ჩრდილებით სავსე,  
საბონის ველზე,  
ზეგანზე,  
მთაზე

ისევ დგას ტანკთა რაზმი ძლიერი  
იმ ჯამინდელი, იმ წამიერი.

ის ქვემეხები იმ დროის დარად  
იქვე დგას, ისევ გაისმის კრულვა.  
და, ამდენი ხნის მიუხედავად,  
ხელს ვადებ,

ხელს მწვავს ფოლადის ლულა.

## ბჭობა ბოჭკაოში

ბუნება ქსელავს უხილავ ძაფებს  
ხეთა ბოჭკოდან, ფოთოლთ ბოჭკოდან.  
სიფრცე თანდათან მალდდება, გვძაბავს,  
ევახლოვდებით სოფელ ბოჭკაოს.

მშვიდობა მარად, როდოპის მთებო,  
გრიგოლ, აბაზის სილუეტებო!...

თითქმის მეორე ალგეთის ნაპირს  
მშობელ კერიის ცეცხლი კიაფობს.  
ღვთისმშობლის ხატი სიმშვიდეს გვაფენს,  
გრიგოლ და აბაზ ბაკურიანო!

თქვენ ფერთა კრთომას, თქვენს მძლავრ  
სულის წვას,

მე ვკეითხები ტაძრების კედლებს,  
მე ვკეითხები ბულგარეთის ცას,  
მე ვკეითხები ბულგარეთის მთებს.

ვკეითხები ტყეს, ქარებს, კლდის რქებზე  
გადმოსხულებს, გადმოკაწრულებს,

გადმოკიდებულს ჩალეწილ ხევზე  
ფოთოლ-ყვავილთა მრავალფერ წნულებს.

ჩიტებმა ყურთან ჩამიფრთხილეს,  
რალაც ჩამძახეს ნაცნობი ოდით,  
მოცლილობის ჟამს, ამით წინაპრებს  
იქნებ ჩვენებურ პანგიტ აწრთობდით!

ამ სველ ფოთლებში, სველ ბალახებში  
ცვარ-ნამად დაგრჩათ იქნებ სიტყვები.  
დაედივარ ჩუმად, მთასა და ხევში,  
მზათ შეწითლებულ ბურში ვინთქმები.

ცა წუხანდელი გარიერაჲს ისხანს,  
ვით ბალახები ელდას თიბვის დროს,  
ტაძრის ტრაპეზში კითხულობს ვილაც  
თქვენს სასოებით ნაწერ ტიბიკონს.

თეთრი პეტრიწის, თეთრი გელათის  
თვალწინ ანიფთებს თეთრად სიმორეს,

ხევებს სიწმინდის შუქი გადასდის,  
სულის საგზალი ცოტა მიშოვებს.

ელვამ ზედ კლდის პირს წელი დაგრიხა,  
გული ჩაფუტდე ხვეს ფაცერიოვით,  
მეხის ხმას ველი, იქნებ, თქვენი ხმა  
ქჷონდეს აქაურ მეხს ჩაწერილი.

### გეგები ლაგით

გვერდს ჩაუვლიან ერთმანეთს რიდით,  
მისალმებათა ისმის საყვირი.  
გემები, — ქვეყნის სიმბოლო დიდი,  
ჩნდებიან გაშლილ შუქით და ბინდით.

ხედებიან ხშირად გემები ზღვებში,  
ოკეანეში უცხო-უცხონი,  
მათ შუა ჩნდება იდუმალება  
განუზომელი და აუწონი.

### სეპსტოპოლში... საგომ საღაპთან

გარშემო ჩემი ღვლევა,  
ხეები ტოტებფართო.  
ამბობს ფოთოლი ყველა,  
საქართველოდან ვართო.

ვხედავ ჩვენს ვაზებს გაბმულს,  
ლურჯ შაბიამანს მწვეთავს...  
თქვენ ვერ ეწვიეთ მამულს,  
იგი მოვიდა თქვენთან.

გლანდავენ მთელ სიცხადით,  
ანკარა ცრემლთა მდენი. —  
თქვენი მთა-ბარის ზატი  
ბავშვობის დროინდელი.

თქვენი კერა და სკოლა  
სამელნიოთა და ჩანითთ,

ჩემი სურვილი ვეღარ გადაუტყვი,  
რახან ამ დღემდე სივრცეს შემოვრჩი;  
მეხო, როგორმე ერთი ამათი  
ხმა ჩამიტანე საქართველოში!

მშვიდობით... ჩნდება შორს ლურჯი  
ტბები, —  
ძმათა დამდნარი სილუეტები.

მიგვაფიწყდება თუ არის ქვეყნად  
რაიმე შუღლი, მტრობა და შეხლა.

ოცნებობ მაღალ, მშობლიურ მთებზე,  
ოცნების ძაფი შორს გაეყოლებს.  
ქრიან გემები და ნაკვალევზე  
სწერენ მშვიდობის უღრმეს სტრიქონებს.

აქ არის: 414-ე ანაბის ქართული დივიზიის  
ძმათა სასაფლაო, ქართულწარწერებიანი ობე-  
ლისკით... ირგვლივ ჩვენებური ეპი და მცენა-  
რეულობა გაუშენებიათ.

იმ გოგონების ხსოვნა  
პირველ სიწითლის სვატით;

პირველ თრთოლვაში, შფოთში  
მკერდს დამსხვრეული ღამეც...  
მაშინ შეხველით ომში,  
სიკვდილად დაიდგარეთ.

თქვენ ადრე შვიტყვიათ  
დღე-ღამე უღეთოდ მქროლი,  
პირველი წვა და ტყვია,  
ერთად სუნთქავენ მგონი.

ოსშივარი სდის გუბეს,  
ბუჩქებს, ხეებს და ერგოლვას,  
ცაში ხელს ვუჭერ ღრუბელს  
და თქვენი სისხლი ეონავს.

რ. გამუზარაშვილი

### ივანე მაჩაბლის ჟურნალისტური მოღვაწეობიდან

(ი. მაჩაბელი და ჟურნალი „ივერიის“)

გამოჩენილი ქართველი მწერლისა და ჟურნალისტის ივ. მაჩაბლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ბევრი რამ საინტერესოა და დაწერილია. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ვ. ტელიძის მიერ დიდი სიყვარულით დაწერილი წიგნი „ივანე მაჩაბელი“ და ის წერილები, რომლებიც ივ. მაჩაბელს — როგორც ზეკსპირის ნიჭიერ მთარგმნელს — ახასიათებენ. მაგრამ შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ დღემდე კვლავ შეუწავლელია ამ ნიჭიერი მწერლის ჟურნალისტური მოღვაწეობა. მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ მისი — როგორც რედაქტორისა და რედაქციის პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ ვაჭყელი საქმიანობა, არამედ მისი — როგორც პუბლიცისტისა და კრიტიკოსის დამსახურება. ამ უკანასკნელის სათანადო შესწავლა კი შეუძლებელია მინამ, სანამ საბოლოოდ არ იქნება დადგენილი ის წერილები, რომლებიც მას ეკუთვნის, მაგრამ ზედმოწერაოდ არიან გამოქვეყნებულნი. ასეთ წერილთა რაოდენობა კი, როგორც ჩანს, საკმაოა.

როგორც ცნობილია, აქამდე უკვე გვაქვს მეცხრამეტე საუკუნის ქართული პრესის ბიბლიოგრაფია, მაგრამ ზედმოწერულ წერილთა ავტორობა მასში დადგენილი არ არის. ამ ბიბლიოგრაფიის მიხედვით, ივ. მაჩაბლის თითქმის ყველა სტატია საბუნებისმეტყველო თემაზეა დაწერილი. ეს გარემოება კი, ბუნებრივია, ექვს იწვევს: ნათუ ივ. მაჩაბელი, ასეთი დიდი გამოგონებისა და ნიჭის მწერალი არასოდეს არ იყლიდა ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიებისათვის? ნათუ მხოლოდ მიხ. თუმა-

ნიშვილის ლექსთა კრებულზე გამოთქვა თაქვისი შეხედულება (ესეც ძალიან მოგვიანებით გაირკვა) და სხვა მწერლებითა და სხვა თხზულებებით არ დაინტერესებულა?

ამგვარი შთაბეჭდილებით დაფიქვით ჩვენ ჟურნალ „ივერიის“ გადათავალიერება, მით უმეტეს ვიკოდიოთ, რომ ივ. მაჩაბელი, გარკვეულ დროის მანძილზე, ძალიან ენერგიულად მუშაობდა ამ ჟურნალს რედაქციაში. ცნობილი ჟურნალისტი გრ. ყიფშიძე ამის თაობაზე გარკვევით წერს: „1880 წელს შეერთდა რედაქციაში „დროებისა“ და „ივერიისა“ და ამ კავშირში გასტანა 1881 წლის დამლევამდე. შეერთების პირველ წელიწადს „ივერია“ გამოდიოდა კრებულის შგავსად სამ თვეში ერთხელ... რედაქციაში მუშაობდა მაშინ გამომდებლად ივანე მაჩაბელი, ახალგაზრდა კაცი, უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებული, კარგი მცოდნე ევროპის უმთავრეს ენებისა, მხნე და მარჯვე მუშაი, დიდი მოყვარული ლიტერატურის...“ („ივერია“, 1901 წ. № 199). გ. თუმანიშვილი კი ივ. მაჩაბელს ჟურნალ „ივერიის“ რედაქტორს უწოდებს.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუ ბიბლიოგრაფიულ ცნობარებს დავეყრებით ივ. მაჩაბელმა ჟურნალ „ივერიაში“ მხოლოდ 1879 წელს გამოაქვეყნა თავისი ორი ლექსი („ოცნება“ და „ოცდაერთის წლის ბიჭი ვარ“) და ორი სტატია („ვახტანგ აბალი შტერი“. „ტყე და მისი მნიშვნელობა“), შემდეგ კი შეწყვიტა ბეჭდვა. სინამდვილეში, როგორც ვნახეთ, სურათი სხვაგვარი უნდა იყოს.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ივ.

მახაბელი 1879 წლის გაზაფხულზე თბილისში დაბრუნდა და მანამდე ჩება გაცხოველებულ საქმიანობაში. უფროსი მეგობარი ილია ქაქუცაძე მას ყველა თავისი საქმიანობის მონაწილედ ხდოდა. წერა-კითხვის გაშავრკელებელი საზოგადოება, ჟურნალის რედაქცია, ბანკი — აი, ის უშთავრესი უწყებები, სადაც მას მუშაობა უხდებოდა მისთვის დამახასიათებელი შემართებით.

ის ორი ლექსი, რომლებითაც მან თავისე თავი გააცნო ევრნალ „ივერიის“ მკითხველს, საკმაოდ კარგად ავლენს ახალგაზრდა ავტორის შინაგან პათოსსა და გონებრივ ინტერესებს.

„ოცდაერთი წლის ბიჭი ვარ,  
წვერ-ულვამ ახლათ აშლილი,  
მკლავ-მარჯვე, მხარ-ბეჭქანსხული,  
მარმარილოვბ გათლილი“ —

აქმევიწინებს იგი თავის ლექსის „პერსონაჟს“ და ეს სიტყვები მასაც მთელი უფლებით შეეძლო გაემთრობება.

ნიშანდობლივია, რომ „მეფე ლირის“ მთარგმნელი თავის პოეტურ ცდებში სამყაროს აღნაგობითა და ბედით დანიტყრესებას იჩენს („ოცნება“).<sup>1</sup> ასევე ბუნებრივია, რომ მთელ ამ განუყენებელ ფილოსოფიურ სჯამ იგი ამთავრებს უღრესად მძივიერი სურვილებითა და რწმენით:

„ამჯერა შე კიდევ,  
რომ ურიცხვთა ვარსკვლავთა შორის  
არის ვარსკვლავი,  
რომელსაცა მბდომია ჰქვდრათ  
იმის ახდენა, რაც ჩვენთვის ქვე სიზმარის  
არის,

რაც მრავალთა მიანაით შეტსრულვბლათ:

იქა მტარვალთა მბრძანებულთა ხმა  
შეწვევითლა,  
იქ აღარ არის უსწორობა, შერია და მტრობა,  
იქ ათი მცნება ერთ მცნებათა ვადაქვეულა-  
ეს მცნება არის: „საუფუნთ ყოველთა  
ამობა“<sup>2</sup>.

ივ. მახაბლის მომავალი პუბლიცისტური მოღვაწეობის ერთგვარ შესავალს წარმოადგენდა ავტოდეი ის ორი წერილიც, რომლებიც მან ევრნალის მომდევნო ნომრებში (№ 4, 5—6) გამოაქვეყნა. ამგვარი შინაარსის სტატიებით მან შემდეგ დიდი როლი შეასრულა საზენებლისმეტყველო ცოდნის პროპაგანდის საქმეში.

ივ. მახაბლის მტკიცე თანამშრომლობას ევრ-

ნალ „ივერიაში“ საუფქველი მაინც მაშინ ჩაუყარა, როცა შეერთდა „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციები (1880 წ.) და გასტტბა—მანამ, სანამ ეს კავშირი ვაჭარვდა (1881 წლის სოლომდე). უფრო ზუსტად, ივ. მახაბელი ევრნალ „ივერიის“ წამყვან თანამშრომლად მოჩანს 1881 წლის მანძილზე. მისი თავდადებული და ნაყოფიერი შრომა ამყარად ატყუთა ევრნალის ამ წლის ნომრებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, გამოირჩევა წინა და შემდგომი წლების ნომრებიდან.

როგორც ევრნალის შესწავლა გვიჩვენებს, სხვა სარედაქციო ხასიათის სამუშაოსთან ერთად, ივ. მახაბელს ნაივსრი ჰქონდა განყოფილების „ახალი წიგნები“ შედგენა და ხელმძღვანელობა. კიდევ მეტი, ევრნალის ამ წლის პირველ ათ ნომრში მოთავსებული ყველა რეცენზია და ბიბლიოგრაფია მის კალამს ეკუთვნის. შემთხვევითი არ ყოფილა მის მიერ ამ განყოფილებაზე ამგვარი შეფობაც. ფაქტურად ეს იყო ევრნალისტური გზით ხელმძღვანელობა და წარმართვა იმ სამუშაოს, რომელსაც იგი — როგორც ქართულთა შორის წერა-კითხვის ვაშავრკელებელი საზოგადოების პირველი გამგეობის ყველაზე ახალგაზრდა წევრი — ასრულებდა. ერთი სიტყვი ჩვენი საზოგადოების არსებობისა. — ევრს იგი ერთ თავის მოხსენებაში, — არის ქართული წიგნების ვაჭრეცლება ხალხში. ამ აზრით ჩვენ უნდა შევედგეთ, რაც შეიძლება მალე, წიგნების ბეჭდვას...“

როგორც ჩანს, ამავე მიზნით შედგომია იგი ევრნალ „ივერიაში“ რეცენზირებას იმ წიგნებისას, რომლებიც მაშინ იბეჭდებოდნენ. შემთხვევითი არაა, რომ ევრნალ „ივერიის“ 1881 წლის პირველ ნომრში განყოფილება „ახალი წიგნები“ იხსენება ასეთი საგანგებო შესავლით: „ჩვენს ევრნალში მიქცეული იქნება ევრნალეზა ყოველგვარს ჩვენის ცხოვრების მოვლინებაზედ, რომელიც კი ამ ევრნალეზის ღირსია. ამის გამო, დღეის ამის იქით ჩვენს მკითხველებს შევატყობინებთ შინაარსს ყოველი ახალი ქართული წიგნისას. ჩვენ მოგვიხდება ავრთვე ბანდაბან ზოგიერთ სხვა ენაზე და ევრნალ წიგნზე და ცუდ ლამარავი, თუ ეს წიგნი ან ჩვენს ქვეყანას შეეხება, ან იმისთანა საგანს, რომელიც საინტერესოა და, სხვათა შორის, ჩვენთვისაც.“

დღეს კი ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, რომ პირველადვე (ხაზი ყველგან ჩვენი—დ.გ.) ერთ უხვირთ და უღბო წიგნზე უნდა მოგვიხდეს ლამარავი...“

ამჟამად, რომ ამ შენიშვნის ავტორი პირვე-

<sup>1</sup> ევრნ. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 89.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 88.

ლდ იწყებს „ახალი წიგნების“ განყოფილების ხელმძღვანელობას და ფართოდაც აქვს ვაზრტეული მისი შემდგომი შემოაზნა. თავისი სიტყვა მან საქმედ აქცია და ათი წიგნის მანძილზე ბევრი საინტერესო რეცენზია და ბიბლიოგრაფია გამოაქვეყნა. აი, ეს წერილებიც:

1. რ. ანდრონიკაშვილის «Наше общество и его современное стремление» 2. ოლ. დიბეტელის მიერ თარგმნილი ევტრემესკის არითმეტიკული საანგარიშოები, 3. ი. ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და „კაცია-ადამიანი?“, 4. სიმეონ ბეგევიის „პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილოთ ეფენდისთან“, 5. „ქართული ანბანი, მოძრავი ასოებით და პირველ-საკითხავი წიგნი“, 6. „პარაკმებრისას“, რ. ერისთავის, „კატა აწონა“ — დიშ. მეღვინეთ-ხელსოვის, „კაპიშონა“ — ტერ-ასტე-ცატერიანისას, 7. „დღეა ენა“, შუღვენილი ი. ვოგებაშვილისაგან, შესამე შესწორებული გამოცემა, 7. „წყარო“, ყრმათათვის საკითხავი წიგნი № 1, ანთ. ჟღელის რედაქციით, 8. „მოკლე ისტორია...“, თარგმნილი რუსულიდან მელქისედეკ აბესაძისაგან, „ცოლები დაკარგეთ“ — კომედია ალ. გარსევანოვისა, 9. „ეურნალი „იმედი“ № 1“, 3 10. „დავითიანი“, თქმული გერამიშვილის დავითისაგან, 11. „ყმაწვილი და ფრინველი“, თხზულება ს. გ. ტუსიშვილისა, 12. ფრანალ „იმედის“ ბელეტრისტიკა: „შემთხვევის მსხვერპლი“, გ. ჭრელაშვილის, „მარტიათ ბაბა“, შაქროსი, 13. „მერცხალა“, შიღელის მითხრობიდან, ვადმოკეთებული შ. ჯანსაგან, 14. „თ. მიხ. თემანიშვილის რჩეული ლექსები და თხზულებანი“ 15. „აღუქსანძრე ჭვავაძის ლექსები“, 16. „ლექსები, თქმული თ. ვ. ორბელიანისაგან“, 17. „ახალი გამოცელება ისტორიის წინა დროებამდე და ქართული ტომის დასაწყისზე“, თხზულება დიშ. ბაქრაძისა, 18. „ვთი მართალთა“, თხზულება ანტონ ფერცელაძისა, 19. „წყარო“, № 2, ანთ. ჟღელის რედაქციით, 20. „ხატური“, რუსულიდან თარგმნილი ან. თემანიშვილისაგან, 21. „წითელი ფარი“, თხზულება ვუჩიტის, ვადმოკეთებული გ. ანდრონიკაშვილისაგან, 22. „სიყვარულის კონა“, თხზულება დიშ. ნადიროვისა, 23. „წყარო“, № 3 და № 4, ანთ. ჟღელის რედაქციით, 24. „ლექსნი“, თხზულება შ. ვორდანიოვისა, 24. „დაბადების საზოგადოების“ გამოცემანი.

სხვადასხვა მოცულობისა და მნიშვნელობის დასახელებული 24 ხელმოწერილი რეცენზია რომ ერთ ავტორს ეკუთვნის ამას აღსატყობებს როგორც განყოფილება „ახალი წიგნების“ რედაქციის მიერ მოყვანილი შესავალი, ასევე თითო ამ წერილებში გაკეთებული მითითებანი და მათივე ენა და სტილი. ხოლო ეს ავტორი რომ ივანე მაჩაბელი, სადავო არ შეიძლება იყოს, ეინაიდან უკვე დადგენილია მიხ. თემანიშვილის თხზულებათა შესახებ დაბეჭდილი რეცენზიის მაჩაბლისეულობა.

ამგვარად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რეცენზიის ავტორად ამოერიდან უნდა ეალიართ ივანე მაჩაბელი.

რას წარმოადგენს ეს რეცენზიები და რა ადგილს იჭერენ ისინი ჩვენი ეურნალისტიკისა და კრიტიკის ისტორიაში?

რეცენზიას და ბიბლიოგრაფიას ქართული ეურნალისტიკა, ცხადია, მანამდეც კარგად იცნობდა; ბევრ ნიჭიერ შერჩაღსა და ეურნალისტს უყისრია ამა თუ იმ ახალი წიგნის რეცენზირება და თავისი შეხედულება გამოთქვამს მის შესახებ. მაგრამ არ შეეცდებოთ თუ ვიტყვით, რომ ეურნალმა „ივერიამ“, ივანე მაჩაბლის რეცენზიების წყალობით, ეს ეანრი განვითარების ახალ დონეზე აიყვანა და უღარესად შესატყვისი ფორმა მოუჭებნა მას. მოკლედ, ლაკონურად და არსებითად დახასიათება წიგნის ღირსება-წყალობანიანისა და ავტორის დასახელებისა — აი, რით ხასიათდება ეს რეცენზიები.

იგი მაჩაბელი უღარესად პირთუფნელი რეცენზირება, რომელიც ყოველი წიგნის ავტორიანობას მისი შეშეცნებითი და განმანათლებლური მნიშვნელობით აფასებს. იგი შეაკრად ეხსმის თავს ყველა მათ, ვინც შერლობასა და შვიგნობრობას შემთხვევით მიეცდებოდა, ვინც გემოვნების უფუჭებს მხოლოდ მითხველს და არავითარ სულერ და გონებრივ საზრდოს არ აღეგს მას. ასეთ ავტორთა წინააღმდეგ იგი სატირისა და ოუმორის იარაღსაც კი იყენებს, რათა მითხველთა გემოვნების ვამფუჭებელთა ამგვარი „მოღვაწეობის“ შიდა დაუკარგოს. ამასთან ერთად, იგი უღარესად ფაქიზი და ფრთხილი დამფასებელია. თუკი კარგის თქმის შესაძლებლობას იძლევა ავტორის მიერ გაწეული შრომის რომელიმე მხარე, იგი მას შეუშინეველსა და აღუნიშნეველს არ ტოვებს.

იგი მაჩაბლის ჩვენს მიერ დასახელებული ოცდაათხი რეცენზია, როგორც ეს სათაურებიდანაც შეიძლება გაეთვალისწინოთ, ერთნაირი მნიშვნელობის მქონე არ არის. მაგრამ ყოველი მათგანი ისეა დაწერილი, რომ ავტორი მასში გარკვეული მიზნის რეალიზაციას აღწევს. და ამას იგი ხშირად სულ რამდენიმე ფრაზით ახე-

1 ეურნ. „ივერია“, 1881, № 1.

2 იგივე, № 2.

3 იგივე № 3.

4 იგივე, № 4.

5 იგივე, № 6.

6 იგივე, № 7.

7 იგივე, № 8.

8 იგივე, № 9.

9 იგივე, № 10.

რებს. მაგალითად, „მოკლე ისტორია წმიდისა დიდებულისა და ძლიერ მოსილისა ვიორგისა“ (თარგმნილი რუსულიდან მეღქმისედაც ანუ სიძის მიერ) და „ცოლები დავაარბეთ“ (ალ. ვარსკვლავის კომედია) ი. შაჩაბელს ერთ რეცენზიაში, უფრო სწორად — ერთ ფრანგში აქვს დახასიათებული: „ესეც ორი საბავშვო წიგნი, — წერს იგი, — მხოლოდ იმ განსჯავებით, რომ პირველი საშოც-თობითი წლის ბავშვებისათვის არის დაწერილი და მეორე კი — დიდ ბავშვს შეუთხზავს“. ხოლო ს. გ. ტუნიშვილის თხზულების („ყმაწვილი და ფრანგული“) შესახებ ამბობს: „არა მგონია, მკითხველი ისეთი უწყალო იყოს, რომ მოგვთხოვოს ამ წიგნის შინაარსის გადმოცემა. თუ მაინცდამაინც არ დაიშლით და ანგარიშს მოგვთხოვთ, უნდა გავიტყუდეთ, რომ თუმცა ვუღმოდგინეთ წყაივითებთ თავიდან ბოლომდე ეს „გაღვიქმილი“ თხზულება თავად ს. გ. ტუნიშვილისა, მაგრამ გავებით კი ვერა გავიგეთართაო“. არანაკლები ირონიით ლაპარაკობს რეცენზენტი მ. ყორღანოვის „ლექსებზე“ და დიმიტრი ნადიროვის თხზულებებზე („სიყვარულის კონა“): „მე უნანსკენელზე მსკლუბობას იგი იწყებს ციტაციით იმ „მიძღვნისა“, რომელშიც ავტორი ქართულთ მიმართავს, შემდეგ კი დასძენს: „ამ წინა, ანუ ბოლოსიტყვაობით უძღვნის დიმიტრი მიხეილის ძე ნადიროვი თავის წიგნს, თავის „ძმებს ქართველებს“ და ვაი იმ ქართველის ბრალად, რომელიც ამ „ნეტარად აკონილ“ წიგნს თავიდან ბოლომდე წაიკითხავს.“

დიმიტრი ნადიროვის „სიყვარულის კონაში“, ლექსებს ვარდა, არის კომედია „ნაწაწავალი სონა“ და „დიდისტრელის ლეკის ამაილის ამბავი“. ვალდ კი მღვეს ამ თხზულებათა შინაარსის გადმოცემა, მაგრამ ჯერ სამისთ არა დამიშავებიარა მკითხველის წინაშე, რომ ასე უწყალოდ ჩემი დასჯა მოინდომოს და „ანგარიში“ მომტოვოსა“.

ასევე დასახტურებისამებრ მიუზლო ივ. შაჩაბელმა ს. გვიგეივის წიგნის („პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგელით ეფენდისთან“) გამოცემის და „დაბადების საზოგადოებას“ უბარო თხზულებების გამოცემისათვის. ჩვენდა სასიამოვნოდ, — წერს ივ. შაჩაბელი, — გვიგეივის თხზულება ისეთი გუგუბარა, მძიმე ცნით არის დაწერილი, რომ ღრმა ქართულის მყოფნებდაც კი გაუჭირდებთ მისი წაიკითხვა, და ამის გამო ამ წიგნს სრულდებთ არ შეუძლია ენების მოტანა“. მაგრამ იგი შტოდ აუღლუგებია ამ წიგნის გამოცემის განცხადებას, რომელიც ბოლო გვარდზეა დაბეჭდილი: წიგნით შემოსული ფულით დაიბეჭდება სულხან ორბელიანის ლექსიკონი. ს. ორბელიანის ლექსიკონის დაბეჭდა, — ამბობს რეცენზენტი, — დიდი და კარგი საქმეა, მაგრამ წყნად აბრის მისაღწევად წმიდა საშუალება უნდა იზმაროს კაცმა და არა უწყინდერი და შავნეო“.

ჩვენ აღარ მოვიტანთ დამატებით მაგალითებს, რომლებიც აშკარად მოწმობენ, რომ ივ. შაჩაბელმა მკაცრი ბრძოლა გააგრძელა მკითხველში საკმაოდ გავრცელებულ „შეჩურბობაში“ და ფულის მქონე თუ ფულისმოყვარე უნიკო მკლბნელთა გატაცებას წიგნების გამოცემით, რათა რეკლამა გაეკეთებიათ საკეთარი თავისათვის.

ივ. შაჩაბელი განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდა იმ წიგნებს, რომლებიც უშუალოდ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის იყო განკუთვნილი. იგი მაღლიერბ, შავამ უარტრსად მომთხოვია ასეთი წიგნების ავტორებისადმი. რეცენზენტი, პირველყოვლისა, ვერ ურცადება ამგვარი წიგნების დამახინჯებული ქართული ენით გამართვის; არ იწონებს უცხო ენათგან საბავშვო წიგნების ხელალებით თარგმნისა და ადგილობრბივი პირთგზნად და ინტერესების გაუთვალისწინებლობასაც. ცხადია, ვერ იომებს ისეთი წიგნების გამრავლებას, რომლებსაც მხოლოდ მკლბარი წარმოადგენს შექმნა შეუძლავთ ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენაზე.

ივ. შაჩაბლის თქმით, ანგარბბანი და ჩირჭინი ზელი არაღუერს არ უნდა შეეხოს, მაგრამ განსაკუთრებით „ისეთ წმინდა საგანს, როგორიც არის ხალხის განათლება“. უარტრსად სამწუხარო მოვლენად მიიჩნია მას ბავშვებისათვის ისეთი პირველსაკითხავი წიგნების მიწოდება, რომლებმაც „შეიძლება სამუდამოდ შეაბღლონ ბავშვს წერა-კითხვა“. ამიტომია, რომ იგი მკაცრად გმობს პრაქტიკას ისეთი წიგნების გამოცემისას, როგორიც იყო „ქართული ანბანი, მოძრავი ასოებით და პირველსაკითხავი წიგნი“ (1880 წ.), ო. დიდებულისის მიერ ნათარგმნი ებტრშესვის „აბრამტიკული საანგარიშობი“ (1880 წ.), „მერცხალი“ (გადმოკეთებული შმიდტის მოთხრობიდან) და სხვ.

საბავშვო წიგნების ავტორთა საყურადღებოდ ივ. შაჩაბელს არაერთხელ დაუწერია, რომ „დიდი ნიჭი, ენის კარგი ცოდნა და ყმაწვილების გულის ცნობა — აუცილებელი საჭიროებაა საყმაწვილო თხზულებების მწერალთათვისო“. მაგრამ მის ამ გაფრთხილებას უფრო ნიჭიერი იმედდენე ყურთ, უნიჭონი და სხვა მიზნით გაცეხებული კი მაინც არ იმლიდენ თავისას. ამიტომ, იგიც იძულებული იყო არა მარტო მთელი სიმკაცრით ემხილება ასეთი ავტორები, არამედ — უფრადღების ვარტე არ დაეტრავებია არც ის ხარვეზები, რომლებიც კეშმარტი საბავშვო მწერლებისა და პედაგოგების მოღვაწეობაში შეინიშნებოდა. ამ მხრივ უარტრსად საყურადღებოა ივ. შაჩაბლის რეცენზიები ი. გოგვაშვილის „ღედა ენის“ მესამე შესწორებული გამოცემისა (1881 წ.) და ანთ. ჟღელის

სამაგერო აღმანახის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე წიგნების შესახებ.

ივ. შაჩაბელი საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს ი. გოგებაშვილის „დედა ენას“, მაგრამ აქვს თავისი შენიშვნებიც. მისი შეხედულებებით, „ქარბი იქნებოდა „ნაბაქენი“ და ნათარგმნი“ ლექსები შთაღწევიანი და ამოვალა შემდგენელს და მათ მაგიერად ამისთანა და მშვენიერი კლასიკური დაწერილი ლექსები ჩაერთო, რაგორც: მავალითად, ავაის „ნატრია“. საჭიროდ მოაჩინა, წიგნის მხატვრული გაფორმებაც ჩვენნი სინამდვილის ამსახველი სურათებით მომზადიერყო, „თორემ რასა ჰგავს ქართულ საყმაწვილო წიგნში რუსული ქიბისა და რუსეთის ქალაქის დაბატეაო“, დასძენდა იგი.

ივ. შაჩაბელი დადებით შეფასებას აძლევს ანთ. ჭრდელის მერ ყრმთათვის საკითხავი აღმანახის „წყაროს“ პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე ნომრებსაც. მაგრამ, განსხვავებით „დედა ენისაგან“, მათში ვერ ხედავს ერთი რედაქტორის მტკიცე ხელს მასალის შერჩევისა და დალაგების მხრივ.

„წყაროს“ პირველ ნომერში მოთავსებულ მასალათგან ივ. შაჩაბელი იწონებს ორ ხალხურ ლექსს („შამუკა სავანელი“, „ალხევის ლექსი“), ნ. ლომოურის მიერ თარგმნილ „ყინვა და პატარა შეგირდს“ და, განსაკუთრებით, რაფ. ერისთავის ლექსს „ხამთარი“, რომელსაც სანიმუშოს უწოდებს. რეცენზენტს მაღლობის ღირსად მოაჩინა გამოცემული და რედაქტორი ანთ. ჭრდელიც ასეთი სასარგებლო საქმის წამოწყებისათვის, მაგრამ, მისი აზრით, იგი კიდევ უფრო დიდი მაღლობის ღირსი იქნება, თუ ერთ რჩევასაც აღსარტლებს: „ის ბევრს იღწვის წიგნების გამოცემისა და გავრცელებისათვის და კარგი იქნებოდა მხოლოდ ამ ასპარეზზე მოქმედება ეგაზა, ყოფილიყო „წყაროს“ გამოცემად და რედაქტორობა კი უფრო მარჯვე კაცის ხელში ზაგდო, თორემ ამა ვინ რას იტყვის მისი მოწინავე სტატია რომ წაეითხოს?“

ანალიტიკური ხასიათის შეფასება მისცა ივ. შაჩაბელმა „წყაროს“ მეორე ნომერსაც, რომლის დამამშვენიებლად იგი მიიჩნებს ავაი წერტილის ლექსს „აღდგომას“ და რაფ. ერისთავის ლექსებს: „გაზაფხული“, „ბზობა“, „აღდგომა“. თუმცა მათში ხედავს ზედმეტ აღვილებსაც. სა-მაგიეროდ კრიტიკოსს სრულებით ვერ აკმაყოფილებს ამ ნომერში მოთავსებული პროზაული თხზულებანიც. მისი თქმით, „ნათარგმნი მოთხრობა „ოლა“ სრულიად არ შეეფერება ჩვენს ცხოვრებას“, უგარვისია მისი ენაც კიდევ უფრო სუსტად მიიჩნევს „წურბელს“.

რაც შეეხება „წყაროს“ მესამე და მეოთხე ნომრებს, ივ. შაჩაბელი მერ კმაყოფილებას გამოთქვამს მათში მოთავსებულ მასალებს გამო. ამ ნომრების სტულისამდგეველად იგი რაფ. ერისთავის ლექსებს თვლის; ძალიან მაღალ შე-

ფასებას აძლევს „ზაფხულს“, მოსწონს „მერცხალიც“, თუმცა ამ უკანასკნელში ერთგვარ ნა-ძალადობას და რიბის გამო სიტყვურ ელუფად სმარებასაც ამჩნევს. ამერად რეცენზენტი კმაყოფილებას გამოთქვამს თარგმნილი პროზაული თხზულებას გამოც. მოსწონს კერძოდ ანდერსენის „ჩიტი და ტუსალის“ თარგმანი.

ივ. შაჩაბელი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ნაწარმოების ენას. მწერლისა თუ მეცნიერისაგან იგი მოითხოვდა ხალხისათვის გასაგებ და მიმზიდველი ენით თხრობას. ამის გამო იგი არ ინდობს არც ცნობად ისტორიკოსს დიმიტრიადეს, თუმცა მისი გამოკვლევების მეცნიერული დონე აკმაყოფილებს. „ისტორიის ბროშურის მწერალმა უველაფერი უნდა მიიღოს მხედველობაში და შეტადრე ესა, რომ ჩვეულებრივი შეთხვეული სწავლელი არ არას და ხალხისაგან მხოლოდ მაშინ წაეითხება, თუ მწერლის კალამს პატარა სიცოცხლე ეტეობაო“, დასძენს მეცნიერის მისამართით ჩვენი კრიტიკოსი.

ივ. შაჩაბლის ჩვენს მიერ მიმოხილულ რეცენზიებს არ შეიძლება არ დავერწმუნებოდეთ ავტორის დიდ ობიექტურობასა და რაც თანაგარია, პირდაპირობაში. საზოგადოებრივი ინტერესების ერთგული ახალგაზრდა კრიტიკოსისათვის უცხო და მიუღებელია პარპოთნეობა და აზრის სინახეობად გამოთქმა. მისი ამოსავალი ყოველთვის ტემპარტიბა და საკუთარი რწმენა. ამიტომაც, მის გულგრილად არავინ უსმენდა, მის ნაწერს ველაგრილად ვერავინ ეკიდებოდა; ყველა ანგარიშს უწყევდა და სათანადო დასვენასაც აკეთებდა.

ასაფერის გვიტყვამს ივ. შაჩაბლის იმ რეცენზიებზე, რომლებიც მიზნად ისახავდნენ უშუალოდ ქართველ მწერალთა თხზულებების, თუ ცალკეულ ნაწარმოებთა კრიტიკულ შეფასებას. ეს რეცენზიები განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის, რამდენადაც მათი მიხედვით შესაძლებლობა გვაქვს გავითვალისწინოთ 80-იანი წლების ერთ-ერთი ერთდარებული და პროგრესულად მოაზროვნე მწერლის შეხედულება ჩვენი მწერლობის ისტორიის აქტუალურ საკითხებზე.

ამ რეცენზიებთაგან ჩვენ უფრო დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მათ, რომლებშიც მოცემულია ქართველი რომანტიზმის წარმომადგენელთა შემოქმედების ისტორიული თვალსაზრისით შესწავლისა და შეფასების ცდა. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი გამოცემის (1881 წ.) გამო დაწერილი ივ. შაჩაბლის რეცენზია.

ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულის გამოხვედით, — შევნიშნავს ივ. შაჩაბელი, — „ერთი მეტად თვალსაზრისით ამოღრმავებული ალაგი ჩვენს

ლიტერატურაში ამოიყოს ძვირფასი და ბრწყინვალე თეოდონი. ამგვარი განცხადებით კრიტიკოსი თავიდანვე გარკვეულ ხდის თავის შეხედულებას დიდი ქართველი რომანტიკოსის შემოქმედებაზე: უწოდებს მას ჩვენი ლიტერატურის ბრწყინვალე და ძვირფას თვალს. ამასთან ერთად, იმაზეც მიახივებს მეთხველს, რომ ეს თვალსაზრისი არ არის ახალი და მხოლოდ მისი, ალ. ჭავჭავაძის და მის შემოქმედებას ამგვარად აფასებდნენ და აფასებენ სხვებიც. შემეტად ძველი ამბავის შთქმელი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ამ წიგნმა ქართველებს თავიანთი წარჩინებული პოეტის წიგნი შესძინაო. დიდი ხანია რაც ალ. ჭავჭავაძის ჩვენს პოეტთა შორის პირველი ადგილთაგანი უჭირავსა, დასძენს მტრად ნიშანდობილად ივ. მაიახელი, რითაც კიდევ უფრო უღალის ხდის თავისი შეხედულების საფუძვლიანობასა და საყოველთაო ხასიათს.

ივ. მაიახლის აზრით, ალ. ჭავჭავაძის პოეზია შემპრობებულია იმ გარემოთი, რომელშიც პოეტს უხედვლად ეხებოდნენ და მოღვაწეობდა. ეს გარემო კი ისტორიულად საკმაოდ განსხვავებული იყო და განსხვავებულ ესთეტიკურ კრიტერიუმსაც უყენებდა შემოქმედს. ამ უკანასკნელსაც, ცხადია, არ შეეძლო თავისი ხარკი არ მიეზოლა ამგვარი განწყობილებებისათვის. ამიტომაც, რომ ალ. ჭავჭავაძის ბევრი ლექსი თავის ძლიერებას მაშინ აცლენს და შთაბეჭდილებასაც მაშინ ახდენს როდესაც გამომთქმელმა ჰყავს ტრიბუნოვანი საზნადარი და ბანის მომცემად ჩონგურის ვლერა.

ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა პირველ გამოცემაში უმთავრესად სწორედ ის ლექსები არიან მოხვედრად, რომლებიც სატრფიალო-სანადიმო თემებზე არიან დაწერილი და დაბრძანდუარაჩოვლთა სისიმღერო ჯგუფებისათვის დიდი ხნის მანძილზე ამწვენებდნენ. ამ ლექსების მოსმენას მართლაც სიმღერით უფრო იყო შეჩვეული ქართველი კაცის სმენა, ვიდრე კითხვით. ეს გარემოება კი საფუძველს აძლევდა ჩვენს კრიტიკოსს ეთქვა: „როგორც მთლიანი აწერდა თავის კომედიებს: „ნუ დაივიწყებ, რომ კომედია იწერება არა საკითხავად, არამედ წარმოსადგენად, ისე ალ. ჭავჭავაძის შეეძლო თავის ლექსების მომეტებულ ნაწილზე დაეწერა: ჩემი ლექსები იწერება სამღეროდ არა საკითხავად“.

ეპოქისა და ტრადიციის გავლენას მიაწერს ივ. მაიახელი იმასაც, რომ ალ. ჭავჭავაძე ზოგჯერ თავის ფანტაზიის შემპრობავე ფორმებს იჩინებს და ანაბეჭდების, „აკროსტიხის“, თუ მოწინაშეებით გაერთმეული ლექსებისათვის იცლის. მაგრამ კრიტიკოსი მხედველობიდან არ გამოიპარება არც ის ლექსები, რომელთა შინაარსი ცილდება სატრფიალო-სანადიმო პოეზიის ფარგლებს და სქოლასტიკოს პოეტთაგან დადგენი-

ლი წესებიც უარყოფილია. ასეთ ლექსებში, — წერს კრიტიკოსი, — „კაცმა არ იცის, რამ უფრო უნდა განაცვიფროს: ნამდიელ გარბობათა გამოთქმამ, კაცის გულის სწავადსხეობის გამოხატვამ, აქედან ტუბილმთავანებამ, თუ ვნის მოქნილობამ და ძლიერებამ“.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ი. მაიახლისეული გაგება და შეფასება სრული და ზუსტი ვერ არის, მაგრამ ამის მიზეზი თეით ალ. ჭავჭავაძის ლექსთა იმ კრებულში უნდა ვეძიოთ, რომლის გამოც დაიწერა მისი კრიტიკული წერილი. ავტორის ბევრი თხზულება ამ კრებულში არ იყო შეტანილი.

საგულისხმოა, რომ ივ. მაიახელმა, ერთ-ერთმა პირველმა ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში, გაუსულა ხაზი იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც უნდა ბარათაშვილის პოეზიას ჰქონდა ქართული მწერლობის განვითარების ისტორიაში. მისი თქმით, „მეოცდაათე და მეორმოცე წლები ამ საუკუნისა დაუეწიარო იქნებთან ჩვენი ღარიბი ლიტერატურისათვის. ამ დროს ალექსანდრე ჭავჭავაძის გრძნობით სავეს და წმინდა სანთელ-სავეთი მოქნა ლექსებს, რომელთა საგანი იყო ჭალები, სიყვარული, ვარდი, წითელი კახური ღვინო, გაერია აგრეთვე გრძნობით სავეს, მაგრამ ხანდახან სხვა საგნებზედაც მომთქმელი ლექსები ნივ. ბარათაშვილისა“.

ივ. მაიახლის შეხედულებით, თავდაპირველად ყველა ვერ შეიცნო „მერანის“, „შემოღამება მოთქმინადზე“ და მათი ავტორის სხვა ლექსების მნიშვნელობა: „საზნადრებიც ერთგვარი გრძნობით მღეროდნენ ალ. ჭავჭავაძის „სმგერს გლახ გულს“ და ნ. ბარათაშვილის „სულ ბოროტოს“, მაგრამ ზოგიერთმა მისინ შეამჩინა, რომ ნ. ბარათაშვილის პოეზიით დაიწყო ახალი ხანა და, თავისი ნიჭის შესაფერისად, ღვაწლიც დასდო მას.

ივ. მაიახელი პრინციპულად უარყოფს მათ შეხედულებას, ვინც ფიქრობდა, რომ ნ. ბარათაშვილი იყო რაღაც უცნობი მოვლენა, რომლის პოეზია თითქმის შემზადებული არ ყოფილიყოს ჩვენი მწერლობის განვითარების იმდროინდელი დონით. „ვინც ამას ამბობს, წაიკობოს გრაგოლ ობედიანის, მიხეილ თუმანიშვილის, ვახტანგ ორბელიანის ლექსები და ამ ყოველად შემეცდარ აზრს აღარ იტყვიოს“, შენიშნავს იგი. ასევე კატეგორიულად უარყოფს ივ. მაიახელი ე. წ. მეორეხარისხოვანი მწერლების შემოქმედების მნიშვნელობის უფუძვლუყოფის პრაქტიკას ლიტერატურის ისტორიაში.

თავის შეხედულებების ერთ-ერთ დადასტურებას იგი ზედავს მიბ. თუმანიშვილის მოღვაწეობაში. ამ მწერლის, — შენიშნავს იგი, — მართალია „მეორე არ უწერია, მაგრამ მის თხზულებებში თითქმის იგივე აზრი და გრძნობაა

1 ჟურნ. „ვერია“, 1881 წ. № 7.

მოთქმული, რაც ბარათაშვილის ლექსებში და შესანიშნავი ეს არის, რომ მიხ. თუმანიშვილი, თუ ლექსების ქვეშ მოწერილი წელთა რიცხვი არ გვატყუებს, მონებრივი მიმზამავი კი არ არის, იმას თითქმის წინდაწინვე აქვს გამოთქმული იგი, რაც ბარათაშვილს თავის საუკეთესო ლექსების წერის დროს უგარმენია. ამის მაგალითად მოჰყავს მას მ. თუმანიშვილის „სალამურო“ და ნ. ბარათაშვილის „სულთ ბოროტო“. თუმცა იქვე დასძენს, რომ „ნ. ბარათაშვილის უფრო აღრე ჰქონდა დაწერილი „მთაწმინდაზე შემოდგება“ (1836 წ.), „ფიქრი მტკერის პირას“ (1837 წ.), რომლებშიც იგივე მწუხარება და წუთისოფლის სამდურავია გამოხატული, როგორც „სულთ ბოროტოში“.

ივ. მაჩაბლის ამ დასაბუთებულ მსჯელობას, ცხადია, ვარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ზოგად მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ასევე მიხ. თუმანიშვილის რეაბილიტაციისათვისაც.

მ. თუმანიშვილმა, ივ. მაჩაბლის აზრით, მართალია მხარი აუბნა ნ. ბარათაშვილს და მის მიერ დაწეხულ გზას ქართულ პოეზიაში, მაგრამ მას მხოლოდ ცალი ხელი ჰქონდა ვაწედილი ამ დიდი შემოქმედისაკენ, მხოლოდ ორი-სამი ლექსი აქვს ისეთი, რომლებშიც ბარათაშვილისეული სამდურავი მოისმის; მეორე ხელი კი მას ჩაჭიდებულა აქვს ალ. ჰავაიავისათვის, — მასავეთ მღერის ფილაზე, ლეინოზე, ქალბზე...

მ. თუმანიშვილის პოეზიის ხასიათის კინტესენციას ივ. მაჩაბელი ხედავს პოეტის იმ სიტყვებში, როცა იგი ნატრობს „მოწყდეს ამ სოფელს და გაფრინდეს იქ,

სად სიტბოება არს უსყიდელი  
და სიყვარული სულს ათბობს მარად.  
ამა სოფელსაც არ დაევიწყებ:  
ზოგჯერ, ვით ცრემლი სიბრაღელისა,  
მოველინებო და ვანუგეგებ  
მელსა კაცობრივს, ბნელსა და მწირსა.  
ბეჭდა ეს მოსელა იქნება წამი:  
ვითა ყვაილზე დღისა ნამი,  
შევეთვისები მზისა სხივებსა  
და მივთქვევი კვლავცა ედგმასა...“

კრიტიკოსის აზრით, მ. თუმანიშვილი ძირითადად ისეთ საგნებს დახმარის, რომელთა ტრეობა ცენზურისაგანაც კი არასოდეს იქნება აკრძალული, და „მხოლოდ ხანდახან გაიტაცებს ზოლმე დროთა მღელვარება და ლექსობს იმაზე, რასაც ჰქონდა ქვეყნის ტყვილს ენახის“.

ივ. მაჩაბელი საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს მ. თუმანიშვილის ლექსის მხატვრულ მზარეს და ვარკვეულ ისტორიულ დამსახურებამდ უფლის მას „სალაუბო ფერკლების“ დაწერასაც.

გადეპირებულად შეიძლება ითქვას, რომ მიხ. თუმანიშვილის შემოქმედების პირველი ობიექტური დამფასებელი და ზვენი ლიტერატურის ისტორიაში მისი ადგილის გამოკვეთი ზე. მაჩაბელი იყო.

ივ. მაჩაბელმა ცალკე რეცენზია უძღვნა ვახტანგ ორბელიანის ლექსთა კრებულსაც (1881 წ.), რომელშიც მან ამაგდარი პოეტის ნიჭიერება ამოიკითხა. „როგორც ალ. ჰავაიავის პოეზიის აარღვე სიყვარულია, — წერს ივ. მაჩაბელი, — ისე ვ. ორბელიანის პოეზიის ძარღვი არის წუხილი დაკარგულ ბედნიერებაზე და იმედი მომავლისა“. პოეტის მთავარი იდეური აზრის ზორმეხსმად კრიტიკოსი მიიჩნევს ლექსს „იმედი“ და ამაში, ცხადია, არც ცდება.

როგორც ვხედავთ, თავის პატრია რეცენზებში ივ. მაჩაბელმა მოახერხა ბევრი საყურადღებო აზრისა და შენიშვნის გამოთქმა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაზე. ბევრი მათგანი შემდგომმა კვლევა-ძიებამ კიდევ უფრო აშკარა და მისაღები გახადა, რაც თავისთავად მეტყველებს მათ ისტორიულ დამფასებაზე.

ყოველგვარს იქცევს აგრეთვე ივ. მაჩაბლის რეცენზიები ხალხოსან მწერალთა მხატვრული შემოქმედებისა და მათი ლიტერატურული ორიგინოს ეურხალ „იმედის“ შესახებ.

როგორც ცნობილია, ქართველი საზოციანელები დიდი აღფრთოვანებით არ შეხვდნობნ ხალხოსან მწერალთა გამოსვლას ამ მწერლო ასპარეზზე; კიდევ უფრო ნაკლებ ინტერესით იყვნენ ისინი განწყობილნი ეურხალ „იმედის“ მიმართ, რომელშიც მთელი სისრულით გამოინდა ხალხოსან მწერალთა მსოფლმხედველობრივი კრედო და მათი მხატვრული ტალანტი. ამის მთავარი მიზეზი იქ, ზვენი აზრით, ხალხოსნობა მიმართულების წარმომადგენელთა პატარა შესაძლებლობასა და გაცილებით მეტ პრეტენზიებში უნდა ედგათ.

საზოციანელთა მსგავსად, ხალხოსან მწერალთა შესახებ მაღალი წარმოდგენის არ ყოფილა არც იანვე მაჩაბელი, რომელმაც ეურხალ „იმედის“ ფერკლებზე თავისი შეხედულება გამოთქვა „იმედის“ პირველი და მეორე ნომრების შესახებ. რეცენზენტმა, პირველყოფლისა, არ მოიწონა „იმედის“ პუბლიცისტიკა, რომელიც, მისი თქმით, საწინააღმდეგო აზრების შემცველი იყო და უმართებულად იყენებდა მთელ როგ საკითხებს. ამასთან ერთად, მასში მან ამოიკითხა ნიპილისტური და გაუმართლებელი დამოკიდებულება სხვა გამოკვეთებისა და ცნობილ შემოქმედთა მიმართ. ეურხალ, მან არ ვაიზარია „იმედის“ პუბლიცისტთა შეხედულება „იმედისა“ და მასში გამოქვეყნებული მასალის შესახებ; საუვედრობის მათ ვ. ორბელიანის ლექსის „არის ადგილი“ გაბიბრებებისა და პუშკინის „ბარისისარას შადრევნის“ იდეური აზრის უმართებულ შეფასების გამო. და მეტე ვინ იქუ-

ნებს პუშკინის პოემას? სვამს კითხვას რეცენზენტი და საკმაოდ ირონიულად პასუხობს: „იმედი“, რომელსაც პოემისათვის „როინი და მტკვარი“ პირველი ალაგი მიუციაა“.

იგი მაჩაბელი არ იზიარებს, აგრეთვე, ბ. ბელინსკის ციტატით გამაგრებული „იმედის“ პუბლიცისტის აზრს „ეკვეფილდის მოძღვრის“ შესახებ, რომლის თარგმანს „ივერია“ აქვეყნებდა. მისი თქმით, სხვისი აზრების უკან ამოფარება ვერაფერი ეკუთვნის, მაგრამ თუ ეს საბუთია, მაშინ ვავეცნოთ ი. ტენის „ინგლისური ლიტერატურის ისტორიასაც“, სადაც ეს თხზულება შექმნილია; თვით ბელინსკიც, დამოწმებული ციტატის რამდენიმე ვერსიის შემდეგ, მას გამოჩინებულ თხზულებას უწოდებს.

სრულიად სამართლიანად, უფერულს უწოდებს იგი. მაჩაბელი „იმედის“ ბელეტრისტიკისაც, რომელსაც იგი აფასებს გ. ჰრელაშვილის მოთხრობის „შემთხვევის მსჭვებლნი“ და ზ. გელისაშვილის „მარტიანთა პაპას“ მაგალითზე.

გადაჭარბებულ ტენდენციურობას, თხრობის უინტერესოდ განვითარებას და ტიპთა გამოხატვის ტექნიკის უყოღინარობას საყვედურობს იგი. მაჩაბელი ანტ. ფურცელაშვილს მოთხრობის „უკი მართალთა“ გამო, რომელსაც მან საგანგებო რეცენზია უძღვნა.

იგი მაჩაბელს თავისი შეხედულება აქვს გამოთქმული ბ. უმიკაშვილის მიერ გამოცემულ დ. გურამიშვილის „დავითიანის“ შესახებაც. იგი აღიარებს ამ თხზულების როგორც ისტორიული პოემის — დიდ შემეცნებით მნიშვნელობას და მის მხატვრულ ღირსებებს. უკრძალ, მოსწონს მისი მსუბუქი ენა და ლექსის მელოდირი ელფადობა; ამასთან, მზედველობიდან არ უშვებს პოემის რელიგიურ მოტივსაც, რომელიც, მისი თქმით, დღეს გერავის მიზიდავს, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით ეს ტენდენციაც საინტერესოა.

შეტად მოკლედ აუწყა მკითხველს იგი. მაჩაბელმა ი. ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებულთა“ და „კაცია ადამიანისი?“ დაბეჭდვის შესახებ, სხვაგვარად უხერხულიც იყო; „ივერია“ ფურცლებზე მისი რედაქტორის თხზულებათა ღირსებებზე ვრცლად საუბარი ავტორისა

და რეცენზენტის მოკრძალებსათვის შეუფერებელი იქნებოდა. მაგრამ რეცენზენტმა მაინც სპეციალად ჩათვალა უფრადლება გაემსრულებინა ადამიანისი? რედაქციურად ცხადდება შეტანაზე. „ავტორმა, — წერს ის, — გამოტოვა თავის თხზულებიდან ზოგიერთი ისეთი ადგილები, რომელნიც მხოლოდ ავტორებდნენ მოთხრობას და არაფერს კი უმატებდნენ მის ღირსებას, — ის ადგილები, სადაც თვითონ ავტორი ეხმარებოდა მკითხველებს და ლუარსან თათქარისის მაგალითით აქვას ასწავლიდა“.

როგორც ვხედავთ, იგი მაჩაბელმა „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ რეცენზებში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ახალი წიგნების შეფასებას და მათ შიგნით მკითხველს ორიენტირებას, გამოვლენილია ავტორის კრიტიკული ნიჭი, ფართო ერუდიცია და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის ბრძოლის მხურვალე პათოსი. მოატყნა რა ახალი წიგნების მიზიდავისა და შეფასებისათვის მეტად შესატყვისი და საჭირო ფორმები, იგი მაჩაბელმა ქართულ ეტრნალისტიკას მისცა რეცენზიის — როგორც ერთ-ერთი მებრძოლი ფაჩრის საუკეთესო მაგალითები. მათი გათვალისწინება მომავალში, ცხადია, უფრო გააადვილებს იგი. მაჩაბლის კრიტიკულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის შეცნაურად შესწავლას.

აქვე უნდა შევინიშნოთ, რომ იგი მაჩაბლის თანამშრომლობა ეტრნალ „ივერიაში“ არც მხოლოდ ამით უნდა ამოიწურებოდეს. ჩვენი ღრმა რწმენით, მის კლამს ეკუთვნის აგრეთვე სხვა ხელმოწერილი წერილებიც, რომელთა საბოლოოდ დადგენას ამჟამად ვერ ვახერხებთ, რის გამოდ მათზე მსჯელობასაც აღარ ვაგრძელებთ. კიდევ უფრო დიდი სამუშაოა ჩასატარებელი გავთუ „ღროების“ ამ მიზნით შესასწავლად. „ღროების“ უკანასკნელი რედაქტორი, ჩანს ხელმოწერილად აქვეყნებდა ბევრ წერილს, რომელთა ავტორობის დადგენა ჩვენი ეტრნალისტიკის ისტორიკოსთა ვადამდებელი მოვალეობაა; არცერთი სტატია არ უნდა დაეუკარგოთ იმ ნიჭიერ და დიდად ამავედარ მოღვაწეს, რომელიც, სამწუხაროდ, თვითონ უგზო-უცვლოდ დაგვიკარგა.

შეიქმნა

## ერთი, მართლაც, კარგი წელიწადი

გასულ, 1970 წელს მეთხველმა საინტერესო, თუმცა, უჩვეულო წიგნი მიიღო. ადრე, მგონი, არა ყოფილა შემთხვევა, რომ მწერლის ცალკე წიგნად აკანონოს ერთი წლის ნაღველი. კონსტანტინე ლორთქიფანიძე ამ ერთი წლის მასალით ეტყობა კმაყოფილია, ამიტომაც დაატკეპა წიგნს „ერთი კარგი წელიწადი“, სათაურშივე გვაგვარძობინა თავისი განწყობილება. მწერლის სიხარულსა თუ კმაყოფილებას მეთხველიც ხალისით იზიარებს, რადგან კონსტანტინე ლორთქიფანიძე იმ ბედნიერ მწერალთა რიგს განეკუთვნება, ვის ახალ ნაწარმოებს, რა ენარისაც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის ინტერესით ელიან. ამ, მართლაც, კარგ წელიწადს კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მოთხრობებიც დაწერა, ლექსებიც, წერილებიც, და კიდევ, ერთი შესანიშნავი იაპონელი პოეტის შემოქმედებასაც აზიარა ქართველი მეთხველი. ყოველივე ამას კი თავი მოუყარა წიგნში „ერთი კარგი წელიწადი“. ეს ორიგინალური წიგნი ლლად, ერთი ამსუბუქებით რომ აკითხება, ერთგვარ სიძველეს მხოლოდ კრიტიკოსს თუ უქმნის, რადგან სულ სხვადასხვა ხასიათისა და ენარის ნაწარმოებებისაგან შედგება და ამიტომაც მასზე შესწავლა ძნელდება. კიდევ უფრო ართულებს კრიტიკოსის მდგომარეობას ის გაიუმოვება, რომ თავისი მასალითაც, პრობლემებით, მწერლის ვამდგენებელი ინტერესების სიუხვით, წიგნი მდიდარი და მრავალფეროვანია. მისი კითხვის დროს ხან რევოლუციურ წარსულში ვაღაფივართ, ხან ჩვენს მღელვარე თანამედროვეობას ეუბრუნდებით, ხან შუაყოფ თუ ხანაც ხალისიან საფიქრალს მივცემით. ამ მრავალმხრივობის გამოა, რომ შეთხვეტილებათა ერთ მთლიან ყალიბში მოქცევა ძნელდება და მაინც „ერთ კარგ წელიწადზე“ უკვე რამდენიმე წერილი დაიბეჭდა. როგორც ჩანს, მიუხე-

დავად ჩვენი თანამედროვე მწერლობის იმედიანი მდგომარეობისა, კუშმარტაძე კარგი წიგნები მაინც იშვიათობაა და ამიტომაც ამ „სინელეებში“ ვერ შეაშინა კრიტიკოსები, ვერ გაუძნელა სურვილი იმისა, რომ თავისი აზრი გამოეთქვათ „ერთ კარგ წელიწადზე“.

ენარობრივად თუ თემატიკითა და პრობლემებით მრავალფეროვანი ეს წიგნი ერთიანი, მთლიანია. ამ ყველაფერს აერთიანებს მწერლის სული, პოზიცია, მსოფლმხედველობა, მსოფლმეგარძნება. ყველა მასალას კრავს, ერთიანებს მწერლის მაღალი მოვალეობის გრძნობა თავისი ერის, სამშობლოს წინაშე. აქაც კონსტანტინე ლორთქიფანიძის ყოველი სიტყვა ერთი მიზნისაკენაა მიმართული, რომ მთელი მისი განუზომელი ძალა და ენერჯია მეთხველში მოქალაქეობრივი გრძნობის ვალეფებაში დაილიოს და დაიხარჯოს.

„არც ერთ დარგის ბელოვანი ისე არა ჰგავს თავისისავე ქმნილებას, როგორც მწერალი. ეს აღბათ იმის ბრალია, რომ სიტყვის ძალა განუზომელია, დაუღველი. სიტყვის იმდენი ფერი და ელფერი აქვს, რამდენიც, შავლითად, არ გააჩნია მხატვრის პალიტრას ან მუსიკალურ ბეჭეტს.“ — წერს კონსტანტინე ლორთქიფანიძე თავისი ავტობიოგრაფიული მოთხრობის — „ჩემი პირველი კომპოზირების“ წინათქმისში. თითქოს უდავო დებულებაა, მაგრამ მხატვრობის ან მუსიკის გულწრფელმა თავყენისმცენლებმა კიდევ რომ სადავოდ გახადონ იგი, ერთი რამ ურყევია — წიგნი ჰგავს მწერლის ჰგავს მაშინაც კი, როცა სხვადასხვა მიზნის გამო მწერალი განზრახ ცდილობს არ დაიმსგავსოს იგი. ჰგავს იმ უზბალო, მაგრამ შეუფერლი კანონზომიერებით, რითაც შობილი მშობელს ემსგავსება. და თუ ასეა, ცხადია, „ერთი კარგი წელიწადი“ ჰგავს მის ავტორს. თუმცა,

განა მხოლოდ ამ ლოგიკური წინამძღვრებით შეიძლება ასეთ დასკვნამდე მივლეთ. ამ მხვე-სებას ერთი შეხედვითვე შეუმცდარად შეაჩ-ნევს დაკვირვებულ მკითხველს, ეს წიგნის წა-კითხვისთანავე ცხელი ვახდება მოსთვის.

მეტწილად მწერალს ასაკი და ხანი დაბრძნე-ბული კაცისათვის ჩვეულ სიღრმეს (თუ სიმშ-ვილეს არა) პვეტის, რაც ხშირად ანელდეს მის შემოქმედებაში, თუნდაც გამოხატვის თვალ-საზრისით, ახალგაზრდულ შემართებასა და ბრძოლის დაუმცხრად ენის. ზუსტად შენიშ-ნავს კრიტიკოსი ოტია პვეკოროია, რომ „ერთი კარგი წილწილი“ საოცრად ჰვეს ავტორს — ექვს თვეულ კარგა გადამცხვებულ მხცოვან კაცს, რომლის ცხოვრებამ ნიდავ შრომაში, ბრძოლაში და მოქმედებაში ვახვლო. წიგნი ჰვეს მწერალს — წილწიან შერახებებსა და დროის დაძლევის დაუთრგუნავი ვნებით, მიღ-წეულთ გამო ვნებაგანცლებული ჰვერტის ურყოფითა, სავეთარი პრინციპების ვახვრე-ლი ერთველებით“ („ლიტერატურული საქარ-თველო“, № 50, 1970).

ღიბს, ყველა დამახასიათებელი თვისება, ვან-სავეთრებთ კი მებრძოლი სული, სავეთარი პრინციპების ეროვლება, ლიტერატურული პოზიციის ურვევება სიპაუტეში და ხანდაზ-მელობაშიც თანაბრად ძლიერად სვეივის კონს-ტანტინე ლორთქიფანიძის ყოველ ახალ ნაწარ-მოებში, შთავარი მწერლის ამ „სავეთარ პრინ-ციპთაგან“, ჩემი აზრით, ჰაიღ ესაა, რომ კონ-სტანტინე ლორთქიფანიძე მეღამ ვეთილის, ნათველი ჰაიღებელია ცხოვრებაში, მას უფრო შვეტი იზიდავს, ვეღერ ჩრდილი, სვეესისი აჩა-სოტეს მორვეია, იმედი არასოდეს ვადამწერია, რწვენი დამიანის ძლიერებაში არასოდეს შერ-ყვეია. ეს მხოლოდ დროის მწვალობით შეხენი-ლი თვისებებია ჩრდილი. ასე ვეწილი, კონსტანტი-ნე ლორთქიფანიძეს სხვა ეპოქაშიც, სხვა სო-ცილურ ვითარებაშიც რომ ვეცხოვრა, იგი მან-ინე ამ მრწამსისა იწვებოდა (თუმცა, ცხადია, სხვავეარად გამოხატებოდა იგი), რადგან ლტოლვა სივეთისავენ, წყურვილი ბრძოლისა ამ სივეთის დანახვისა და დამკვიდრებისათვის, ორგანულ სიძველელო ირონიის თუ სვეესისის ყოველვეარი გამოხატვებისაღმი აპირველი-სად მისი სულის თვისებებია, ხოლო ეპოქა, ჩვენი თანამედროვე ცხოვრება ამ შინაგანი მოთხო-ვნილების, სულიერი სწრაფვის დაურებაში მას თანამდგომად ვაუხდა, ან, რომ აჩავის ენოთი-როს ეს ვამოთქმა, ამ სულიერ თვისებებთა გამო მწერალი ვახდა ეპოქის მხურველ თანამდგო-მი. ამ ბედნიერი დამთხვევის გამოა, რომ კონ-სტანტინე ლორთქიფანიძე ასე გულწრფელად, მთელი თავისი „დაუთრგუნავი ვნებითა“ და შემართებით იღწვის თუ იბრძვის ეპოქის მო-წოდებისა და სავეთარი რწმენის დასამყედ-

რებლად, ასე მყარად დგას სოცილისტურ-რეალისმის ლიტერატურის პოზიციებზე.

მოთხრობაში „გაუმარგოს დღეობის“ ჰა-ბა ვურგენიმე გამოვერტულება:

„არ მივევარს შვერდავი აღმანი, ყველავერს რომ დასცინის და ეწვის თვალით უწვერის. ასეთი კაცი ცხოვრებაში მძალე ნივოზივით არის: ყველანიორ საწმელს ვამწარებს, თუ ერ-თი ბეწოც საძმე შევერია.

ჩემთვის შეიძლება ვასაგები იყოს ნიბიზ-ში, ვსთქვით, ისეთი კაცისა, ყველა უფსკრულ-ში რომ ჩახებდა, ყველა მწვერველი მითარა და მერე მიიჩნია ეს წუთისთველი ამოვებთა ამოვებად, და როგორც ველისასტე მოსთქ-ვამს, არარაი არს ახალი მშისა ქვეშე... გულ-მან ჩემმან იხილა მრავალი სიბრძნე და მეც-ნიერება, ივავნი და ხელოვენებანი, ნაქმარნი და სივეთენი და ამა, ყოველავე ამოვება და ტანვეა სულისა...“

ვიმეორებ, ამვეარი კაცის აბრუნდი შემოძლია ვავიგო და კიდეც შეიწვეწარო ჰვერამ სასაცი-ლოზე სასაცილოა ნიბიზში ისეთი უნდილი კაცისა, ქვევანაზე ერთი ჩიბი რომ არ ვად-უბრუნებოდა...“

ისე ნუ ვამეგებთ, თითქოს ვავივებდუ ვე-ტორის მისი მოთხრობის ვებრთან, ჰვერამ ეინე კარგად იცნობს, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, იცნობს მის შემოქმედებას და იცის მწერლის ხასიათი, დამეთანხმება, რომ ჰაბა ვურგენიმის ამ სიტყვებში ვეტორის ველისნაღებია ვამოხა-ტული. თასავგარი ვანწყობილების მწერლობა არსებობს, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მო-აზროვნე და მოღვეწე კაცის ეწვეები ან ვრთვ-ვარი ვულატრუბაც კიდეც შეიძლება ვავიგოს და „შეიწვეწაროს“, ჰვერამ თავად მხოლოდ მხენ და იმეღანი ვანწყობილებისაა, ეს იმას სულეც არ ნიშნავს, თითქოს კონსტანტინე ლორთქიფა-ნიძის მწერლური თველი ცალმხრივად აღიქ-ვამდეს სამყაროს, მისი შემოქმედება ცხოვრე-ბას მთელი თავისი მრავალმხრივობით იტვეს, ვეთილთან ერთად ბოროტსაც წარმოვერცინს, ჰვერამ ეს ორი საწყისი აქ მუღმევე შერკიბე-შია, სწორედ ამტოვმა ესოდენ დიდი დრამა-ტიზმი მის რომანებსა და მოთხრობებში. და რაც მთავარია, ამ ბრძოლაში, თვით უკიდურე-სად დამახტულ სიტუაციებშიც კი, მწერალი არ კარგავს მხენ და იმეღან ვანწყობილებს, რად-გან მას უბრძოლად და მტკიცედ სვერია ვეთი-ლის უძველვობა, სვერა აღმინისა, მისი ვა-ულტვებლობისა, მისი ვამარჯვებისა, ეს ვანწყო-ბილება კვებავს სწორედ იმ სიყვარულს რომ-მანტაქულსაღმი, რაც კონსტანტინე ლორთქი-ფანიძის შემოქმედებაში თველათილვე სვეივის. ეს ვანწყობილება აღივევს იმ მებრძოლ სულს, რაც ასევე შეუმცდარად შევეძლია ვიგარმინა ყოველ მას ნაწარმოებში. და რაკი ქართველი მკითხველი ზედმეწვეწით იცნობს კონსტანტა-

ნე ლორთქიფანიძეს, მას პირველი წაიკითხვის-  
თანვე შეუძლია თამამად თქვას, რომ „ერთი  
კარგი წელიწადი“ ჰკავს მის ავტორს.

ამ წიგნში დაიბეჭდა სამი მოთხრობა („გაუ-  
მარჯოს დონკიხოტის“, „ჩემი პირველი კომპა-  
ნიონი“, „ორთავალე მეთევზეები“), რამ-  
დენიმე ლექსი, წერილები („სიყვარულმა მათქ-  
მეინა“, „სიტყვა თედო რაზუკაშვილზე“) და  
ისიყავა ტაქტიკურს ტანების თარგმანი. ყვე-  
ლაფერ ამას ცალ-ცალკე ქართული მკითხველი  
ამ წიგნამდეც იცნობდა, უფრო ადრე ქართულ  
პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა. მეტიც, ზოგ  
მათგან უკვე თავის ისტორიკოს აქვს, რადგან  
მკორე დროში მათზე ბევრს არ დაიწერა, დს-  
კუსიაც კი ვაიმარათა. ეს ერთხელ კიდევ მოწ-  
მობს იმას, რამე კონსტანტინე ლორთქიფანიძის  
ნაწარმოებები შედამ ცხოველ ინტერესს აღ-  
რავენ თავისა, მწივე, ცხოვრებისეული პრობ-  
ლემატყით და თამამი მხატვრული თუ პებლი-  
კურტობი ახრით.

როგორც ვთქვი, მოზღვეებელი ოპტიმიზმი  
მწერალს სულაც არ უშლის ხელს მკითხველის  
წინაშე ჩვენი საზოგადოებრთვი ცხოვრების  
მტკივნეული პრობლემები დააყენოს. ამის ერთ  
საუკეთესო ნიმუშია „გაუმარჯოს დონკი-  
ხოტის“ მოთხრობა, მალეი პებლიკურტობი  
ქღერადობისა და მისი პათოსი თითქმის ვაუ-  
გებარე არ უნდა დარჩენილიყო, იმდენად შეუ-  
ფარავდაა გამომხატული მწერლის გულისტყ-  
ვილი. ბოლოკებების მორალი ასერტივად არ შე-  
აწვითებდა მწერალს, ვადამდებ სენი რომ არ  
იყოს იგი. კეთილდღეობის შეშინალები ვაგებ-  
ვიწრო პრაქტიციზმი, მალეი იდეალუბის დე-  
ვალუაცი, დაღლილი ადამიანის პოზა ბოლოკი-  
ების წმინდა ეგოისტური ბუნებრიდან იღებს სა-  
თავეს. საკუთარი პირავენებისდმი ეგზომ მო-  
ჭირებულე ყურადღებას, საზოგადოებრთვიისდ-  
მი გულსუფრის დაშობას ნარკისის კომპლექ-  
სებამდე დაპყავს ადამიანი, თავისი თავით ვა-  
ტაცებულს კი ევარება სიკეთის ელემენტარუ-  
ლი მოთხოვნელება. აქედან იბადება ცინიზმი  
და სიძულვილამდე უკვე ერთი ნაბიჯილა რჩება.  
იმდე უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ  
იმ შეშინაბრი სულის პატრონები თავიანთ მო-  
რალს დაბეჯითობით ქადაგებენ და წერგავენ.  
ბოლოკებების მთელი ოჯახი აუბეზდრდება ერთ  
წევრთავანს, რადგან იგი ვადაწყვეტს, რომ  
კარგი მკურნალი ექიმობა სჯობს ორდინატო-  
რობასა და სამეცნიერო ზარისხის მაძიებლობას.  
ოტია ბოლოკია მშობლების კურთხევიით ასეთი  
შეგონებით მიმართავს უმცროს მძას.

—თეთრი ყვავი გინდა ვახდე? თეთრი ყვავე-  
ბის დრო წვიდა, ჩემო კარგო. ახლა ყველა  
ყვავი შავი უნდა იყოს, თორემ სიცოცხლ დავაყ-  
რიან, ავითვალწუნებენ, რატომ ჩვენი ფერისა  
არ არის, ადგილს ტყვილად აფუქებსო!\*

და იქვე, ჩვეულებრივად, მრავალმნიშვნე-  
ლოვანად დასძენს:

„მე უფრო თანამედროვე ადამიანი შეგონებ,  
ჩემო მამო! შენ კი მთლად ხელიდან წასული  
რომანტიკოსი ყოფილხარ!“

აი, სწორედ ეს სახედისწერო ფრაზა იქცე-  
ვა იმ უკომპრომისო დავის საგნად, რაც საბო-  
ლოდ გაამედვენებს ოტია ბოლოკის სულ-  
დაბლობს, მის ზნეობრივ დაცემას. თავდაპირ-  
ველად ოტიას არგუმენტიცაა რამდენადმე ჩა-  
მაფიქრებელია, რადგან შესაძლებელია პირვე-  
ლი ფრაზებით იგი ტექნიკის ფანტასტიკური  
ძალით დაბრმავებულ, ემოციურად დაცლილ-  
ადამიანად წარმოვიდგინოთ და მისი მღვდომ-  
არობა სულ უშიფლოდ არ მოგვეჩვენოს. მისი  
მსჯელობა გულს არ ევარება, მაგრამ ოტია თით-  
ქმის თანამედროვე მეცნიერების ზღაპრული  
პროგრესით უეცრად რეტრადსკიული ადამიანის  
შთაბეჭდილებას ტოვებს. ერთი შეხედვით,  
აქნებ იმ „ფიზიკოსთა“ ბანაკს გულწრფელად  
ავიოლათ კავადაც კი მოგვეჩვენოს, „ლ-  
რიკოსებს“ რომ უპირისპირდებოდნენ და უფ-  
როფდნენ. მაგრამ თანდათან სულ უფრო აშკა-  
რად იგვეთება მისი ჰუმანიტატი საზე, ყოვლად  
ვაუმართლებელი უკიდურესი სუფესისი, ვანს-  
წავლელი უსწავლელობა, სულიერი სიღატაკე  
და ბოლოს ჩვენს წინ გამიფრულებული ობივ-  
ტელი, მეთათვის, ყოველგვარი ენერგისაგან  
დაცილილი, გულაყრილი და გამორტყებული  
კაცილა დგას.

—აბოშისა და კიბერენტეის საუკუნეში  
რომანტიკოსებს ვასევეთებული ბევრი აღარ-  
ფერი დარჩათ. კაცობრიობა უფრო კვეციანი და  
დამიერი ვახდა. ჩვენი დროის ადამიანს ახლა  
ყველაფერი წინასწარ დანავარსებული და  
გამოთვლილი აქვს! — როცა ამას იცხადებს  
ოტია ბოლოკია, ჩვენ იგი ჯერ კიდევ მხოლოდ  
ცთომილად შეიძლება მივიჩნიოთ, ვისაც არ ეს-  
მის, რომ კოსმოსი სწორედ რომანტიკოსმა ფი-  
ზიკოსებმა, მათემატიკოსებმა, კოსმონავტიკებმა,  
და ათასი დარგის სხვა მეცნიერებმა დაიპყრეს,  
იმ ადამიანებმა დაიპყრეს, ვინც ოცნებითა და  
სიუყვარულით არიან სავსენი. მაგრამ როდესაც  
იმავე აბოშისა და კიბერენტეის საუკუნეში  
ოტია ბოლოკიას ზალიჩა ბეჭულა ბეგომიე მოს-  
წონს და მას შენატრის, უკვე ემუხ იდარ გვე-  
პარება, რომ ჩვენს წინ უბრალოდ ზნედაცემუ-  
ლი კაცია, ვინც ველარ მობომა და დამეველ  
პრტყელ-პრტყელ ფრაზებში უნებურად თავი-  
სი ჰუმანიტატი გულისნაღებზე გამოთრია.

მწერალი მოთხრობაში ვანზრახ უპირისპი-  
რებს ერთმანეთს ორ უტრირებულ თვალსაზ-  
რისს. ოტია ბოლოკიას „შეუზღუდველ თავი-  
სუფლებას“, რაც საბოლოოდ უკიდურესად  
პრამიტულ ეგოიზმამდე მიდის, ჯამა გურვე-  
ნიძე იმ დროა რწმენით აღუდგება წინ, რომ  
ადამიანი დიდი, ყოვლის მომცველი სიყვარუ-

ლით უნდა ცხოვრობდეს, მის სულში არ უნდა რჩებოდეს ადგილი ანგარებისათვის, რომ „ეოსაც შეუძლია სიყვარულის გამო წყალში გადავიარდეს, მეგობრისათვის სიცოცხლე გასწიროს, დაჩაგრულს გვერდში ამოუდგეს — ქვეყანას სწორედ ისინი აძლევენ დიდ სიმტკიცეს და სილაშაბეს, ვაცის ცხოვრებას ისინი უწყერენ დიდ კანონს!“

ამ რწმენას ოტია ბოლოკია დონკიხოტობას უწოდებს, რაზეც ჯაბა გურგენიძე გულწრფელად უბასუხებს:

„—დონკიხოტობა? მამ გაუმარტოს დონკიხოტს!“

ეს ფრაზა კი კრიტიკოსებისათვის იქცა იმ უკონტროლბო დავის საგნად, სადაც ერთმა მხარემ საოცრად მიაბიტური და მკდარი თვალსაზრისი წამოაყენა.

მოთხრობა პუბლიცისტური გზნებითაა დაწერილი, იმდენად, რომ თითქოს აღარადერი რჩება მხატვრულ ქსოვილში შეფარული, გმირებზე თავის თვალსაზრისს სრულიად აშკარად, ზოგჯერ სწორხაზოვნადაც კი გამოთქვამენ. როგორც ჩანს, ზოგიერთებისათვის არც ეს არის საკმარისი, მაგრამ რას იზამ, ამის გამო მწერლებს ვერ მოვთხოვთ, რომ თავიანთი მოთხრობები და რომანები დასკვნებით დაამთავრონ. კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ამ მოთხრობას ვარაუგულად პუბლიცისტური ფინალი მისცა, თითქოს მკითხველს მიანდო იმის გადაწყვეტა, სწორად მოიქცა თუ არა ჯაბა გურგენიძე, როცა გასაქონში მყოფ ოტია ბოლოკიას არ მიემჯღლა. აი ამან შეაღწინა ზოგიერთები და ბრუნდა სერიოზულად დავა იმაზე, უნდა მიშველდებოდ თუ არა ჯაბა ოტიას, თითქოს ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მოთხრობაში სწორედ ეს იყოს.

იმათგან, ვინც სერიოზულად ფიქრობს, რომ ჯაბას და ოტიას „დილაოვი მწერალს სჭირდება იმისათვის, რომ მკითხველს უჩვენოს თავისუფლების იდეის გაგებაში თვორიისა და პრაქტიკის ერთმანეთისაგან მოწყვეტის მკენება“, ან, რომ მოთხრობა „გვასწავლის ერთნაირი სიმღიერით დაეგმობთ როგორც დოგმატიზმი, ისე საყოველთაოდ აღიარებული ქუშმარტივი პრინციპების რევიზიის ყოველგვარი ცდა“ (დოკ. კ. აქმარდიას წერილი „ძირის დონკიხოტობა“ ვახ. „თბილისი“, 10/X 1969), აღარაფერია არ უნდა ვაგვიყვირდეს. ამის შემდეგ უკვე აღარ გვეჩიოთარება წერილის ავტორის სხვა დასკვნები, თუნდაც ის, რომ ჯაბას „რადგან თეორიული ძალა არ ჰყოფნის, იგი იძულებულია კანონზომიერად მიინიოს თავისი ოპონენტის მკდარი აზრების შესაცვლელად უცხო ფიზიკური ძალის გამოყენება. ამით ის ოტია ბოლოკიას კი არ ეკამათება, არამედ ოცნებობს მის სიკვდილზე და ამით ფიქრობს პრაქტიკის თაველან მოშორებას“. კ. აქმარდიას მსგავსი

მოსაზრებები, როგორც ეთქვათ, — უკვე გასაკვირი აღარაა, რადგან ნათელია, როგორ აღიქვამს იგი მხატვრულ ნაწარმოებს.

გასაკვირი ისაა, რომ საყვედურ-ჯაბას მისამართით ოტია ბაკურიასაც წამოსცდა, ვინც „ერთ კარგ წელიწადს“ ერთი კარგი, პრეტენსიონალი კრიტიკოსის წერილი უძღვნა, ოტია ბაკურიას წერს:

„ბოლოკიების მიერთსამყარო გავრცობია, ცხოვრების პირზე ხავსივით მოდების ტენდენციასაც ინარჩუნებს, და უცნაურია, მათ კარგად აქვთ შეთვისებული მეშინაური უხამსობის ურყევი წესი და, ასე გასინჯეთ, გამძლეობაც; ესაა მწერლის წუხილის სათავე, და ისიც, რომ არც ჯაბა გურგენიძეა დონ კიხოტი, მას მხოლოდ პირობითი კავშირი აქვს დამყარებულს ამ პრაქტიკოსთან და მხოლოდ ამით აღმატება ბოლოკიების კლასს“.

ჯაბა გურგენიძეც რომ მწერლის წუხილის სათავეა და მას პირობითი კავშირი აქვს დონკიხოტობასთან, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, თუ გასაიციხად მივიჩნევთ მის საქციელს, როცა იგი ოტიას განსაუდელის ეამს მიტოვებს, რადგან, ჯერ ერთი, სხვა არაფერი შეიძლება სასაყვედურს მქონდეს ჯაბას, მეორეც, ასე არავითარ შემთხვევაში არ მოიქცეოდა ფათერაქების მოყვარულ ლამაზელი რაინდი, სხვაგვარად ეს არ ახსენებდა. მაგრამ ოტია ბაკურიას იმავე წერილში ხომ საეგზებით სამართლიანად შენიშნავს:

„ნუ მიყვედობთ ჯაბა გურგენიძის საქციელის შეფასებას, მამინ მთავარს მეორეხარისხოვნი შეიქცეოთ, მეტიც, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მიეშველებოდა იგი ბოლოკიას თუ არა“.

მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს ჯაბა გურგენიძის საქციელს, განა ან მას, ან მისი სახით ავტორის ოტია ბოლოკიას მორჩეულება სურს, რომ ამისათვის მას სიკეთის თვალსაჩინო ვაკვეთილი მისცეს? სულაც არა. მწერალმა ბოლოკიების კარგად შენიღბული სული, ამშორებული და შემზარავი, დაუნდობლად გააშიშვლა, და ეს ბოლოკიებისათვის კი არა, მკითხველისათვის მოიმოქმედა, რადგან ჩვენ შეიძლება თავად ვერ დავინახოთ ცხოვრებაში, ან მთელი სიმამფრთხი ვერ შევივარდოთ ის საშიშროება, რაც ამ სოციალურ მოგონებაში იმალება და რასაც ასეთი ზნეობრივი მსჯავრი გამოუტანა მოთხრობის ავტორმა. ეს კი იმისათვის განიზრახა მწერალმა, რომ „ბოლოკიების მიერთსამყაროს“ გავრცობის, „ცხოვრების პირზე ხავსივით მოდების“, აღმადანის სულში რომანტიკული ნაპერწყლის ჩაქრობის საშუალება არ მისცეს.

იმდენად, ამ მოთხრობაში მთავარია ბოლოკიების მორალისა და მრწამსის მხილება, ჯაბა გურგენიძე მწერალს იმდენად სჭირდება, რამ-

დენდაც მან უნდა წამოაყენოს ის დამირისპირებული კონცეფცია, რომელთან კამათშიც, ნელნელა გამიწვლდება ჩვენს თვალწინ ოტია ბოლოკია. ჩემი აზრით, მოთხოვნა არ გვაფიქრებს იმას, რომ მწერალს სურდა მოეცა, ერთი მხრივ, ოტია სახით ისეთი გმირი, ვისაც ზურა ე უნდა შეეჯიკეთა და მეორე მხრივ, ჯანს სახით ისეთი — ვინც ჩვენი ცხოვრების მავალითად უნდა გაქრებოდა. ასე მარტივად და სწორბაზონად არ აზროვნებს მწერალი, როგორც ამას კ. აქბარდია მიაწერს. მიუხედავად იმისა, რომ ჯანა გურგენიძე მწერლის გულსინდობს უნდა გვიძღვანებდეს, როცა ასე თავსავლობდით იცავს ამდღებულსა და რომანტიკულს ადამიანში, გვირის არამცხედ გაიგივება ავტორთან, მის იდეალად გამოცხადდება კი ერთად შეედგება აქნებოდა, მწერლის ინტერესები, როგორც ზემოთ ვთქვი, სულ სხვა სფეროში უნდა ვეძიოთ. მაგრამ, ამასთან ერთად, მაინც უნდა აღვნიშნო, რომ ეს ამართობა, როცა ჯანა გურგენიძეს ათასგვარ ცოდვას მიაწერენ, კ. აქბარდია თავისი ობონენტების საპასუხოდ დაწერილ მეორე წერილში (ჩვენი იდეალია ქვემოთა რაინდი“, აღიბარებულე საერთოველო“ № 4. 1970) იტყვს:

„ჯანა გურგენიძე ვერ დასძლია ოტია ბოლოკიას სექტიციზმი, რადგან იგი თავდაც სეპტიკოსია. კერძოდ, ის ურავდება და დღედაღუბებს (ზახი აქაც და ქვემოთაც ჩემია, გ.გ.) აღმინათა ცხოვრების რელიგიურ უარყოფას, და აღიარებს ადამიანთა ამქვეყნიური ცხოვრების ამოცანას და უაზრობას.“

მან „დაამტო“ ოტია ბოლოკიას სექტიციზმი მხოლოდ იმისათვის, რომ შეიწყნაროს და იქადაგოს რელიგიური სექტიციზმი“.

შეიძლება ვეუფერა, რომ ეს ყველაფერი წერლის ავტორის ფანჯარის ნაყოფი იყო მხოლოდ, მაგრამ, უნდა ვიფაროდეთ, ეს საოცარი დასკვნა მან მაინც მოთხოზიდან გამოიტანა იმ სულ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვერ გაიგო მწერლის მიერ სრულად გასაგები ქართული ენით ნათქვამი, აბღლებული ვარ კიდევ ერთხელ მოვიტანო ეს ციტატი მოთხრობიდან, სადაც ჯანა ამბობს:

„ჩემთვის შეიძლება გასაგები იყოს ნიპილიზმი, ვითქვამთ, ისეთი კაცისა, ყველა უფსკრულში რომ ჩაიხედდა ყველა მწვერვალს მოიხრა და მერე მიიჩინა ეს წეთოსოფელი ამოცანათა ამოცნად. და როგორც ეკლესიასტე მოსთქვენს, „ახარია არს ახალი მისის ქვეშე... გულმან ჩემმა ახილა მრავალი სიბრძნე და მეტონერება, იგავნი და ხელოვნებანი, ნამჟანნი და სიკეთანი და ამა, ყოველივე ამოცნა და ტანჯვა სულსა...“

ვიმეორებ, ამგვარი კაცის აზრენდი შემოქალია გაიგო და კიდევ შევიწყნარო, მაგრამ სასაცილო ნიპილიზმი ისეთი უნდელი კაცისა,

ქვეყანაზე ერთი ჩხირი რომ არ გადაუტენებია და ყველაზე დიდი სულიერი ტანჯვა მხოლოდ ბანქოს თამაშის დროს განუდღვრებია მისსა და ვალაზე კიდევ ერთი ტუბა რომ დასცემია.

სწორედ ასეთი კაცი იყო ოტია ბოლოკია.“  
ჯანა შეიძლება ამ სიტყვებიდან, სადაც ჯანა უნდელი კაცის ნიპილიზმის ხაზგასმით, უტრობებულად უარსაყოფად, გასაბიბრებულად აცხადებს გამარჯვ და ვანსწავლელი კაცის „აბრუნდი“ შეიძლება კიდევ შევიწყნაროთ, ისეთი დასკვნა გამოვიტანოთ, თითქმის იგი „დიდად აფასებს“ რელიგიურ უარყოფას და რელიგიურ სექტიციზმს „ქადაგებს“?

როგორც ჩანს, პოლემიკით ვართულმა კ. აქბარდია მათეტიკური შეძახილი „ძირს დონკი ხოტობა“ არ იქმარა და ლამინელ რაინდს ფათერაკები იმ მხრიდან დაატება თავს, საიდანაც მადღეობი კაცობრიობის წყალიობით ფონს გასული „მწუხარებ სახის რაინდი“ სულაც არ მოელოდა ამიტომ, ამ მშვენიერი რაინდის დასაცავად იძულებული ვარ ზოგი რომ ისეთი ვთქვა, რაც ბეერისათვის დიდი ხანია კარგადაც ენობილა.

სერვატესის ამ გენიალური რომანიდან ყველას კარგად გვახსოვს უმადლეს გოტესკამდე აქვანილი სახეები და ეპიზოდები, რომელთა კლასიკური მავალითიცაა ქარის წისქვილებთან ბრძოლა. მაგრამ ზოგიერთებს მხოლოდ ასეთი მოზღვავებული სიცილის აღმძვრელი პართიული სცენები რჩებთ შეხსიერებაში სჭვა კი, ბეერის იმდავგვარი, სადაც, მავალითად, დონ კიხოტი მწუხმს ბიჭუნას გამოეცემაგება, რატომღაც ავიწყდებათ. ერთ შემთხვევაში, მართლაც, ქუთავადაბული კაცის მოქმედების მოწყენა ვხდებით, მეორეში კი — თუმცა უცნაური, მაგრამ დიდად კეთილშობილი რაინდის სავსებით გასაგები სავსიფილისა ასეთი კონტრასტული ეპიზოდები ხშირად ენაცვლებთან ერთმანეთს ამ რომანში. მაგრამ ყველა შემთხვევაში ერთ დამალონებელ დასკვნამდე მივღვართ მაინც, რომ დონ კიხოტის ეპოქაში რაინდული იდელებისადმი სწრაფვა მხოლოდ ილუზიის სფეროს თუ განეუფრებება. ეს ილუზია, როგორც კი შეეჩახება სინამდვილეს, მაშინვე იმსხრევი, ამ შემთხვევაში სასაცილო სატირალი ხდება. ეერც იმ მწუხმს ბიჭუნას მოუტანა შეეხა დონ კიხოტმა, ბირიქით, მისი წყალიობით ბიჭუნა ისეთ დღეში ჩაეარდა, რომ თავისი ქომავი რაინდის გაჩენის დღეს სწყუელოდა. ან კიდევ, დონ კიხოტის მიერ დახსნილმა მძარცველმა არ დაეყოფა და სანოს სახედარი მოპარა. ამდგვარ ეპიზოდებშიც კი ოცნებააუბღენელი, ხელმოცარული რჩება ჩვენი კეთილშობილი სულის რაინდი. მაგრამ ამას მწერალი იმ განზრახვით კი არ ჩადის, რომ მხოლოდ გვაეცინოს, ან თივისი გმირი აბუხად აივდოს, მის სურს თავისა

ამღლებული, ადამიანური გრძნობებისაგან, ჰე-  
მანისტური იდეალებსაგან დაკლილი და ვა-  
ნაფიტური ეპოქა წარმოგვისახოს, სადაც მზად  
მდალადებისა უდაბნოსა შინა ისმის კეთილი  
რანდის სიყვარულით სავსე გულისცემა, სადაც  
ასე გაუფასურებულა ლამაზების მაღალი იდე-  
ალები. ასეთ ვითარებაში თუმცა სასაცილოდ  
გამოყურება, მაგრამ სულაც არ არის სასაცი-  
ლო დონე კიხორტის შეუღრეველი, ვებარბოლი  
სული. დონე კიხორტის სწორედ ის ლამაზი სუ-  
ლი. ამღლებული გრძნობა, დიდი ჰემანური  
იდეალები, რამაც ასეთ სასაცილო მდგომარე-  
ობაში ჩაავლო მათი პატრონი, წარმოადგენს იმ  
ჭვირფას, რომანტიკული შარავანდელით მისილ  
განძს, რისთვისაც შეიყვარა შთამომავლობამ  
სიცოცხლეში ხელმოკარული მშვენიერი რან-  
დი. და ვინა ჩვენ შეგვეფერება დღეს, დონე კი-  
ხორტის თანამედროვეთა მსგავსად, აბუნად ავუგ-  
დით იგი და დამთხვეულად გამოვაცხადოთ?  
ამით დონე კიხორტს ვერაფერს დავაყლებთ, რად-  
გან მისი ნათელი სულის სხივით დღესაც ან-  
თებენ, ჩვენ კი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ,  
თავს უტერბულ მდგომარეობაში ჩავივლებთ.

როდესაც ოტია მგვობობისათვის თავგანწირ-  
ვას, დანაზრტულს ქოშავს, ადამიანური შოვა-  
ლებობის გრძნობას დონეკობტობას უწოდებს,  
იგი დონე კიხორტს კი არ შეურაცხყოფს, არამედ  
ჩვენს ეპოქას, რადგან ახლაც იღუპილ მიანი-  
ნა ამღლებულისადმი სწრაფვა. როდესაც ჯა-  
ბა გურგენიჭე გულშეირაღედ წამოიჩახებმა  
„გაუმარჯოს დონეკობტობას“, ამით ლამაზი  
რანდის დამთხვეულ მოქმედებას კი არ მიე-  
სალმება, არამედ მის მაღალ და ვითომღრბილ  
იდეალებს. მის რომანტიკულ სულს, რაც თაბ-  
შიდან თაობას უნდა ვადავცეს, და ვისაც ეს  
ესმის, ის არც იმას წამოიჩახებმა „ძირს დონე-  
ხორტით“ და, მიითუმეტეს, „ძირს საბჭოთა დონ-  
ეკობტობა“.

თანამედროვე ცხოვრების ბევრ საღიზნოსა  
და სატყუარს ჩაუფიქრება კონსტანტინე  
ლორთქიფანიძე. ამან დააწერინა კიდევ ბუბ-  
ლიკისტური წერილი „სიყვარულმა მოქმედე-  
ნა“. შწერალი იმდენად ძლიერია, რომ თავისი  
ემოციების ტყვე არა ხდება, გონების საღ  
თვალზე ღიბობი არ ეცურის და კარგთან ერთად  
აქსაც ამჩნევს, ავის გამო კარგი არასოდეს ექ-  
არგება მხედველობიდან. ასეა აქაც, ბევრი თბი-  
ლი და, რაც მთავარია, მართალი სიტყვაა ამ  
წერილში ნათქვამი იმ კარგზე, რაც ახალმა  
ცხოვრებამ მოიტანა ქართულ სოფელსა თუ  
ქალაქს. ეს მხოლოდ ოტია ზოდოკიასთან  
წყალობებულ ნიპოლისტებს შეუძლიათ და  
დანიხობენ. შწერალსაც კანონიერი სიამაყის  
გრძნობით ავსებს თავისი სამშობლოს მზიან  
დღე, თავისი ერის იმედიანი ცხოვრების გზა.  
ცხადია, მას მართლაც სიყვარულმა ათქმევინა  
საქართველოს საღიღებელიცა და იმავ სიყვა-

რულმა გააბედინა არ დაირღებოდა სატყუარს,  
ლია კრადლობებისთვისაც შეგზო ხელი. ამ ერთ  
წერილში ბევრი საჭირბოროტო პარტოტუნებასა  
მოჭრილი, ყველას ჩამოთვლაც კი გაჩქარდება  
მათ შორის არის ისეთებიც, რომელთაც ჩვენი  
ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ.  
სწორედ ერთერთ მათგანზე მინდა მკითხველს  
უტრადლება შევაჩერო.

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს სრული უფ-  
ლება აქვს ვანაცხადოს, „მუდამ გულთან მიმი-  
ტანია ჩვენი სოფლის ქირი და ღებნი და დღე-  
საც ამ გრძნობამ ამაღაპარაკაო“. იგი ხომ ქაბ-  
თული სოციალისტური სოფლის დაბადებისა  
და ზრდის ერთი საუკეთესო მემკვიდრეა.

ამ წერილში კონსტანტინე ლორთქიფანიძე  
მთელი სიმძაღრით სვამს დღევანდელი ქართუ-  
ლი სოფლის ყველაზე მძიმე სატყუარს — აბ-  
ალგაზრდობის დღე ნაწილს ვული არ უტერბე-  
ბა იქ, თითოეული მათგანი „გულბრყვილოდ  
ფიქრობს, ვიღაც მეორე გააკეთებს ჩემს ვასი-  
კეთებებს და პური უჩემოდაც კარგად ამო-  
ვიო“. ამას სოფლის თავაკებნი კარგად ხედე-  
ვენ და გრძნობენ, მათზე ბევრია დამოკიდებუ-  
ლი, მაგრამ მარტო ეს არ კმაზა, მთავარია, აბ-  
ალგაზრდობამ შეიგნოს ის დიდი მისია, რაც  
მას აქისრია და სწორედ ამიტომაც, რომ ქარ-  
თული შწერალმა ასე დიდ ყურადღებას უთ-  
მობს ამ პრობლემას, ამიტომაც, რომ კონსტან-  
ტინე ლორთქიფანიძე ასე გულახდილად, ერის  
მოჭირნახელის პირით გველაპარაკება ამ სატ-  
ყუარებზე.

შწერალმა კარგად იცის, რომ „სოფლიდან  
ბევრი გზა მდის ქალაქისაკენ გამჭქვეს ბევრი  
მიხეზი აქვს, საპატოი და არასაპატოი, არის გზა  
სწავლისკენ, უმაღლესი სასწავლებლისაკენ,  
არის გზა ჭარბისაკენ, არის გზა თეატრისა და  
ხელოვნებისაკენ, მაგრამ არის გზაც იოლი  
ცხოვრებისაკენ. — რომ ჭაბუქმა თვი იარა-  
ღოს, რა დასამალა, მძიმე, მაგრამ, როგორც  
პრადად შენთვის, ისე ჭვეენისათვის აუცილ-  
ბელ და სასარგებლო შრომას“. არის კიდევ  
ერთი ვარემოება, რაც ახალგაზრდა კაცს სოფ-  
ლიდან ტრეკება, ესაა ბევრწილად კიდევ შესამ-  
ჩნევი დაბალი დონე სულიერი ცხოვრებისა,  
მოწყვეტილობა და ერთფეროვნება. შწერალს  
კარგად ესმის, რომ ყველა გზის ვადაკება არც  
შეიძლება და არცაა მიზანშეწონილი, არც ისე  
ძნელი მისახედრია, თუ ამათგან რომელი გზუ-  
ბი უნდა ვადაკეტოთ ღტოლეულებს და რა  
სამშუადებებში, ეს, ერთი მხრივ, სოფლის თავ-  
აკებზეა დამოკიდებული, მეორე მხრივ კი  
თვით ახალგაზრდობაზე, ვისაც ვთხოვ და  
ბრძენი მოძღვარი სქირდება.

საერთოდ, ურბანიზაციის პროცესი დამახას-  
იათებელია ჩვენი ეპოქისათვის. თანდათან და  
სწრაფადაც იზრდება ქალაქის მოსახლეობა  
და უთუოდ მომავალში გაიზრდება, მაგრამ

ეს ისედაც სწრაფი პროცესი თუ ჩვენი უბასუხისმგებლობითა და ფუქსიატობით კიდევ უფრო დაეინქარეთ, მაშინ ერთი კატასტროფის წიაღე დადგება. საუკეთესო შემთხვევაში ეს პროცესი პირდაპირ უნდა იყოს დამკვირვებელი საფლას მეურნეობაში ტექნიკის დანერგვასთან, რომ ამით გამოითავს-ფელდებლმა სოფლის მოსახლეობამ გამარდოს ქალაქელთა რიცხვი. სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება და ბევრი ჩვენთაგანის უბასუხისმგებლობის შედეგად ხელოვნურად ჩქარდება ეს პროცესი. ამასთან, ისიც კარგად უნდა ვვახსოვდეს, რომ საქართველო მთავარიანა ქვეყანაა, ამის გამო თანამედროვე სასოფლო ტექნიკის შეტანაც ძნელდება და არც პატარა სოფლების მოშლა შეიძლება. ქართულ სოფელს მუდამ უფრო მეტი მცხოვრებელი დასჭირდება მომწოდებლად და, ქალაქელთა რიცხვის ზრდასა თუ სოფლის მოსახლეობის შემცირების თვალსაზრისით, სხვა რესპუბლიკების თუ სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი პროპორციები მაგალითად მინცლდამინც არ გამოგვიადგება.

ერის ყოველ შვილს ძალიან უნდა ახსოვდეს ის მარტო და მკაცრი სიბრძნე, რომ როგორც კონსტანტინე ლორთქიფანიძე ამბობს, „ცხოვრებას კი ერთი დიდი კანონი აქვს, — მიწა იმი-სია, ვინც იმ მიწას ამუშავებს. ქარხანა იმისა, ვინც იმ ქარხნის დაზვასთან დგას...“ არც და-ზვა გაჩერდება, თუ მიგატოვებ და, მითუმე-ტრეს, მარაქთან ქართულ მიწასაც, თვალისმომ-ჭრელ ქართულ სოფელსაც გაუჩნდება პატრო-ნი, თუ საკუთარმა შეიღებმა შეაქციეს მას ზურგი.

„ამბობენ მწერლად იბადებიანო.

ხანდახან მგონია, რომ ეს მართალია. ხანდა-ხან ისიც კი მგონია, რომ ქვეყნის პირველი ხილვა, ბავშვობისა და ქაბუჯობის წლები სი-ცოცხლის უკანასკნელ დღემდე მიაცილებენ მწერლის შთაგონებას და უჭვად ასაზრდოებენ მას.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, თითქოს იმ პირველ ხილვას დროთა ბრუნვაში არაფერი აქვდებოდა და არაფერი ემატება. აღმინანის ცნო-ბერებას საზღვარს ვინ დაუდებს, მაგრამ ის პირველი ხილვა პირველი სიყვარულივით არის: მისი დაეიწყება არ შეიძლება.

ძალიან უნდა დავსაჯოს ღმერთმა, რომ ის დავაიწყოს და გულიდან ამოვიკლავს.

სადაც არ უნდა წახვიდე, რამდენი ხანაც არ უნდა გავიდეს, ის შორეული ლანდები მუდამ თავისივე გვიხანია, რომ ისევე ავაფორიაქონ, გამოვაფხიზლონ, კიდევ რაღაც მოგაწყურონ, კიდევ რაღაც მოგანატრონ და არ გაფიქრებო-ნონ, მე უკვე ვალმა გავედოო“.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ამ უბრალოდ ნათქვამ სიტყვებში მისი სულის ნათელი კრთის.

ბავშვობისა და ქაბუჯობის წლები მის ზოგო-ნებასაც ასაზრდოებენ და, რაც მთავარია, თა-ვისი სიწარფელით, სიყვარულთაშ [დნ] გზნებით იმ შემოქმედებით ცეცხლსაც უჭერს მისი ურთობისდაც, კიდევაც რომ მწერლად იყოს კაცო დაბადებული, თავისი სიტყვით ბევრს ვე-რაფერს არგებს სხვას, დამცხრალი გულითა და აფორიაქებული სულით ვერ დაბუჭტავს სათ-ქმელს ისე, რომ მეთიხველი აინთოს. ან იქნებ მწერლად დაბადება სწორედ პირველი სიყვა-რულის სათუთად შენახვის, ანთებული გულის მუდმივი წვისა და გამოსხივების თანდაყოლილ მაღლსაც გულსმზობს!...

ამ მაღლის წყალობით არაერთხელ ავტყვერ-ბია გული, არაერთხელ განგვიცდიდა სხვისი ბე-დი თუ უბედობა ისე ძლიერად, რომ საკუთარ ემოციებში ერთგვარად ჩვენ თავსაც ვერ გა-მოტყუდოვნივართ ბოლომდე, ვითუ ამით უნებ-ლიელ საიტომინებოლმა გავაშვებოვნივართი.

ამ მაღლის გამო, რომ კონსტანტინე ლორ-თქიფანიძე ხანდახმულ ასაკში ასე ვულწრფე-ლად გამოგვიტყდა თავისი პირველი ხილვები-სა და პირველი სიყვარულის ერთგულებაში. „ერთი კარგ წელიწადში“ დაბეჭდილი მოთხრო-ბებისა და ლექსებში მწერლად სწორედ ამ გრძნობითაა ნაკარხბევი და გამთხარი.

მოთხრობა „ჩემი პირველი კომკავშირელი“ მრავალმხრეაა სინტერესო. ერთი უბრევე-ლესი ღიხსნებათაგანი კი სწორედ ისაა, რომ მწერალი აღსარებასავით გვანდობს გულის პი-რველ აბეჭდვას, პირველ აღტაცებას, ცხოვ-რების პირველი ჭეშმარიტი ხილვით მშენიე-რებას, რისი ხატიცა და სულიც მთელი ცხოვ-რების მანძილზე მოსდევს. ძველი და ახალი ცხოვრების მიჯნა აქ ქაბუჯის თვალითაა და-ნახებული და იგი დიდი გულწრფელობითაა აღ-ბეჭდილი. ამეც დროს, ამ ქაბუჯისა და მეთი-ხველს შორის შუამავალად უკვე ხანდახმული მწერალი დგას, ვისაც შემოაქვს ის თბილი ღი-მილი თბრობაში, რომლითაც არის ვახსნილი ამ მიამბიტი ქაბუჯის შეუწყველი და მიმნდო-ბი ბუნება, მისი გაუცნობიერებელი ლტოლვა რაღაც წმინდა და რომანტიკულისადმი. და წა-რსულის ხედვის ეს ორი პლანი, შეუფარავი და შეფარული, რაც ძნელად გამოსარჩევიაა ერთმანეთისაგან, ქვნიის იმ პარმონიული და ფართო აღქმის შესაძლებლობას, რაიც უქმა-რობის გრძობის ნატამოსაც აღარ უტოვებს მეთიხველს.

მოთხრობაში ამ უკვე საყმად შორეული წარსულის დიდი სოციალური და პოლიტიკე-რი კატაკლიზმების ეპოქაა წარმოსახული. ამ ვხედავთ 1921 წლის თოვლქვეპიანი ქეთისის მუქ პეიზაჟებს, გამოდარების იმდენ რომ თი-თოს აღარ იძლევა, განწყობილებას კიდევ უფრო ამიმბებს ლტოლვილებით თუ გამცილ-ვებლებით მოყენილი გზები და შეკები, ლტო-ლვილებით, რომლებიც გაუტბიან ზოვათთვის



მისი გმირები ხშირად გვარწმუნებენ თავიანთი სულიერი სამყაროს სიმდიდრეში, ხშირად არაან უბრალო და შთაბეჭდილი ჰუმანიზმის ქე-მმარტი მატარებლები, მაგრამ ისეთი რომანტიკული განხილვისა და ძალის, დიდი შთაგონებისა და ანთებული გულის გმირი, როგორც ბიჭოია ფურცხვანიძეა, მინც არ მოგვეპოვებოდა. მწერალმა ბიჭოია ფურცხვანიძის სახით ცხადი გახადა ჩვენთვის, თუ რა საჭირო უყოფიან ასეთი ხასიათის გმირები, რა დიდი ზემოქმედების ძალა გააჩნით მათ.

წიგნში კიდევ ერთი მოთხრობა, დაბეჭდილი „ორთაქალის მეთევზეები“. მას მინაწერი აქვს — ციკლიდან „ჩემო გვიანე“. როგორც ჩანს, მწერალს გადაწყვეტილი აქვს მოთხრობების მთელი სერია შექმნას, სადაც ვიანეს სხე მთელი სწარულით იქნება გახსნილი და მკითხველისათვის ნათელი გახდება გმირის ბედი. ამ მოთხრობასაც იმ შორეულ წლებში გადაეყვართ, როცა საქართველოს მენშევიკური მთავრობა ვანაგებდა. მწერალი პირდაპირ ფერწერული სიხედაღით გვიხატავს იმდროინდელი ყოფის სურათებს, დეჩად და აუქმარებლად მოგვითხრობს თავის გმირებზე, სხვადასხვა ხასიათისა და ბედის, მრწამსისა და ბუნების სოციალური წარმომადგობისა და მღო-შარეობის აღმანიგნებზე, რის შედეგადაც მკითხველს ნათელი წარმოადგება ექმნება იმ წლებში ვითარებებზე. მინისტრის ამხანაფის ვოჩა კალმახელიძის ოჯახი, მისი წესი და ჩვევები, ტრადიციები და სული მკითხველს არწმუნებს, რომ მენშევიკურ მთავრობას ყველაზე ნაყოფ აწუხებდა თავისი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე. მოთხრობაში ვოჩა კალმახელიძის, მისი შეუღლის ოლინკას პირდაპირ დასარულებული პორტრეტებია გამოკვეთილი. და მინც, მთავარი გმირი მოთხრობისა ვიანეა, თუმცა ეს სხე ისეთივე სისრულით არ არის აქ გახსნილი. ეს უბრალოდ აიხსნება ვიანემ უნდა შეკრას მთელი ციკლი, ის უნდა იყოს ყველა მოთხრობის გმირი და, როცა ჩინაფქირი მთლიანად განხორციელდება, მშინ გამოიკვეთება სრულად გმირის სხე.

მოთხრობაში ვიანეს გონის მოხლე გოგონაა. მკითხველი გრძნობს, ხედავს კიდევ თუ ვიანე ამ ოჯახში დარჩება, ისეთივე ბედი ელის, როგორც მის ლიტერატურულ წინამორბედებს ჰქონდათ. მაგრამ ვიანეს, როგორც ჩანს, სხვა მომავალი ექნება. კონკრეტულად რა და როგორი, ეს ამ მოთხრობიდან ვერ კიდევ არ ჩანს, ჩვენ მხოლოდ იმისი მოწმენი ვხვდებით, რომ ვიანეს საკმაო ძალა და ნებისყოფა აღმოაჩნდება. ავი თავს უშეუღლის, შეუტაცუყოფსაც აი-ღდენს და გონის სახლიდანაც ვიპყევა. ამით მთავარდება მოთხრობა, მაგრამ სხვა მოთხრობებში, რომელთა ვარეშეც „ორთაქალის მეთევზეებს“ უთუოდ ფრაგმენტული იერი და-

რჩება, მკითხველი, ალბათ, ნახავს და მოისმენს იმას, რასაც მხოლოდ ხედვებზე

ვიანე ვოჩა კალმახელიძის რატონტყვიის დასაცავად ორთაქალის მეთევზეებს დაუქმეს, მათ წვეულების დროს, მინისტრის ამხანაფს თევზებთან ერთად პროკლამაციებიც შემოაბარეს. ვიანეს ვერ მხოლოდ ის აწუხებს, რომ დაქანცულს, ილაგაწყვეტულს დაარბენინებენ ძველი თბილისის უბნებში იმათ საბოგნელად, ვინც მისი მწყალობლების ოჯახს უსამოგნება დაატეხა თავს. არც იმისი გაცეხება რამე, თუ პროკლამაციები რას ნიშნავს და არც იმისი — რა ხალხი ავრცელებს მათ. და როცა საწადელს მიიღწევს, როცა ვიანეს მათ და აღმოჩნდება, რომ მეთევზეები კი არა, სტამბის მუშეები, წიგნის მებეჭადები ყოფილან, აღარ გასცემს. ამ სწორი ვადაწვეუილებას ვიანე მხოლოდ მართალი გელისთქმით მიიღებს, მისი შეგნება აქ ვერ არაფერ შუაშია. ვიანეს წარმოდგენაში ერთმანეთს ვერ უთავსდება ისეთი ქადასნური სასწაულის მოხლენა, როგორცაა ვიანეს ბეჭდა და ვაკაცომა ასე იგრძნობს ვიანემ ამ უცნობი ხალხის სიმართლეს და აქედან იწყება მისი ფიქრი ცხოვრებებზე, ნამდვილ სიკეთესა და ბოროტებაზე. სადამდე მიიყვანს ვიანეს ეს ინტუიციით, კეთილი გულით მიგნებული სიმართლე ამას სხვა, მომდევნო მოთხრობებში გვიჩვენებს. ჩვენთვის კი ვერ ცხადი მხოლოდ ერთი რამ არის: ვიანემ გამოფხიზლება დაწყო და სწორი ვიანეს დასაბამს მოიკლავა.

ერთ კარგ წელიწადში კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ლიტერატურული წერილიც დაბეჭდა — „სიტყვა თელი რაზიკაშვილზე“. ამ ჩემსა და საინტერესო მწერალზე რატომღაც ძალზე ცოტა რამაა დაწერილი. მარტო ამით არ განისაზღვრება კონსტანტინე ლორთქიფანიძის მწერილის მნიშვნელობა. მთავარი ისაა, რომ მართალი სამაგალითია ეს „სიტყვა“ (მხოლოდ ავტორის შორიდგებით უნდა აიხსნას სათაფრი), სადაც ასე ღრმად და ნათლად არის გახსნილი თელი რაზიკაშვილის მოთხრობების მთელი მომხიბლაობა, მათი ემოციური ძალის მასაზრდოეობელი წყაროებია, რაც ასე სიყვარულითა და პატივისცემით მიუყველია კონსტანტინე ლორთქიფანიძეს. მაგრამ ახლა ჩვენ სხვა რამ გვიანტერესებს. საუხებით სწორად შეინიშნავს ოტია პაჭკორია („ლიტერატურული საქართველო“, №50, 1970), რომ ბევრი რამ თელი რაზიკაშვილის მისამართით თქმული თვით წერილის ავტორისაც შეეფერება. ამაში არაფერი უნდა იყოს გასაკვირი. მიუთმეტეს არც უნებლიე დამთხვევას უნდა მივწეროს. შეიძლება სწორედ იმან დააწერია პრაზიკორია ეს ლიტერატურული ესეი, რომ თავისი წინამორბედი მწერლის შემოქმედებაში ბევრი ისეთი თვისება დინახა, რაც მისთვისაც ახლობელი და ძვირფასია. ოტია პაჭკორიის მოჰყავს კიდევ

ასეთი ადგილები ასიტყვიდან“. მე კიდევ ერთ ადგილს მოვიტან კონსტანტინე ლორთქიფანიძის წერილიდან და დარწმუნებული ვარ ახ შევადრებ თუ ვიტყვი, რომ იგივე სიტყვები შეიძლება ვთქვათ თვითონ მასზეც:

„ცხოვრების მოვლენებთან, მასალასთან და მოკიდებულებასთან, ესე იგი, ქვეყნის ხილვის დროს იგი იყო უადრესად წარფული და უშეალო, მოკლებული ყოველგვარ სიყალბეს, წინასწარ აღებულ სქემას, წინასწარ აღებულ ყალიბს. ის წერდა ისე ლაღად, თავისუფლად, როგორც მიწიდან ამოდის ენჭელა ან ქვილი.

მე მეონია, რომ ის დიდი შინაგანი სიწმინდე და ზნეობრივი იდეალი, სათბუნეაქ რახიკა-შეილის ძაღლიან სიტყვას მკითხველს მიჰყავს, სწორედ ამ სიწმინდით არის განპირობებული“.

სწორედ ეს შინაგანი სიწმინდე სპეციის კონსტანტინე ლორთქიფანიძის ყოველ ფრაზიდან, პოეტური თუ პროზაული სიხიდან. სწორედ ეს სილაღე, უშეალოა, უბრალოება ანიჭებს ყველაზე მეტ მომპიბლავობას მის ნაწევებს. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების გრძელ ვაზე მას, ევონებ, არც კი ვამპარია არამყოფ გაპარანული, თუნდაც ვამპარია ლამაზად ნათქვამი სიტყვა. მის სიტყვას მხოლოდ სათქმელი აღმაზეებს, და ის, რომ იგი ერთადერთია ამ სათქმელის გამოსახატავად. ეს მხოლოდ ნიჭის მაღლი არ უნდა იყოს. ესაა სიტყვასთან ჟიუტი კილიის შედევცი. ესაა იმ ურყევი პრინციპის ბედნიერი ნაყოფიც, რასაც მუდამ მისდევდა და მისდევს მწერალი. თავისი აზრისა და გრძნობის გასამგლავებლად კონსტანტინე ლორთქიფანიძეს არამყოფ უბრალოდ აქმაყოფილებს კლასიკური რეალისტური ფრაზა, არამედ მხოლოდ ის მიანჩია გამოხატვის ყველაზე ურყევი საშუალებად. ასეთია კონსტანტინე ლორთქიფანიძის მწერლური მრწამსი და, ყოველ შემთხვევაში, მისივე შემოქმედების ფარგლებში სადავო არაეის არაფერი შეიძლება პქონდეს. ამ მრწამსს შემოქმედებითი სიხარულის მეტი არაფერი მოუტანია მწერლისათვის. თვით ახალ ლექსებშიც, ამ კრებულში რომ დაიბეჭდა, ნასახიე არ ჩანს ცთუნებისა, იმ დროს, როცა ვერსიფიკატორული სიახლეებისადმი ლტოლვა ასე ძლიერაა დამახასიათებელი ჩვენი თანამედროვეობისათვის. კონსტანტინე ლორთქიფანიძის პოეტურია ფრაზა და სახეც მუდამ საღაა, ნათელი.

მწელი სათქმელია, მწერლის ბოგარაფიაში რატომ დაემთხვა ასე საკუთარ ლექსებსა და პოეტურ თარგმანებზე მუშაობის ხალისი. კარგა ხანია კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ლექსი აღარ გამოუქვეყნებია, პოეტურ თარგმანებს, თუმცა იმეითად, მაგრამ ხანდახან მაინც მიმართავდა ზოლმე. ერთი ცხადია, ისიყავა ტაუბოკუს პოეზიაში, მის სიქვეყნოდ განთქმულ ტანებში მან თავისი სულის ნაწილის გამოხატუ-

ლებაც პოეია. იმის თქმას კი, გარდა თვით მწერლისა, ვერავინ შეძლებს, რამ გამოიწვია ეს დამთხვევა, საკუთარი ლექსის წარუყვედმებლქვეყნა ყურადღება ისიყავა ტაუბოკუს პოეზიაში, თუ ამ უკანასკნელმა აღუძრა სწორედ ეს წყურველი, ასეა თუ ისე, ერთი რამ, ვლიქრობ, ნათლადა შესამჩნევე: რა დიდი სვავობაც არ უნდა იყოს ამ ორი მწერლის ლექსებში, მათ რამდენიმე უადრესად მნიშვნელოვანი გარემოება დიდადაც აახლოვებთ.

უბირველეს ყოვლისა, ეს შეეხება იმ უმთავრესს, რაზეც ზემოთ ზოგადად ითქვა, როცა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ერთიან მწერლურ მანერაზე მივიანშნებდი — ფრაზის ნატრე უბრალოებას, სისადავეს, სინათლეს, ტვეალობას. ასე ყოფილა ისიყავა ტაუბოკუს პოეზიაშიც. ამ კატეგორიულ დასკენას მხოლოდ კონსტანტინე ლორთქიფანიძის თარგმანებთან ვერ გვაკეთებთ, იგი ზოლომდე საწმუნო არ იქნება, რადგან მთარგმნელს შეეძლო ერთგვარად თვითონ შეეტანა, ან გაემთაფრებია სისადავის ის გრძნობა, რაც ქართულ მკითხველს ხიბლავს ისიყავა ტაუბოკუს ტანებში. მაგრამ რუსული თარგმანებიც ზომ ამსყვე გვაუთქვინებენ. იამანური პოეზიის მთარგმნელი ვერა მარკოვა აღნიშნავს, ხშირად პოეტი ისე მეტისმეტად უბრალოდ ამბობს სათქმელს, ეინჭეს ევონება მის ლექსებში არავითარი ზელოვნება არ არისო, და აქვე დასძენს, რომ ეს უბრალოება მადღერია, ამიტომაც უწევიათ მარსხი ტაუბოკუს მრავალბიციოვან მიმბაქველებს. ის კი, თუ რა ტვეადია პოეტის ფრაზა, ქართული მკითხველისათვის ამ თარგმანის წყალობით სხეების ჩავონების გარემეც ცხადია და საწმუნო.

და კიდევ, რაც ასე შესამჩნეველ საერთოა ამ ორი განსხევეებული მწერლის ლექსებს შორის, ესაა ნათი აშკარად გამოხატული ავტობიოგრაფიულობა. ისიყავა ტაუბოკუს პოეტური ციკლები თავისებური ღირიყული დღეურებია, სადაც სულ რამდენიმე სიტყვითაა გამოხატული უსაზღვრო, განსაკვიფრებული ძალის სიყვარული ახლობელი ადამიანებისადმი. და განა იმავე გრძნობით არ არის ნაყარანხევი კონსტანტინე ლორთქიფანიძის მიერ ამ წიგნი გამოქვეყნებული ლექსებიც, რომელოვან განუზომელ შთაბეჭდილებას ახდენს „მერის“, „ზამთრის პირას“, „დღედა“.

ერთი კარგი წელიწადი“ იმითაც არის მკითხველისათვის ბედნიერი წიგნი, რომ მან რამდენიმე მოულოდნელი სიხარული მოგვიტანა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალი ლექსებითა და თარგმანებით.

ღმერთმა ქნას, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს და ჩვენს სხვა სასაქადლო მწერლებს ხშირად პქონდეთ ზოლმე ასეთი კარგი წილწადები.

## „ულოლიკოს“ ვინაობისა და ულოლიკოს კორექცივის თაობაზე

1970 წელს „მნათობის“ მე-11 ნომერში გამოქვეყნდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე კალანდაძის წერილი — „კორექტივები“, შაკელისმოქმელი ჰვესათურით: „ურთიბები და ფაქტები“. ამ წერილში ა. კალანდაძე ზოგიერთ თანამედროვე მკვლევარს ეკამათება რამდენიმე ფსევდონიმის თაობაზე და თავის მხრივ ცდილობს დაადგინოს ფსევდონიმის ამოფარებული ავტორების ვინაობა. წერილში საკმაოდ საინტერესო ფაქტებია მოხმობილი და ზოგი მოსაზრება მკვლევრისა უდავოდ გასაზიარებელია, მაგრამ ზოგი კი — საცილობელი.

„კორექტივებში“ ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს „ულოლიკოს“ ვინაობის გარკვევას. ამ ფსევდონიმით 1863 წელს „ციცქარში“ გამოქვეყნდა წერილი: „ორიოდე სიტყვა უდავით ყიფიანის სტატიებზედ „გრაზმაციის შესახებ შეხედვებზედ მასალებად“. კარგა ხანს სტატიის ავტორად ანტონ ფურცელაძე მიაჩნდათ. შემდეგ ეს მოსაზრება უარყვეს, ბოლო დროს კი ა. კალანდაძემ ავტორად დიმიტრი ბაქრაძე გამოაცხადა. ყოველივე ამასთან დაკავშირებით „კორექტივებში“ ა. კალანდაძე აღნიშნავს: „...მიუხედავად იმისა, რომ 1956 წელს ჩვენ გადავტრით, — თუშკა სათანადო დამაბუთების გარეშე, უარყვეით ანტ. ფურცელაძის ავტორობა და „ულოლიკოს“ დიმიტ. ბაქრაძის ფსევდონიმად გამოაცხადეთ, — ავტორად მაინც ანტ. ფურცელაძეს იხსენიებენ. ამ საშობად წლის წინ „ციცქარში“ დაბეჭდილ გამოკვლევებში პროფ. ყ. ტუმბუჩაძე, მართალია, ანტ. ფურცელაძეს აღარ ახსენებს, მაგრამ გვეკამათება, თითქოს, დიმიტ. ბაქრაძის ავტორობის შესაძლებლობა კატეგორიულად გამორიცხული იყოს, და საკითხს ისე სვამს, რომ, შესაძლოა, სადავო წერილის ავტორად ალ. ორბელიანი ვიგულისხმობთ“.

მკვლევრის წერილიდან მოტანილ ამ ციტატაში შეგნებულად დაშვებული არის სამი „შე-

ცდობა“: პირველი ის გახლავთ, რომ ა. კალანდაძეზე ადრე, ვერ კიდევ 1952 წელს, ვ. ვახანიამ „სათანადო დაასაბუთა“, რომ „ულოლიკოს“ არ არის ანტ. ფურცელაძის ფსევდონიმი. ეს მითითებული გვაქვს იმავე წერილში, რომელსაც ა. კალანდაძე ზემოთ იხსენიებს. კერძოდ, ჩვენ ვწერთ: „ლიტერატორთა ძველი თაობის შეხედულებების გასარკვევად გაიცემული მნიშვნელოვანია ულოლიკოს ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი 1863 წლის „ციცქარში“. ფიქრობდნენ, რომ სტატიის ავტორი ანტ. ფურცელაძე იყო, მაგრამ ეს მოსაზრება აშეამად უარყოფილია დოკუმენტური მასალის საფუძველზე (იხ. ვ. ვახანია, ა. ფურცელაძის ფსევდონიმების შესახებ, „სახალხო განათლება“, 1952, № 9). თვითონ წერილს ხსნითაც გამოიცხადეს ა. ფურცელაძის ავტორობას, რამდენადაც მასში გატარებული ძირითადი თემატიკის არ შეესაბამება ქართული სამოციანელების ლიტერატურულ პრინციპებს“.

მეორეც, ზემოთხსენილი ციტატიდან აშკარაა, ჩვენ ანტ. ფურცელაძეს არამც თუ „გახსენებთ“, არამედ კიდევ მიუფიქრებთ, რომ მისი ავტორობა გამორიცხულია.

მესამე და მთავარი ის არის, რომ ა. კალანდაძემ მოგვაწერია აზრი, თითქოს სადავო წერილის ავტორად ა. ორბელიანი მიგვანია. ჩვენმა ოპონენტმა ვერ ფრთხილად განაცხადა: „საკითხს ისე სვამს, რომ, შესაძლოა, სადავო წერილის ავტორად ალ. ორბელიანი ვიგულისხმობთ“. წერილის შემდეგ გვერდებზე კი პირდაპირ ბრალს გედებს, რომ „ულოლიკოს“ ა. ორბელიანის ფსევდონიმი გვეონია: „ამიტომ უოველგვარ საფუძველს მოკლებულია ყ. ტუმბუჩაძის ეარაუდი, თითქოს, შესაძლებელია „ულოლიკოს“ ალ. ორბელიანის ფსევდონიმი

1 იხ. ჩვენი სტატია — „სალიტერატურო ენის საკითხები სამოციანი წლების ქართულ კრიტიკაში“, ციცქარი, 1966, № 1, გვ. 129, შტ. ჩვენივე — ქართული კრიტიკის ისტორია, 1966, გვ. 435-436.

იყოს... ვასაყერია, როგორ გამორჩა ჯ. ჭუმბურიძეს მხედველობიდან, რომ „ულოლიოს“, თავის ახალ მომავლად დაე ყფიანთან ერთად, თავის ძველ მომავლად ალ. ორბელიანიც ჰყავს გაკრტიკებული...“ და ა. შ.1

მართლაც რომ „ვასაყერია“ ასეთი ბრალდება ჩვენ არსად, არადა რას ვცით ქვაბის, რომ შესაძლოა „ულოლიო“ ა. ორბელიანის ფსევდონიმი იყოს. პირაქით, ყველგან დაბეჭდვებით გვაქვს აღნიშნული, რომ „ულოლიო“ ა. ორბელიანის ზოგიერთ შეხედულებას, კერძოდ კი მისი ე. წ. „საშუალო ენის“ თეორიას იზიარებს, ჩვენ ვწერთ: „წარმოდგენილ მსჯელობის მიხედვით, ძნელი არ არის მივხედვით, რომ ულოლიო ა. ორბელიანის თვალსაზრისს იმეორებს და მისი ენობრივი პოზიცია პრინციპულად არაფრით განსხვავდება ა. ორბელიანის ცნობილი პოზიციისაგან. როგორც ვნახეთ, სტატიის ავტორი „მღაბიურ“, ანუ „საშუალო“ ქართულს იცავს და ეს არის ძველი ქართული საერთო ლიტერატურის ენა, რომელიც უკვე მე-12 საუკუნიდან უაღბლოდ გამოთქვამს რაიმე ისეთ მოსაზრებას რაც ქართული კრიტიკისათვის უცნობი იქნებოდა. კერძოდ მისი მსჯელობა მწერლის ინდივიდუალური წერის მანერაზე ა. ორბელიანის აზრის განვითარებას წარმოადგენს. ასევე, დასაბუთება, რომ გრამატიკის შეწყვეთით სალიტერატურო ენა ვერ ჩამოყალიბდება და საჭიროა სხვა გზას მივმართოთ, არსებითად ღმრ. ბაქრაძის აზრის დადასტურება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ უკუდივს ეს ულოლიო მემკვიდრედ, მოწაფედ კი არ ვიამოვრა, არამედ გავრცობილი, სინტერესო მსჯელობის სახით მიაწოდა შეთხვევას და ერთდროულად ავტორის ინტერესები გამოამჟღავნა“2.

ახლა რაც შეეხება ღმრ. ბაქრაძის ავტორობას.

1966 წელს იმავე სტატიაში ჩვენ ვწერდით: „ა. კალანდაძის სიტყვით, „ულოლიო“ ღმრ. ბაქრაძის ფსევდონიმი (ა. კალანდაძე, „კერესელიძე“, 1959, გვ. 149, სქოლიო), თუმცა ამის დასამტკიცებლად მკვლევარს რაიმე საბუთი არ მოაქვს. ეს განცხადება ძნელად ვასაზიარებელია, რადგან ულოლიოს სტატიაში გატარებული აზრი არამედ თუ არ ემთხვევა ღმრ. ბაქრაძის ენობრივ პრინციპებს, რომლებიც მან 1860 წ. დაბეჭდილ წერილში ჩამოაყალიბა, არამედ ეწინააღმდეგება კიდევ მათ თუ „ულოლიო“, მართლაც, ღმრ. ბაქრაძის ფსევდონიმი, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ უკანასკნელს საშიოდ წლის განმავლობაში

არსებითად შეუცვლია თავისი ენობრივი პრინციპები, რაც ძნელად დასაქარებელია“3.

იმეძღ „კორექტივებში“ ა. კალანდაძე უკვე და დასაბუთებინა თავისი მოსაზრება, თუ სათეს კი საჭირო იყო ღმრ. ბაქრაძისა და „ულოლიოს“ წერილებს შორის საერთო თვალსაზრისის გამოჩინება. რამდენადაც ღმრ. ბაქრაძე თავისი წერილი გამოეხმურა ა. ორბელიანის სტატიას — „ქართული ენობა ანუ წერა“, ამდენად ა. კალანდაძე ა. ორბელიანის ენობრივ შეხედულებებზე შეეხო. ამ შეხედულებათა ახალი მისი დროს მკვლევარმა რამდენიმე ნუნთხი თუ ენებრივ შეცვლია დაუშვა. ა. კალანდაძის სიტყვით, — „...ღმრ. ორბელიანი „გლეხური ენის“ კატეგორიული მოწინააღმდეგეც არ ჩანს, თუმცა, მას „დაბაისცელთა ენაზე“ დაწინააღმდეგება; ერთიანი ენის დადგენას შესაძლებლად თვლის „მღაბიურისა“ და „გლეხურის“ შერწყმა-გადაშეშეშების საფუძველზე. მისი ძირითადი მოთხოვნა ის არის, რომ ეს საერთო სალიტერატურო ენა გლეხკაცობისათვის გასაგები იყოს. წერილი მიმართულია არაქაისტების წინააღმდეგ, რომლებიც, თურმე, „ცისკარს“ ამაგებდნენ, გლეხური ენით წერსო“2 ყოველგვარ გაუგებრობის შედეგია. ა. ორბელიანმა კატეგორიულად უარყო როგორც „საღმართო წერილის“ ენა, ასევე „გლეხკაცების ენა“; საერთო სალიტერატურო ენად მან ე. წ. „საშუალო ენა“, ანუ „დაბაისცელთა ენა“ მიიჩნია (რომელსაც იგი ხანდახან „მღაბიურსაც“ უწოდებდა). ეს იყო ძველი ქართული საერთო მწერლობის ენა, სახელდობრ, ენა გარეყველი მხატვრული ძეგლები, რომლებზეც თვითონ ავტორი მიუთითებს („ვისრამიანი“, „ეფესოსტყუისანი“, „რუსულანიანი“, „დავრიშინი“, „სობრძე სიტყვისა“, „ყარამიანი“), „დაბაისცელთა ენისა“ და „გლეხურის“ არავითარ „შერწყმა-გადაშეშებაზე“ აქ ლამაზად არ შეიძლება. ა. ორბელიანი პირდაპირ წერს: „ამისთვის ჩვენი საშუალო ანუ დაბაისცელთა ენა ისეთი უნაველყო ენა არის, რომ ღდალ აღვიღად შეიძლება რომ ესე, რაც უნდა მაღალი საგანი იყოს, იმაზედაც და კარგათაე გამოეყ ყოველი ქართული სიტყვიერება. მართლად, ჩვენს საშუალო ქართულს ენას როგორც ვნებავთ, ისე მისთვისით, ისე მიმოკრევეთ და გამოთქმას ხომ ისე ლბილად ვაიგონებს ყური, ვერა საამო იყოს სმენისათვის, მაშინ, როდესაც რომ გლეხკაცების ენებზეც ეს არ შეიძლება. მართალია, გლეხკაცების ლამაზაკი მარტივი ენისა და ადგილი ვასაგონი, მაგრამ მაღალი საგანი ვერ გამოევა რიგიანად, არა ყურის საამოდ, რადგან მოშეგებული ენა არის გლეხების ლამაზაკი“3.

1 ცისკარი, 1966, № 1, გვ. 129, სქოლიო, შტრ. „ქართული კრიტიკის ისტორია“, 1966, გვ. 436, სქოლიო.  
 2 მნათობი, 1970, № 11, გვ. 150.  
 3 ცისკარი, 1860, № 6, გვ. 97—98.

1 მნათობი, 1970, № 11, გვ. 152—153.  
 2 ცისკარი, 1966, № 1, გვ. 131, შტრ. „ქართული კრიტიკის ისტორია“, 1966, გვ. 442-443.

ა. ორბელიანი თანამედროვეობის მიმართ გარკვეულ დათმობაზე მიდის და, საქართვების შემთხვევაში, „ღარწისელთ ენის“ გასწორებას<sup>1</sup> მომხრება: „ეს სამი სითანისწორე ერთი-ერთმანერითსავან რო გაირჩეს, რომელი სემოთინარაო საზოგადოებისათვის, ჩემის აზრით, ჩვენი საშუალო ენა უნდა დაიდოს, მხოლოდ თუ მეტ-ნაკლებდამეზება მოხდება საღმე, რასაკვირველია, ის უნდა გასწორდეს და გაიმართოს, მაშინ ვახდება უმშვენიერესი ძველი ქართული ენა დარბაისლებისა... მეონია ყველანი დამეთანხმნენ, უწინდელს ქართულს სავროს წიგნების ენაზედ და შოთა რუსთაველის ქართულს სიტყვიერებაზედ სხვა უკეთესი ქართული ენა ვერ მოიგონება და არც უნდა ვიფიქროთ ამისთვის“.<sup>1</sup>

უნდა ითქვას, რომ ა. ორბელიანს ნათლად არ აქვს შეგნებული ენის განვითარების ხასიათი. მართალია, იგი ქართულ სავროს მწერლობის ენის მეტ-ნაკლებად „გასწორების“ მომხრება, მაგრამ ეს ნიშნავდა მხოლოდ დამახინჯებულ გამაბატურებულ ფორმების გამართვას და ზოგიერთი ენობრივი შექსაბამობის გასწორებას. ამავე დროს, უარყოფს რა „გლეხკაცების ენას“, ა. ორბელიანი ვერ ჰვლდება, რომ თანამედროვე სალიტერატურო ენის თავის საფუძველს, საყრდენს აცლის, რამდენადაც სალიტერატურო ენა ცოცხალ მეტყველებასთან, სასაუბრო, სახალხო ენასთან ურთიერთობის გარეშე ვერ განვითარდება.

როგორი იყო დღმ. ბაქრაძის პოზიცია? მან, ისტორიული თვალსაზრისით, მართებულად მიიჩნია ა. ორბელიანის მიერ მოწოდებული ქართული ენის „დაეთვა“: „თქვენ მყოფით უმბრატესს ქართულს ენასა სამ ნაწილად: საღმრთო წერილად ანუ საეკლესიოურად, მზაბუროდ ანუ დარბაისელთ უბნობად და გლეხკაცების ენად. ეს კემშარტიანა“<sup>2</sup> დ. ბაქრაძემაც, ა. ორბელიანის კვალად, დაბეჭდილებით უარყო „საკლესიო ენა“. მაგრამ ასევე კატეგორიულად უკუაგდო „გლეხური ენაც“: „დაბოლო ანუ გლეხური ენა სათქმელი არ არის. გლეხების საუბარი ვერ შეიძლება მაღალთა სავანთა გამოხატვისა შეიძლება“.<sup>3</sup> მაგრამ მათ შთაგებ არის არის, რომ დ. ბაქრაძემ არ გაიზიარა ა. ორბელიანის ძირითადი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც საერთო სალიტერატურო ენად რუსთაველისა და სავროს, ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის ენა უნდა მიეჩნისათ და აღედგინათ იგი XIX ს. 60-იან წლებში.

„თქვენი აზრი გაქვით რომ რუსთაველის ენა ექონიოთ მავალითად ჩვენცა და ჩვენი შთამომავალთაცა მე არც ამხედ ვარ თანახმა. ეპეი

არ არის, რომ რუსთაველს აქვს დიდ ღირსებათ, მაგრამ ის ცხოვრობდა მეფობისმეტყველებაში და აღარ ეკუთვნის, ჩვენს დროს, ის არის სამკვიდრებელი ქართულის ისტორიისა. ჩვენი შვილები, ჩვენი შვილის-შვილები, ერთის სიტყვით, მთელი ჩვენი ტომი, მანამდისინ ხალხთ სიდიდამ აღმოჩნდებოდეს, განცვიფრებით უნდა უმზერდეს მაღალსა თავის გენიასა... მაგრამ რამდენადაც საზოგადოება წინ მიდის განათლებითა, იმდენი იცვლება — თვით სიტყვიერებაც, საქართველოს მიუვიდა დრო, მამ რუსთაველის ენაც დაძველდება. აწინდელნი ბერძენნი და მათნი შთამომავალნი აღარას დროს არ მიუბრუნდებიან ჰომერის ენასა, ფრანკუნნი — მოლიერის ენასა, რუსეთში ბუშინის საუბარი ახლავე ძველდება და უკან რჩება“.<sup>4</sup>

როგორც ვხედავთ, დ. ბაქრაძე ენის განვითარების თვალსაზრისზე დგას მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველისდროინდელი ენა ახალი ქართულის დასაწყისს წარმოადგენდა, სტატიის ავტორს ესმის, რომ თავისი პირდაპირი, უშუალო საბით თანამედროვე სალიტერატურო ენად იგი ვეღარ გამოდგებოდა. დ. ბაქრაძე არ ეთანხმება ა. ორბელიანს, რომ „უწინდელს ქართულს სავროს წიგნების ენაზედ და შოთა რუსთაველის ქართულს სიტყვიერებაზე სხვა უკეთესი ქართული ენა ვერ მოიგონება და არც უნდა ვიფიქროთ ამისთვის“. ა. ორბელიანთან შედარებით, მას უკეთ ესმის ენის განვითარების ხასიათი. მან იცის, რომ ისტორიის მანძილზე იცვლება ენის ლექსიკური ფონი და, ამასთან დაკავშირებით, დ. ბაქრაძე ქართულ ენაში საერთაშორისო სიტყვების შემოტანასაც მოითხოვს.

მაგრამ არ მიიჩნია რა თანამედროვე ქართულისათვის შესაფერისად საეკლესიო მეტყველებას, „გლეხური ენა“ და რუსთაველისდროინდელი ქართული, ბოლოს და ბოლოს რას დაუქირა მხარი დ. ბაქრაძემ? ეს არის, როგორც თვითონ ამბობს, — „უკეთესი საზოგადოების ენა. ეს არის უპირველესი წყარო ჩვენთა ენის მოსწავლეთათვის და ჩვენთა მწერალთათვის“, დაწმუნებულთა შეიძლება ითქვას, რომ დ. ბაქრაძე „უკეთესი საზოგადოების ენად“ ახალი ქართული ლიტერატურის წარმომადგენლთა ენას მიიჩნევს (ახალეზს კვლავ ა. პიეკავაძეს, ნ. ბარათაშვილს, ვ. ორბელიანს, გ. ერისთავს, დ. ყიფიანს), ხოლო უფრო ფართო გაგებით იმდროინდელი ინტელიგენციის მეტყველებას გულისხმობს.

როგორც ვხედავთ, დ. ბაქრაძე თანამედროვე საზოგადოების გარკვეული ნაწილის ცოცხალ მეტყველებაზე იღებს ორიენტაციას. მაგრამ კატეგორიულად უარყოფს რა „გლეხური ენას“, ჩანს, მასაც არ ესმის, რომ „უკეთესი საზოგადოების ენა“ ამ „გლეხურ მეტყველ-

1 იქვე, გვ. 102.  
 2 დ. ბაქრაძე, წიგნი მიწერილი, თ. ალექსანდრე კამბაკურ ორბელიანისადმი შესახებ მისის „ქართულის უბნობისა ანუ წერისა“, ცისკარი, 1860, № 8, გვ. 323.

ბას, საერთო სახალხო ენას უნდა ეფუძნებოდეს, მისგან იღებდეს საზარდოს (მაშინ სწორედ ეს „გლუბური ენა“ წარმოადგენდა ხალხის უმეტესობის მეტყველებას, რადგან გლეხობა შეადგენდა ერის უდიდეს ნაწილს). ცხადია, არც ერთი კემპარტი მწერლისათვის „გლუბური ენა“ თავისი უშუალო სახით სალიტერატურო ენა არ ყოფილა, მაგრამ დ. ბაქრაძე ვერ ითვალისწინებს, რომ ეს უკანასკნელი საერთო სახალხო ენასთან მჭიდრო კონტაქტის გარეშე დღეიწყოლი აღმოჩნდებოდა!

მასთანავე, დ. ბაქრაძე ახალი ქართული მწერლობის წარმომადგენელთა ენასა და იმ-კამინდელი ინტელიგენციის მეტყველებაზე იღებს ორიენტაციას. ამ მხრივ იგი პრინციპულად დაუპირისპირდა ა. ორბელიანის თვლსაზრასს, რომელიც ძველი ქართული საერო მწერლობის ენის აღდგენას მოითხოვდა და კავტორულად არ ვაზიარა მისი განცხადება, რომ „უწინდელს ქართულს საერთს წიგნების ენაზედ და შოთა ზუსთაშვილის ქართულ სიტყვიერებაზედ სხვა უკეთესი ქართული ენა ვერ მოიგონება და არც უნდა ვიფიქროთ ამის თვის“.

ასეთია საქმის ვითარება.

ა. კალანდაძე კი დაბეჯითებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ა. ორბელიანისა და დ. ბაქრაძის ენობრივი პოზიციები არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან: „ამრიგად, ამ დებულების გარეშე იმ ორბელიანისა და დ. ბაქრაძის შეხედულებათა შორის პრინციპული განსხვავება არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ დ. ბაქრაძე უფრო ვადპირით ურთულებს „გლუბურ ენას“... ერთიც და მეორეც, არსებითად, საშუალო ენის მომხრეა“<sup>2</sup> და რომ „მითი ცხარე პოლემიკის საგნად დაჩივართა საკითხი — არის თუ არა საჭირო გრამატიკა და რეოგორ უნდა დადგინდეს ერთიანი სალიტერატურო ენა“<sup>3</sup>.

მწელი მისახვედრი არ არის, თუ რატომ ცდილობს ა. კალანდაძე ვაიციგვოს ა. ორბელიანისა და დ. ბაქრაძის პოზიციები ერთიანი სალიტერატურო ქართულის დადგინების საკითხში. ა. კალანდაძე ხომ ამტკიცებს, „ულოლიკო“ დ. ბაქრაძის ფსევდონიმიად. „ულოლიკო“ კი არსებითად ა. ორბელიანის თვალსაზ-

რისს იზიარებს, ისიც კატეგორიულად მოითხოვს ძველი ქართული საერო ლიტერატურის ენის აღდგენასა და მის აღიარებას. თანამედროვე მწერლობის საფუძვლად: „მეთობრეტე საუკუნიდან ჩვენ საუკუნის თავამდისარ საერო მწერლობას ერთი და იგივე ენა უზმარია, ისე ცოტა არამის შეეცელი, რომ სხენებათაც ერთს და ვსევტე ენა ყოფილა ხალხისა და საზოგადოებისა... ამ ენის მეტი ენა ჩვენ არ გვეთნია და არცა გვაქვს: საზარებისა და დაბადების ენა ჩვენი ენა არ არის“<sup>1</sup>.

„ულოლიკო“ აქვე ასახელებს ძველი ქართული საერო ლიტერატურის იმ ძეგლებს, რომელთაც „დაბრბისელთ ენის“ (იმავე „საშუალო ენის“) ნიმუშებად თავის დროზე იმორწმება ა. ორბელიანი („ვისამამინა“, „ამირანდარჯენიანი“, „სინბრძნე სიკრვისა“, „ყარამინანი“ და სხვ.). წერილში ავტორი ამტკიცებს, რომ აღნიშნული ძეგლების ენა საეგვბით თანადროულია და ვასაგებია დღევანდელი მეომხველისათვის. ამ მხრივ მას არავითარი გამარტივება და შეცვლა არ სჭირდება. საერთოდ, ამ საკითხზე „ულოლიკო“ საკმაოდ ერთვად მსყელობს, მოაქვს საილუსტრაციო ადგილები აღნიშნული ძეგლებიდან და ა. შ.

ამიტომ ვამბობდით ჩვენ, რომ, ამ შემთხვევაში, „ულოლიკო“ ლიტერატორთა ძველი თაობის, კერძოდ, ა. ორბელიანის ენობრივ პოზიციას იზიარებს. ამიტომ ძნელად სადიტრებელია ეს ფსევდონიმი დ. ბაქრაძის ევთუწოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ვაღიაროთ, რომ ამ უკანასკნელს სამილდე წლის განწავლობაში არსებითად შეუცვლია თავისი ენობრივი პრინციპები, რადგან, რავტორც ვნახეთ, დ. ბაქრაძე 1860 წელს დაბეჭდილ სტატიამი საპარისპირო თვალსაზრისს ავითარებს და ძველი ქართული საერო ლიტერატურის ენის აღდგენას პრინციპულად არ იზიარებს.

ჩვენ რა უნდა გვეომდეს ამის საწინააღმდეგო, რომ თუნდაც დ. ბაქრაძე იყოს სადავო სტატიის ავტორი. მაგრამ ამას დასაბუთება სჭირდება და არა ფაქტების დამახინჩება.

ტყუილად ჰგონია ა. კალანდაძეს, რომ დ. ბაქრაძე ერთადერთი კაცი იყო, ვინც გრამატიკის საჭიროებას უგულვებულებოდა. იმავე ხანებში პ. უმეკაშვილიც აცხადებდა, რომ „ენას კაცი ვერც ღრამმტკით ისწავლის, ვერც

1 უფრო დამწერ. აბ. ჩვენს წიგნში — „ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“, 1958, გვ. 299—307, ავრეთვე — „ქართული კრიტიკის ისტორია“, 1966, გვ. 167—177.

2 მნათობი, 1970, № 11, გვ. 150. საოცარიო, ორილდე სტრიქონის შედეგე ა. კალანდაძე აღნიშნავს, რომ დ. ბაქრაძემ სალიტერატურო ქართულის აღდგენის ერთ-ერთ წყაროდ მიიჩნია „გლუბაკების ენაო“ (ტყვე).

3 ტყვე, „როგორც უნდა დადგინდეს ერთიანი სალიტერატურო ენა“ — ეს იყო, საერთოდ, პოლემიკის მოვარი საგანი.

არა თვითრეიტიოთა. ენას კაცი ენითვე ისწავლის ცხოვრებაში».<sup>1</sup>

როგორც უკვე ვთქვამდეთ, პ. უმიკაშვილი და ზოგიერთი მისი თანამედროვე ვერ თვლიდნენ ნებზე საესებით გრამატიკის მნიშვნელობას და ეს უკანასკნელი მათ მწერლობაში თითქმის იგნორირებულია როგორც სალიტერატურო ენის წარმატების ერთ-ერთი უცილობელი ფაქტორი. მართალია, სალიტერატურო ენის ხასიათს და განვითარებას ყოველთვის, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავდა მწერლობის განვითარება. მაგრამ მათ უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ მწერლობის წარმატებას, გამოცდილებას განზოგადებდა, გრამატიკულად განაწილებდა და დგაინიჭებდა სტრუქტურადა.

დასასრულ იძლევილი ვართ აღვნიშნით, რომ ა. ორბელიანის, დ. ბაქრაძის და „ულოლიოს“ მსჯელობის ზოგ მხარეს, რომელთაც ეჭება ა. კალანდაძე, ჩვენ ვაძიებთ ადრე მიმავლეთ უფროდგება შეცნობად, ა. ორბელიანის პირთ „სამი ენის“ წესებზე მსჯელობა „სამი სტილის“ თეორიას არ გულისხმობს; რას ნიშნავს დ. ბაქრაძისეული „უცხოესი საზოგადოების ენა“, „ულოლიოს“ მხრივ პრაქტიკულად მოახლოებენ ზოგიერთი მწერლის პირველად დასახელება ქართული კრიტიკის ისტორიაში, ორთოგრაფიის გამარტივების საკითხში ი. ჭავჭავაძის პოზიციის განიარება და სხვ.). ეს არ უნდა დაივიწყდეს მეკლევარს, მათ უმეტეს, როდესაც ვინმეს ეკამათება.

იმავ წერილში ა. კალანდაძე ამტკიცებს, რომ „ლივილი“ ა. ცავარდის ფსევდონიმია. ეს აზრი მეკლევარმა ჯერ ალექს 1957 წელს გამოთქვა (ა. კალანდაძე, ი. ჭავჭავაძის ბიბლიო: „საქართველოს მოამბის“ დაარსება-შენარჩუნებასათვის“, გვ. 126, სქოლიო). საქმე ის არის, რომ 1865 წელს „ცისკარში“ (№ 3) ა. ცავარდმა განიხილა ნ. არლუთაშვილ-მხარგრძელის კომპილაციური ხასიათის ნარკვევი „გილიამ შექსპირი“ (გამოქვეყნდა „ცისკარში“ 1865 წ., № 1). ა. ცავარდმა მკაცრად გააკრიტიკა ნარკვევის ავტორი და მიიჩნია, რომ ნ. არლუთაშვილ-მხარგრძელი მისი ძალღონისათვის შეუფერებელ საქმეს შეეპიდა. მაგრამ,

რაც მოთავსია, რეცენზენტის ფიქრობს, რომ ამდგავარი ხასიათის წერილები უსარგებლოა ჩვენი ლიტერატურისათვის, რადგან „ცხოვრება“ ტყუილ, საჭიროა განვიღვის კომპოზიციონობა. იყოს მკითხველისათვის, კრიტიკულ განსჯას წინ უნდა უსწრებდეს შესატყვის მატერიალზე ქმნილებათა ვადთარგმნა ამა თუ იმ ენაზე, ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე იმავ წელს „ცისკარში“ მე-4, 7, 10 ნომრებში დაიბეჭდა წერილების სერია — „ჩვენი დროების მწერლებს“ — „ლივილის“ ხელმოწერილ პირველი წერილი კვლავ „გილიამ შექსპირს“ ეჭება. ლივილი იწუნებს ამ ნარკვევის ენას, მასალის ხასიათს და განხილვის მანერას, რეცენზენტი თვითონ ცდილობს, გარკვეული მკვლევრების დამოწმებით, შექსპირის უფრო დასაბუთებული ბიოგრაფია მიაწოდოს მკითხველს. ღვილილი იმასაც აღნიშნავს, რომ ნ. არლუთაშვილმა შექსპირის ტრაგედიათა ხასიათები ვერ გაარკვეოთ, კერძოდ, ეკამათება მას კორდილიას შესახებ.

როდესაც 1957 წ. ა. კალანდაძე გამოთქვა აზრი, რომ „ლივილი“ ა. ცავარდის ფსევდონიმიათ, იგი თავისი დებულების დასამტკიცებლად მიუთითებდა ერთ-ერთ ხელნაწერზე (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის A — 1753). ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ: „...ის ფაქტი, რომ „ცისკარში“ წინა ნომერში სწორედ ა. ცავარდმა სპეციალურად გაარჩია ნ. არლუთაშვილ-მხარგრძელის ზემოაღნიშნული ნარკვევი, უკვე ვგაფიქრებინებს, რომ გამოთქმული მოსაზრება სწორი არ არის. ძნელად დასაჯერებელია, სავანეთში გარჩევის შემდეგ, უფროსი მომდევნო ნომერში ავტორი კვლავ დაბრუნებოდა ნ. არლუთაშვილის „გილიამ შექსპირს“. მაგრამ, რაც მოთავსია, ხელნაწერი, რომელზეც ა. კალანდაძე მიუთითებს თავის აზრის დასადასტურებლად, პირიქით, მეკლევარის ვანცხადებას აბათილებს. ა. ცავარდის სიტყვები — „ეკრესელიძემ მოთხრა ამ სტატიაზედ, ჩინებულოთ“ — სწორედ 1865 წ. მარტის თვეში მისივე სახელით გამოქვეყნებულ სტატია გულისხმობს (და არა ლივილის ფსევდონიმით დაბეჭდილ წერილს). ამ გარემოებაზე ა. ცავარდის საგვსებოთ გარკვევით მიუთითებს“ (იხ. ჩვენი „საქართველო კრიტიკის ისტორია“, 1966, გვ. 359, სქოლიო). აქლა ა. კალანდაძე აღნიშნულ ხელნაწერს აღარ ახსენებს, მაგრამ დაბეჭდილით იწოდებს დაამტკიცოს, რომ „ლივილის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული პირველი წერილი („ცისკარი № 4) ა. ცავარდის სახელით გამოქვეყნებული სტატიის („ცისკარი“, № 3) გაგრძელებაა. ეს არ არის სწორი. ა. კალანდაძე მართლაც არ ეუბნება მკითხველს, როდესაც აცხადებს: „ხოც არ შეიძლება დავუშვათ, რომ არლუთაშვილ-მხარგრძელის წინააღმდეგ ორ დღეში ორმა სხვადასხვა ავტორმა ერთნაირი

1 პ. უმიკაშვილი, „ი. ჭავჭავაძის მოწინააღმდეგეთა მიმართ“ (1861 წ.) წერილი დასუღლია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (A—1746), თავის დროს იგი არ დაბეჭდილა. 1956 წელს უფრო „მნათობაში“ (№ 12) ეს წერილი გამოქვეყნდა ლ. ბერძენიშვილმა. ა. კალანდაძე შეცნობით მიუთითებს, რომ იგი „სამწუხაროდ, დღემდე არ არის გამოქვეყნებული“ (ა. კალანდაძე, ნარკვევები ქართული უფროსისტიკის ისტორიიდან, 1965, გვ. 14). ასეთი შეცნობა მაშინ რომ მოხვედროდა (მთა უმეტეს, არც ისე დიდი ხნის წინათ გამოქვეყნებულ წერილთან დგაეშობებოდა), ა. კალანდაძე ამას, უთუოდ, „უფროსს“ უწოდებდა.

შინაგონის წერილი დასწერა და ისიც იცხადებდა, რომ ეს არის (ა.ლ. ცაგარელის) დაწერილი წერილი და ბატონი თავისი „განხილვა“. ხოლო მეორემ, „ღვიმელმა“, დასაწყისის გარეშე, შუა ნაწილიდან დაიწყო წერა.<sup>1</sup>

ორივე წერილი საკვებო დამოუკიდებელი და დამოუკიდებელია. ეს ამჟამად არა მარტო შინაგონის მიხედვით, არამედ მათი აგებულების თვალსაზრისითაც. ა. კალანდაძეს ნაწყვეტი მოაქვს ღვიმელის სტატიის დასაწყისიდან (იმის დასტურად, რომ ღვიმილი აგებულია ა. ცაგარის წერის), მაგრამ განა ეს ციტატი მისი შინაგონის სასარგებლოდ დასაბუთებდა: „ამ წლის იანვრის „ცხვის“ წიგნიდან არის სტატია „შექსპირზე“. ისეთი ერთი დაწერილი, არა ვგონებ, რუსმა, რომელსაც ორივე წელი გავთვითა ჩვენს კურორტულს ქვეყანაში, იმან დაწეროს ამგვარი ქართულ-სომხური ერთი“<sup>2</sup>

სწორებით გავგებარიათ პირველი წერილი ა. ცაგარელმა საკუთარი ხელმოწერით დაბეჭდა. მისთვის გაგრძელება რატომღაც უნდა გეგმიკურად იყოს „ღვიმელის“ ფსევდონიმით? ანდა რაღა პირი ჰქონდა ასეთ შენიღბვას? ისიც გასათვალისწინებელია, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ა. ცაგარელმა „ვილიამ შექსპირისთან“ წერილებს ზემოთ უსარგებლო საქმედ მიიჩნია (რადგან შექსპირის ნაწარმოებებს ქართველი მკითხველი არ იცნობს), ღვიმილი კი ასეთ რამეს არ ამბობს, პირიქით, იგი ცდილობს, გარკვეული მკვლევრების დამოწმებით, თვითონ მიაწოდოს მკითხველს შექსპირის უფრო დიდი ბუთებელი ბიოგრაფია.<sup>3</sup>

ა. კალანდაძეს ა. ცაგარის ფსევდონიმად მიიჩნია „ანტონ ხუციშვილი“ (რადგან ა. ცაგარის შამა — ანტონი მღვდელი იყო). მკვლევრის სიტყვით, ამ ხელმოწერით 1865 წელს „ეისკარში“ გამოქვეყნდა ორი წერილი („შინაგონი მიმოხილვა“, „ბიბლიოგრაფიული ფურცელი“). ა. კალანდაძე აცხადებს, რომ ეს სტატია „როგორც თემატურად, ისე შინაგონობრივად არაფრით არ განსხვავდება ალ. ცაგარის (ღვიმელის) შემოსხენებული წერი-

ლებისაგან. ის იქვე მკაცრად აკრიტიკებს და წებინაშვილის „ქრესტომათიის...“ და სხვ.<sup>4</sup>

დაუწვებით „ან. ხუციშვილი“, მართლაც, ა. ცაგარის ფსევდონიმია (თუ ეს, საერთოდ, ფსევდონიმია). ოღონდ იმ გარემოებას ვგინდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ღვიმელის სტატიებთან ანალოგია არ გამოდგება: ჯერ ერთი, როგორც ვნახეთ, ა. კალანდაძემ ვერ დაამტკიცა, რომ „ღვიმილი“ იგივე ა. ცაგარელია, მეორეც, ღვიმილი დაწერილებლად ამაგებს დ. ზებინაშვილის, ხელალებით განაქვებებს მის, ურესა და „მხეცას“ კი უწოდებს. ან. ხუციშვილი კი, საერთოდ, დადებითად აფასებს დ. ზებინაშვილის „ქართულ ქრისტიანობას“ და ღვიმელის მსგავსად, აგებულად არ ლაპარაკობს ქართული მეცნიერის დამსახურებაზე, სანიშნოდ: „ღვიმეთა უშუალოდ უ. ხუციშვილს, ძალიან ხელს გვაშველებს ქართველებს შორისდგამს რაუფენი ვაუწყებია ისეთი შრომა (რომელზედაც, თუ შეგახვდა დრო, მერე გამოველაპარაკებოთ „ეისკარს“ მკითხველთა), რამდენი რამ შემოუწინავეს ჩვენი ღარიბი ლიტერატურისათვის, რომ საკუთარ ღვიმელად უნდა შეირჩეს, ანდა: „ამასთანავე ამ შრომის დირსებებიც, რომელნიც მკითხველი არ არის, არ უნდა დაევიწყეთ: პირველად, როგორც ყველა შრომა, უნდა ესეც დირსულად დაფასდეს, როგორც ჯანის გარეშე და თავის შეღება სტატიების შეგროვებისა და სხვა და სხვა შერჩევითა და ზედმეტდევლობა, რომლებიც შეუღებებია უმეტეს ამ გვარ წიგნებსა... სასიამოვნო ვლათა ვრაცხთ ურჩილი უფელა თავის სამშობლო ენის მოყვარე ქართველს იქონიოს ეს წიგნი, რომლითაც არა მკითხველს ქართველებს და საჩუქრულობს შეიძენს“<sup>5</sup>

სწორედ ასეთი ობიექტური მოდგომა ა. ხუციშვილის სამუშაოებს აძლევს გაითვალისწინოს ქრესტომათიის ნაყოფიანობაშიც და მკითხველს რამდენიმე მართებული შენიშვნა მიაწოდოს. ღვიმელისაგან განსხვავებით, ა. ხუციშვილი არც ძველ ქართულ მეცნიერებაზე ლაპარაკობს ადგილებლად და ხელალებით.

დასასრულს ისიც აღსანიშნავია, რომ ზემოთ დასახელებული სტატიები ხელმოწერითა ამგვარად: „ან. ხუციშვილი“ („ბიბლიოგრაფიული ფურცელი“), „სუციშვილი“ („შინაგონი მიმოხილვა“) და არა — „ანტონ ხუციშვილი“, როგორც ა. კალანდაძე მიუთითებს. არ გვაქვს საფუძველი დამტკიცებთ ვთქვათ, რომ შემოკლებული „ან.“ მინიკამონი „ანტონის“ გეოლოგობის და არა რომელიმე სხვა სახელს (ვთქვათ, „ანთიმოსის“, „ანდროს“ და ა. შ.).

ასეთი ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც უწინააღმდეგება ა. კალანდაძის კატეგორიულ მტკიცებას. ამ ფაქტებს ახსნა სჭარბება და ახსნიან ქვემოთ.

<sup>1</sup> მნათობი, 1970, № 11, გვ. 147, დაყოფა ჩვენია, წ. ჯ.  
<sup>2</sup> შევნიშნეთ, რომ ამ სამსტრუქციონიან ციტატაში ა. კალანდაძის მერე შევიღოდე შეცდომა და შევებული (შტრ. მისი „კორექტივები“, გვ. 147).  
<sup>3</sup> საყურადღებოა, რომ ა. ცაგარელი „ვილიამ შექსპირის“ ავტორად უოველთვის ასახელებს „მხატვარებს“, ღვიმილი კი — „არყოფილი“.

<sup>1</sup> მნათობი, 1970, № 11, გვ. 148.  
<sup>2</sup> „ბიბლიოგრაფიული ფურცელი“, ცისკარი, 1865, № 9, გვ. 23.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 27-28.

ზურაბ ჭავჭავაძე

## გაუშვების უსაყვარლესი პოეტი

მაყვალა მრევლიშვილი გამომენილი ქართველი მხატვრის ალექსანდრე მრევლიშვილის ქალიშვილია. ერთ-ერთ ლექსში პოეტი ასე წარმოგიდგენს მამის პორტრეტს:

ჩემი იყო და უთქმელი სევდა

ყოველგან სდევდა.

უცხად მობერდა...

სულ ზურგით მისხოვს, კედელთან ახლოს მდგარი მოღებრტთან.

(„ჩამოთრის ვტიულები“)

საოცრად მერყეული დეტალი მხატვრის მამის წარმოდგენა ზურგით, როცა ოთახში მუშაობდა, მხატვარი ფანჯრის ახლოს, კედელთან დადგმული მოღებრტისავე იქნებოდა მიბრუნებული და ცნობისმოყვარე გოგონა, რომელიც ჩუმად აღევნებდა თვალს ხატვის პროცესს, უფრო ხშირად მამის ზურგს ხედავდა, ვიდრე სახეს.

ოთნ ე. გაფრინდაშვილი პასუხობს:

„ერწყვე მოგონებებს, როგორც მებაღე,  
ღიბს, ეს არის ჩემი მამული:  
და თუ ცხოვრებას მე დავეთანხმე,  
მიტომ, რომ იყო მზე მეწამული“.  
(1929 წ. „მებაღე“)

მზე მეწამული ანთა პოეტის გულში, ძღ-  
რენ მწვანე სიმღერები და ვახაფხულის ახალი  
პანკები აბრუნებენ მორეცს მარტოობისას სა-  
ზეიმოდ, ახალი პანკები, დამშვენებულინი  
„ვარდებით და იაგუნდებით“. „ფერო“, „ჩო-  
ნი“, „აწქესი“, „სიმღერა“ („ბევრი მგოსანი  
ჰგავს ყრუ ბეთხოვენს“). „რევოლუციის წარ-  
სულიდან“, „ლენინის სიყვანს“, „ოქტომბრის  
სტრატონები“, „ჩემი ქვეყანა“, „ქუთისის“,  
„წითლბელა“, „დიდ ოქტომბერს“, „ანტროლო-  
გია და ბეტონი“. — აი ლექსები, რომლებშიც  
პოეტმა გამოხატა თავისი სულისკვეთება და  
დამოკიდებულება ახალი დროისადმი.

„საქვე პოეზიამ თავის სიმღერა  
დიად ოქტომბრის პირველ გრივალთან,  
ცა ხანძარებით ვაღიპეტრა  
და ციცილიანი დაფერთა კალით“.  
(„ოქტომბრის სტრატონები“)

ვ. გაფრინდაშვილის პოეზიის ამოსავალი  
წერტილი, გასაღები მისი სულისა შეიძლება  
ვეძიოთ შემდეგ სტრატონებში:

„რომ არ დავარავთ ქეშმარიტება  
და ვიყო სულით ცვლავ ბედნიერი“...  
(„ძველი პალტო“)

„რომ არ დავკარგო ქეშმარიტება — ეს  
სტრატონი შესაძლოა გამოდგეს ვ. გაფრინდა-  
შვილის შემოქმედების მარადიულ საფუძვლად.  
ქეშმარიტება და აღზევებული სული იყო ვ.

გაფრინდაშვილის პოეტური სინატიფისა და ლირსების მარადიული საფუძველი.

ჩვენ ზემოთ ხაზი გავუსვით ერთ ფრანსს: „სიკვდილამდე თავის თავს დაეძებს“. ეს პოეტის აღზევებელი, თავისუფალი სული დაეძებდა თავისთავში კვშიარიტებას და კვშიარიტებაში თავის თავისუფალ სულს. ეს მთელი ფილოსოფიაა. სხვა საკითხია, რამდენად სწორი იყო ის გზა, რომლითაც პოეტი კვშიარიტებისკენ მიისწრაფოდა.

ადრინდელი —

„გადიჯვარდები როგორც ყამბახი დაისში თავით — ლეთსგან ქვბული და ვით პეპულა იწყის ლამბაზე, მე დაიწვივებ გაბრწყინებულში.“  
(„ფთაბ მორგანა“)

ანდა

„ვით ძველი კიბე ჩიანგრევა ქუჩა ცხვირით დამჭვრეველ დღეებს დაისებში არ ჰყავთ, და ისე, როგორც ეშაფოტზე რთბესპიერი, თავის საჩკიდან დაიცივლებს გაფრინდაშვილი“...  
(„ხამთრის დღეების გასევენება“)

ამ თვალსაზრისით ყველაზე დამახასიათებელი ლექსია „ძიება“.

„შენ უნდა ნახო კვშიარიტება, ნუთუ ეს არის შეუძლებელი? შორეულ გზების სცანი დიდება, მსუბუქ ნიღბების აყავ მსღებელი“.

1921 წელს „მეოცნებე ნიამორების“ იანერის ნომერში ვ. გაფრინდაშვილი წერს: „... ხელოვნება კიდევ უფრო გააღრმავებს თავის შინაარსს და ეცდება მთელი სინამდვილის გარდაქმნას. მახინჯი სახე თანდათან უფრო კეთილმოხილი გახდება. იქნება იმდენი სილამაზე, რამდენიც კაცი და ნივთი არსებობს. ხელოვნება გააღმერთებს მთელ ქვეყანას და როგორც ქრისტი ვანკურნავს კაცობრიობას ყველა სენებიდან...“

1940 წ. მითისა და ფანტასმაგორიებისაგან დიდბნის განთავისუფლებული პოეტის სული კვლავ ახლისაკენ მიისწრაფვის და აცხადებს:

„მე მუდამ ვცხოვრობ იმის იმედით, რომ აღმოვაჩენ რაიმე ახალს, ვარ კმაყოფილი პოეტურ ბედით და კვლავ დავეძებ რითმებს ფრთამალას“  
(„9 თებერვალი, 1940 წ.“)

ეს ძიება ახლისა არ შეწყვეტილა, მონახა პოეტმა კვშიარიტი გზა ხალხის გულისაყენ, შორის დარჩა მითი და ფანტასტიკა.

„მე კი ვეწივი ყოველდღიურ სიტყვასთან ერთად, დაეძებ რითმებს და სახეებს იმედია, რომ ჩემი ლექსი მკითხველამდე მივიღეს, ბოლოს, როგორც ჩამჭრალ ვასკვლავების სხივი გვიანი“.  
(„ფიჭრი ლექსებზე“)

როცა ეს კვშიარიტება უკვე ნაპოვნი აქვს, პოეტი სინანულით აცხადებს:

„დღემდე მირაყებს ამაოდ ექმნიდი, ტყვილად ვეძებდი ზურმუხტებს, ლაღებს. სანახაობა ამაზე დიდი არ ღირსებია ჩემს ცოცხალ თვალებს“.  
(„ზღვაზე“)

საგანგებოდ გვინდა შეგერადეთ ვ. გაფრინდაშვილის ლექსზე „ტყეს“ (1926 წ.): ეს ლექსი თითქოს მონანიებაა ძველისა და ამავე დროს სწრაფვაა და ნლომა მიუწყდომელისა. ამ ლექსში, რომლითაც იგი უბრუნდება აკაკისა და ვაჟას კლასიკური პოეზიის ფესვებს, პოეტს არ გამარტია არც ერთი უაღბი ნოტა. მოვიყვანო ადგილებს ამ ლექსიდან:

„ეგ შენი მწიანე სამეფო კომკია მიუწყდომელი სული და გული დამება, ვარ მუდამ შენი მდომელი.“

მე, ხშირად დაგშორებივარ, ხშირად ვყოფილვარ თბლად, მაგრამ მახსოვდი ყოველთვის, მიგულვებობხარ შშობლად.

მიმიდე შვილი ცოდევი, მაკურე წინდა ცვარები, რომ განაიყურნოს სენიდან ეს გული ნახანარები...“

შენ მახიარე წყაროებს, გრილი ნიავი მწყურია. მე შენს ტრფობაში, ძლიერო, ოცნება დამიწურია“...

თავისი უშუალობითა და დიდი ექსპრესიით ეს ლექსი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი ლექსია ვ. გაფრინდაშვილის პოეზიაში. იგი თითქოს ამოვარდნილია პოეტისათვის დამახასიათებელი ლექსური წყობიდან. ვ. გაფრინდაშვილის ბევრი ადრინდელი ლექსების პოეტურობას ზღუდავდა და ენებდა პოეტის მიერ დაკანონებული თეორიული შეზღუდუბანი, სიმბოლისტებისათვის დაკანონებულ სუნეტის ფორმაში შეუძლებელი ხდებოდა მოე-

ლი პოეტური შესაძლებლობების გამოვლი-  
ნება. სონეტის განსაზღვრული ფორმა ერთ-  
გვარ ნარჩოში სეამდა, ფრთებს კვეცდა პოე-  
ტის აღმაფრენას, ზოგჯერ აქვევდა ვ. გაფრინ-  
დაშვილის ცივი და „წიფნური აზროვნების“  
პოეტად. ამ ლექსში ვხვდებით სულ სხვა გაფ-  
რინდაშვილს — თავისუფალს, ლაღს, სტრი-  
ქონებს შეტი სუნთქვებს საშუალება აქვს, და  
ლექსიც უფრო სიფრთხანა და გამჭვირვალე  
ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ვ. გაფრინდაშვილმა  
გადმოიტანა სიმბოლიზმის დროინდელი თითქ-  
მის მთელი თავისი პოეტური აქსესუარი თა-  
ვის შემდგომ ლირიკაში, მაგრამ აქ ისინი უკ-  
ვე ახალი დროის სამსახურში სხვაგვარად  
თლერენ.

„ბევრი მგოსანი ჰგავს ყრუ ბებოვენს,  
რომელიც გრივალს უსმენდა შორით.  
ცაში ზეციალს გამოვეთხოვეთ  
და მივაშტრტე მიწას ამბორით“.

(„სიმღერა“, 1930 წ.)

პოეტი ბოლომდე წერდა აჩემებული და  
საყვარელი სონეტის ფორმით. უნდა ითქვას,

რომ სონეტის ფორმით მას დაწერილი აქვს  
უფრო მიძღვნილი ხასიათის ლექსები და პა-  
რიზის თემაზე დაწერილი ადრინდელ პლექსე-  
ბი: „დანტონ“, „რობესპიერის“ „მეჩუქე მუ-  
რატ“, „მაქსიმილიან რობესპიერ“. პარიზის  
თემა საერთოდ აინტერესებდათ „ცისფერფან-  
წილებს“, იზიდავდა რევოლუციური ამბოხით,  
სადაც ისინი მარადიულ ბოქმას და თავისუ-  
ფალი სულის აღზევებას ხედავდნენ.

შემდეგ სხვანაირად სიტყვა პოეზიამ თავისი  
სიმღერა:

„დიად ოქტომბრის პირველ გრივალთან,  
ცა ზანძარებით გადაისერა  
და ცეცხლიანი დაბერტყა კალთა“.

(„ოქტომბრის სტრიქონები“)

ვ. გაფრინდაშვილი იყო მოქანდაკე აღტა-  
ცებული, ყოფილმა ობოლმა ლიტერატურაში, ქვეყ-  
ნის სევდის გამოზარებულმა, ხელოვნების  
მშვენიერი და დიდებული გზა განვლო და  
დაგვიტოვა რთული და ჰირგამოვლელი, ძვირ-  
ფასი შემოქმედება.



## ქართული საბჭოთა ისტორიული რომანის განვითარების გზა

წიგნი პირველი

დროის მიმდინარეობის გაცნობიერება ჩვენს გონებაში იმაზე მიგვივითებს, რომ ადამიანი არ ემაყოფილებოდა თანადროულობის ათვისებით და გახარებით, თანადროულობა განიხილება, როგორც განუწყვეტელი ისტორიული პროცესის მონაცემი, მისი ერთი სტადია. ადამიანი, როგორც გონიერი არსება, რომელიც რთულ მიმართებაშია გარემოსთან თავისი პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობით, — ფილოსოფიური, ეთიკური, ესთეტიკური და მხატვრული მიმართებებით, ცდილობს თანადროულობა არ გამოთქვას ისტორიული პროცესიდან და მისი არსი გაარკვეოს წარსულთან შეპირისპირებით. თანადროულობას ის უკავშირებს მომავალსაც, რამდენადაც მისი (მომავლის) კონტურების წარმოდგენა მოსახერხებელია.

სწორედ აქედან და მომავალზე ფიქრი იძულებს ადამიანს გაარკვეოს ვინ არის იგი, საიდან მოვიდა, როგორია მისი ხასიათი, როგორ ყალიბდებოდა ის, რა ისტორიული პროცესები და მოვლენები ახდენენ მასზე ზეგავლენას. ყოველივე ეს შეიძლება ითქვას თვითველად ადამიანზედაც და მოლიანად ხალხზე, ერზე, რომელიც აგრეთვე ცდილობს გაარკვეოს თავისი ადგილი მსოფლიო ისტორიის რთულ პროცესებში.

წარსული სინამდვილის აღდგენა, ყოველთვის ხდება ახალი, მოცემულ მომენტში თანამედროვე სინამდვილეში. ეს არის ფრიალ თავისებური და საინტერესო ფაქტი — წარსულის კონკრეტული კვშიარიტების გაცნობიერება ხდება ორი სინამდვილის — წარსულისა და თანამედროვე სინამდვილის ურთიერთ გადაკვეთის პროცესში.

კონკრეტული ისტორიული კვშიარიტებანი,

სხვადასხვა დროს, ადამიანის გონების პროგრესის გამო, სხვადასხვაანაირად უნდა ასსნილიყვნენ.

წარსულის ათვისება ხდება თანამედროვეობის სიმალლიდან და ამიტომ ასახული წარსული ყოველთვის ახალი უნდა იყოს, ყოველ ახალ ისტორიულ რომანს ახალი კონცეფცია უდევს საფუძვლად. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სრულიად უინტერესო განმეორება იქნებოდა.

განსაკუთრებით საჭირო ხდება ისტორიის ასლებური შეფასება ძლიერი ისტორიული ქართველების შემდეგ, დიდ ისტორიულ გზაქვარედინებზე, და მაშინ ახალი ძალით იჩენს თავს ისტორიის ათვისების პრობლემა. საინტერესოა, ის მომენტაც, რომ სწორედ ამავე პერიოდებში ხდება საერთოდ ისტორიული რომანის წახაზვა თუ ახალი ძალით აღორძინება.

საბჭოთა ისტორიული რომანის შექმნის პირველი ცდები უკვე ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პირველივე წლებში, გვხვდება. პირველი მოგონებანი, ცოცხალ რევოლუციურ შთაბეჭდილებათა საფუძველზე, ხალხის რევოლუციურ წარსულ შეგონ — ეს იყო გვებთა აჯანყებანი ახლო და შორეულ წარსულში.

ამ აზრის დამადასტურებელი მაგალითების მოყვანა ქართული ლიტერატურაიდანაც შეიძლება ნიკო ლარტიციანიძის „ბილიკებიდან ლინდაზე“ 1905 წლის რევოლუციის ამბებს ასახავს, დეო ქიატლის „სისხლი“ — ამ რევოლუციის შემდგომ პერიოდს, მ. ჭავჭავაძის „ასსენა მარაბდელი“ კი — ქართველი გლეხობის აჯანყების XIX საუკუნეში.

მაგრამ „ისტორიული რომანი — როგორც აღ. ტოლსტოი წერდა — კი არ არის რომანი წარსულზე, ეს თბრობაა აქმეოზე, უფრო ზუს-

ტად რომ ვთქვათ, ჩვენი წინამძღვრების იმ მეგობრებთან, რომლებიც ცხოველყოფილი აღმოჩნდა და ჩვენამდე მოაღწია» („წიგნი მისა“, 1945, №№ 2-3, გვ. 184).

ამასთან ერთად დგება საკითხი; სახელდობრ, რა უნდა ავიღოთ ისტორიიდან, რაზე გავასხვილოთ ყურადღება. „უთუვალე ის, რაც ჩვენი ქვეყნის აწმყოს არ ეკუთვნის, არაა ჩვენი, სავსებით ამით ხარჯვია ენერჯისა და ქალაქისა“, — ამბობს კ. გამსახურდია. უფრო განსაზღვრულად, იგივე მოსახრება გამოთქმულა აქვს ა. ნ. ტოლსტოის: „ისტორიული რომანი არ იწერება ობიექტურად. თვითელი მხატვარი, მიმოიხილავს რა თავის ხედვას წინსულით, ნახულობს და იღებს იქიდან მხოლოდ იმას, რაც მას აღუდგება, რისი დახმარებითაც მას შეუძლია უყუთ გამოის თავისი დრო“.

ისტორიული რომანის გმობრებად გვევლინებიან ხალხის მასებისაგან გამოსული, შემოქმედებისა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულთა ხელმძღვანელები და მეთაურები. მაგრამ ისტორიული რომანებში მთავარი გმობრები ყოველთვის არ არიან შრომობრები ხალხის წილადან გამოსულნი. სახელმწიფოებრივი მშენებლობის აზრით, ერთდროული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, თავიანთ სახელმწიფოთა ძლიერების განმტკიცებაში ვარაუდობენ ადგილი უპირადად სხვა კლასებიდან და ზუნებიდან გამოსულ გმობრებს. ისინი თავიანთი ხალხის პროგრესს ემსახურებოდნენ.

პირველი ასეთი, მაქსიმ გორკის შეფასებით, ნამდვილი საბჭოთა ისტორიული რომანი — ტოლსტოის „პეტრე პირველი“ იყო, ალ. ტოლსტოის პეტრე პირველს — პიროვნებასა და სახელმწიფო მოღვაწეს — აშხნევდა ნაკლოვნებებს. მაგრამ, უპირველესად, მიიჩნევდა დადებით გმობრად, რომელიც რუსეთის განახლებისათვის იბრძოდა, რათა ის წინ წაეწია, შოწინავე ქვეყნების რიგში ჩაეყენებინა, ეზიარებინა ევროპის კულტურისათვის, დაეცაწიერებინა ევროპისთვის ეკონომიურად.

ყველაფერი ეს, უპირველესად, საზოგადოების სხვადასხვა ფენებისადმი მეფის დამოკიდებულებაში ჩანს. „...ომი შედეგად ბაღტიას ზღვაზე გასვლისათვის, — წერს ს. შ. პეტროვი, — ისტორიული აქციონებისათვის წარმოადგენდა რუსეთის სახელმწიფოსათვის. სწორედ იმ აზრისათვის უნდა იქნა, უპირველეს ყოვლისა, შეესხა ბორცო ტოლსტოის, რთუა ის პეტრესა და ვაქრების ურთიერთობას ხატავდა“<sup>1</sup>. მაგრამ ა. ნ. ტოლსტოი არ ხატავს და ცხადია, არც შეეძლო დაეხატა პეტრე როგორც

იდეალური გმობრი. ზომ ცნობილია ე. წ. ლენინის სიტყვები: «Петр ускорил процесс западничества варварской Руси, не останавливаясь перед варварскими средствами, борьбу против варварства»<sup>1</sup>.

მაგრამ ლენინის ამ სიტყვებში და რომანშია ჩანს, რომ პეტრე არ იყო ჩვეულებრივი მეფე, ის იყო მოწინავე მოღვაწე, დაუღალავი მებრძოლი თავისი ქვეყნის, ერის ძლიერების განმტკიცებისა და აღზრებისათვის.

თავის უარყოფით დამოკიდებულებას ჩვეულებრივი მეფეებისადმი პირდაპირ გამოხატავს კ. გამსახურდია: „ზოგიერთ კრიტიკოსს ეგონა, თითქოს მე ბაგრატიონების პანეგირიკი მაინტერესებდა. ჩვენს ისტორიაში 200-ზე მეტი მეფის სახელია ცნობილი, მაგრამ მრავალ მათგანისათვის ერთ წიფთ მელანს არ დაგვხარჯავს. მე თუ მეტი ავტოგრაფი I და ბაგრატ IV, გიორგი II და დავით II, ეგ იმიტომ, რომ ისინი ქართველი ხალხის საარსებო ბრძოლების თავიანთი და დიდი მამულაშვილები იყვნენ“<sup>2</sup>.

იმიტომ გასაგებია უნდა იყოს, რომ საბჭოთა ისტორიული რომანში მთავარ ადგილს დაღებული გმობრი იკავებს.

მაგრამ საბჭოთა ხალხების წარსულის დიდი დაფასებას, რასაც მათში თავისთავის, საკუთარი ძალების რწმენა უნდა ვაწიშტოვებინა, ისტორიული რომანის ნამდვილი ისტორიისმის შეეცლა არ უნდა გამოეწევა. აქ შეეწიერების უხიზელი ხმა ისმოდა: „საჭიროა ხალხმა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია“. მაგრამ მან „უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარია, ჭეშმარიტი ისტორია და არა ვაზვიადებულა ყალბი“<sup>3</sup>. ვაზვიადებულა ადვოკატური ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა გრძობოდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით მტრის თავისი შეღახული ერთდროული გრძობა დიკამოუფილოს. ზოლო ამგვარი საფუძველი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ერთდროის წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლისა და მოქმედებაზე მყოქრობს — ამას ივანე ქავახიშვილი ვერ ეიდე 1904 წელს ამბობდა. აქ კარგად არის გადმოცემული ჭეშმარიტი ისტორიისთვის დამოკიდებულება ისტორიისადმი.

დაქტებზე უხიზელი შეხედულება საწინდარი იყო ნამდვილი ისტორიისმისა, რომელიც ვხას ვაფიქრობავდა წარსულის იდეალიზაციას. ცალკეულ ისტორიულ პიროვნებათა იდეალიზაციას.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 307, რუს. გამოცემა.

<sup>2</sup> კ. გამსახურდია, რჩეული, ტ. IV, გვ. 807.

<sup>3</sup> ი. ქავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, 1960, გვ. 6.

<sup>1</sup> ს. შ. პეტროვი, „საბჭოთა ისტორიული რომანი“, „სოცეტური პოსატელი“, მოსკოვი, 1953 წ., გვ. 108.

ასეთი არც თუ იოლი ამოცანები იდვა ისტორიული რომანის წინაშე.

• • •

ქართული საბჭოთა ისტორიული რომანი ვ. ბარნოვის შემოქმედებაში იღებს სათავეს, ვ. ბარნოვს ერთ-ერთი უპირველესი ადგილი მიეკუთვნება ქართული ისტორიული რომანის ჩამოყალიბებაში და მის ერთ-ერთ ფუძემდებლად გვევლინება. ნაწილი მისი ისტორიული რომანებისა კი სწორედ საბჭოთა პერიოდში შექმნილია და, რაც მთავარია, თავისი ღრმა ჰუმანიზმითა და ესთეტიკური იდეალებით ვ. ბარნოვის რომანები ახლო დგას საბჭოთა ლიტერატურის ესთეტიკასთან. თვით ვ. ბარნოვი დიდი სიხარულით შეხვდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და ახალი ენერგიით შეედგა ისეთი ნაწარმოებების შექმნას, როგორც მის ხალხს სჭირდებოდა.

იმ პერიოდში, ლიტერატურული ბრძოლების, აზრთა და მხატვრულ მოზიციათა დამპირპირების დროს, როცა ლიტერატურის სწავა ემართებოდა და ისტორიული რომანიც, დიდი როლი შეასრულა ვ. ბარნოვმა, მხატვრული სიტყვის ამ განუმეორებელმა ოსტატმა.

ვ. ბარნოვი თავის რომანებს უნარჩუნებდა ისტორიულ სიმატლეს. მაგრამ ამასთან ერთად მწერალი წამოჭრიდა და წყვეტდა ცხოვრების ღრმა ფილოსოფიურ პრობლემებს, რომლებიც მის აინტერესებს, არა მხოლოდ წარსულის ასპექტში, არამედ უფრო მეტად აწმყოსთან კავშირში.

ასეთი მოზიციის ისტორიული რომანის შექმნაში ბარნოვს თავიდანვე ჰქონდა მუშაობა ბულო, რამდენადაც მან წერა დაიწყო სრულიად მომწიფებულმა კაცმა, ჩამოყალიბებული თავიერების მსოფლმხედველობით და ესთეტიკური იდეალებით. ამიტომ, შეიძლება ითქვას, განსაუთრებული ცვალებმა ვ. ბარნოვის ესთეტიკურ იდეალებს არ განუცდია. მისი იდეალები — ხალხის სამსახური — პრაგრესული იყო. ეს აზრი, მართო მისი ისტორიული რომანებით კი არ მტკიცდება, არამედ თანამედროვე თემებზე შექმნილი ნაწარმოებებითაც.

მხატვრული სტილით ბარნოვს XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურაში სრულიად დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს. ის გამოირჩევა წერის მანერის ორიგინალობით, და ამასთან სრულიად თავისებური მსოფლმხედველებისა და იდეების მწერლად გვევლინება.

მისი მხატვრული სტილი, როგორც ვიწრო, ისე სავსებით ფართო გაგებით, შედგება მწერლის ტალანტის ინდივიდუალური თვისებების და მისი მხატვრული კონცეფციის, ისტორიის

ათვისებისა და გამოხატვის პრიციპების შერწყმისა. მისი ამაღლებული რომანტიკული სტილი, ერთი მხრივ, უკავშირდება აბრჩეულ ქართულ პროზას, დაწყებულს უფროცა მაგრამ ვრავიელი ლიტერატურიდან. მდიდარი ქართული პავიოგრაფიული ლიტერატურის ნიმუშებში — „შეშინების წამებასა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ სამართლიანად ხედავენ რომანის ჩანასახს. იღონდ, სტილი რომელიც ერთი ყანრის ან მისი სახეობის შეგნით არ იქმნება. ბარნოვის სტილის შინაგანი რიტმი, ასევე, პოეებს თავის შორედ წინაპრებს უძველესი ქართული ისტორიოგრაფიული და ფილოსოფიური ლიტერატურის სახით. ის უფრო შორედ წინაპრებს უკავშირდება, ვიდრე ვთქვით, XIX საუკუნის მხატვრულ ისტორიულ თხზულებათა სტილს, მგავლითად, გრავოლ რჩეულიწეულის რომანების, აჯაი წერეთელის „ბაშა-აჩუის“, ი. ჭავჭავაძის „ნეკოლონ გოსტამაზიშვილის“, ე. ნინოშვილის რომანისა „ქანუი გურიისა“, ან უთარაღს „მამულეკის“ სტილს.

ბარნოვის სტილი იმ ეპოქის სტილს უახლოვდება, რომელსაც ასახავს. ეს პოლიკა მრავალ სადავო ასმექტს შეიცავს. ასახვის ობიექტისადმი ამგვარი მიდგომა საბჭოთა ისტორიულ რომანში მხოლოდ პერსონაჟთა მუქტველებში გამოიყენა... ისტორიული გმირები — წერს ალ. ტოლსტოი — უნდა აზროვნებდნენ და აღაჩაუბნებდნენ ისე, როგორც მათ აწისკენ თავიანთი ეპოქა და იმ ეპოქის ვარემოებები უბიძგებს.<sup>1</sup> თუ ეს მთლიანად ეხება გმირებს, პერსონაჟებს, სამავიეროდ, ავტორის ენა მხოლოდ ნაწილობრივ უნდა იცავდეს ამ წესს. უმთავრესად იმ დროის ლექსიკისა და სემანტიკის მიმართ. ენის მთლიანი გათანავედროება აქაც შეუძლებელი ხდება. აქ არ მიმართა მისაბამ მგავლითად ცნობილი რომანისტიკის ფოხტეანგერის პრაქტიკა, როცა იგი იუდეველთა ომების აღწერისას თანადროულ ტერმინებს: „გენერალს“ და „ოფიცერს“ ხმარობს. ეს არის უთუოდ გათლებული გზათ სიატული.<sup>2</sup> — წერს ე. გამსახურდია.

ვ. ბარნოვის რომანებისათვის კი ძირითადად ერთნაირი სტილია დამახასიათებელი როგორც პერსონაჟისათვის, ისე ავტორისათვის. ცხადია, არაფერ არ ეძებს ერთიანობას ბარნოვის ისტორიული რომანებისა და მისი ასახული მწერლის სტილში. ასახავი ეპოქის სტილთან შეწყლის სტილის სიახლოვე შედარებითია. ის იმდენად ენაში არ ელინდება (რომელაიც თავის მხრივ არქაიზაციის ცვალი ემჩნევა), რამდენადაც, უმთავრესად, ფრანის თავისებურ

<sup>1</sup> ალ. ტოლსტოი, ტ. 13, რუს. გამ. გვ. 593.

<sup>2</sup> ე. გამსახურდია, რჩეული ტ. III, თბილისი, 1960, გვ. 717.

გამართლებაში, რიტმულ პროზასა და ბოლოს, აზროვნების მანერაში.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქმის ბარნოვის აზროვნება, მისი იდეალები წარსულს ეუბნებოდნენ. ასახეივ ეპოქის სტილთან სიახლოვე მის ისტორიულ რომანებში ელინდება როგორც მხატვრული თავისებურება. ეს მწერლის განსაკუთრებული გზა ისტორიზმისაკენ, სინამდვილესთან მიახლოების თავისებური ფორმა, სულ ერთია, ისტორიულ პიროვნებებს ხატავს თუ გამოვინდ გვიჩვენებს.

რაც შეეხება მწერლის იდეალებს, ისინი მკიდრო კავშირშია სამოციანელების პროგრესულ იდეალებთან. მე-19 ს. ბოლოსა და მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში პროგრესულმა ერთგულმა და სოციალურმა იდეალებმა გავლენა მოახდინა ვ. ბარნოვის მსოფლმხედველობაზე. ბარნოვისა, რომელმაც თავის დროზე რელიგიური ჭრისტიანული განათლება მიიღო, და შეიძლება ითქვას, აღიზარდა კიდევ ამ სულისძველებით.

ოღონდ, ბარნოვის ღმერთი არც ქრისტიკული, არც წარმართობის რომელიმე კერა, ღმერთის ცნება და არც ბარნოვის მსოფლმხედველობაში უკავშირდება ვასტორიკურ კატეორიებს და თავისებურ განადგურებას განიცდის. მშვენიერი-სიყვარული-ღმერთი — ეს ბარნოვის მსოფლმხედველობის სამი ძირითადი ელემენტია. მწერლის მიერ ბუნებისა და საზოგადოების შინაგანი განვითარების კანონების გაცემა ელინდება „ტრაილის“ ურთიერთმოქმედების ფარგლებში. ბარნოვის მსოფლმხედველობაში სწორედ ეს უღვეს საფუძვლად იდება ისტორიული აზროვნების კვლავ, ამასვე უკავშირდება და ამისგანვე გამომდინარეობს ვ. ბარნოვის სოციალური შეხედულებები, მისი წარმადგენები ბრძოლაზე, ხალხზე, გვირგვინზე, კეთილსა და ბორბის დაპირისპირებაზე.

ვ. ბარნოვის შემოქმედების მთავარი მოტივი კეთილის დამშვიდებელი გმირის დაუღალავი ძიებაა, მისი შემოქმედების მთავრი დრამატული გამოდინარეობს იდეალისა და სინამდვილის შეუსატყვისობიდან. ოღონდ მწერალი ღმერთს არის დარწმუნებული კეთილი საწყისის საბოლოო გამარჯვებაში. მაგრამ გამარჯვება თავისთავად როდი მოდის, იგი შეიძლება მიღწეულ იქნას ადამიანური ენერჯის დამახვის შედეგად. ადამიანობის, ჰუმანობის საყვარლზე მსხვერპლი ადამიანებმა უნდა მიიტანონ. ხელოვნების მიზანიც ეს არის — კეთილის დანერგვა, მისი განმტკიცება. ბარნოვი თავის ისტორიულ რომანებში განამტკიცებს ერთგუ-

ლებას მოვალეობისადმი, სამშობლოსადმი, სიყვარულისადმი, ქმნის ნათელ მხატვრულ სახეებს, ღმერთს იჭრება ადამიანურ დამოუკიდებლობაში, გვირგვინს ფსიქოლოგიაში.

ბარნოვის ისტორიული რომანები „ისნის ცისკარი“ (1901), „მამქალი შარავანდედი“ (1913), — „ტრფობა წამებული“ (1918), „ხაზართა სისძლი“ (1922), „ღიღი შოურავი“ (1925), „არმაზის მსხვერვა“ (1925) და სხვ. ადაღვენ წაჭათველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდებს, უმთავრესად ასახევენ იმ პერიოდს, როცა ქართული ხალხი აწარმოებდა გამათვისებულ ბრძოლებს დამპყრობლების წინააღმდეგ, გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის.

იოთამე, თინანო და საამი („ისნის ცისკარი“), აშოტ ერუოლატი („ტრფობა წამებული“), გიორგი სააკაძე („ღიღი შოურავი“) უმირველესად, თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები არიან.

გმირის პატრიოტული მისწრაფებები მწერლის განსაკუთრებული დანერგვის საგანია. იგი განსაზღვრავს გმირის მხატვრულ სახეს, მის ძირითად შინაარსს. მაგრამ მწერალი ამით არ კმაყოფილდება. მისი გმირები მხოლოდ სამშობლოს დამცველებს როდი გამოხატავენ სწორხაზოვნად, არამედ სისხლბორცით სავე ცოცხალი ადამიანური ხასიათები არიან, რომელთა იმპულსებს და მისწრაფებებს არ ვანახლებთაც ერთი რომელიმე იდეა...

ბარნოვის გმირები მხოლოდ ხალხის მისწრაფებებთან კავშირში მოიპოვებენ ძლიერებას, როცა მათი მოქმედება ეთხვევა ან გამოდინარეობს ხალხის საერთო მსწრაფებებიდან, ასეთხად გვეხატებიან ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანებში იოთამე, თინანო, საამ გოსტამბიშვილი, აშოტ ერუოლატი, გიორგი სააკაძე, და სხვები.

რომანი „ტრფობა წამებული“ გვიჩვენებს აშოტ ერუოლატის ბრძოლას არაბების ბატონობისაგან, საქართველოს გასათავისუფლებლად, მის თავგანწირულ შრომას ქვეყნის მშენებლობისათვის, ეკლესიებისა და მონასტრების აღდგენისა და ახლის აღმართვისათვის.

აშოტის უდიდესი ოცნება იყო დამპყრობელთა განდევნა ქვეყნის ყველა კუთხიდან, მთელი საქართველოს გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ და მშენებლობის გაჩაღება.

აშოტის ეს ოცნება, მისი მოქმედება ხალხის ინტერესებს ეთანხმებოდა და სინამდვილეში ურთიერთგებულება არ დაირღვა, ცხოვრების წარსი წაღმა ბრუნავდა.

ეს ხაზი — გმირისა და ხალხის ურთიერთგებულება ვ. ბარნოვისათვის ვადამწვევტია. ვ. სააკაძე, პროგრესული პოლიტიკური მოღვაწე, ჩინებული მხედართმთავარი და შეუღლებული

1. შ. რაიდან, ვ. ბარნოვის ისტორიული რომანები, 1944; ვ. ცისკარიძე, ვ. ბარნოვი, ლიტერატურული ძიებები, ტ. VI, 1958.

შეომარი განდიდებულა მწერლის შიერ („დიდ მოურავში“), სანამ ამ გმირმა არ დაჰყარა კავშირი ხალხთან, სანამ არ დაიხმო სანა მისი აღმზარებელი ხალხის, ქვეყნის ხმის სასმენად. მაგრამ როცა საიკადე წინააღმდეგობებში გაეხლართა და თავის მოძებებზე ხმალი აღმართა, ევლადარფერი მას ვერ გაამართლებს, ვერავითარი პირადი ვმირობა მას ვერ დაეხმარება, ის განწირულია და ეს სწორედითავე ვმირი მხოლოდ ემბრალება მწერალს.

ბარნოვის შემოქმედებას მცდარად აფასებდნენ ის კრიტიკოსები, რომლებიც თავის დროზე, მას საქართველოს ფეოდალურ-ნემამულური წარსულის რომანტიკოს მომღერლად თვლიდნენ. ის რომანტიკოსი იყო, მაგრამ ისეთი რომანტიკოსი, რომლის ყველა ოცნება უცლებლად ეეთქვნოდა თავის ქვეყანას, თავის ხალხს, ამ ხალხს წარსულს, აწმყოს და მომავალს. ბარნოვის გმირები, რომლებთანაც მწერალი სულს უნახესი ოცნებებით არის დაკავშირებული, ყოველ თავიანთ წმინდა ზრახვას ხალხს უცვარებულენ. თუ გმირი ხალხის ცხოვრებიდან მოწყვეტილია და მიზნად ისახავს საკუთარი პიროვნების განდიდებას, ის აუცილებლად უნდა დამარცხდეს, რაფგან სწორ საფუძველზე არ დგას.

თინათინი („მომჭალა შარავანდედი“) ცდილობს დიდება მოაპოვოს. ის უარყოფს ადამიანურ ცხოვრებას და ძალით იხშობს გულის ბუნებრივ ხმას. დიდება, რომლისკენაც ის ისწრაფვის, ახსტრაქტულია და კონკრეტულ შინაარსს მოკლებული, გაუაზრებელი, ბოლოსდაბოლოს, იგი ჰყარავს შარავანდედს თეთი კაბების დედათლის თვალში. რომელმაც ვერ მოიპოვა ბედნიერება და ვერც მიაღწია სასურველ დიდებას. ამ კატეგორიის პერსონაჟებს მიეკუთვნება გურანდუხტიც („ტრფობა წამებული“).

სამშობლოს დამკვიდრი გმირების ხასიათში განსაყოფრებით გვიჩნდა ხალხ გაუქვითი იმ მხარეს, რომელსაც ასე გულდავრულ გამოკვეთს ე. ბარნოვი. ეს გმირები, ასე თავგანწირულად რომ იბრძვიან უცხოელ დამპყრობლების წინააღმდეგ, ყოველთვის ჰეშანტრნი და ადამიანურნი რჩებიან მტერთან დამოკიდებულებაშიც კი. ისინი განასახიერებენ თავიანთ ხალხს დიდ კულტურას, რომელიც მხოლოდ უძველესი დამწერლობით, ლიტერატურითა და ხელოვნებით, გაუხეხველი ნაწარმოებებით და დიადი არქიტექტურული ძეგლებით, ლითონისა და ხის დამუშავების დიდი ოსტატობით კი არ გამოიხატება, არამედ უმოთხრესად ადამიანის სულით, მისი ჰეშანტრობით, ადამიანობით. საკუთარი თავისადმი, მშობლიური ხალხისადმი პატრიოსტემა მათ შეგნებაში ეფუძნება საერთოდ ადამიანისადმი პატრიოსტემა.

ისტორიულად ცნობილია ამოტ ქურობაღატის შემართება და ევაკაცობა, რასაც ის აელ-

ნდა მრავალრიცხოვან ომებში. ბარნოვი ისტორიულ წყაროებს ეფუძნება და ამოტს ხატავს, როგორც უშიშარი მებრძოლი.

მაგრამ ბრძოლაში უშიშარი და შეუტრეხველი ამოტი ადამიანურ სულგრძელობას იჩენს დამარცხებულ მტრისადმი. ერთხელ, ბრძოლის შემდეგ, ამოტის გამარჯვებული ლაშქარი ისვენებდა, ამოტთან დიდებულნი შვიდნი და სთხოვეს გამარჯვება ლხინით აღვისმოთხოთ. მან უპასუხა: „შრომის შეპლევ შვენიას ზეიში. მაგრამ არა ჰამას ძლეული მტრის მეტად დამკირება. მებრძოლი ფერხთ-ქვეშ არის დღეს განათხზული და ჩვენი ვალაა დიდსულოვანად მოვეუყრით იმას... არა ევების ზე აღვაქონით ზა მზიარელი, როცა ისინი სისხლის ცრემლით სტრკიან“.

ბარნოვის ისტორიული რომანის გმირები, როგორც ვთქვით, ცოცხალი ადამიანები არიან, რომლებიც არ შემოიფარგლებიან ერთი რომელიმე იმპულსით, ენებით. ისინი რთულ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში და მრავალმხრივ ადამიანურ გამოკიდებებში არიან წარმოდგენილნი. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბარნოვი სიყვარულს, და იმიტომ კი არა, რომ სიყვარული ცხოვრების ფრთხილ, ღრმად და ყოველმხრივ ამსახველი რომანისთვის აუცილებელია. „მშენიერა-სიყვარული-ღმერთი“ ამ კავშირითა სამედიანობით ისხნება გმირთა ხასიათის განმსაზღვრელი ნიშნები და ვაჩიხატება ბევრი რამ ნაწარმოების მსატრული კონცეფციის გასახსნელად. სიყვარული, ამითუმი კუხებით, დანახულია ბარნოვის ყველა ნაწარმოებში, განსაკუთრებით ამ მხრივ უნდა აღინშნოს „ისინი ცისკარი“, „მომჭალა შარავანდედი“, „ტრფობა წამებული“, „არაზის მსხვრევა“. ვერადერს ვეცდებით ამ ნაწარმოებების გმირთა ხასიათში, თუ არ გვაიანალიზებთ მათი დამოკიდებულება სიყვარულისადმი, თუ არ ვაფთხადისწინებთ როგორ აელენენ ისინი თავიანთ თავს სიყვარულში. სიყვარულში ჩნდება სამამის, ამოტის ჰეშანტურები იდეალში. ტრფობაში ჰეჭაქსადმი ვამოხატულია არა მართო მიგნურის ურთიერთკავშირი, არამედ პიროვნების, ადამიანური არსების პროტესტი შეშაუქუნობრივი კანონიერი, კონსერვატიული ეკლესიის წინააღმდეგ. რომლის წარმომადგენლადაც რომინში გამოდის გრიგოლ ხანძთელი, IX საუკუნის ქართული ეკლესიის გამაჩნელი მოღვაწე. როგორც ცნობილია, გრიგოლ ხანძთელმა, ამ ენგატიულმა ისტორიულმა მოღვაწემ მებრძოლ დადებითი როლი შეასრულა ქრისტიანობის განმტკიცებასა და არაბთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისტორიოგრაფიის მიხედვით, ვიოტგი მერხლეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“, ასევე ბარნოვის რომანის მიხედვით გრიგოლ ხანძთელი — ი. ეკლესია — არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ

ბრძოლის საქმეში გათანაბრებულია საერა ხელისუფლებისათვის, ამოტ ეტროპალიტანს, შავრამ ეკლესია, ლეთის წინაშე თანასწორობისაყენ მოწოდებისათვის ერთად, სინამდვილეში ბოჭვდა პირიუენებას, მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, აქარწყლებდა მის მისწრაფებებსა და იმპულსებს, რომლებიც შეიძლება საზოგადოების თვითთული წევრის ნების სრული გამოვლინების სანქცინდარი ყოფილიყო ერთი მხრივ ნებისყოფის კანცენტრირება (რაც მართო უცხოელ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის როდი იყო სკიპარო), მეორე მხრივ პირიუენების წაშლა — ახ დატეხითი და უარყოფითი როლი ქართული ეკლესიისა IX საუკუნეში.

გრიგოლ ხანძთელი „ღვთის ნებას“ ასრულებდა და მიქნდრნი საფლავამდე მიიყვანა. ამით გამოქსწორებული ზიანი მიიყენა სამშობლოს თავისუფლებას, რომელსაც ასე გულღვებულ ემსახურებოდა თვითონ.

გრიგოლისა და ამოტის ურთიერთბრძოლის, მართალია, იმარჯვებს გრიგოლი, მაგრამ ბარნოვის რომანში თავს იჩენს უღრმესი სევდა დამსხვრეული წმინდა საყვარელის გამო, ადამიანის პირიუენების თავისუფლების გამო, ერთიანი თავისუფალი სამშობლოს გამო და სწორედ ამით უკავშირდება რომანი ბარნოვის თანამედროვეობას.

ბარნოვი, როგორც ვთქვით, ყოველთვის სომართლით გადმოგვეყვას ისტორიულ ფაქტებს, მაგრამ მათს ვაგებამი ისტორიკოსს ან ძველ შეწირლებს არასდროს არ მისდევს. მისი შეხედულება წარსულზე ყოველთვის არივიანიად არის და იგი თავისებურად ხსნის ისტორიულ მომხდარის არსს. თანამედროვე შეხედულება გამოყრითის ყოველი დეტალის ვაგებამი. გვიანდა მოვიყვანათ თუნდაც ერთი შავალით.

გ. მეტრეველ ასე ხსნის შექიასა და ამოტის ურთიერთთავიშრის: „ბოლო აცდუნა მტერმსხ ზელმწიფე იგი და მიიყენა მან დედამაცო სოქებას ცოხებას მას შინა, რომელსა თანა იმრუშებდა, რამეთუ ემეკი ტრფიხალებსა ფრიალ აზრუნდა, რომელსა პირველ არა აქუნდა ესე ვითარი ჩვეულება, არამედ ძლელა იქმნა ბოროტიათ მით ცოდება“.<sup>1</sup>

ბარნოვი ასე ფიქრობს: თუ შევეს „პირველ არა აქუნდა ესე ვითარი ჩვეულება“ და შექიასთან კავშირი გამოჩაყალბისა, მაშინ აქ მხოლოდ და მხოლოდ ქალისაფში მამაკაცის მისწრაფება იქ არ ყოფილა, არამედ დიდი სიყვარული, რომელიც ბოლოს და ბოლოს, კანონიკურ რეგლისისათვის დამირისპირების გამო, ვაზდა შექიასა და ამოტის დაღუპვის შიქეში. ეს არის პირითადი არსა ზღვება ბარნოვის რომანისა.

რომანში დახატულია დიდი სიყვარული, რომელსაც ლუპავს ეკლესია. ეს ვარემოება ქმნას ვანწყობას, რომელიც მიმართულია ურყველად ჩი კონსერვატორლობის, დოკტრინულტრისმის, ადამიანის თავისუფლების შეზოქვის წინააღმდეგ.

აი ასე, ეს „რელიგიური“ შვერალი გამოდის წინააღმდეგ რელიგიისა, რომელიც ბოჭვს ადამიანურ მისწრაფებებს.

შემდგომში ბარნოვის შემოქმედებამი უფრო ძლიერდება ეს ზაზი, თუ ამოტი ეკლესიის მიმართ თავის წინააღმდეგობამი მინც სუსტია, ხეარამზე („არამაზის მსხვრევაში“) უფრო კატეგორიულია რელიგიის წინააღმდეგ, რომელიც ადამიანების ზედწირებას ამსხვრევს, მათ სოცოცხლებს უწრაფებს. აი „არამაზის მსხვრევის“ ფინალი:

„მიუხედა ბრძოლა საზარელი, ცას მოშორდა ვეშაზი შავი. მსწრაფეოდა არმაზისყენ ხეარამზე ქალი.

— სად არის რევი? ნახეთ აშხალი! ბატონიშვილი ხმაღამოწედილი ნაენებთა შორის. მუქვამუქი არსადა სწინადა.

— აშხალი! ნახეთ აშხალი! — ვაკიოდა თმაგამილი ქალი ხეარამზე, ესებდნენ ვეცაკის მკვდართა შორის თუ დატრილებამი.

— ემა, აშხალი! ვადმოაზინებს, სასიკვდილოთ დატქრათ ვმორი.

— ვერ ცოცხალია!  
— აშხალი ჩემო! შესძახა ქალმა. და მოეხედა. წაადგა ნინო ზელისხლიანი; თუ ვაპქულეოდა.

— დაწყნარდი, ქალო! ქვარის მადლო... ქალმა შეხედა ქალდა ნინოს. მნელის შეხედვით, შეიწყვიტა ყელზედ ქვარი და ვადსტოტრცნა. მოექცო ჭაბუქს. ვაიერყოლა აშხალიმა ქალის მკლავებში და ვათიანგა. დასწყდა ქალ ვეის ხანქალს. დააკლა თავი“.<sup>1</sup>

ასე დიდა ადამიანური სისხრულის დაღუპვის ტრაგედია, ასე დიდა ბროტესტი ყოველგვარი რელიგიის წინააღმდეგ, რომელიც ანადგურებს ადამიანობას, მის პირიუენებას, ბედნიერებას და თავისუფლებას. ვატვორცნილი ქვარი — უდიდესი ბროტესტია ხეარამზენი და ეს მას აყენებს ზემანიზმისათვის მეგრძოლი ვმირების რიგში.

ამ სტრათში კიდევ მეორე სახესიმბოლოა. ეს არის ნინო სისხლიანი ზელით. ეკლესია არ ჩერდება სისხლის წინაშე „ტრფობა წამებულშიც“. „რას ეხედავ ამას? შესძახა მგაცრად — სისხლი! დეარი სისხლისა წმინდასაც ადგულს“

ბოლოს თვით ამოტიც ეკლესიამი დაიღუპა, — თუმცა აქ ეკლესია პირდაპირ ბრალში არ

<sup>1</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1946, თბილისი, გვ. 137.

ყოფილა. მაინც ამას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს

### „დაეცა აშოტ“

მისი სისხლით შეიღება საქართვეელი\*.

ეკლესიის სახელის სისხლიდან დაეკვირება ისეთი „რელიგიური“ მოაზროვნისა და მწერლისათვის, როგორც ვ. ბარნოვი იყო, შეიძლება აზრის სრულიად მიუღებელ მიმართულება მოგვეჩვენოს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ვ. ბარნოვის ხანგრძლივი სამწერლო მოღვაწეობის უკანასკნელი ამონაკვეთები დამოუკიდებელი პერიოდის, რომელსაც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ოქტომბრის რევოლუციამ და საქართველოში სამკოთა ხელისუფლების დამყარებამ უშეშველი ზეგავლენა მოახდინა მწერლის მსოფლმხედველობაზე. იგი ისევ ისტორიული ეპირის ფარგლებში დარჩა და თავისი მხატვრული სტილი შეინარჩუნა (ამ მხრივ ცვლილებები არც იყო მოსალოდნელი, რადგან ამისათვის ვ. ბარნოვი, სამკოთად ხანდაზმული და მევეთაზე ჩამოყალიბებული მწერალი იყო ამ დროს), მაგრამ ბევრად შეიცვალა მისი შეხედულებები ცხოვრებაზე, ისტორიაზე, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ქრისტიანობაზე, და განსაკუთრებით კანონიერ ეკლესიაზე, უნდა აღინიშნოს, რომ ბარნოვი თავიდანვე არ ყოფილა მათ მიმართ დემოკრატიული იდეებით შეზღუდული, მაგრამ სისხლიან ეკლესიის სახელის დაცემიერება რომანებში „ტრაგედია წამებულ“ (1918) და „არმაზის მსხვერველი“ (1925) ნაყოფია ისტორიაზე, ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე მწერლის ახლებური შეხედულებებისა. რაც არა მარტო მის მხატვრულ ნაწარმოებებში, არამედ ლექციების ექვსშიც გამოვლინდა. „არმაზის მსხვერველი“ ნათლადა გამოხატულია, რომ ქრისტიანობის გავრცელება ბიზანტიელი კეისრების ხელში იარაღი იყო საერთაშორისო ასპარეზზე თავიანთი გავლენის გასავრცობად, რომ—ქრისტიანობის ცენტრი — ოცნებობდა გამხდარიყო მსოფლიოს ცენტრიც. დედოფალ ნანას .... გამოცილილი ჰქონდა, ახალი სკელის ქადაგებას მოჰყვებოდა რომის გავლენა. ბიზანტიელი უფლებების დამყარება. ფიქრობდა ნანა, შეეგონებინა ეს შეფასების. მარიანი თეთონაც ვერაბობდა, საით ისწარფოდა რომთა ხელში იყვნენ. რა შეეძლო?! მძღვარი ძალა მოიწვედა, ვით ბედისწერა...<sup>1</sup>

ამ ასექტში „არმაზის მსხვერველის“ გმირების მნიშვნელობა იზრდება. ზვარამზე—პერსონაჟის აზრი განუზომლად ღრმადდება, მრავალმხრივი ხდება, კონკრეტულ ისტორიულ ასექტებს იძენს. იგი მარტო ჰუმანური იდეალებსათვის მებრ-

ძოლ გმირად კი არ გვევლინება, რაც ადამიანის პიროვნების თავისუფლებისათვის, სიყვარულისათვის თავგანწირვას გულისხმობს, არამედ ამას უერთდებიან ეროვნულ თავისუფლებას უმალესი იდეალები, უცხოური გავლენების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც დიდ მხატვარს შეგუერის, ბარნოვის რომანებში დიდი საზოგადოებრივი პრობლემები გარდატეხება გმირების ბედში, მათს ცხოვრებაში. ყოველივე ეს ისახება ზვარამზე და ადამიანის სიყვარულში, მის ბედსა თუ უბედურ დასასრულში. მაგრამ სიყვარული, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, ბარნოვის მიხედვით, მხოლოდ ირი ახალგაზრდის ურთიერთდამყვარებელი გრძნობა კი არ არის, არამედ ესთეტიკურ-ფილოსოფიური კატეგორია, რომელსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს ბარნოვის ტრაგედიაში და საერთოდ ადამიანურის გამოვლინების სფეროა. და ყველაფერი ის, რაც ადამიანის ბედნიერებას წინ ელოდება, დამალულ უნდა იქნას ადამიანის მიერ. მაგრამ რა გზით, როგორ უნდა იქნას დამალული? აი სწორედ ამ მიუღებელ იმ სფეროს ამ დიდი მწერლისა და მოაზროვნის შემოქმედებაში, რომელიც დღეს ჩვენ, ბუნებრივია, ვერ გვაქვით ვიხილოთ.

ადამიანის ვარაუქმნის შესაძლებლობას ბარნოვი მხოლოდ საყოფიერ ნებისყოფის წრთობაში, მორალური სიმტკიცის გამოწვევაში ხედავდა. ცხოვრების, ადამიანის ვარაუქმნაში ბარნოვის ყურადღებას ნაკლებად იზიდავდა კლასთა ბრძოლა, კერძოდ, გლეხობის გამოსვლები შემამულეთა წინააღმდეგ, და ეს მაშინ, როცა მწერალს ადამიანის იდეალად, რომელიც ენაც ის ისწარფოვდა, სწორედ მშრომელი ადამიანი მიანდა. ვ. ბარნოს სხვადასხვა დროს სხვადასხვა კრიტიკოსი თუ ლიტერატურის მკოდნე ტყუილად მიაწერდა სიმპათიებს საქართველოს ფეოდალური წარსულის მიმართ. ბარნოვი ყველგან, ყოველ ნაწარმოებში მკვეთრად გვიხატავს წარსულის მიხინვ მხარეებს. ფეოდალების ადვილბუნობას, მათს გვოტურ მისწრაფებებს, ურთიერთმტრობას, ბრძოლას სახელმწიფოს დეცენტრალიზაციისათვის, მერაინობას, მახეზრობას, გამოძლეულობას, დაბალი ფენების ექსპლოატაციას, საეკლესიო ცხოვრების შეუბრალებლობას, რელიგიის მიერ ადამიანების შეზღუდვას და ა. შ. ხალხის ყველა ფენიდან ვ. ბარნოვი უპირატესობას აძლევდა ამტრებს, ხელოსნებს, ამ აზრს განამტკიცებს „ისინი ცისკაიცი“.

ბარნოვი კარვად ხედავდა კლასობრივ დიფერენციაციას, მაგრამ ცხოვრების ვარაუქმნაში ვადამწვეტ მნიშვნელობას არ აძლევდა კლასთა ბრძოლას. ვ. ბარნოვი ადამიანის ვარაუქმნის პრობლემას, საერთოდ, აბსტრაქტულად აყენებდა. ყველა ადამიანი სრულმნილი უნდა გაზღეს დამოუკიდებლად და ერთმანეთზე ზეგავ-

1. ვ. ციციშვილი, ვ. ბარნოვი, ლიტერატურული ძეგლები, ტ. VI, 1958 წ.

2. ვ. ბარნოვი, თხზ. სრული კრებ. ტ. VII, 1962, გვ. 469.

ლენით. ზნეობრივად გამოიწრთოს მადლი იდეალუბისათვის ბრძოლაში.

დაბალი ფენებიდან გამოსულ გმირებს ბარნოვი განსაყურებულნი სიმპათიით ხატავს ყოველთვის, მაგრამ თავის ისტორიულ რომანებში არასდროს არ გვიჩვენებს მათ კლასობრივი ბრძოლის პერსპექტივებში, (თუც იღებულა ალიონინოს, რომ ამ მხრივ არის განსხვავება ე. ბარნოვის ისტორიულ რომანებსა და თანამედროვეობის ამსახველ მისსავე მოთხრობებს შორის).

კლასობრივი ბრძოლის ასახვა, როგორც ჩანს, იყო ქართული საბჭოთა ისტორიული რომანის განვითარების შემდგომი საფეხური. ამ საფეხურს იწყებენ შ. დადიანი და მიხ. ჯავახიშვილი.

ქართული საბჭოთა ისტორიული რომანის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შ. დადიანის რომანებს „გიორგი რუსს“ და „ურდუმს“. შეიძლება „ურდუმს“, როგორც მხატვრული ნაწარმოები, შ. დადიანის მიღწევად არ ჩაითვალოს, მაგრამ იგი მფიქთათებს შერჩევის ინტერესების ახალ წრეზე.

„გიორგი რუსში“ თითქმის ყველა პერსონაჟი თამარის მეფობისდროინდელი ცნობილი პიროვნებაა. თამარ მეფის საქმროდ ანდრეი ბოგოლიუბსკის შვილის იურის მოწვევა დევს რომანის სიუჟეტის საფუძველში და ამავე ისტორიული ამბის განვითარებას მიჰყვება. ეს განვითარება ავლენს ხასიათებს, შეცვლიათ ძლიერი ენებების ადამიანთა ცხოვრების ფერულში და ვალაშის მეთორმეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრების რთულ პანორამას

დადიანი ყურადღებას ამახვილებს ქართველ ფეოდალთა ურთიერთობებზე, საკუთარ განდიდებისაკენ მათს მისწრაფებაზე, თავიანთი ძალა-უფლების გაძლიერება, გავლენის სფეროს განგრძობა, მეფის კარზე პირველობისათვის ბრძოლა და საკუთარი სამთავროებისა და საფეოდალოების შექმნალობისათვის ზრუნვა ფეოდალთა უმთავრესი საქმე იყო. მათი მოქმედების სტიმული შურა და ეგოიზმი გახლდათ და ისინი არაფრის წინაშე არ ჩერდებოდნენ. მათი „მოღაწეობის“ მთავარი იარაღი იყო ინტრიგა, ხმის გავრცელება, მხატვრულად დაწყობის მახეობა. თბილისის ამირას აბულ-საანს თავისი ჩანაფიქრების განხორციელების მიზნით შეაქვს დარბაზში წინადადება იური ბოგოლიუბსკის მოწვევის შესახებ. ასევე თავისი საკუთარი ზრახვები, გამოჩენა ამოკრავებს დიდგვარ ზნეობის ზოგადებას, რომელიც ქართველთა ჩამოყვანის ბოგოლიუბსკი „პატრიარქმან, დიდებულმან, ეპიტოთა და სპათა—მოახსენეს თამარს, და მათგან ნება-დაფრთავი განმზადეს ქორწილი...

ყოვლად უწადინელმან ქორწინებისამან იაქაქსა, ქმარონობისაგან“.

და ეს რაღი იყო თვითნებობის მხელდაც ერთეული გამოვლენება. დიდს ფეოდალებში და დიდებულები ხშირად ერთმანედობდნენ ხოლმე თამარის წინააღმდეგ. მეფის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლათ ისინი ახსენებდნენ სატელეფონოს. ამ მომენტზე ამახვილებს ურადლებას. შ. დადიანის რომანი, მწერალი ეტებადა მიზეზებს, თუ რატომ დაეცა ძლიერი ქართული სახელმწიფო შემდგომ საუკუნეებში, და ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ფეოდალური სეპარატიზმი მიიჩნდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი კრიტიკოსი სხვადასხვა დროს მკაცრად და დაუმსახურებლად აკრიტიკებდა შალვა დადიანის ისტორიული რომანს „გიორგი რუსს“. მწერალს მიაწერდნენ ნაციონალიზმს, რასაც, ცხადია, არ შეიძლება დავეთანხმოთ.

შ. დადიანი მართლაც ყურადღებას უთმობს ი. ბოგოლიუბსკის პიროვნების ცნობილ მანკიერ მხარეებს, რაც ისტორიული წყაროებით არის დადასტურებული, მაგრამ ამის გამო შ. დადიანს ნაციონალიზმი რომ მიაწერო, დავსახებდელი, მძიმე ბრალდებაა. იური ბოგოლიუბსკი ცნობილი ისტორიული პიროვნებაა. რუსი ხალხის განზოგადებულ ტიპად უფრო უნდა მივიჩნიოთ შ. დადიანის გამოგონილი გმირი — კუზმა, რომელიც საქართველოში თავის აღზრდილთან — იურისთან ერთად ჩამოვიდა. კუზმა რუსს შ. დადიანი დიდი სულიერი სიბოროტი ხატავს. მწერალი მასში ავლენს უკეთეს ადამიანურ თვისებებს.

ი. ბოგოლიუბსკის პიროვნების მანკიერ მხარეზე ყურადღების გამახვილება არ ყოფილა შ. დადიანისათვის თვითმზნანი. ეს მას დიდებულთა თვითნებური გადაწყვეტილების განსასჯელად სპირიტუალობა.

დიდებულთა თვგასულთა განსაკუთრებით მკვეთრად თამარის მეფობის პირველ წლებში გამოვლინდა.

ყურ კიდევ, ბაგრატ მესამესა და ბაგრატ მეოთხის დროიდან, რაცც საქართველოს გავრთიანება დაიწყო, ხოლო უფრო კი დავით აღმაშენებლის ეპოქიდან მოყოლებული, ქვეყნის სოციალურ სტრუქტურაში ერთგვარი დემოკრატიზაცია იყო დასახული. ამ დემოკრატიზაციის საფუძველი იყო ქვეყნის საზოგადოებისგებლო პოსტებზე პირადი დამსახურებისამებრ, პირადი ღირსებებისამებრ წინ წამოწევის პრინციპი. დიდგვაროვნული დინასტიის პრინციპი საშუალებას იძლეოდა რომ ქვეყნის ბურჟის ადგილას სუსტი და უნდელი კაცი აღმოჩენილიყო. ხოლო თუ რა უმეტესობა იყო ქვეყ...

1. ისტორიანი და აზმანი შარაენდელთანი, ქართლის ცხოვრება; პროფ. ყუბნიშვილის რედ.; ტ. VI, 1959, გვ. 37.

ნისათვის სუსტი, გამჭრიახობას მოკლებული და უნიჭო კაცის მეგობა, ან მის მიერ დიდი პოსტის დაკერა, ქართველები მრავალჯერ დარწმუნებულან ამაში, თუთ დღეთი აღმაშენებლის მამა გიორგი II „უხუცესი ყოველთა მეთეთა აფხაზეთისათა და ზურად უკეთესი ყოველთა კაცთსა... შეტად რბილი და სუსტი ხასიათის კაცაა ჩინს, ამასთანავე მას ჰკლებია ის სიღინჭე და საქმიანობა, რომელიც ქვეყნის ბატონისათვის აუცილებლად არის საჭირო... ვერც დიდგვაროვან აზნაურებს უწყედა ღირსეულ წინააღმდეგობას და ვერც გათამამებულ გარეშე მტერს იგვრებდა.“<sup>1</sup>

ამ შავალითს პირადს მხილველი დავით აღმაშენებელი გამეფების შემდეგ მთავრობის სპასიტისშებელთა პოსტებზე წინ წამოწევისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა კანდიდატის პირად ღირსებებს. დემოკრატიზაციის ეს პრინციპი ბაგრატ III-ის დროიდანვე ტარდებოდა სასულერო ხელისუფლებაშიც. „გოროვი მოაწმინდელმა... ქართული ეკლესიის წოდებრიობა დაარღვია. წოდებრივი უპირატესობა საეკლესიო საქმეში უარყო და ადამიანის პირადი ღირსება წინ წამოაყენა, თან ეცადა ქართული ეკლესიისათვის დემოკრატიული მიზართულება მიეცა.“<sup>2</sup>

გიორგი მთაწმინდელმა „შემშობის ღარს“ სხვადასხვა ადგილას „შეკრიბა, რომელნიმე ქალაქთაგანი, რომელნიმე დაბათაგანი, სხუანი უღაბურთა ადგილთა პოვნა, სხუანი შონებისგან გამოიყუანა, ხილთ სხუანი უმწარესისა ცხოვრებისაგან იხსნა“, შეასწავლა რაც საჭირო იყო, განაათლა, აღზარდა და „ესეც ვითარათა შეურაცხთა საქმეთაგან მღვდლად უბიწოდ, მწედ სარწმუნოდ ქრისტესა შეწირინა მთელ საქართველოს განეფინა საქმე ესე საუთრველი“.<sup>3</sup>

საერო და სასულერო ცხოვრებაში ერთგვარი დემოკრატიული პრინციპების დანერგვა, თუნდაც ძალიან შეზღუდულად, მოასწავებდა დიდგვაროვანთა პრივილეგიების შევიწროვებას, რასაც დიდებულნი, რასაკვირველია, ძნელად უბრუნებდნენ. ამიტომ თამარის გამეფების პირველ წლებში, როცა ისინი ფიქრობდნენ, რომ სუსტ თვითმპყრობელთან ჰქონდათ საქმე, რაკი ქალი იყო მეფედ, შეთქმულებებს აწყოზდნენ მის წინააღმდეგ და აშკარად გამოსვლასაც არ ერიდებოდნენ. პირველი მათი მოთხოვნები დიდგვაროვანთა უფლებების აღდგენას შეეხებოდა. ამის შემდეგ იყო „უგვარო“

მსახურთუხუცესისა და ამირსპასალარის უხუცესობა და აფრიდონის განაპტეგობა, რაც ირტლებით გააკეთა თამარმა.

ეს, რასაკვირველია, ქვეყნის სახელწოდებრივი და სოციალური წარმატებისათვის შეტად საზიანო იყო: შეიღბა საქართველოს მოწინავე მოღვაწეების და მეფეების თავგამოდებული და მედგარი ჭირნახულობით შოთაგებულ შეგნება, რომ ადამიანის პირადს ღირსებას შესაფერისი პატივი უნდა ჰქონოდა ცხოვრებაში და ყველაფერი გვიარსებლობით არ განისაზღვრებოდა, ახლა კი დიდგვაროვნობამ და აზნაურობამ კვლავ წამოიპყო თავი.“<sup>1</sup>

ეკრძოდ, თამარის საქმროდ უფლისწულის მოწვევა უთუოდ დიდგვაროვნული ინსტიტუტის პრინციპების დაცვა, როცა „მეფეთა მიერ არა ეგებოს ქვეშევრდომთა შეუღლებება“<sup>2</sup> ამ პრინციპის ფორმალური შესრულების იქით თითქო არაფრის დანახვა არ იყო საჭირო, თითქო სრულად არ ჰქონდა მნიშვნელობა პირად ღირსებას იმ კაცისა, რომელიც საქართველოს თვითმპყრობელი მეფის თანამდგომი უნდა გამხდარიყო. ბასილი ეზოს-მოძღვრის საგულისხმო სიტყვით რუსთა უფლისწულის თამარ მეფის საქმროდ არჩევის საქმე აქერა ვითილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარგადინეს და არცა მისსა მცენიერ იყუნეს, რომელსა იგი მოაყუანებდეს“.<sup>3</sup>

ბასილი ეზოს-მოძღვარი უცხო უფლისწულის მოწინააღმდეგეთა დასში იყო. მკატამ ეს ვარემოება სრულიადაც არ უქარავგეს ძალას მის მართებულ სიტყვებს.

განსაკუთრებით უნდა აღინშნოს, რომ დიდი როლი შეასრულა რუსი უფლისწულის სარწმუნოებამ, დაზბაზის ერი ასე ადვილად არ დაუქურდა მხარს აბულ სანას, იტრა ბოგოლუბსკი ქრისტიანი რომ არ ყოფილიყო. „მართლად უნდა ითქვას... რუსი თავადის ქრისტიანობამ, მართლმადიდებლობამ მოხმბლა ყველანი“. აბულ სანანმა ეს ვარემოებაც თავისი მიზნების სისარკებლოდ გამოიყენა. იგი და ზანქან ზორაბაბელი არას დავიდედათ რუს უფლისწულს რა პირადი ღირსებები გააჩნდა, ან რა ზნის კაცი იყო. ეს შალვა დადიანის ჩანახუქრის ერთი მხარეა, სადაც უკვე გამოვლინდა დიდებულთა პირადი ანგარება.

შემდგომშიაც მოქმედება რომანში გიორგი რუსის თევგადასავლის ირველიე ვითარდება. ეს თევგადასავალი გამოყენებულა როგორც

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ს. უახშიშვილის რედაქტორობით, 1965, ტ. II, გვ. 159.  
<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, მითითებული წიგნი, გვ. 191.  
<sup>3</sup> გიორგი ხუცესმონაზონი „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“, გვ. 326.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ს. ყუხიშვილის რედაქტორობით, 1965, ტ. II, გვ. 247.  
<sup>2</sup> შ. დადიანი, რჩეული თხზულებანი, 1959, ტ. II, გვ. 66. შემდეგში დავითწმინდის ამ გამოცემას.  
<sup>3</sup> ბასილი ეზოს-მოძღვარი, თბილისი, 1944, გვ. 16.

კომპოზიციური ღერძი, რომელზეც ტრიალებს ნაწარმოების მთელი სიუჟეტი.

აქ გამოჩნდა რომანისტის უზაღო ოსტატობა, ვრცელი რომანის მანძილზე მას არცერთი სიუჟეტური მიმობრა ხელიდან არ გასტყდომია, ნაწარმოების მთავარი თემიდან არ ვაღუფხვევია. ყველა შენაყადი ცენტრისაკენ მიეშურება და შესანიშნავ კომპოზიციურ წყობას ქმნის. ამ მხრივაც „გიორგი რუსი“ კლასიკური რეალისტური რომანია. მაგრამ „გიორგი რუსის“ რეალიზმი მარტო მისი ფორმით კი არ გამოძღვლენდა, არამედ, უპირველესად, შინაარსით, მთავარი ის კი არ არის, რომ შ. დადიანი ზედმიწევნით იცნობს წყაროებს (ამ მხრივ შეიძლება ზედმეტ გულმოდგინებასაც იჩენდეს რომანისტი, როცა ის ხანდახან სიტყვა-სიტყვით იმეორებს ქართლმწერელს), რომანის რეალისტურობის ძირითადი საფუძველი ის არის, რომ მწერალს შეუძლებელი აქვს საკუთარი ისტორიული კონცეფცია, როგორც მხატვრული შოთღმხედველობა და მეთოდი, რომელიც მისი ორიენტირია ისტორიული მოვლენების შეფასებასა და მხატვრულ ასახვაში. მწერალი ფხიზელი თვალთ უყურებს მოვლენებს, ცდილობს მიუკერძოებლად გამოხატოს კარგი და ავი როგორც მტრისა და მოყვარისა, ისე საკუთარი, ეროვნული. მის არ შეუძლია დღემდე მათი ანაზღაურების მიზნებითი ხალხის ნაციონალისტური მხარე: „ქართველები ფრიად შემეტული ხალხია, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი ჰქონიათ: თავის-თავის დალატა, უკეთეს მათგანი ვინმე ზეწამთიწია და ვაღონიერდა, შემდეგ თავს მალა იღებს ურჩობას იწყებს. თუთ მეღესაც აღარ ებუება, საზოგადოს იგონებს. საპირადოზე ვადაღის. ასეთი მღვთმარება ეხარება სხვებს და ახლა ისინი იწყებენ ამავე გზით სიარულს, რომ შემდეგ ერთმანეთში შედლი ჩამოაღონ, ან კიდევ მათი შემაერთებელი ტახტი დაამოან...“ (გვ. 51). გვანგებ ძნელია ამის გამო ანტიბატრიოტიზმი დამწამო მწერალს. იგი მამულიშვილური გულისტკივილით შეინიშნავს საკუთარი ხალხის ნაკლოვანებებს, მის დაღებში მხარეებთან ერთად, ეს მისი მეთოდიც, ისტორიული სინამდვილის შეცნობისა და ასახვის რეალისტური მეთოდიც. ამიტომაც იგი ვიოარგი რუსისა და აბუბეკის ვაკაცობას ხედავს, ამავე დროს თვალს არ ხუტავს მათ ნაკლოვანებებზე. ამის გამო მას ნაციონალისტი რომ უწოდო, დიდი შეცდომაა. ისინი სამდილია, რომ თავისი ხალხის ნაკლოვანების მხარის გეოაწარავება მას ამ ხალხის სიყვარულითვე მოსდის და, ამავე დროს, რასაც კარგს შეინიშნავს, იმასაც გამოხატავს. განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს ის თამარ მეფეს, ცოლს, დიდო არიშაანს და სხვებს. მაგრამ არ შეიძლება ამისათვის ნაციონალისტური შეარქვა მს. ზოგჯერ ცნებების აღრევის მოწმე ვხვდებით ხოლმე. სამწუხაროდ, „მამულიშვი-

ლობას“, „ბატრიოტიზმს“ ზოგჯერ „ნაციონალიზმში“ ურევენ ხოლმე.

ინტერნაციონალიზმი სრულფასოვანად ნავს საკუთარის უარყოფას, პირიქით, მყარ ეროვნულ ნიადაგზე უნდა იდგეს, საკაცობრიო სავანძურში რომ რაიმე შენი საკუთარი შეიტანო და ინტერნაციონალურ იდეებს ემსახურო.

ამისათვის საჭიროა საკუთარი ეროვნული ძალების რწმენა. შ. დადიანი განსაკუთრებული გულისყურით ხატავს მწერალთა და ფილოსოფოსთა იმ ჯგუფს, რომელთაც სტრდათ. წარსლის დავაზე, უშელოდ ზელო დაჯერდა ეროფილისა და კარგად ესმოდათ, რომ ეს იქნებოდა დაჯერება, რწმენის განმტკიცება საქართველისადმი“. (გვ. 137). ამისათვის საჭიროა ერის ცხოვრების შემოქმედებითი ეპოქების გამოვლისწინება.

მაგრამ არანაკლებ აუცილებელია ეროვნული პრობლემების გამოვლენა.

გიორგი რუსის ირგვლივ ატეხილმა ბრძოლებმა ცხადად გამოავლინა ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური და სოციალური წინააღმდეგობები.

ამ მთავარ როლს უკვე მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი ასრულებს. აბულ ასანი, უტანდარი, გუზანი, ბოცო ჯაყელი, ივანე ყვარუყვარე და სხვა შეთქმულნი, სამფლობელოების გადიდებაზე და სხვაგვარ გამოჩინებაზე ფიქრობენ. ვარდან დადიანი უფრო რთული ხასიათია, მისი მადა ყოველისმომხვევია. იგი ფიქრობდა ბოლო მეთოი ლაზისტანელი ბატონიონების სამეფო გვარისთვის და მისი შვილის შერკვილის გამეფებით საფუძველი დაედო დიდანების დინასტიისათვის. მის ახარება კიდევ, რომ ვიორგი რუსი არ იყო მეფობისათვის საჭირო თვისებებით აღჭურვილი კაცი და ოცნებათა იმ დროზე, როცა ფაქტობრივ შეფუ თვით იქნებოდა. ამ მიზნით პირველივე დღიდან რუსი უფლისწული თავის გავლენის ქვეშ მოქცეა. ვიორგი რუსის პირველი ექსორიის შემდეგ დიდებულთა კოალიცია შექმნა თამარ მეფის წინააღმდეგ და ზინსტიანო განდევნილი იურის დაუკავშირდა.

შ. დადიანი სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა პერსონაჟის აღმშით ხატავს პერსონაჟს თუ მოვლენას. ასევეა შექმნილი ვარდან დადიანის მხატვრული სახე.

„რად არ მომწონს ეს დადიანი? — ფიქრობდა რატი. — რა დაუშვებია ჩემთვის? მეგობრობის ვარდა, არაფერი. შეფისთვის? სამშობლოსთვის? იქაც ერთგულებით და თვალდებობს მეტი არაფერი. მაშ, რა აქვს ამ კაცს უსიამოვნო? საქციელი? სიღარბისლე? ჭკუა? გონება? საქციელი აქვს, ზრდილია ზედმიწევნით...“

...ო, რა მოუბაია? „გველსა ხერელად ამოიყვანს“... მერე რა? რომ არ გამოუმტკავებია მისი ცუდი თვისებანი?.. თუ მეც სიბარ-

ბით მომდის?! ისიც დიდი ერისთავი და მეც... მაგრამ მე მხოლოდ ქართლის ბატონი ვარ, ვეკი არის პატრონი ორბელიანი და კაეწონისა, ლის იქით ნიკაფსიაბედ უცილობლად მქონებულა... განაგებს ყველას, სენანთსა და საეგროსა, გერბისა, თავერისა და არგვეთს, დიდი გავლენა აქვს, დიდი ჰებუტი მის ქვეყანაში... ახლა კიდევ... მავას უბოძეს მსახურთუხუცესობა... ოო მძალერი კაცია... პატარა მეფეა ნამდვილი... მეც, ესეუ განდიდებულ დიდ თავადს ვინ იცის რა ზვიადი ზრახვები უტრიალებენ გონებაში... ააჰ!

კინლამ წამოიყვინა რატომ და ნელად თვალზე ხელი მოისხია: „ეს რა მომივიდა ახარადა!“

რატის შეეშინდა ამ უფსკრულში ვადახედვისა“.

მაგრამ შ. დადიანის რომანში არის გმირი, რომელსაც ვერ აერთობს ვარდანთან შეხვედრა.

„...დიდებულები კი თათბირობდნენ... მხოლოდ თამარი, — იმათუე ქეიანი და ფრთხილი... დათანხმდა. აა, ხომ დავითანხმე ეს თანხმობა შენი ტყვეობაა, ვერაინ ვერ დაგიპყრო, მე დაგიპყრო, თამარ... არაა მე შენი სხეული არ მინდა... შეგან დაპყრობა უფრო მაგარი!“ თვალზე უღვარდებია, გული ისევ ძალზე უყვიადა, ტირილი ისევ იმეორებდა:

„ვერაინ ვერ დაგიპყრო, მე დაგიპყრო, თამარ!“

„ვერა, ვერ დაგიპყრო, დადიანო!“ ისე მკაფიოდ შემოესმა ნახი, მაგრამ მტოცე და ურყევი ხმა — თამარისა ვარდან დადიანის, რომ კინლამ გულს შემოეყარა.

ზვიად სურვილებით აღტიწებულს არ შეუშინებია, როგორ მოადგა ყარს მეფე თამარი: ახლა მიხვდა, რომ თამარს ხმაც არ აყოლია. ეს სიტყვები უთბრეს მხოლოდ თამარის თვალზეა.

ახლა იკონებს, ყართან რომ მოვიდა თამარი, თითოე პირდაპირ დადიანისკენ წამოვიდა, თითოე ცხენი ერთი წუთით შეჩერდა კიდევ დადიანთან და თვალთ თვალში გაუყარა.

ო, ეს თვალები!

რად უთრთის მთელი ტანი ასე საშინლად, თითქოს სცემეს და მიადგესო? არაა ეს კიდევ უარესია. უთოდ ასე თითოდა კაცი აბელის მოკვლის შემდეგ, როცა საბაოთ-ღმერთთა იხმო“.

თავისი პირიშე ქართულმა ხალხმა წმინდანად შერაცხა და ეკლესიამ მისი ხსენების დღედ პირველი მისი დაიწესა. ზელოვანი, რომელიც თამარის მხატვრული სახის შექმნას დაისახავს შინადა, როდეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. მწილა ოსტატის შემოქმედება მიწვევებს ამ სახლის მაგურ რეზონანსს და მისი შარაიანდელის თუნდაც აირაილი გამოსახოს.

შ. დადიანი რთული გზით წავიდა. მწერალმა

მიადწია თამარის ქალური მშვენიერების პოსტერულ გამოსახვას. მაგრამ თამარი რთული ადამიანური ხასიათია. მისი ქალური მშვენიერება უფრო, ვიდრე შეიქვრივ, თავდაცვლილობის თამარ ქალისა და თამარ მეფის, პაეტრობაში გადამწყვეტი უპირატესობა შიანიჭოს მეფეს, რომელსაც ქართული სახელმწიფოს, ქართული ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლა აყრისია, თამარ ქალს კი ურჩევს საერთო გრძობების მიყენებას, პირიქედის დათმობას, მიუთმეტეს, რომ მისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული ღეშმა ბატონიშვილიან ერთად ჩაესვენა.

თამარი ღირსეულად მართავს ქვეყანას, ამა აღწევს თავისი სიბრძნით, ნებისყოფის სიმტკიცით, დაბლობატის გამჭვრავლობით და შეუცდომელი ადლოთი. იგი ყველა თავის ქვეშევრდომ დიდებულზე უფრო გონიერი და მათთვის მიუწყდომელი. ისინი გრძობენ ამას: — ვინ შემძლებელ არს მიხედვარად, თუ რას განიცდის ჩვენი ღვთებმა! — ზეპარია მხარგრძელის ეს სიტყვები ქვეშევრდომთა საერთო აზრს გამოხატავს.

იგი უფრო მეტობს ქვეყანაში, ვიდრე იარაღის ძალით. ყოველი კონფლიქტის დასაწყისში ცილობას საქმე მოლაპარაკებით გაათავსებს. მან აყრიალა სიყვდილით დასაწყა, „ნაკვეთის აპოლება“, დაბრძოლება. ყოველი მიღებული გადაწყვეტილება ღრმა განსჯის შედეგია, თამარს ყოველთვის სრული შინაგანი სიმართლით შეუძლია თქვას: „თვით მე სწორედ ის ვაეკეთე, რაც ხალხს უნდოდა.“ აჭი ზნეობრივი სიწმინდის მაგალითია თავად და ვითყური ნორმების მკაცრი დამცველი.

დიდებულები მას მხოლოდ პოლიტიკურად რადი უპირისპირდებოან, ისინი ხშირად სამოქალაქო ცხოვრების წესებს არღვევენ და ბნელ საქმეებზე ხელს ითმობენ. ზორაბაბესი და მისი მარჯენა ზელო ეკვორჩ ჩუხტვიზიანი საქართველოს ისე უყურებდნენ, როგორც ვასათულ ბუქს, „ტყვილ ღეშმა“, ყველგეჩს კადრულობდნენ ოქროს გულისათვის: ნარკოტიკებით, ტყვეებით ვაქრობას, მაჭანკლობას და სხვა ათასგვარი კომბინაციას, მათ ოქროს ფასად მხარს უჭერენ აბულ ასანი და დადიანიც კი. ხალხის ზნეობრივი სიწმინდის საფუძველი აქედან შეიძლებოდა დაჩუგვეულიყო. ამიტომ იყო, რომ თამარი ისე მკაცრად ევიდებოდა ამ საქმეს.

ჩვენი უკვე აღვნიშნეთ, რომ შ. დადიანი დღოსტატურად აგებს რომანის კომპოზიციას და ახერხებს ტეველი სიუჟეტური ხაზების შექმნას. მწერალი სრულიადაც არ ემაყოფილება მეფეების და დიდებულთა ცხოვრების ასახვით და ცდლობს ქვეყნის ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანესი მხარე უჩვენოს უკითხველს. ის გულმოდგინებითა და სიყვარულით ხატავს მწერლებსა და ფილოსოფოსებს, გოდერძი ჩორჩანელს, უმრწემს

ჩახრუხისძეს, გვიჩვენებს სხვა ერების შეცნე-  
რებთან და მწერლებთან მათს ურთიერთობას,  
მათ გულწრფელ სამსახურს და უსახდერო  
სიყვარულს სამშობლოსადმი... „მგონებო არ-  
იან, მაგრამ დიდი ვაგლუნა აქვო... მ-კათ ფე-  
ლით ვერ მოსყიდი, არც ძღვენს შეიძღვნიან...  
მაგათო სიტყვა კი დიდათ ფასდება სასახლის  
კარზე...“

შ. დადიანი დიდი მოადოებით წამოსწევს  
წინ საქართველოს ცხოვრების და პერსონაჟთა  
ბიოგრაფიის ყველა დეტალს, რომელიც მისი  
აზრით, „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტსა და  
გმირებს ეკავშირდება. იმ დროს, რომელსაც  
შ. დადიანის რომანი ასახავს, „ვეფხისტყაოს-  
ნი“ ვერ კიდევ შექმნილი არ არის. შოთა რუ-  
სთაველი და ჩახრუხისძე უხუცესი გადახვე-  
წილნი არიან სამშობლოდან. თამარს ისინი  
მორეველი ჰყავს და ელის მათს დაბრუნებას.  
შ. რუსთაველის პოემა, რომანისტიკის აზრით,  
მისი შემდეგ არის შექმნილი.

ქვეყნის ევლბრული ცხოვრების ჩვენება.  
შ. დადიანს მნიშვნელოვან მხატვრულ ამოცა-  
ნად მიიხსნია და მას მართო მწერლებისა და  
ფილოსოფოსთა მხატვრული სახეების შექმნით  
როდი ასახავს. მწერლის ჩინაფიქროთ, იგი უნ-  
და გამოიხატოს მთელი რომანის მხატვრული  
ფაქტურით. ამავე ამოცანას ემორჩილება ნა-  
წარმოების ენობრივი კისოვილიც.

რომანის ენა თანამედროვეა. თანამედროვე  
სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას (შეიძ-  
ლება აქ უფრო მართებელი იყოს ლაპარაკი  
თანამედროვე ლიტერატურულ სტილზე) საფუ-  
ძელად დავიო XX საუკუნის ქართველ მწერალ-  
თა ერთობლივი შემოქმედება. მაინც შეიძლება  
რამდენიმე მწერლის გამოყოფა, შე ვიტყოდი  
ნაწარმოებისაც. აქ, უპირველესად, უნდა დავა-  
სახელო ნიკო ლომთქიფანიძის ნაწარმოებები,  
კოსანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღამი-  
ლი“, მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყულო“  
და „ჯაყოს ხიზნები“, დ. შენგელიას „სანაგა-  
რდო“, თავის ადგილს დაიჭერს მათ შორის შ.  
დადიანის „გოთრგი რუსიც“.

ასეთია რომანის ენის საერთო ხასიათი. არ-  
ქაეცა აქა-იქ არის გამოყენებული ორნამენტა-  
ბად. ლექსიცა ზომიერად არის შევსებული  
ძველი სიტყვებით, უკეთ რომ ეთქვას, ძველი  
ფორმებით. მათ იშვიათად, მაგრამ თავის აღ-  
ვრულს აყენებს მწერალი და მოხდენილ მხატ-  
ვრულ სახეს ჰქმნის. თხრობა რომანში ეპიუ-  
რია, დაბაბისლური, იუჩაქარბული, შ. დადიანი  
განსაკუთრებით დიდ დატვირთვას აძლევს

დილოვებს. მოქმედების განვითარების და პე-  
რსონაჟთა დებასიათების გარდაქმნა დღიანი  
დილოვების საშეალებითვე ცუდილქმნის ცმის  
გადმოცემას, ცნობების მოწოდებას. ამისათვის  
დილოვში სწირად იყენებს რეტროსპექტულ  
ბლანს („ხმა გახსოვს, ეს ასე იყო“). მაგრამ  
ხანდებან იგულისხმება, რომ ის, რაზეც ლაპა-  
რავდა, ორივე მოსაუბრემ კარგად იცის და  
იმიტომ იხსენებენ, რომ მკითხველს გააცნონ.  
ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ  
პერსონაჟები ვანგებ, მკითხველისათვის ლაპა-  
რავებენ. ეს უთუოდ რომანის სტილური ნაე-  
ლოვანებაა.

და ბოლოს, ორიოდ სიტყვა შ. დადიანის  
რომანში წარსული სინამდვილისა და გამოწ-  
გონის ურთიერთ-შეფარდებაზე. როგორც უე-  
კე ეთქვით, შ. დადიანი ისტორიულ წყაროებს  
ყველაღველ მიჰყვება. მხოლოდ ერთხელ, თამ-  
არის ქორწილის ნაცვლად დაწინდვა შემოაქვს  
რომანში. რაც შეეხება პერსონაჟებს, აქაც უმ-  
ეტესობა ისტორიულად ცნობილი პირები არ-  
იან. გამოგონილი პერსონაჟებიდან კუხვას  
შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანია თაფლი და  
შაქარა ბოლოტრაშვილები. ამ ორ გმირს, მწე-  
რლის ჩინაფიქროთ, დიდი დატვირთვა აქისრია  
ნაწარმოებში. ძირითადად დამა ბოლოტრ-  
შვილების მხატვრულმა სახეებმა უნდა გავი-  
ხსნას მშრომელი დამიანების, გლეხობის ბე-  
ლი. პირდაპირ უნდა ითქვას ამ დიდ ამოცანას  
ვერ ასრულებენ ეს გმირები.

თავისთავად კარგად არის დაბატული თაფ-  
ლი, მისი წრფელი, ხალასი ადამიანური ბუნ-  
ება, მტკიცე ხასიათი და სპეტაკი ზნეობა. თა-  
ფლი გამოხატავს უმძაფრეს სიმბოლურ ბა-  
ტონეზობისადმი. მაგრამ სწორედ ეს სიმბო-  
ლიკო ვერ არის მოტივირებული რომანში, მას  
დაკონკრეტება აკლია, რადგან გლეხისა და ბა-  
ტონის ურთიერთობა ტიპურ სიტუაციოში არ-  
ის გამოხატული. თაფლი და შაქარა გაახატებუ-  
ლი გლეხების შეაღები არიან. ამიტომ კლასთა  
ღამიანობირება საკმაო სიმძაფრით ვერ ასა-  
ხა რომან „გოთრგი რუსში“.

ამ ნაკლის დაძლევა შ. დადიანმა სკდა  
„ურდუმში“, რომელიც XIX საუკუნის შუა  
ათეულ წლებს სამეგრელოს გლეხთა აჯანყე-  
ბას ასახავს ამ აჯანყებას ურე მიქევა მეთაუ-  
რობდა. მაგრამ „ურდუმში“ არა დგას შ. და-  
დიანის შემოქმედების უმაღლესი მიღწევების  
ღონეზე. ამასთან, ამ რომანზე ადრე გამოქვე-  
ყნდა მიხეილ ჯავახიშვილის „ახსენა მარამ-  
დელი“.



ში, გარდაიცვალა პაინრიპის მამა და ლუბეკში გაქტბდა იოჰან ზიგუნდ მანის სახელით ცნობილი ფირმა. ხოლო 1893 წ. მანების მთელი ოჯახი ლუბეკიდან საცხოვრებლად მიუწვეს რადსახლად. ამავე წელს პ. მანი სამოგზაუროდ მიდის საფრანგეთსა და იტალიაში. 1898 წლამდე პაინრიპი და მისი უმცროსი ძმა თომასი მომეტებულად იტალიაში, ქ. პალესტრინაში ცხოვრობენ და აქვე იწყება პაინრიპის სერიოზული შემოქმედებითი საქმიანობა.

ხანგრძლივი და მრავალფეროვანი იყო პ. მანის ლიტერატურული მოღვაწეობა, განუწყვეტლივ ქვეყნდებოდა მისი შოთხრობები, რომანები, პიესები.

1933 წელს პ. მანი, ისევე, როგორც ბევრი მისი თანამემამულე და კოლეგა, ემიგრაციაში წაიქცა. გერმანულმა ფაშისტებმა გერმანიის მოქალაქეობა ჩამოართვეს პ. მანს და სხვა მწერლების წიგნებთან ერთად, მისი წიგნებიც ცეცხლში გადაუბახეს. 1940 წლამდე პ. მანმა საფრანგეთში დაყო, იმავე წელს ესპანეთისა და პორტუგალიის გავლით ამერიკის შეჯგრა თავი და სოკვილის დღემდე (1950) კალიფორნიის ქალაქ სანტა მონიკაში ცხოვრობდა.

ამ პერიოდში (1871-1950) მოხდა გერმანიის გაერთიანება, პ. მანის სიცოცხლეში გერმანიაში ორჯერ სასტიკი საზღვარო დამარცხება ვინაცდა. მწერალი შეესწრო ეიამარის რესპუბლიკას, ამესაზე იმბრეას\* და ბოლოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. თუ ყველაფერ ამას დავემატებთ ამ ხანში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარ დიდ ისტორიულ მოვლენებს (დიდი ოტომანების სოციალისტური რევოლუცია და სხვ.) მაშინ ნათელი ვახდება თუ რაოდენ ბოლო ვარემოში უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა პ. მანს.

მეტყობაზე საუკუნის უკანასკნელი სამი ათეული წლები მეტად მწვავე წინააღმდეგობრიობათა შემცველი ხანაა, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიურ, ისევე კულტურულ-იდეოლოგიურ სფეროში.

გასული საუკუნის 70-90-იანი წლები ითვლება იმპერიალიზმის, კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის ჩამოყალიბების პერიოდად. ამ დროს მწვავედბა ეკონომიური კრიზისები, ეს ის დროა, რადესაც პოლიტურაობი გამოდის როგორც ვლამწყვეტა ძალა ბურჟუაზიასთან ბრძოლაში.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიაში მოხდა დიდი სოციალური ძვრები. ყველაზე საგულესში და დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო 1871 წლის 18 იანვარს გერმანიის გაერთიანება პრუსიის პეგემონით. ნახევრად ფეოდალურ-იუნკრული გერმანია სწრაფად დაადგა კაპიტალიზმის განვითარების გზას და კოლონიური პოლიტიკა ვახდა გერმანიის მმართველი კლასების წარმმართველი ძალა.

ნის მმართველი კლასების წარმმართველი ძალა.

გერმანიის იმპერიალიზმი ხანდაზღუდრ თივისებურნებით, რაც მის განსხვავებულ დასავლეთ ევროპის სხვა ბურჟუაზიული ქვეყნებისაგან. მისი ეს სპეციფიკა განსაზღვრული იყო გერმანული კაპიტალიზმის პრუსიული განვითარების ვხით. გერმანიის ისტორიული განვითარების ეს თავისებურება იმპერიალიზმის ეპოქაშიც ვადმომყვა.

გერმანიის ბურჟუაზია ამ დროს სრული კომპრომისის გზას ადგება და საერთო ენას ნახელობს იუნკრობასთან. ისინი ხელი-ხელ ჩაყიდებულად აწარმოებენ შეტევას პროლეტარიატზე. მაგრამ რაც უფრო ძლიერდება კაპიტალიზმის აგრესია, იმდენად აქტიურ და შურთიგებულ ბრძოლას აწარმოებს პროლეტარიატი კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

შინაგანი წინააღმდეგობები, რაც ესოდენ დამახასიათებელია კაპიტალისტური სამყაროსათვის, როგორც ეკონომიურ, პოლიტიკურ, ისევე კულტურულ სფეროში, აგრეთვე დასაბრმონია, — კაპიტალისტური აყრობის სიმახინჯე, ყველაფერი ეს აისახა ლიტერატურაში. მე-19 საუკუნის დასასრულის ლიტერატურაში ვაძლიერდა დეადენტური მიმდინარეობები: ნატურალიზმი, იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი და სხვ. „იხმები“ ბურჟუაზიული ხელოვნების ვამოვლენის ფორმები ვახდა. აი რას სწერდა ამ ებოქის შესახებ 1890 წ. ანატოლ ფრანსი: „ჩვენნი თანამედროვე ლიტერატურა ცხოველურ უხემ ნატურალიზმსა და ევზალტირებულ მისტიციზმს შორის აქეთ-იქით აწყდება. ჩვენ ან ტალიზმი ან დრებლუბში ვართ. საშუალო არ არსებობს...“!

მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის დასავლეთის ლიტერატურაში, და ყერბოდ გერმანულ ლიტერატურაში, მრავალი მიმდინარეობა იყო ვაბატონებული. რომანტიზმისა და რეალიზმის ებოქის გერმანიაში მოქვეა მეტად რთული ლიტერატურული ატმოსფერო. ვამარყელდა „იხმები“ ნატურალიზმი, იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი და სხვ.

ყველა ამ „იხმის“ წარმომადგენლები ცდილობდნენ რაც შეიძლება სრულად აეისახათ ებოქის ტკივილები, და ყველა მთვანი დარწმუნებული იყო, რომ ახალ სოციალურ ვარემოს, ახალ ურთიერთობას მხოლოდ ახალი მხატვრული ხერხები, ახალი მხატვრული მეოთხეები სჭირდებოდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დროის ლიტერატურულ ურთიერთობას, ლიტერატურის დონეს მარტოდმარტო ნატურალიზმი, იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი და

\* ციტირებულია წიგნიდან — «Очерки истории русской советской литературы», ч. I, М., 1954, გვ. 10.

სხვა „იშემბი“ როდი განსაზღვრავდა: რეალიზ-  
მი, რეალისტური ლიტერატურა იყო და რჩე-  
ბოდა ეპოქის ყველაზე უფრო სრულყოფილ  
და ყოვლისშემძველ მიმდინარეობად.

ასეთი კონსტრუქციით აღსავე ეპოქაში  
ბერტევაზიელი მწერლისათვის საკმაოდ ძველი  
ხედივოდა სწორი ორიენტაცია და ისინი ხმა-  
რად სხვადასხვა დეკადენტურ მიმდინარეობებს  
ეკედლებოდნენ. თითქმის არ მოიხიბნებდა და-  
საველი ევროპის არცერთი ბერტევაზიელ  
პროგრესული მწერალი ან საზოგადო მოღვაწე,  
რომელსაც სიმბოლიზმის, იმპრესიონიზმის და  
სხვა „იშემბის“ ან ბერტევაზიელი ლიტერატუ-  
რის რომელიმე მიმდინარეობის გავლენა ვა-  
ნეცადის შემოქმედებით განვითარების გავ-  
რეველ საფეხურზე. კრიტიკული რეალიზმის  
პოზიციებამდე ანდა პროლეტარული მწერლა-  
ბის ბანაკამდე მათი მოსვლა ერთბაშად არ ხე-  
ბოდა. ეს იყო რთული წინააღმდეგობრიობის  
შედეგი ვა, რომლის გადალახვას ესა თუ  
ის მწერალი ან საზოგადო მოღვაწე ათუღ  
წლებს ანდომებდა, „რესეთისა და საზღვარე-  
ვითის ხელოვნებისა და ლიტერატურის მეტ-  
ნაკლებად პროგრესული მოღვაწენო, რომლე-  
ბიც ბერტევაზიელმეშინაურთ სამყაროსადმი  
ზიზილით იყენენ განსჯილდენი... ახალ ისტო-  
რიულ ვითარებაში ულსათერო რეალიზმის  
დაიდი ტრადიციების განვითარებას განაგრძო-  
დენენ“.<sup>1</sup>

მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუ-  
კუნის პირველ ნახევარში ევროპაში, კერძოდ  
გერმანიაში, ახალ ისტორიულ პირობებში კლასი-  
კური რეალიზმის დიდებული ტრადიციების  
განაგრძელებლად, სხვა მწერლებს შორის,  
ჰაინრიხ შინის გვევლინება.

ჰაინრიხ შინის შემოქმედების შესახებ უამ-  
რავი ლიტერატურა არსებობს. მის მეგობარ-  
კომპანის მსაჯლისოს ყველა ეთხეში სწავლუ-  
ბენ, ისე როგორც ყველა რთულ შემოქმედს,  
ჰაინრიხ შინსაც ჰყავს მომხრეები და მოწინააღ-  
მდეგეები, მაგრამ დღეისათვის უკვე ცხადია,  
რომ შინი სახით ლიტერატურაში ადგილი  
დაიმკვიდრა კრიტიკული რეალიზმის ერთ-  
ერთმა ბრწყინვალე წარმომადგენელმა, რომ-  
ლისთვისაც აგრეთვე უტყობ არ იყო სხვადა-  
სხვა ანტირეალისტური შენარჩევები.

გერმანული კრიტიკული რეალიზმის ბრწყინ-  
ვალე წარმომადგენლის ჰ. შინის შემოქ-  
მედება არ ყოფილა სწორბზოვანი, უფრო მე-  
ტიც, ჰაინრიხ შინი, როგორც რეალისტი, მე-  
დამ უპირისპირდებოდა ჰაინრიხ შინს — ან-  
ტირეალისტს. მაგრამ როგორც კრიტიკულ ლი-  
ტერატურაში ცნობილი, ჰაინრიხ შინის შემოქ-  
მედებაში რეალისტური ტენდენციები შემოქ-

მედებითი მოღვაწეობის ყველა ეტაპზე შე-  
ნიშნება.

მის შემდეგ, რაც შესაძლებელ გახდა შინის  
შემოქმედებითი გზის განვითარებისათვის,  
უფრო ურთადებით მიგვედევნებინა თვალა,  
აღმოჩნდა, რომ, მისი პირველი ლიტერატუ-  
რული პროდუქცია ლექსები იყო, ისევე რო-  
გორც მისი უმცროსი ძმის — თომას შინისა.<sup>2</sup>

თუ არის ვიტყვით ჰაინრიხ შინის პირველ  
ლიტერატურულ პროდუქციაზე, რომანზე —  
„ერთ ოჯახში“, — რომელიც 1894 წელს ვა-  
მოქვეყნდა და რომელსაც შემდგომში თვითონ  
ავტორი უარყოფდა, მაშინ მისი სერიოზული  
სამწერლო გზის დასაწყისად შეგვიძლია 1897  
წელს გამოქვეყნებული ნოველების კრებულ  
„სასწავლებლოები“ მივიჩნიოთ.

ნოველისტიკას ჰაინრიხ შინის შემოქმედება-  
ში დიდი ადგილი უჭირავს. თავისი მოღვაწეო-  
ბის ამა თუ იმ ეტაპზე იგი ყოველთვის მი-  
მართავდა ნოველის ტარს და დღეს მისი ნო-  
ველისტიკა ცალკე კვლევის საგანია. ჰაინრიხ  
შინის ნოველები მრავალფეროვანია და შემო-  
ხვევითი როდია, რომ მისი ნოველები სხვადა-  
სხვა ციკლებად არის დაყოფილი: ადრეული  
ნოველები, იტალიური ნოველები, ისტორიუ-  
ლი ნოველები, ნოველები ხელოვნებასა და  
ცხოვრებაზე, ნოველები ბავშვების მოვარე-  
ბიდან, სატირული ნოველები და სხვ.

ჰაინრიხ შინის ნოველები წლების მანძილ-  
ზე, მწერლის სიცოცხლეში და მას შემდეგაც,  
დაახლოებით ოცდაათამდე ტომად არის (სხვა-  
დასხვა კრებულების სახით) გამოცემული, და  
ოცამდე სხვადასხვა გერმანულენოვან გამო-  
ცემლობას აქვს გამოქვეყნებულა. მაგრამ, აღ-  
სანიშნავია, რომ არცერთ გამოცემლობას,  
ნოველების კრებულების არცერთ შემდგენელს  
ჰ. შინის ნოველების სრული კრებული არ გა-  
მოცემა, თუმცა მათ, ობიექტური მიზეზების  
გამო, არ შეეძლოთ ეს გაეცეთებინათ. ამიტომ  
ყველა თავისი გემოვნებისა და სურვილის მი-

<sup>1</sup> ამ ცნობას ვაწვდის ი. ვ. ეგოროვი წიგნი  
История немецкой литературы, т. 4,  
გვ. 457. ჩვენ შესაძლებლობა გვეჩვენება ჰ. შინის  
ლექსებს უფრო დაწერილებით შევეხებით.

<sup>2</sup> იხ. Нодар Какабадзе, «Лирика молодого  
Томаса Манна, Труды ТГУ, 1965, № 5; Nodar Kakabadse, «Paul Tomas macht Verse  
oder die Kommentare zur Lyrik des jungen  
Tomas Mann», «Weimarer Beiträge», 1966,  
№ 3; Нодар Какабадзе, «Томас Манн —  
поэт», «Вопросы литературы», 1966, № 7;  
ნოდარ კაკაბაძე, «თომას შინი», I, ადრეული  
შემოქმედება, თბილისი, 1967. თომასი იწყებს  
ლექსების წერას, ანუ ახალგაზრდა თომას შინის  
ლარკის კონტრატები, გვ. 150-167.

ხედვით ადგენდა პ. მანის ნოველების კრებულებს. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ გერმანელი ფაშისტების მიერ სამშობლოდან განდევნილმა მწერალმა ჩვიდმეტრ წელი ემიგრაციაში გაატარა და უცხოეთში გარდაიცვალა. მხოლოდ 1950 წელს, როცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხელოვნებათა აკადემიისთან „პანინი მანის არქივი“ შეიქმნა, მან ითავა მწერლის მასალების შეკრება, დამუშავება და გამოცემა. ხელოვნებათა აკადემიის მიერ გამოცემულ თხუთმეტრომეულში ორი ტომი მწერლის რჩეულ ნოველებს დაეთმო.<sup>1</sup>

პ. მანის ნოველების ეს კრებულებიც არ არის სრული. ნოველების მთელი და სრული შემკვდრების გამოცემა მომავლის საქმეა. მაგალითისათვის ვავეცნოთ ცნობას პ. მანის ერთი გამოუქვეყნებელი ნოველის შესახებ, რომელსაც გეფუდის ცნობილი რუსი ლიტერატურათმცოდნე; პ. მანის შემოქმედების სპეციალისტი რ. ვ. ვეგორივი:

«Валюнианная новелла «Великий современник» («Der große Moderne», 1891, пока еще тоже не изданная) изображает больного Гейне в «матрачной могиле». С искренним восхищением перед мужеством и стойкостью поэта воспроизводит Г. Манн поток мыслей больного, его размышления о Матильде, не понимающей поэзии, его думы о Дон Кихоте, который долго сражается, но так и не познал радость победы. Как прекрасно отдать жизнь поэзии, любви, борьбе! — таков итог авторских размышлений в этой трогательной миниатюре»<sup>2</sup>.

ჯერ კიდევ 1896 წლის სექტემბერში პ. მანმა მიუნხენში დაწერა მოთხრობა „მოპარული საბუთი“. 1897 წლის აპრილში მან იგი ექვრნალ „სიმპლიცისიმუსში“ გამოაქვეყნა. ამ ნოველაში უკვე გამოჩნდა არსებელი სოციალური სინამდვილისადმი პ. მანის მიმართება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო მრჩევლის, გლუმკოვის სახეში განზოგადებულია ვოლკელმის ეპოქის გერმანელი ბიურგერის ხასიათი. გლუმკოვის დღიურების წაკითხვისას ნათლად შეიძლება წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომე-

ლიც პროფესორ უნრატის ნაშთფათარიკა მასა ხელი ატყვია, უნრატის დარჩაქამია გამოკვლილი.

პანინი მანის ბრწყინვალე დიდქტორულ ნოველების ციკლში — „ბავშვობის“ მკაცრებებში დას — რომლებიც შედარებით გვიან დაიწერა, კლასობრივი უთანასწორობა ბუნდოვნად არის მინიშნებული; ამ ნოველების მიხედვით მწველიც არის იმდროინდელი საზოგადოებისა და სოციალური გარემოს რეალურად წარმოდგენა. ბავშვობის მოგონებების ციკლის ნოველებში, ბევრი მნიშვნელოვანი, კარგად მიგნებული მხატვრული დეტალია, რომლებიც ზედმწვენიერ გეისინის ბავშვის, მოზარდის გულბრწყინლო ბუნებას, იმ ადამიანისა, რომლისთვისაც ქვეყანა, სამართო საკუთარი ქუჩის ბოლოში მთავრდება. გულწრფელი, ფსიქოლოგიურად დამაჯერებელია ბავშვის თვლით დანახული სინდისის ქანდაკება, მსახიობის — ბატონი გევერტის სახე და სხე.

ბავშვობის მოგონებებზე შექმნილი ნოველები 1929 წ. გამოქვეყნდა. ამ ნოველების წაკითხვისას არავის წამო ეტვი არ შეეპატება, რომ ყველაფერს, რაც აქ არის მოთხრობილი, ბავშვობაში განცდილი და ნანახი უდევს საფუძვლად. ის ამბები, რაც ამ ნოველებში თამაშდება, ვ. წ. „ბუდენბროკების სახლში“ ხდება. მაგალითად, „ორგვარი სახის“ გვირის პროტოტიპი პ. მანის მამათომას იოჰან პანინი მანი გახლავთ (სხვათაშორის, იგივე პიროვნებაა ნატელისხმევი თომას მანის რომანის „ბუდენბროკების“ გვირის თომას ბუდენბროკის სახეში). პ. მანმა ბავშვობის მოგონებების ნოველებში არც თავისი უმცროსი იმა „დაინდო“ და „ორი კარგი ვაკეთილის“ გვირებში თავისი თავი და თომასი იგულისხმა.

პანინი მანის „ბავშვობის მოგონებების“ ნოველების ციკლის უდავოდ დიდ მხატვრულ ღირსებაზე მთვითთებდა ის გარემოება, რომ ვერმანელმა კრიტიკოსმა სამართლიანად შენიშნა: ამ ნოველებში თომას მანის „ბუდენბროკების“ პროტოტიპები მოჩინაო.

ამ ციკლის ნოველებს შორე უდავოდ დიდ და მრავალისმეტყველო ღირსება აქვს. ეს არის მათი მორალურ-დიდაქტიური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. „ბავშვობის მოგონებების“ ნოველები მარტო შინაარსითა და მხატვრული შესრულებით კი არ არის საინტერესო, არამედ მორალითაც ასეთებია: „მასკარადი“, „ორგვარი სახე“, „დაქარვული წივნი“, „ბატონი გევერტი“ და სხვა.

ამ ნოველებში ბავშვის თვლით დანახული ქვეყანა ვასაგები და მისაწვდომია, როგორც

<sup>1</sup> იხ. Heinrich Mann, Novellen, I, II, B. V. Aufbau Verlag, Berlin, 1953.

(ზუსტად იგივე გამოცემები განმეორდა რამდენჯერმე მომდევნო წლებში — ნ. რ.).

<sup>2</sup> «История немецкой литературы», т. 4, гл. 457.

მოხარულებისათვის, ისევე დიდებისათვის, რომლებიც მშინად პატარების ქვეყიდან დიდ მნიშვნელობის მორალურ დასკვნებს აყვებენ. ნოველა „სასყარადის“ მთავარი გმირები (ბენედიქტოზი და მარია) მხატვრულად და ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი, ბუნებრივი და ცხოვრებისეული არიან, ხოლო მათი დიდაქტიურ-მორალური დასკვნები განზოგადებულია და დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.

ასეთვე დიდაქტიურ, აღმზრდელობითი მნიშვნელობისა ამ ციკლის დანარჩენი ნოველები.

იტალია იყო ის ქვეყანა, სადაც, პ. მანის სიტყვებით რომ ვთქვათ „დაბადდა მისი ნიჭი“ და გააყვარა რადია თუ იტალიას მწერალმა უღელსა ღრმა ღრმობით აღბეჭდილი ნოველების ციკლი.

იტალიური ნოველები პ. მანმა სხვადასხვა პერიოდში შექმნა „ფულვია“ (1905 წ.), „საბარლო ტონიეტა“ (1910 წ.), „დევილიები“ (1921 წ.).

„ფულვია“ პ. მანის შემოქმედების ადრეული პერიოდის ნაწარმოებებს მიეკუთვნება. მართალია, ნოველა მე-19 საუკუნეში ავსტრიული დამპყრობლების წინააღმდეგ იტალიელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიას ეხება, მაგრამ მთავარი გმირის ფულვიას სახე მაინც სასიყვარულო ურთიერთობათა ფონზე იხატება. იგი შთაბეჭდილობას ატარებს უტოვებს სამშობლოს სიყვარულს, რასაც ვერაფერა იტალია და ვერცხლი ვერ აიწიოს.

პ. მანი ამ ნოველებში გვევლინება იტალიური ხასიათის, იტალიური ხე-ჩვეულებების კარგ მცოდნედ. ვის არ მოხბობს „იტალიური ქრონიკები“ აღწერილი გმირთა სახეები: კანტალების, ტონიეტა, მათეოს, მიქელეს, გრაფი ტარკინის (ნოველა „საბარლო ტონიეტა“), ნარტოს, ალდოს, ლინდის („დევილიები“). „იტალიური ქრონიკების“ ნოველების ციკლი პ. მანის ნოველებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია თავისი ღრმა სულიერი განცდებითა და ორიგინალური ეპოქობითი მხატვრული სახეებით. ამ ნოველების ციკლი გამოვლინდა მაინც პ. მანის დიდი სიყვარული უბრალო ადამიანებისადმი, ფაქტში დამოკიდებულება მათი სულიერი განცდებისადმი. „იტალიური ქრონიკების“ გმირები საოცრად წარმოატა რომანტიკული საბურველით არიან შემოსილი და ცხადად გამოიჩენიან მწერლის დანარჩენი ნოველებისაგან. ამ აშკარად ჩანს მწერლის მხატვრული ოსტატობა, დაუმრეტელი ფანტაზია და სხვა ეროვნებას ადამიანების სულიერი და ფსიქოლოგიური ნიშანთვისებების უხადო ცოდნა.

მაგრამ, პ. მანის შემოქმედებაში, ისე რომ

გორც ნოველისტიკაში, დიდი და მნიშვნელოვანი ადვილი უჭირავს სოციალურ საკითხს. ამ ციკლის ნოველებიდან უბრაველად აღსანიშნავია სატირულ-გროტესკული ნოველა „გრეტუქენი“.

ნოველა „გრეტუქენი“ პ. მანს 1907 წ. დაუწერია და 1910 წელს ინტელ-ფერლავს (ლი-ფციგი) მფრ გამოცემულ ნოველათა კრებულში — „გული“ — დაბეჭდილა. თავდაპირველად აღსანიშნავია ერთი გარემოება. ამ ნოველაში პირველად ვხვდებით შემდგომში — განთქმული და გამაჯერებელი რომანის „ქვეშევრდომის“ (ტრილოგია „იმპერიის“ პირველი წიგნია — ნ. რ.) მთავარი მოქმედი გმირის დიდერიკ პესლინგის პიროვნებას.

პ. მანი „საუკუნის მიმოხილვაში“ წერს, რომ ვიღაცემ მეორის დროინდელი გერმანიის შესახებ დასაწერი რომანისათვის 1906 წლიდან ვაგროვებდი მასალებს. და ვიდრე მწერალი „ქვეშევრდომის“ წერას შეუდგებოდა, ეპქს წელიწადს ასეთი რუდენებით უგროვებია მასალები.

ნოველა „გრეტუქენი“ რამდენიმე მოქმედი გმირი ჰქავს და ისინი ყველანი ერთნაირად ღრმბული მაღალმხატვრული სახეები.

პ. მანისათვის „გრეტუქენის“ დაწერამდეც არ იყო უცხო სატირულ-გროტესკული ზეარხის გამოყენება, მაგრამ ამ ნოველაში დიდერიკსა და მისი ოჯახის, ასევე კლოცეს სახეების გამოკეთისას სატირულ-გროტესკულმა წერის მიწერამ აშკარად ახალ ეტაპს მიაღწია. მწერალმა სოციალური დეტალია: ოჯახის უფროსი დიდერიკი, რომელიც ციკლი და ქალიშვილის კანკებს უთვლიან, საღამოობით ღვინოსაში ყურადღებას არ აქცევს დანახარჯს, ისე ჰგანტუეს ფულს, ამის მიზეზი კი ის არის, რომ დიდერიკი უკვე გერმანიის მსოფლიო ბატონობაზე ჰამაღლა ოცნებობს. ასეთია მისი იმპერიალისტიკური გაუმადლო ბუნება. მაგრამ მწერალი ამათ როდი კმაყოფილდება, იგი დიდერიკის სახეს კიდევ ერთი დეტალით ავსებს და ასრულებს. გროტესკულია და ამავე დროს ნიშანდობლივი დიდერიკის გაუმადლო ბუნება ოჯახში. სადილობისას თუგს მხოლოდ თეთონ მიიჩნევენ. თუ გადარჩა რამე შეუძლებელი, ან, უფრო სწორად, ვერ შესძლო შესანკლა, თავის ქალიშვილს მიუვდება. ამის შემდეგ უზომოდ გამძღარ დიდერიკის, საუბელი რომ მოიწილოს, მხოლოდ ციკლის მასალები შევლის.

მალიან საინტერესო პიროვნებაა ნოველის გმირი გრეტუქენი, დიდერიკ პესლინგის გონება-ჩღუნგი ქალიშვილი, რომლისთვისაც მოხბობს საქმრო უკვე აურჩევითი, ასეთვე გონებარღუნგი და ენაბუ ელოცვი. თუმცა დიდერიკ პესლინგის ოჯახში სხვაგვარად აღზრდილი ადამი-

ანის წარმოდგენა შეუძლებელია, როგორც გრეტტენია, მწერალმა მანძი შექმნა გრეტტენის პიროვნების ერთადერთი ნათელი თვისებით დაიღვრება. ეს არის თავისუფალი აზროვნებისაგან ბუნდოვანი სწრაფვა. გრეტტენი, მის ცხოვრებაში გარესამყარო რომ შემოღობოს, თითქოსდა ცდილობს თანამედროვეობის მოთხოვნილებებს უქმარებს და ამისათვის რა ხრიკებს არ მიმართავს: ფული რომ იშოვნოს, ქურდულად თავისი მამის ქაბზე იჭრება, დრო რომ გამოიპოოს, მუდამ ტუთილებს იგონებს. გრეტტენი, ერთი შეხედვით, ცდილობს კიდევაც გააქცეს ამ საზოგადოებას, იმ წრეს, რომელშიც მას უხდება ცხოვრება. და აი, პოპოზონტზე გამოჩნდება ხელოვანი, მსახიობი ლეონ შტოლცენკი. თითქოსდა ყველაფერი ნათელია, თავისუფალი აზროვნებისაგან, დამოუკიდებელი ცხოვრებისაგან სწრაფება ხელს აღაფრთოვანებს, ან უშლის, „გზა ხსნის“ უკვე ნაპოვნი, მაგრამ... მაგრამ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყველაფერი და ყველა გაბრუნებული და გადაგვარებულია. შტოლცენკი გარეყარი აღმოჩნდა და გრეტტენმა უკან დაიხია, ისევ მამის კერა და მისთვის ენახულ საქმეს არჩია, ვინაიდან შტოლცენკთან შედარებით ისინი უფრო საინონი და უმარცხი მოეჩვენა. გრეტტენის გულში საბოლოოდ კვდება თავისუფლებისაგან ბუნდოვანი, ვაუთით-ცნობიერებული სწრაფვის სურვილი.

გრეტტენი შტოლცენკის ბედს ნატრობდა, მასთან ერთად გაქცევის სურვილი ასულდგმულზედა „ნეტარ ქვეყანას“, თავისუფლებას იმის იქით ხედავდა. ასეთი იყო მისი წარმოდგენა შტოლცენკისთან ზალხზე. შტოლცენკი კი თავის მხრივ გრეტტენის ბედს ნატრობს.

3. მანძი ამ ნოველაში ნათლად და ზელმესობებდა მოიკეთა თანამედროვე გაერესამყაროს სინამდვილე. მისთვის, როგორც რეალისტი მწერლისათვის, მიუღებელი იყო ბურჟუაზიული სინამდვილე. სადაც გრეტტენებისათვის და შტოლცენკისათვის ბინძურ და მუქუიან ქაობში იყვნენ ჩაფლული. ნოველაში 3. მანს აცერტობს დადებითი გმირი არ ჰყავს გამოყვანილი, არცერთი ნათელი წერტილი არ შეიძინებდა მის ნაწარმოებში. მწერალმა ყველაფერა შექი ფერებით დაატა, ნეგატიურად, ისეთად მოკვებოდა არსებული სინამდვილე, როგორც იგი სინამდვილეში იყო. და აქვე შეიძლება დავუბამოთ, რომ სწორედ ეს ნეგატივიზმი, პერსპექტივის უქონლობა არის ნოველისა და სავსეთოდ 3. მანის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი, რადგან მას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ნათელ იდეალზე.

შეტად ორიგინალური და ამავე დროს ადვილად გასაგებია არის ნოველაში შტოლცენკის მიერ გრეტტენისათვის ბეჭდის წაგლეჯის სცენა.

ნა. სინამდვილეში 3. მანი ამ დეტალით გვანაზნებს, რომ გრეტტენმა ბეჭდის დაკარგვით მთლიანად დაკარგა ნდობა ადამიანებისადმი. გააწმამოყოფებისადმი, ბეჭდის დაკარგვით გაჭრა უფასოსნელი ილუზია, უფასოსნელი იმედები. ბეჭდის დაკარგვის სცენა მწერალი სულელოდ ძარცვავს გრეტტენსაც და შტოლცენკსაც. გრეტტენი იმდენად შეაძრწუნა გარესამყაროს სინამდვილემ, რომ მან საბოლოოდ ის უფლებებიც კი დათმო, რომელიც საქმროსთან-კლოცმუნთან დიდი ბრძოლის შემდეგ მოიპოვა. მას აღარავითარი თავისუფლება აღარ იტაცებს, მისთვის ინტერესი დაკარგა დამოუკიდებელი. თავისუფალ ცხოვრებას, გრეტტენმა ნავსაყუდელი შეშინა და ფილისტერ კლოცმუნთან ჰპოვა.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან დავინახეთ, 3. მანის ნოველისტიკა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. იგი განუყოფელი და შემადგენელი ნაწილია იმ დიდი და ერთიანი შემოქმედებითი შექმეიდრობისა, რომელსაც კრიტიკული რეალიზმის ისტორიაში 3. მანის სახელი ეწოდება.

გერმანული კრიტიკოსი ჰერბერტ იერინგი პიანრიბ მანის შემოქმედების შესახებ დამწერალ მონოგრაფიაში შენიშნავს: „მსოფლიო ლიტერატურის საბჭოში გერმანიას ბევრა ადგილი ჰქონდა დაკავებული. მაგრამ ერთი სავსატელი რჩებოდა თავისუფალი: პოლიტიკური რომანის ადგილი“. ივევ 3. იერინგის ღრმადრწმენით, „პიანრიბ მანმა მსოფლიო ლიტერატურის საბჭოში გერმანიისათვის თავისუფლად დარჩენილი, პოლიტიკური, სოციალური რომანის ადგილი დაიკავა“.

პიანრიბ მანის პირველი სერიოზული ნაწარმოები, ფართო ეპოქის ტილო, რომელიც სხვათა გაუღწეობით ხანაიადება და მასში წმინდა პიანრიბ მანისეული ზელწერაც თელაახინია, არის რომანი „ნეტარ ქვეყანაში“. სატირული ნაწარმოები „ნეტარ ქვეყანაში“ 1900 წელს გამოქვეყნდა და გარდა იმისა, რომ იგი რეალისტური, სატირული, სოციალური და მშობილებელი რომანია, ამასთანავე ნიშანდობლივად არის 3. მანის შემოქმედებისათვის. ნიშანდობლივია იგი მრავალმხრივ, მაგრამ ჩვენ ახლა ორი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პუნქტი გვანტერესებს. პირველი და უმთავრესია პიანრიბ მანისეული სატირული დამოკიდებულება სინამდვილისადმი, გაერესამყაროსადმი, რაც მომდევნო პერიოდის ნაწარმოებებში უფრო გამწვავდება და ადგილადაგილ გროტესკში გადაზრდება. მეორე და ასევე უმთავრესი ის არის, რომ 3. მანის რომანებში („პიანრიბ მან-4“ ის გა-

1 Herbert Ihering; „Heinrich Mann“, Aufbau Verlag, Berlin, 1952, გვ. 5-6.

მოკლებით, რომელიც საფრანგეთის ისტორიულ-სინამდვილიდან არის აღებული) არცერთი დადებითი, მისაზივი გმირი არ არის გამოყვანილი. ამითაც გამოიარება კ. მანის შემდეგი დროის ნაწარმოებები.

კ. მანის რომანი „ნეტარ ქვეყანაში“ აგრეთვე პირველი სერიოზული ნაწარმოებია იყო, ცხადი გახდა, რომ ამ რომანის ავტორი ორიგინალურ სიტყვას იტყვდა და გარკვეულ აღგონს დაკავებულად კიდევ ლიტერატურაში. და ასეც მოხდა, თვითონ კ. მანი ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში წერს: „ოცი წლისას არაფერი არ შემიძლო. ოცდაათისამ „ნეტარ ქვეყანაში“ მუშაობისას რომანის წერის ტექნიკა შევისწავლე“.

რომანის მოქმედება კ. მანის თანამედროვე გერმანიაში ხდება, კერძოდ, ბერლინში, და ამიტომაც ამ ნაწარმოებს „ბერლინერ რომანი“ უწოდებენ კიდევ. მასში უმარავი საპრობორატო საკითხია წამოჭრილი, რომლებიც ამდროინდელ კაპიტალისტურ გერმანიას აბიათებდა და რადგანაც კაპიტალისტური საზოგადოების დამახასიათებელი კრიზისები ერთდარად დამახასიათებელია ცალკეული ქვეყნებისათვის, ამიტომაც კ. მანმა თოქოს სიბოილო სიუჟეტური წარგა აირჩია და რომანის მთავარი მოქმედი გმირი ანდრეას ცუმზე „ძალუნებრივად დემიგავს“ ბალზაის „მოპასიანის“ ზოლას გმირებს; მავალითად, ყოველ დიურდა (იხ. მაგ. კ. იერინგისა და ნ. კაპაბაძის ექვე დასახელებული მონოგრაფიები.), ყოველგვარი ხერხებითა და მაქინაციებით ცდილობენ საზოგადოებაში გზა გაეყავონ, როგორც ერთი საფეხურით მაღლა ავიდნენ იერაქის ვიბზე, ამისათვის კი არავითარ ძალღონეს არ იშურებენ ანდრეას ცუმზე ყოველ დიურდას და მისი მსგავსი გმირების უმცროსი მამა, რომელიც მათგან მხოლოდ იმით გამოირჩევა, რომ იმპერიალიზმის ეპოქის გამწვავებულ ურთიერთობებში უფრო მეტ „გასაქანს“ აძლევს მის არაადამიანურ ბუნებას.

„ნეტარ ქვეყანაში“ ბევრი საგულსხმო და სანტიკრესო დეტალია გადმოცემული. კ. მანს ისინი უშეულოდ ცხოვრებიდან, გარემომცველ საზოგადოებას მოჰქონდა და ამიტომაც არის ნაწარმოებში ძალიან ბევრი ორიგინალური და ცხოვრებისეული ტიპი დახატული. „ნეტარ ქვეყანაში“ კ. მანმა დაუნდობლად გაილაშქრა იმპერიალიზტური გერმანიის სოციალური სინამდვილის წინააღმდეგ, თუმცა ამ სინამდვილიდან თავის დახსნის საშუალებებზე მას არ მიუთითებია, და არც შეელო ეს გავეთვებინა, რადგან, მაჩათალია, მწერალი საზოგადოებაში გაბატონებულ უთანასწორობას ხედავდა, ამხევედა, ობიექტურად აღწერდა კიდევ ყოველივეს, მაგრამ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლისაგან იგი შორს იდგა.

როგორც ვხედავთ, კ. მანი ამთავითვე დაღვა კრიტიკული რეალიზმის პოზიციებზე და თავის პირველსავე ნაწარმოებში „ნეტარ ქვეყანაში“ საზოგადოების სასოციალური განაწინი გამოცხადება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. წინამორბედი და თანამედროვე მწერლების მსგავსად კ. მანს არ „მეურბილებია“ და „მეურბილებია“, ბურჟუაზიული საზოგადოების ზნეობელებები, „დერ-აუმარული“ არ წაუცხია“ მოამყვადი საზოგადოებისათვის, მან ძირფესვიანად, შეუბრალებლად, უშედავითად აღწერა თანამედროვე საზოგადოება და ამ საზოგადოების სოციალური საფუძვლები. მაგრამ ასე ხდებოდა კ. მანის წინააღმდეგ სოციალურ რომანებში, ზოლო როცა მწერლის შემოქმედებაში დეკლენტური „გარბობები“ მოპრობებოდა, მანის იგი ცდილობდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში იდეალური გმირი მოეძებნა, რაც არ იყო რეალური და მარცხითაც მთავრდებოდა.

კ. მანის ნაწარმოებების მიმოხილვისას, კერძოდ რომანების ანალიზისას, მხედველობაში მისაღები ის ფაქტიცაა, რომ მიუხედავად იმისა, კ. მანის ეველა რომანი არაა კრიტიკული რეალიზმის პოზიციებიდან დაწერილი, ეველა რომანში ისე შეწყველ არაა გაკრიტიკებული არცერთი სოციალური სიტუაცია, როგორც მავალითად „ნეტარ ქვეყანაში“. ამიტომაც არის ლიტერატურათმცოდნეობაში მიღებული და აღდგენილი, რომ კ. მანის, როგორც შემოქმედის ბუნებაში მუდამ ბრძოლაა რეალისტისა და ანტირეალისტის შორის, ამის მავალითა „ნეტარ ქვეყანაში“ მომდევნო რომანი ტრილოგია „ქალმეგრები“, 1902-1903 წლებში დაწერილი „დიანა“, „მინევრა“ და „ვენერა“. თუმცა გარეგნულად კ. მანს თითქმის არ სურდა თავისი ძირითადი იდეიდან გადაეხვიდა და ეველა არსებული სოციალური წყობის კრიტიკისად მოვლენოდა საზოგადოებას, ტრილოგია „ქალმეგრებში“ იგი ვერ ასედა დეკლენტურ-იმპრობინისტულ უბას, თუმცა თითქმის კ. მანმა ამ ტრილოგიათვისაც გმირები რეალურ ცხოვრებაში დაქებნა, მიუხედავად არტისტულ და ბოჰემურ წრეებს გამოსტაცა ისინი, მათი განზოგადება და ზორცმესხმა მანც ვერ მოახერხა. მართალია კ. მანი ცდილობს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მოეძებნოს იდეალური გმირი, რომელიც ამალდებდა თავის კლასზე, მაგრამ ასეთი ცდა მარცხით მთავრდება, რადგანაც თვითონ კ. მანი, თუმცა ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი კრიტიკულ-მატირული დამოკიდებულება ჰქონდა, მანც ვერ ამალდა თავის კლასზე (სივე დემარტა ინგლისში ჟონ გოლბურთის და დასავლეთის კრიტიკული რეალიზმის ბევრ წარმომადგენელს), ვერ აღიარა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის პროგრამა, და თუ მან ასეთი გმირის მოძებნა და

დახატვა მოაჭერხა, იგი არ არის განზოგადებული სახე, ეს გმირი ბუნტარი და ინდივიდუალისტი რჩება ბოლომდე. ასეთი ნაწარმოებების მიმართ ივენ შეგვეყო განგვეზოგადებინა ლიტერატურისმცოდნის ნ. კაუბაძის გამოხატვაში, რომელიც „ქალღმერთებს“ შეეხება: „პაინრიხ მანო ბურჟუაზიულ სინამდვილეში პოეტურ იდეალ ვერ პოულობს, ვერაფერს ნახულობს მასში ისეთს, რაც ოდნავ მაინც ღირსი იქნება მიღებისა და აღიარებისა, რაც მცირეოდენ მაინც შეეთანხმებოდა მის ჰუმანისტურ იდეალს, და მწერალი იძულებული ხდება მიამბურს ესეთიზმისა და ეროტიკის სფეროს. პ. მანო ამ ტრილოგიით აყუთებს შარტხიან ცდას — ნათელი წერტილები, „ოახსება“ აღმოაჩინოს ბურჟუაზიულ „უდაბნოში“. მწერალი დაღატობს ტვალბზს და ქმნის სოციალური ცხოვრებიდან მოწყვეტილი, რეალური შინაარსისაგან დაკლილი, „სარულქმნილი“, „რენესანსული“ ადამიანის იდეალს<sup>1</sup>. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს მივაკუთვნებთ: ნაწილობრივ — „რასებს შორის“ (1907) „დედა მარიაში“ (1927 წ.), „სუნთქვა“ (1949 წ.).

რადგანაც ზვენთვის ცნობილი ვახდა პ. მანის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები, შევეცდებით უჩრადლება უფრო ამ სატირულ ნაწარმოებებზე გავამახვილოთ, რომელშიც დროთა განმავლობაში ზედ უფრო და უფრო იხვეწებოდა და სრულყოფილდებოდა პ. მანის ლიტერატურული გერხი, სინამდვილისადმი სატირულ-გროტესკული დამოკიდებულება.

სატირულ-გროტესკულ ნაწარმოებთა რიცხს მიუკუთვნება პ. მანის მიერ 1905 წელს გამოქვეყნებული სოციალურ-კრიტიკული რომანი „პროფესორი უნრატის“<sup>2</sup> საველისძობა, რომ პ. მანმა სათაურშივე ახსნა თავისი დამოკიდებულება გმირისადმი. საქმე ის არის, რომ გერმანული სიტყვა „უნრატი“ ნიშნავს ნაუკეს. მწერალმა ამ რომანში კრიტიკის საგნად დასაბა გერმანულ სკოლებში გაბატონებული აღზრდის პროსიულ-კანარმული სისტემა.

რომანის „პროფესორი უნრატის“ ქვესათაურია „ერთი ტირანის აღსასრული“. პროფესორი

რი უნრატი მართლაც ერთი პატარა ტირანი, რომელსაც შიშობანილი შესუქერიან თუთუქ ვლასარდლებიცა და მთელი ქალაქიც, ამ არაადამიანს, რომელსაც ადამიანური მხოლოდ კონსტიტუცია შერჩენია, გული ხალხიანა აქვს სავსე, თავისი თავის ვარდა ყველა ამ ქვეყნის შტრად მიიხინა და ყველას, დიდსა თუ პატარას, ეკვის თვლით უყურებს. იღუბებით შეპყრობილ ამ კაცუნას თავი სახელმწიფოს ბურჯად წარმოუდგენია და დასრულნებულა, რომ მისი მახვილი თვალი თუ არა, ქვეყანა მოღალატეებითა და ავისმდომლებით აივსება.

ასეთი ადამიანი „უნრატის“ მომავალ თანხას გერმანიის და გასაყვიბი როდია ასეთი ტირანის ზელში აღზრდილი მოსწავლეები სულერად დამახინჯებულა სტოგებდნენ ვიმანისის კედლებს. უკეთეს შემთხვევაში, ისინი უსიტრუ, უტრპოპტილი მონები, ქვეშევრდომები არიან არსებული სახელმწიფო მანქანისა. მაგრამ პ. მანო უნრატის ხასიათს განეთარებაზო ბოლომდე თანმიმდევრულა. დესპოტ უნრატს, ტირანს პროფესორს, რომელიც თოქოსდა კანონზომიერების, მორალისა და ზნე-ჩვეულებების ურყევი დამცველია, მომღერალი ქალის კანის შრიალი წაიოტაკებს და საბოლოოდ ისეთ ამორალისტად მოგვევლინება, რომ მის აღვირახსნილობას პოლიცია უდები ზღვარს. პროფესორ უნრატის ხასიათი ვითარდება და „იხვეწება“ იმდროინდელი სოციალ-პოლიტიკურ ურთიერთობათა ფონზე-გმირის ხასიათის განვითარება ემთხვევა რთულ სოციალ-პოლიტიკურ კატაქლოზებს და ვინც იცნობს იმდროინდელ ერთიერთობას, უნრატი მისთვის ეპოქის დედად შეიღად იქცევა. პ. მანო შორამჭვრეტეული სიღრნეით ზატედა უნრატს და კაფე-უისფერი ანგელოზის“ მუღმიც კლავტებს, რომელთა ვალბზა, ფარისევლოზმა ბუნებაშ პარველი მსოფლიო ომის წინ დიდერამ ჰესლინგი წარმოშვა, ხოლო სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოვლევლურა ბუნება იგივე დიდებო ჰესლინგზე შექმნილ რომანში „ქვეშევრდომში“ გამოჩნდა-სრულად. არც ის არის შემთხვევითი, რომ პრუსიულმა აღზრდის სისტემამ ვილჰელმ II ეპოქაში, რომლის ნათელ და შეიძლება ითქვას, ყოველმხრივ ამომწურავ მასალას „პროფესორი უნრატი“ იძლევა, ჩაუყარა საფუძველი მომავალი ფემისტური სულისკვეთების დამკვიდრებასა და გავრცელებას.

ცნობილია, რომ პ. მანო თავის მამათან — თომასთან ერთად 1893 წლიდან 1898 წლამდე იტალიაში ცხოვრობდა, ჯერ-რომში, შემდეგ კი — პატარა ქალაქ პალესტრინაში, ისიც ცნობილია, რომ შემდეგ მშობის შემოქმედებაში იტალია ზწირად იქცევა მოქმედების განვითარების ადგილად. მაგალითად, თომას მანის რომანის „დოქტორი ფულსტენის“ გმირი აღრიან

1 ნოდარ კაკაბაძე, „პაინრიხ მანის ცხოვრება და შემოქმედება“, თბილისი, 1956 წ. გვ. 38-39.  
 2 ამ რომანის მიხედვით ორჯერ ვადაილეს ფილმი „ცისფერი ანგელოზი“. ადრე რეჟისორ იონუფ ფონ შტერნბერგმა შექმნა ფილმი ემილ იანინგისა და მარლენ დიტირიხის მონაწილეობით და დიდი წარმატებაც ხედა წილად; პ. მანო ირონიულად შენიშნავს ერთ წერტილში, ფილმის წარმატებში მიზეზი „ჩემი თავი და მარლენე დიტირიხის ფეხებიოა“. მეორედ ფილმი რეჟისორმა ედუარდ დმიტრიემა მხო ბრიდისა და ედუარდ ოტრეგენის მონაწილეობით პოლველ-ში გადაიღო.

ლევერკენი თავს აფარებს იტალიის ქალაქ პალესტრინას; ზოლო ჰ. მანმა ნოველების მთელი ციკლი მიუძღვნა იტალიას (იტალიური ნოველები<sup>1</sup>). რომან „პატარა ქალაქში“ კი პალესტრინაზე ნაველისხმევი.

3. მანმა 1907 წელს დაიწყო „და 1909 წელს“ დაამთავრა რომანი „პატარა ქალაქი“, რომელიც იმავე წელს გამოცემა კიდევაც ლიფცივის ინ-ტელ-ფერაგმა. შემდეგ 3. მანი წერდა: „როცა ვისახებ ჩემი რომანების შექმნას, ნათლად ვხედავ რა გზით მივდივარ. ამ გზას მე მივყავარ ინდივიდუალობის ამოთავიზიდან დემოკრატიის თავიანთსკამდე. „პერკოვონია ასში“ ტიპური აფუგე სამ ქალაქურთს... „პატარა ქალაქში“ კი, პირიქით, ტიპური აფუგე ხალხს, კაცობრიობას“.

„პატარა ქალაქი“ არ არის ისეთი სოციალური ნაწარმობა, როგორც მაგალითად „პროფესორი უნრატია“. „პატარა ქალაქში“ მწერალმა აღწერა ერთი პროვინციული ქალაქის ცხოვრება, სადაც დღიდან-დღემდე, თვიდან-თვემდე და წლიობით თიბქმის აზაფერია არ იცვლება და ქალაქის შეუღრო ცხოვრებას არაფერი არ არსდევს. ამ შემთხვევაში გმირებისადმი მწერლის იდრინდელი სატირული დამოყიდებულება იცვლება თემორისტული დამოყიდებულებით, თემცა საბოლოოდ ჩვენთვის ნათელია მწერლის უარყოფითი დამოყიდებულება ცხოვრების ასეთი წესისადმი. პროვინციული პატარა ქალაქის მშვიდ ცხოვრებას დაარღვევს სავასტროლოდ ჩამოსული საომერო დასი. აქაც, ისე როგორც დიდ ქალაქებში, საზოგადოება ორ მოწინააღმდეგე ბანაკად დაიყოფა, „პროტარესისტებად“ და „კლერკალებად“. ამ ბანაკებს შორის ვაუთუბებულ მტრობასა და შეღწელს, რაც ზოგჯერ ხელნართულ, უსისხლო შეტაკებებში გადაიხრდება ხოლმე, მთელი ქალაქი, საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი მონაწილეობს. მართალია, ნაწარმოებში გარკვეულ როლს თამაშობს ხალხი, რომელსაც 3. მანი გვიხატავს ყოთილ და დემოკრატიის დამცველ მასად, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს ამას, თითქმის-ავტოკს ამ ნაწარმოებებში, თავის სხვა რომანებთან შედარებით, რაიმე განმსახვებელი თვისებით დაჯილდოვებინოს იგი.

ერთ-ერთი კრიტიკოსი შეიძლება იტქვას, ამოწურავ დახასიათებას ვეაძლევის „პატარა ქალაქისას“, როცა წერს: „მწერალი აქ გვნიადურ რევისორად გვევლინება, რომელიც სწორედ ურთულეს ვარემოებას ართმევს თავს მასობრივ სერებში, რომელსაც მთავარი როლი იკისრია. „გმირი“ და „მშაა“ ერთმანეთთან მხარბ-მხარ ღვანან; ისინი ურთნი არიან. თვით ხალხი თავისი ერთობლიობით რომანის გმირია

და ძალღმად მოძრავ სანახაობაში მთავარ როლს თამაშობს“<sup>1</sup>.

საქონისუმი

ეიქტორ მანი, ჰაინრიხმან და ჰოშმპერსკი, თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ჩვენ ზეთნი ვიყავით“ შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: 1907 წ. შობამდე რამდენიმე დღით ადრე, ერთ საღამოს თომასთან სტუმრად ყოფნისას, მან „პატარა ქალაქი“ გამატანა თან და მითხრა „შენ ეს უნდა წაიციოთ, ეს ჰაინრიხმან საუკეთესო ნაწარმოებია“. თომას მანის ეს აზრი ჰაინრიხმანს „პატარა ქალაქზე“ ბეგრისმტყვევდა.

3. მანი 1911-1925 წლებში მუშაობდა ტრილოგიაზე—„იმპერია“, რომანი „ქვეშევრდომი“ ტრილოგიის („იმპერია“) პირველი ნაწილია. მასში სატირულად არის ასახული პირველი მათელია ომის წინადაროინდელი იმპერიალისტური გერმანიის სოციალური სინამდელი. „ქვეშევრდომი“ უფრო ვრცლად განვიხილავთ, რადგან 3. მანის შემოქმედებაში ეს ნაწარმოები ყველაზე უფრო დამახასიათებელი სოციალპოლიტიკური სატირა-პამფლეტია. ამ რომანში მწერალმა ფინისწარმეტყველი კაიზერის გერმანიის გარდაუვალი მარცხი. ვასოიკური ისტორიულ-სოციალური აღლო და მსატრელი შორსმჭვრეტელია მწერალს დაშეალებას აძლედა რამდენიმე წლით ადრე „უწინასწარმეტყველი“ ესა თუ ის ისტორიული მოვლენა.

რომანი „ქვეშევრდომი“ იმპერიალისტური ეპოქის გერმანიის ბურჟუაზიული საზოგადოების ამსახველი ფართო სოციალური ტილოა. რომანის მოქმედება იმლება გერმანიის ბურჟუაზიული საზოგადოების წარმომადგენლის დიდარიმ ჰესლინგის ოჯახის ფონზე. მასში მწერალი გვიხატავს იმდროინდელი გერმანული საზოგადოების სატირულ სურათს. ამ გერმანული ბურჟუაზიული საზოგადოების ამ ერთი სოციალური და „ფსიქოლოგიური“ „უქრედის“ დახასიათებინს საფუძველზე იგი წარმოდგენას გვიქმნის საერთოდ გერმანიის ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე. ამ რომანში მთელი სისრული იქნეს თავს ბურჟუაზიული საზოგადოების ფარისველური ბუნება, რომელიც ყალბ „სათნოებას“ და რიგობრის იფარებს ნიღბად, ბურჟუაზიულ საზოგადოებას, იმპერიალისტურ რაქციას, პროსოდ ონერობას, გერმანიის სოციალ-დემოკრატების გამყიდველ ლიდერებს რომ ამხელს, მწერალი იმპერიალისტური გერმანიის რეალისტურ სურათს იძლევა. ეპოქის სოციალური კონფლიქტებს კი 3. მანი თავისებური ლიტერატურული ზერხით ასახავს. ეს თავისებური ლიტერატურული ხერხით არის სატირა.

<sup>1</sup> Heinrich Mann, „Die kleine Stadt, Aufbau-Verlag, Berlin, 1956, გვ. 425.

სატირული თხზულებითათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი ყველაზე თვალწაშლად და უშუალოდ გვიჩვენებს, თუ როგორ შეფასებას აძლევს ავტორი რეჟისორს, სალტაიკოვს, შტაინბერგს და ვოგოლის პერსონაჟებს ღრმად ამხედრდნენ საცილოტურ-ისტორიულ ასსს და საამიკაროზე გამოქმონდათ და ანადგურებდნენ რუსეთის მანკიერ სინამდვილეს.

3. მანის ფართო ეპოქური ტილო „ქვეშევრდომი“ იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ის კარგად იცნობდა გერმანიის ბურჟუაზიის სინამდვილეს. და როგორც ყველა დიდი ეპოქური ტილო, „ქვეშევრდომიც“ გასცდა თავისი ქვეყნისა და ეპოქის ფარგლებს, უშუალოდ დასახულ მიზნებს და საბოლოო ანგარიშით მან მართკონკრეტულად გერმანული ბურჟუაზია კი არა, საერთოდ კაპიტალიზმის არადასმიანობა, მარბაროსული ბუნებაც ამხილა. რომანის გმირი — დიდერიკი ჰესლინგი იმპერიალიზმის ეპოქის გერმანული კაპიტალისტის ტიპია. მისში კონცენტრირებული სახით მოცემულია გერმანული რეჟიციული ბურჟუაზ ყველა ის თვისება — ნიშანი, რომელითა განვითარებამ, ვალდრმავებამ და „სრულყოფამ“ შემდეგში გერმანული ფაშისტის ტიპი წარმოქმნა.

რომანი თავიდანვე გვამცნობს მთავარ პერსონაჟს — ჰესლინგს. მწერალი მის ბავშვობას ვაღმოგვეცნოს, ის დონდლო, უსიცოცხლო ყოფილა, ოცნება ჰქვარებოდა და ყველაფრის შინებოდა. ოჯახის უფროსი — ბატონი ჰესლინგი — მარტო დიდერიკს კი არა, თავის ცოლსაც შინს ჰკვრიდა,

ძალაუფლების წილი დიდერიკს მალსა და არბილიში ჰქონდა ვამყდარს: თუ კი რაიმე დაშვებოდა, იგი ბატონ ჰესლინგთან თვითონ გამოცხადდებოდა, რათა მამას საყადრისად დაეხაფა.

დიდერიკის ასეთი ქვეშევრდომული ხანითი სრული სახით ეცილიდება სკოლაში. სკოლა ოჯახის შემდეგ პირველი ადგილი იყო, სადაც დიდერიკმა შეიმუშავა უფროსებისადმი და მბრძანებლებისადმი მორჩილებისა და ქედის მოკრის „პოლიტიკა“. მას სიამოვნებას ჰკვრის მარწავლების ბენკეს მიერ მოწაფის დასახის ყველა მეთოდო. დიდერიკს ფანტიკურად უყვარს ძალაუფლება, მამინაც, როცა იგი მის წინააღმდეგ არის მიმართული, და მამინაც, როცა თვითონ სხვის წინააღმდეგ იყენებს მას. მწერალი ვაღმოგვეცნოს: „ის მხოლოდ მამინ გრძნობდა სრულ კმაყოფილებას და სიმშვილეს, როცა თვითონ სცემდნენ ის თიქმის არასოდეს არავის წინააღმდეგობას არ უწყევდა“.

სულ მალე იგი ვაგბდა კლასის წამუში და მოკლე ხანში მისი დამტყნის შედეგად ვაირცხა კიდევაც მოწაფე. სკოლაში დიდერიკმა, თავის მარწავლების შემყურემ, ებრაელების წვალება და ვეგმე წინააღმდეგ შემოდიო; უნდა ითქვას, რომ

ჰესლინგს „ჩანასახოვანი“ ფორმით მოცემული აქვს რასობრივი „თეორია“, რომელიც, როგორც ვიცით, ჩამოყალიბებულია ეთნოგრაფიის სახით შემუშავდა ნაქისტების ხელში. ცოლთან ვესტსა და მიქნთან საუბარში ჰესლინგი აღნიშნავს: „მხოლოდ ფრიდრიკ დიდი ვერ იტანდა ინგლისელებს, ქურდსა და მოვკერ ხალხს, ისე როგორც მე ვერ ვიტან მათ“. იგი სრული მასტისმგებლობით აღნიშნავს, რომ „ეს სიტყვები მის უღიდებულესობას ეკუთვნის და მე მის თამამად ხელს ვაჭერო“.


ალბათ იეთობათ ამ მტკიცებებს საბუთად რა ვაანია ჰესლინგს. სრულებთაც არაფერია მისთვის ისიც საემარისია, რომ მის უღიდებულესობას ეჭვარებოდა ინგლისელები და ის თვითონ ხომ მის ნებასურვილის შემსრულებელი და ყურმოჭირი მონაა.

დიდერიკი მალე თავის სამშობლო ქალაქიდან — ნეტცივიდან ბერლინში ვადადის სწავლის დასასრულებლად. აქ დიდერიკი ეწვია ბატონ ვოგელის ოჯახს, თავისი მამის ძველ მეგობარს. ბატონი ვოგელი ლიბერალურად განწყობილი ბურჟუა და ანარქისტ და შოიენისტ დიდერიკს არ მოსწონს.

მეფე თეიმურაზი თუ უკან მისდევდა ელწებს დასაცვად, როდესაც მათ ფეხი შესდგეს კახეთის მიწაზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მან ფარულად მიუგარა ელწების ბანაკს და დაწი-

ნურდა, რათა საბატიო შორეულ სტუმრებს თავის სასახლეში სათანადო წესით დახვედროდა. მართლაც, 1638 წ. 6 სექტემბერს მეფე თეიმურაზმა დიდი ზემოთ მიიღო რუსეთის მეფის ელჩები ალავერდის მონასტრის სასახლეში.

რუსეთის მეფის მიხეილ თედორეს ძის სახელზე გაგზავნილ, 1639 წ. 25 აპრილთა დათარიღებულ მეფე თეიმურაზ I წერილში ჩამოთვლილია ყველა ტოპი, რომელთა მიწაზეც მოუხდათ ვაგლა რუს-ქართველ ელჩებს.

წერილი დაწერილია ბერძნულ ენაზე. ამ წერილში მეფე თეიმურაზი გარკვევით აღნიშნავს, რომ ორ თვეს მოუნდა გზის მშენებლობას.

ინტერესს მოკლებული არ იქნება ელჩების მიერ გავლილი მარშრუტის დახუსტება, რათა გარკვეული წარმოდგენა ექიონით-მათ მიერ გადატანილ საინფორმაციო.

დარიალის ხეობიდან ელჩებს გავლათ ვერ ქისტეთზე, მდ. ხდის ხეობით. ცნობილი რუსი ალბინისტი ქალი მ. პრეობრაჟენსკაია მდ. ხდის ხეობას ამგვარად აღწერს — „გზა მიემართებოდა მდ. ხდის მარჯვენა ნაპირით. აღმართი ხეობით თითქმის შეუძრნველია. ორი საათი ნელი სელის შემდეგ მივალწიეთ 1500 მ სიმაღლეს. ჩვენ წინ აღიშართა პირველი კიბის მყინვარი. ხდის სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულმა აქვს და ბილიცი თანდათანობით სცილდება მდინარის კალაპოტს. მივალწიეთ 2000 მ სიმაღლეს. ხეობის მარცხენა ფერდობზე გვხვდება ჩანქერი — ყურუ-ბურ-ალაქიდან მოსჩანს ოს-ქერის უღელტეხილით ვარახის ხეობაში მიმავალი ბილიცი. ქისტები ხდის ხეობით მიემართებან კიბის მყინვარისაკენ და აქედან კი — დაუბატყებელ სტუმრებად — ხეყურებათ. თავის მხარე ხეყურებიც სარკებლობენ ხდის ხეობით, როგორც უახლოესი გზით საქონლის გადასარეკად.

2100 მ სიმაღლეზე ბილიცი სამხრეთისაკენ უხვევს. მარჯვნივ ჩანს ლამაზი შინოს მწვერვლები, თვით ხეობა მეტად ფართოდება და მისი უმთავრესი ნაწილი ქვეყანაში არის დაფარული.

კიბისის მეორე მყინვარი (3025 მ) ყველა მხრიდან მაღალი მწვერვალებით არის შემოფარგლული, მაგრამ მწვერვალებს შორის არსებობს ვასავალი, რომელიც ხეყურეთისაკენ მიემართება.\*

შემდეგ არხოტისათვის უღელტეხილით ელჩები გადადიდოდნენ ხეყურეთში, აქედან იწყებოდა თეიმურაზის მიერ გაყვანილი გზის სათავე. ზვესურეთიდან მაღალი, თოვლიანი მწვერვალებით გზა გადადიოდა ფშავის არა-

ვებ და შემდეგ ბორბალოს უღელტეხილს ეხვეებოდა აღმზის სათავეებისაკენ — ს. ჰანკისზე.

პროფ. მ. პოლივეტოვი თავის წიგნში «Экономические и политические разведки Московского государства XVII в. на Кавказе (Тифлис, 1932 г., стр. 33-34), სწორად აღნიშნავს ვოლკონსკის მარშრუტს:

«Войдя в ущ. Терек они взяли влево и шли, вероятно, вверх по Кистянке (Хде), далее через Архотский перевал вышли в Хевсурскую Арагву, шли вниз по этой реке и вверх по Пшавской Арагве. Отсюда снова через горы, около Борбало вышли к истокам Алазани, откуда уже, вниз по этой реке им открывался прямой путь в Кахетию».

ამრიგად, ელჩებს დარიალის ხეობიდან გავლათ ვერ ქისტეთი, შემდეგ ხეყურეთი, ფშავი, თუშეთი და შილდწყვიით კახეთს.

აღნიშნული მიმართულებით თეიმურაზის მიერ გზა შენდებოდა ორი თვის, მაისი-ივნისის განმავლობაში.

რადგან ამ მაღალმთიან მხარეს ადგილობრივი მოსახლეობა მკაცრეციხოვანი იქნებოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მეტად სასწრაფო და ძნელი საგზაო სამუშაოები შიდა კახეთიდან გამოყვანილი მოსახლეობის მიერ უნდა შესრულებულიყო. ვარდა მძიმე კლდის სამუშაოებისა საჭირო იქნებოდა აქედან ბობოქარ მდინარეებზე ხის მაგარი ხიდების მოწყობაც, რაშიც, შორეული დროიდან ქართველები მეტად დახელოვნებული ყოფილან. ერთი სატყეო, ეს საპასუხისმგებლო, შრომატევადი საგზაო სამუშაო უნდა შესრულებულიყო მეტად მოკლე დროში.

მართლაც, ახალი გზის მშენებლობა ეს იყო დიდი, სავანებო ხასიათის დავალება, ერთ-მორწმუნე რუსეთის მეფის ელჩების კახთა მეფის თეიმურაზის სამფლობელოში მობრძანებასთან დაკავშირებული. ამ ელჩებს თან მოჰქონდათ ქართველი ერისათვის დიდი იმედი და ნდევში, რაც იმ ხანად კახეთის მოსახლეობას ესპეროებოდა. უცხო დამპყრობლების შემოტევისაგან დასაცავად და გასამხნეველად.

ძნელად წარმოსადგენია, რამდენი მოხერხება და უნარი გამოიჩინა მეფე თეიმურაზმა, რომ მოკლე დროში შესრულებინა ეს ტიტანური საგზაო სამუშაოები — ახალი საურმე გზის გაყვანა დარიალიდან კახეთამდე, მაღალ, თოვლიან მთის მწვერვალებზე, ღრმა ზეეებსა და უფსკრულებზე გადულით.

გზის სამუშაოებზე თავმოყრილ მოსახლეობას სათავეში ედგა თვით მეფე და, როგორც უბრალო გზის მშენებელი, ორი თვის განმავლობაში ზეჯთად უძღებოდა ამ საქმეს.

თუმცა მეფე თეიმურაზი რუსეთის მეფეს

\* М. Преображенская, Ежегодник Русск. Географ. общества, Выпуск 3 1940 г., стр. 52-62.

წერდა — „დიდი სიყვარული გამოდინარე  
ოქვნი შეუერთა უღრუბელსობისადმი, მივე-  
დით და გაქსენი გზა, შვარამ ჩვენივეს გასა-  
გებია, კახთა მეფე თავის შიშივ მოღვაწეობაში  
სრულიად არ ხელმძღვანელობდა ქვეშევრდო-  
ნული გრანობებით და რუსეთის მეფისადმი  
ღრმა სიყვარულით, არამედ ეს გამოწვეული  
იყო თავისი დამავრული ერის გადარჩენის სა-  
ჭიროებით და მალაღი პატრიოტული მისწრა-  
ფებით.

ამიტომაც, წარმოსადგენია, რა იმედით შე-  
უვრებდნენ კახელები რუსი ელჩების ჩამოს-  
ვლას საქართველოში. ეს იმედები და ნუგეში  
კახელებმა გამოხატეს თავგანწირულ შრომაში  
იმ სამუშაოების შესრულებისას, რაც დაკვირ-  
ვებული იყო აღნიშნული გზის გაყვანასთან.

ამასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ ამ-  
გვარი წვადებითა და თავდადებული შრომით  
აქნებულა ტრასა მდებრივ სამომავლო გზას  
არ წარმოადგენდა. ის მხოლოდ ერთდროულად  
დანიშნულებისა იყო. რუსეთის ელჩებმა ამ  
გზით გაიარეს მხოლოდ კახეთში მოსასვლელად.  
რუსეთში დაბრუნება მათ მოუხდათ სხვა  
გზით — გრემი-ზაგვი-შემხანია-დარუბანდი-ა-  
ტრახანით.

ელჩების გავლის შემდეგ ახალი გზა, ცხადია,  
ჩრებოდა უპატრონოდ, რაც გამოიწვევდა მან-  
ნეტეასა და განადგურებას.

ქართული ერის ისტორიაში მრავალი მძიმე,  
ტრაგიული ფურცელია, რომლებშიაც აღბეჭ-  
დილია უამრავი გმირული ეპიზოდი, იმ უცხო  
დამპყრობლებთან ბრძოლები, რომლებიც მო-  
სწრათაგანდნენ საქართველოს ხელში ჩასაგლე-  
ხად და ქართველი ერის დასამორჩილად. აქ  
აღნიშნული გზის მშენებლობაც წარმოადგენს  
ქართველი ერის სახელოვანი მოღვაწეობის  
ერთ-ერთ ნიმუშს, რომელიც, აგრეთვე, მიმარ-  
თული იყო უცხო დამპყრობლებისაგან — ჩუ-  
ხი ერის დამხარებით, ქვეყნის დასაცავად.

როდესაც ვმსჯელობთ კახელი გლეხობის  
უმაჯაღეთო, თავგანწირულ, გმირულ შრომაზე  
XVII ს. პირველ ნახევარში, რუსეთის ელჩ-  
ბისათვის გზის მშენებლობის დროს, უნებლიე-  
დ ვგავიწყდება ერთი ანალოგიური მგალობით  
საგზაო მშენებლობისა, რომელსაც ადგილი  
ქონდა ჩვენს ეპოქაში, იმავე კახეთის ფარ-  
გლებში.

1951 წ. შემოდგომის დასაწყისში ამ შერ-  
ლის ავტორის დაავლებული ჰქონდა შეიმოწმე-  
ბინა თბილისის საგზაო ტექნიკუმის სტრუქტუ-  
ტების საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობა თუ-  
შეთის ახალი გზის მშენებლობაზე, ს. იმალის  
მიმართულებით. ცნობილ „თორღვას ანაზღუ-  
გავლით, ამ მშენებლობაზე შეუწყვეტილ ნაკა-

დად მიემართებოდა მშრომელი გლეხობა კა-  
ხეთის რვა რაიონიდან — ახმეტლიდან, თელავ-  
დან, გურჯაანიდან, სიღნაღიდან, ქიზილთყარა-  
დან, კაპრეთიდან, ლავოტეხიდან და სუბკლკლი-  
დან. თვითველი კოლმეურნეობა სატვირთო ავ-  
ტომანქანებით მიდიოდა მდინარე სტორის ხე-  
ობაში, მათთვის წინასწარი განსაზღვრულ სამუ-  
შაო ადგილებზე.

მშრომელი გლეხობას თან მიჰქონდა საჭირო  
სამუშაო იარაღი და ხელსაწყოები, აგრეთვე  
განსაზღვრული დროისათვის საჭირო სურსათი,  
მათ თან მოჰყავდათ მხარეული ქალები.

წერაჩვენებით, ძალაყინებით, ნიხნებით, ასა-  
ფოტებებით მასლებით ისინი მთელად კლდე-  
ებში სჭირდნენ გზის ახალ ტრასას.

რამდენიმე ათასი კოლმეურნე იყო ჩიხველი  
ამ შრომაში, ისინი დიდი ხალისითა და მონდო-  
ბებით მუშაობდნენ. მღ. სტორის ხეობაში  
აფეთქებათა და ქუბილის განუწყვეტელი ხმა  
ისმოდა. მაგარი კლდის ლოდები, ზედ ამოსუ-  
ლი ასწლოვანი ხეებით, რამდენიმე ათეული  
მეტრის სიმაღლიდან მიექანებოდნენ სტორის  
ეიზრო კლავატში, მტვრით და ბუქი მალა-  
მთების მუხრეალეს ადრევედა. მდინარის ახლო-  
რა წყალი ქუეყანაში და აძღვრული მდებარე-  
ბოდა, როგორც ეს იცის ხოლმე მთებში, დიდი  
ნიაღვრის შემდეგ.

დაიბნდებისას, დღის მძიმე შრომის შე-  
დეგ, გლეხობა თავს იყრდა მთ მიერ გაჭრი-  
ლი ტხის ეკისზე. მათ უმასპინძლებოდნენ  
ახლად გამოქცევაი პურიით, ცხერის ხორციით,  
ხილით; ღვინით სავსე ყანწებით და ჭამები ხე-  
ლიდან ხელში გადადიოდა. იყო კახური ხეი-  
მი — სადღეგარელოები, სიმღერა, ცეცხი.

მეორე დღეს, დილა ადრინადა მუშაობა ისევ  
გრძელდებოდა. განსაზღვრული დავალების შე-  
სრულების შემდეგ კოლმეურნეები სიმღერით  
ბრუნდებოდნენ თავიანთ სახლებში, მათ  
სეუდოდნენ სხვები, ახალმოსულები.

„თორღვას ანაზღუგა“ 25 კმ-ზედ მანძილი  
ფეხით გაიარე, რათა დაემტკიცათ იყიცი ხალხის  
ანსახელი შრომითი ენთუზიაზმით. ამ შრომით  
გამოწვეულ აღფრთოვანებას ემატებოდა სტო-  
რის ხეობის მომზობლად სილამაზე, „თორღვას  
ანაზღუგა“ (37.5) კი დალოდობის უებარი წამე-  
ლი ამომხდა.

მაშინ დაგრწმუნდი, თუ რა დამწვრეტელი ღო-  
ნი და უნერგო ყოვილა დავაროვდა ქართველ  
მშრომელ გლეხობაში და რა მონდომებითა და  
შეგნებით იყენებს იგი ამ ძალასა და დონეს  
ერთეული და საზოგადოებრივი მშენებლობის  
საქმეში.

ჩემთვის მთლიანად ვსაბუთო ვახდა ის გმი-  
რული შრომითი მოღვაწეობა, რაც დიდი აღ-  
ფრთოვანებითა და ენთუზიაზმით განამარჯი-  
ვლეს თანამედროვე კახელების წინაპრებმა, რა-  
დესაც მეფე თამარაბ I ხელმძღვანელობით,  
ორი თვის განმავლობაში, გაუვალ კლდეებსა  
და ღრეხულს ვაყვავდათ საერაზე გზა დარიალი-  
დან კახეთამდე.

აღნიშნული ფაქტი ერთ-ერთ საინტერესო  
ფურცელს წარმოადგენს ქართველი და რუსი  
ხალხის ერთიანობის XVII ს. პირველი  
ნახევრის ისტორიიდან.

## ჯვაროსანთა ლაშქრობის ისტორიიდან

XI საუკუნის დამლევიდან მოყოლილი ორი საუკუნის მანძილზე დასავლეთი ევროპა მოიცავდა დიდმა მოვლენამ, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბატონყმური ფეოდალიზმის გაბატონებასთან და ფეოდალური ქალაქების წარმოშობასთან. დაიწყო სამხედრო ფეოდალური კოლონიზაცია, რომელმაც, ისევე, როგორც იმ დროის ყოველმა მოვლენამ სარწმუნოებრივი გამოსახულებაშიაღიარებული ლაშქრობის სახით, ე. წ. „წმინდა ადგილების“ დასაპყრობად, — „ქრისტეს საფლავის“ ვასთავისუფლებლად. მოიწყო რამდენიმე ჯვაროსნული ლაშქრობა. ეს მოხდა 1096-1270 წლების პერიოდში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილია პირველი ლაშქრობა, რომლის დროს, დიდი მსხვერპლის ფასად, დასავლეთში ფეოდალებმა და ვაჭრებმა დაიპყრეს სირია და პალესტინის ზოგი სანაპირო, ხელში ჩაიგდეს ქალაქები იერუსალიმი, ანტიოქია, ტრიპოლი, აკრა, ედესა და სხვ. იქ მათ დააარსეს თავიანთი ფეოდალური სახელმწიფოები, რომელთა შორის მთავარი იყო იერუსალიმის სამეფო.

XII საუკუნის სამოკლდიათთან წლებში აღმოცენდა მოვლენა, რომელიც გააერთიანა წინა აზიის უმეტესი ნაწილი. მუსლიმანთა ეს ახალი სახელმწიფო შექმნა ეგვიპტის ვახიზმა სალამ-ად-დინმა (სალადინი).

სალამ-ად-დინის სასიციოებლო მიზანი იყო ქრისტიანთა ბატონობის მოსპობა სირია-პალესტინაში და, პირველ ყოვლისა, იერუსალიმის სამეფოს დამორჩილება.

1187 წლის 19 სექტემბრისათვის სულთანმა ალყა შემოარტყა ქალაქს. დამცველებს არაფერი აღარ დარჩათ, გარდა იმისა, რომ დაეწყოთ მოლაპარაკება ეგვიპტის სულთანთან.

1187 წელს, 2 ოქტომბერს, იერუსალიმის კა-

რი გაუღეს და სალამ-ად-დინი დიდი ზეიმით შევიდა ქალაქში.

წინა აზიაში შექმნილი პირობები უკარნახებდა კათოლიკურ ეკლესიას და ფეოდალური ევროპის შეგუერებას. რათა სასწრაფოდ მიეღოთ შესაფერისი ზომები, აღედგინათ სირია-პალესტინაში წინანდელი მდგომარეობა და, შეძლების ფარგლებში, გაეუმჯობესებინათ კიდევ იგი. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის მოიწყო ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობა.

ამ ლაშქრობაში ევროპის სამი მთავარი ძალა — გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ ბარბაროსა, საფრანგეთის მეფე ფილიპე-აგუსტუსი და ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული მონაწილეობდნენ. ლაშქრობის ხელმძღვანელი დასწრებულნი იყვნენ იოლ გამაჩყვებაში, მაგრამ სინამდვილემ მათ სრულიად სხვა სურათი გადაუშალა.

მესამე ლაშქრობაში პირველი ამოჩაყდა ფრიდრიხ ბარბაროსა. მან 1188 წლის 25 დეკემბრისათვის გამოესცა ბრძანებულება, რათა ლაშქრობის ყველა მონაწილეს 1189 წლის 23 აპრილისათვის თავი მოეყარათ რევენსბურგში. ლაშქრობა დაიწყო ამავე წლის მაისში.

გერმანიის იმპერატორს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იკონიის სულთან კილიჯ არსლან II-სთან, ქრისტიანთა მოსისხლე მტერთან ისე, როგორც ბიზანტიის იმპერატორს სალამ-ად-დინთან, იერუსალიმის დამპყრობელთან. ქრისტიანთა და მუსლიმანთა ამგვარი დამოკიდებულება ერთმანეთს კიდევ გეომტკიცებს იმას, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობის მიზეზი იყო არა რელიგიური, არამედ ეკონომიური და სოციალური მხარე, როგორც ამხე მივითითებენ მარტინუსის კლასიკოსები.

იმპერატორმა 1189 წლის ივლისში პირადი დაბლობით მიადწია ნისას და სოფიას.

ჭარი განაგრძობდა წინსვლას კონსტანტინეპოლისაკენ და როცა თრაციაში დაეშენნენ ბიზანტიის იმპერატორმა ისაყ II ანგელოსმა ფრიდრიხის წერილი ვუგზავნა. ის მოთხოვდა ჩვეულებს და იმის ნახევარს, რასაც ჯვაროსნები დაიპყრობდნენ სირია-პალესტინაში. ფრიდრიხის ელჩები, ნიურენბერგიდან გამოგზავნილნი, ისაყმა დააპატიმრა და მძევლებს მოათხოვდა. მაგრამ გერმანელთა წინსვლა წარმატებით მიმდინარეობდა. 1189 წლის 26 აგვისტოს აღებულ იქნა ფილიპოპოლი. ამ წარმატებას გერმანელებმა უმაღლოდნენ ადგილობრივ სომხებს, რომლებმაც ნიდაგეი მოუშინადეს არა მარტო ქალაქის აღების, არამედ მათ აცნობეს ბერძენთა ჭარის მოახლოებაც, რის შედეგად ბიზანტია სასტიკად დამარცხდა. გერმანიის იმპერატორმა უელაფერი გაავითა იმისათვის, რომ წესრიგი დაეყარებინა ქარში. მან ჭარი რაზმებად გაუო და დაინშინა სამხედრო საბჭო 60 კაცის შემადგენლობით. გერმანელთა გამარჯვებამ შესაფერისი შედეგი გამოიღო. ისაყ II იძულებული გახდა გაეთხოვრებინა ფრიდრიხის ელჩები, რომლებიც დიდი ზეიმით მიიღეს ფილიპოპოლში დაბანაკებულმა ჭარებმა და ხელმწიფანელობამ.

საბოლოო ანგარიშით, 1190 წლის 14 თებერვლს დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ბიზანტიას 235 გემით ჯვაროსნები, კონსტანტინეპოლზე გავლით, უნდა გადაეყვანა აზიაში. ფრიდრიხ I დათანხმდა ამ პირობებზე და 1190 წლის მარტში ადრიანოპოლიდან დაიძრა სამხრეთისაკენ. ცუდი ამინდის გამო ჭარის გადაყვანა გრძელდებოდა 22-დან 28 მარტამდე. ჯვაროსნები, თითქმის ამ რაოდენობით, რამდენიმე იყვნენ დასაწყისში, გადავიდნენ მცირე აზიაში, ხოლო ბიზანტიას გერმანელებთან ბრძოლაში დიდი ზარალი მოუტოვა, ბევრი მებრძოლი დააყლდა.

ჯვაროსნები 1190 წლის 17 მაისს მიაღწენ სატაბო და მდიდარ ქალაქ იკონიუმს.

18 მაისს დაიწყო იერიში, ქალაქი იიღეს და ევროპელებს მდიდარი ნადავლი ჩუფერდათ. თურქ-სელჯუკები იძულებულნი გახდნენ ზავი ეთხოვათ, რითაც თვით იმპერატორი იყო დაინტერესებული. ფრიდრიხ I-მა მიიღო დაზავების პირობები.

1190 წლის 10 ივნისს ფრიდრიხ ბარბაროსა უცერად დაიბრუნა ამოხოტრებულ საღვთში. მისმა სოცელებმა აბეც-დარევა შეიტანა გერმანელთა ჭარში. რანდოთა გარკვეული ნაწილი სამშობლოს დაბრუნდა, ნაწილმა იმავე წლის ზაფხულს მიადრწია ანტიოქიას, სადაც ბევრი რანდო ქორმა იმსხვერპლა. გერმანელთა ჭარის გადარჩენილმა ნაწილმა ლოპოლად ავსტრიელის მეთაურობით, მონაწილეობა მიიღო აგრის ვარემოცვაში.

აყონი შეიქმნა კვანძი ჯვაროსნებისა და მუს-

ლიმანთა დაჯახებისა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა აღმოსავლეთის სამეფოების, არსებობის საკითხი, ამიტომ აყონისათვის ბრძოლაში პრინციპული ხასიათი მიიღო. ბევრი თურქუაზილი ისტორიკოსი უსაყვედურებს ჯვაროსნებს ამგვარი სამხედრო უცემის შემუშავების გამო, იმ მოტივით, რომ უკეთესი იყო ადგილობრივ ქრისტიანებსა და ჯვაროსნებს ფრანკთა გაეშალით მთელ სირია-პალესტინაში და ბოლო მოეღოთ თურქ-სელჯუკთა მებრძოლი ძალებისათვის. ამგვარი აზრის მქონენი არ ითვალისწინებდნენ იმას, რომ ევროპელები სამხედრო საქურველს, პროვიანტს, ცოცხალ ძალას ზღვით იღებდნენ და ამ არტერიის გალაქრა ჯვაროსნებს სამხედრო კატასტროფას უქადდა.

ფილიპ II და რიჩარდ I ჭარ ჩამოსული არ იყვნენ, მაგრამ ქალაქს ხმელთით მოელოდა სრული გარემოცვა, ამიტომ სალაპ-ედ-დინმა გადაწყვიტა გარღვია რკალი და ფიზიკურად მოესპო მოწინააღმდეგეები. მან 1190 წლის 12 სექტემბერს დაიწყო შტრევა, 15 სექტემბრისათვის მას გარკვეული წარმატება ჰქონდა, მაგრამ 24 სექტემბერს ქალაქს მოადგა ევროპელთა ახალი ნაყოლი. 4 ოქტომბერს ქრისტიანები გადავიდნენ შტრევაზე, ბირველ ხანებში წარმატებასაც მიაღწიეს, მაგრამ შემდეგ დამარცხდნენ და ეგვიპტელებმა იზიემეს თავისი წარმატება. ბრძოლა გრძელდებოდა ორივე მხარე იღებდა მამუელ ძალებს. ქრისტიანები შეუდგნენ თავიანთი პოზიციების გამაგრებას, აყონის მიღამოეში შექმნეს ახალი ნავსადგური, სადაც ევროპიდან მომავალთ თავისუფლად იღებდნენ.

1191 წლის ზაფხულში აყონს ჩამოვიდნენ ჭარ ფილიპ II და შემდეგ რიჩარდ ლმეული. მათ შეუერთდა გერმანელთა ჭარი ლეოპოლდ ავსტრიელი. აყონს ირგვლივ თავი მოიყარეს საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის ძალებმა. ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობის მონაწილეებმა ვერ გაათავისუფლეს იერუსალიმი თურქების ბატონობიდან, არამედ დიდი ძალების დაქიმით და ტექნიკის გამოყენებით ძლიეს მოახზუნეს აყონის აღება და ისიც ვარაზონის მეთაურებთან მოლაპარაკებით. 1191 წლის 11 ივლისს დაწყებული მოლაპარაკება დამთავრდა 12 ივლისს ქალაქის კარის გაღებით. შეთანხმების მიხედვით სალაპ-ედ-დინი ვალდებული იყო ტყვე ქრისტიანები, კერძოდ, რანდოთა გაეთავისუფლებინა, ქალაქის სანოვავის მხარეც ჯვაროსნებისათვის უნდა ჩაეზარებინათ. წმინდა ჯვარი დებარუნებინათ და 200.000 ოქარი გადაეხადათ იმავე წლის 20 აგვისტოსათვის. სალაპ-ედ-დინი იძულებული გახდა უქან დაეხია და დაიწყო მხადება ვადამწყვეტი ბრძოლისათვის იერუსალიმის დასაცავად. უნდა ითქვას, რომ ჯვაროსნებს არც კი უცდიდათ ამ წმინდა ადგილის აღება, რაც გამოჩნული იყო თავის დროზე. აყონის აღების შემდეგ მათ თავიანთ მფლობელობაში მყოფი

ტერიტორია დაინაწილეს, რითაც კიდევ უფრო გაართულა საეროთა ძალით თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმე. საფრანგეთის მეფემ და სხვა მსხვილმა ფეოდალებმა თავის საქმე მოთავებულად ჩათვალეს და სამშობლოსაგან გაუდგნენ გზას. რიჩარდი, მართალია, დარჩა აღმოსავლეთში, მაგრამ მასაც თითქმის არაფერი გაუეთვებია. პირველ ყოვლისა, რიჩარდი შეეცადა სალამ-ედ-დინისაგან მიეღო კონსტანტინოპოლი, რომელიც უკანასკნელმა დანიშნულ დროს ვერ გადაუხადა, ამას რიჩარდმა საშინელი საქციელით უპასუხა: სიკვდილით დასაჯა 2000 მუსლიმანი მძევალი, ხოლო ამ საქციელით გაბრაზებულმა მუსლიმანებმა თავიანთი ვალდებულება, რასავერებლად აღარ შესარულეს. უნდა ითქვას, რომ ბრძოლა ჯვაროსნებსა და სალამ-ედ-დინს შორის გრძელდებოდა. საბოლოოდ, ამ ორ მეთაურს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება 1192 წლის 2 სექტემბერს, რომლის თანახმად ჯვაროსნებს გადაეცათ ზღვის პირეთი ტრიპოლი იაფამდე და ქრისტიანთა მიეცათ იერუსალიმში შესვლის უფლება სამი წლის განმავლობაში. ეს იყო ის მაქსიმალური მიღწევა, რისი გაცემებაც მოხებოდა მეფე რიჩარდმა. ცხადია, საციხის ამგვარი გადაწყვეტა ვერცერთ მხარეს ვერ დაკმაყოფილებდა. ინგლისის მეფეს ძალზე უარყოფილია სამშობლოში დაბრუნება, რადგანაც იქ თავის მძაქონთან საერთო ენა გამოხატა „წმინდა ადგილებიდან“ დაბრუნებულმა ფილიპე II-ემ. უნდა ითქვას, რომ არც სალამ-ედ-დინს ჰქონდა კარგად საქმე. თუთონ აეღო იყო, ჯარი მოიქმნა, ზოლო ხელმძღვანელიც უკმაყოფილო იყვნენ ზანგრძლივი ომებით.

ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობაში, რომელიც 1189-1192 წლებში მიმდინარებოდა, მონაწილეობდა ეგვიპტის სამი უდიდესი ძალა: გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთის. ეს აიხსნებოდა მუსლიმანთა სამყაროს, კერძოდ, სალამ-ედ-დინის, მიეღო შესაფერისი ღონისძიება ჯვაროსნული მოლაშქრეების წინააღმდეგ. წინა აზიაში ასეთი ვითარება ხელს უწყობდა ამიერკავკასიის მოწინავე სახელმწიფოს — საქართველოს — ჯერ თავის შინაური და მერე საგარეო საქმეები თავის სასარგებლოდ მოეგვარებინა. თურქებსა და ჯვაროსნებს შორის წლების განმავლობაში სისხლისმღვრელი ბრძოლა მეტად ხელსაყრელ სიტუაციას ქმნიდა, რათა საქართველოს მესვეურს — მეფეთამეფე თამარს (1184-1213) დასახული სახელმწიფო საქმეები ბრწყინვალედ გააღწევინა. ცნობილია, რომ მას გამეფების პირველ პერიოდში სიმწვლეები ჰქონდა. აქ, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ეკლესიის ხელმძღვანელთა დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებისადმი, დიდგვაროვანთა ვაჟიცვა და ყუთლუარსლანის მოახივნა, რომელსაც შემდეგში დაემატა თამარის პირველი ქმნის გიორ-

გი რუსის გამეფება (1187-1188), რომელიც დაახლოებით 3 წლის შემდეგ 1190-1191 წლებში დაბრუნდა კონსტანტინოპოლიდან „ქრისტიანულს“ ში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველო მოქმედება უცნობია არ იყო ბიზანტიისათვის, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ცდილობდა საქართველოს დამორჩილებას. ის უდევოდ მომზად იქნებოდა საქართველოს დასუსტებისა, რაც მას საქართველოს შინაური საქმეში ჩარევის შესაძლებლობას მისცემდა. მეორე მხრივაც, უნდა ვიფიქროთ, რომ განდევნილ გიორგის საიდუმლო ურთიერთობა ეწეებოდა თამარის მეფობით უკმაყოფილო ფეოდალებთან. შემთხვევითი არ იყო, რომ მას მოლაპარაკება ჰქონდა კარნუქალაქში საგანგებო დავალებით ჩამოსულ „ნაცივალ მექურველთავეს“ გიორგისთან. „გაფიქვნილი“ დამორჩილებულნი იყვნენ, მაგრამ უკმაყოფილოთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. ამას ნათლად ამტკიცებს გიორგის მომხრეთა რიცხვი. მას მიემხრნენ გუზანი „პატრონი შეეშეთისა და კლარჯეთისა“, სამცხის სპასალარი მთიეთი, ივანე-ყვარყვარე ციხის ჯვარელი, მსახურთხუცესი ვარდან დადიანი. მას მხარს უჭერდნენ: „ყოველი სვანეთი, აფხაზეთი, საეგროთი, გურია, რაჭა, თაყარი და არაგვეთი“! გიორგი რუსის ირგვლივ გაერთიანებული შეამოხენი საშინოვანებს უქადდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. აჯანყებულნი ორი მხრით ვამეომარონენ სახელმწიფოს ერთგულთა წინააღმდეგ შეიქმნა მეტად დამაბული მდგომარეობა და საბოლოო გახდა მთელი ძალების მობოძობა აჯანყებულთა დასამორჩილებლად. საქართველოში ეს ბრძოლა ემთხვევა ჯვაროსანთა III ლაშქრობის მონაწილეთა აქტიური მოქმედებას.

საქართველოში არსებული ვითარება აღნიშნულ პერიოდში მეტად ხელსაყრელი იყო გარეშე მტრებისათვის, კერძოდ სალამ-ედ-დინისათვის. მაგრამ მუსლიმანთა ხელმძღვანელს სწორედ ამ დროს თავს ეხმობდა ჯვაროსანთა მრავალრიცხოვანი ჯარი ფილიპე-ავესტუსისა და რიჩარდ ლომგულის მეთაურობით. ცხადია, ამ ვითარებაში მუსლიმანთა მთელი ყურადღება მიმართული იყო თავდაცვისაგან. ამის შედეგია, რომ მუსლიმანთა მეთაურმა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა თავის სასარგებლოდ ვერ გამოიყენა და მის შინაურ საქმეებში ვერ ჩაერია. ჯვაროსანთა III ლაშქრობამ ხელშეწყობი როლი შეასრულა საქართველოს ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამავე დროს აუცილებელია ისიც, რომ საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა და მოლაპარაკება ჰქონდა სალამ-ედ-დინთან. ამას აღსატყობებს აღმოსავლეთის ისტორიკოსთა შრომები: „აღმოსავლეთის ისტორიკოსთა კრე-

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 261.

ბული ჯვაროსანთა ლაშქრობის შესახებ, და „წიგნი ორი ბაღის შესახებ, ორი სამეფოს ნურ-ედ-დინის და სალამ-ედ-დინის ისტორია“. ისტორიკოსთა ეს კრებული რამდენიმე ტომის შეიცავს. მეხუთე ტომი განსაკუთრებით ეგება სალამ-ედ-დინზე ჯვაროსანთა გამარჯვების ეპოპეას. ამ ნაშრომში უერთდლებას იპეროპის შემდეგი ცნობა: „ჯვარი შეინახა (სალამ-ედ-დინში) და თავის ნამდვილ ადგილს-თაველაში მიათავსა. ეს ვაჟეთა არა იმიტომ, რომ პატავს სცემდა, არამედ ეზიზღებოდა. ეს ყველაზე მეტად დაამწუხრებდა ქრისტიანებს როცა ვაგებდნენ, რომ ჯვარი მათ ზღუდა. ბერძენებმა და ქართველებმა ხელგაშლილი ძღვენი გამოგზავნეს და ელჩს-ელჩზე აგზავნიდნენ, მაგრამ უშედეგოდ. მათი თხოვნა უარყოფილ იქნა, ვერ მიიღეს ის, რასი დღი სურვილი ჰქონდათ“. ამ ციტატაში ასახულია აზრი, რომლითაც ბერძენებს და ქართველებს უარი ეთქვათ ქონების და ჯვარის დაბრუნებაზე, ეგება სალამ-ედ-დინის მეფობის პირველ პერიოდს, როცა ის წარმატებით ებრძოდა ქრისტიანებს და ტერიტორიას ტერიტორიაზე ატოვებდა. მაგრამ ევროპელების გამოლაშქრების შემდეგ სულთანის მდგომარეობა არსებითად შეიცვალა და ამას ნათელყოფს შემდეგში ციტატა: „დასახლებული შრომის შესამე ტომში ვითხოვლობთ: „ქართველების გამოგზავნილი ელჩიც მოვიდა. მან მონასტერში მოხსნა კამიტელი მისი უკეთ შენახვის მიზნით, რომელიც ამ ხალხს ეკუთვნოდა იერუსალიმში. ის ჩიოდა, რომ მათ მონასტერი წაართვეს და სულთანს თხოვდა, რომ მას მათი კუთვნილი ადგილები უკან დაებრუნებინათ“.

ამ შეთხვევაში საჭმე გვაქვს პალესტინაში არსებული ქართველთა ჯვარის მონასტრის საქმესთან. საქართველოს ელჩი უმტკიცებდა სულთან სალამ-ედ-დინს ჩამორთმეულ დაწესებულებათა და ქონებათა უსამართლობას, და მოითხოვდა მათს უკან დაბრუნებას. რაც შეეხება „ქრისტეს ჯვარს“, მის დაბრუნებას მოითხოვდა ქრისტიანული საყარო და მათ შორის საქართველოც. არსებითა მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, ჯვარის მონასტრის ჰქონდა, რომელიც იყო კულტურული ცენტრი ადმინისტრაციისა და დასავლეთის ურთიერთობისათვის. სწორედ ამით აიხსნება წყაროში მოცემული ცნობა, რომ ქართველები ელჩს ელჩზე გზავნიდნენ თურქთა სულთანთან. აქ ბევრი საინტერესო და სადავო საკითხები იყრის თავს. პირველ ყოვლისა, უნდა დავდინდეს ქართველთა ელჩის ვინაობა. შემოთ აღნიშნულ წყაროში აღნიშნული ელჩა რასულ-აღ-გურჯი პრატ. ს. კვაბაძის აზრით შოთა

რუსთაველია. ჩვენი შეხედულებითაც უფრო იყო აზრადენების დღი ტიტანი შოთა რუსთაველი. ამ მოსაზრებას ამტკიცებს ვერცხველი 1905 წელს ბერძნულად გამოცემული კრებული „სახელი სიონი“, სადაც სპეციალურ თავად არის გამოყოფილი „ჯვარის მონასტრის შემტკიცავე“. ამ შემტკიცავეში ელჩად დასახელებულია უკვლავი შოთა, ზოლო პალესტინაში მისი ჩასვლის თარიღი 1192 წელი.<sup>1</sup>

ცნობა, რომელიც მოცემულია „ახალ სიონში“ კრემარიტად მიგვარნია. უდავოა, რომ საქართველო თავის საუკეთესო შეიღ — შ. რუსთაველს ელჩად ვაგზავნიდა, რომელიც მამონდელი კულტურის განსაზიერება იყო და, მეორეც, თურქული ენაც მისთვის უცნობი არ ექნებოდა. რაც შეეხება თარიღს, ისიც სწორად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ჯვაროსნებსა და სალამ-ედ-დინს შორის შეთანხმება დიდდა 1192 წელს, რომლის თანახმად ქრისტიანებს უფლება მიეცათ იერუსალიმში შესვლისა. ამ მოვლენას უდაოდ მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებსა და სალამ-ედ-დინის მოლაპარაკების დადებითად დავიროვნებისათვის. ეს მდგომარეობა ქართველებმა გამოიყენეს და სულთანთან შეთანხმებებით შეუდგნენ მველი მონასტრების აღდგენას. ამ ღონისძიებას ჩატარება, როგორც ჩანს, თამარ მეფემ პირადად დაავალა ყოფილ ელჩს შოთა რუსთაველს. მან აღადგინა მუსლიმანების მიერ გაუფრანგული ჯვარის მონასტერი და თავისა თაოსნობით ხელახლა მოახატვამ იგი, როგორც ცნობილია, მონასტრის ერთერთ სვეტზე თითონაც არის დახატული, მისი პორტრეტი ქართულთა დეკორაციამ ჩამოიტანა 1960 წელს საქართველოში, რამაც ხელი შეუწყო ქართველთა გენიოსი პოეტის ბიოგრაფიის დადგენას.

ამგვარად ივეგიტის სახელგანთქმულ სულთანს და საჩაღლ სალამ-ედ-დინს, რომელიც თავის დროზე ქრისტიანების უსაშინელეს მტრად ითვლებოდა, ჯვაროსნებთან ბრძოლამ არ მისცა შესაძლებლობა საქართველოს შინაური მდგომარეობა გამოეყენებინა და თავისი სამეფო კედამ უფრო გაედარყოფინა. პირიქით, ჯვაროსნებთან ბრძოლამ მუსლიმანები აძილა ლოიალური პოლიტიკა ეწარმოებინა საქართველოსთან და ბევრი სადავო და სპირიტორიტო საკითხი საქართველოს სასარგებლოდ გადაეწყვიტა. ამან მისცა ჩვენს ქვეყანას საშუალება კიდევ უფრო განემტკიცებინა თავისი სამინაო და სავარეო მდგომარეობა და მოწინავე ქვეყნად ქვეუღო-ყო წინა ახანამ.

<sup>1</sup> ცნობა მოწოდებულია ტულ-ავივიდან ს. ლოსკის მიერ. გაზ. „კომუნისტ“ 19 იანვ. 1960.

<sup>1</sup> ს. კვაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი. თბ. განათლება, 1966. გვ. 179.

## იოსებ იმედაშვილის შურნალი „თეატრი და ცხოვრება“

იოსებ იმედაშვილის საგამოცემლო მოღვაწეობიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის მიერ დაარსებული ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“, მეოცე საუკუნის ორი ათეული წლის მანძილზე. ქართულ პერიოდულ გამოცემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟურნალი იყო.

იოსებ იმედაშვილმა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ დააარსა 1910 წელს. ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1910 წლის 2 იანვარს, ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით, ხოლო მისი გამოცემა შეწყდა 1926 წლის მარტში. მთელი ამ ხნის მანძილზე ჟურნალის ფაქტობრივი რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი იყო, იმ პერიოდშიც კი, როცა იგი დევნას განიცდიდა მეფის თვითმპყრობელობის მიერ და ჟურნალი მისი მეუღლის ანა ერუდის ხელმოწერით გამოდიოდა 1914-1917 წლებში.

ჟურნალი სავსებით ამართლებდა თავის სათაურს. თეატრი ხომ ყველაზე მძლავრი იარაღი ცხოვრების რეალური ასახვისა, ცხოვრების სარკვეა, პეიზაჟი იდეალების მქადაგებელია. ჟურნალსაც შთაავარ მიზნად დასახული ჰქონდა თეატრი ცხოვრების, ხალხის სამსახურში წაყვანილია. იოსებ იმედაშვილი ერუდის საპროგრამო სტატიაში გარკვევით აცხადებდა: „ხელოვნების უწინდეს ტაძრის, აღმაშენებლის გრანდოზოზობის გამოფენილებულ ერთ უდიდეს იარაღს განვილვა, სცენის დაწინაურების გარკვევა, ცხოვრების შეგნულ კენჭულთა გამოქება... აი, რა არის დანიშნულება ამ ახალი გამოცემისა“ (ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1910 წ. №1). ეს იდეურა მრწამსი, შრომობრივი ხელოვნების მომავლისათვის ზრუნვა ჟურნალის ყოველდღიური პროგრამა იყო.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ გამოვი-

და თვითმპყრობელობის გაძლიერებული რეჟიმის ხანაში, იმ დროს, როდესაც ყოველი თავისუფალი სიტყვა სასტიკად იდევნებოდა, როდესაც ერის თავისუფლებისათვის ზრუნვა დანაშაულად ითვლებოდა. ქართველი ერის სულიერი მდგომარეობის ამ კრიტიკულ მომენტში ისეთი ჟურნალის დაარსება, რომელიც ხალხის ტყვეობებს საცნაურს ხდიდა და აღრმავებდა ერის თვითშეგნებას, დიდი ეროვნული საქმე იყო. ეს საქმე გამოცემლის დიდ თავგანწირვას მოითხოვდა. ჟურნალს სიმატის ჩირაღდანი ებყრა ხელთ და გამარჯვების რწმუნას ნერგავდა ხალხში.

„თეატრი და ცხოვრება“ — წერდა ცნობილი მწერალი ქალი ვან დევილი (დომინია ერისთავი)—ძალიან ბევრჯერ ერთგვიან საყვირად ევლინებოდა უიმედობით დასწვლულ ქართველ მკითხველს ცარიზმის დროს, როცა შეგნულ გარემოებათა წყალობით იგი მოკლებული იყო სიტყვად რომელიც საზრდოს, ევლინებოდა და გულში იმედის სხივს ჩაჰმუჭებდა ხოლმე... (ათ. და ცხ.“ 1925 წ. №12)

ახლად დაარსებული ჟურნალის ვარსკვლავი თავი მოიყარავს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლებში. იოსებ იმედაშვილი ხშირად სავანებოდა იწვევდა მათ ჟურნალში სათანაშრომლოდ. ჟურნალის ფურცლებს ამშვენებდნენ მწერლები, დრამატურგები, პოეტები, მსახიობები, პუბლიცისტები, მეცნიერები, მუსიკოსები, მხატვრები, მუშა-მწერლები. დღიდან დაარსებისა, ჟურნალის უახლოესი თანაშრომლები გახდნენ და მის ფურცლებზე კვლავ დაარსო შემოქმედებითი სარბელი ივანე გომართელმა, სილოვან ხუნდაძემ, შალვა დადიანმა, არტურ ლაისტამ, ალექსანდრე სუბათაშვილმა, სოფრომ მეგობრობაშვილმა, იპოლიტე ვართაგვამ, ლეო ქობიაშვილმა, მოსე თოიბამ, კოტე მესხმა, ვახტანგ კობეტიშვილმა, დიმიტრი

შეგრეობა, ვალერიან გუნამ, კოტე ყოფიანმა, შოა მღვიმელმა, ვასილ ბარნოევმა და მრავალმა სხვა გამოჩენილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ. ჟურნალს დაბადებიდანვე ამხნევებდა თავისი თანამშრომლობით დიდი აკაკი. ჟურნალის დამარტების პირველივე წლის ნომერში აკაკი დაბეჭდა ლექსები: „ზარი“, „სიყვარული“, „თანამედროვე ქალი“, მოთხრობა „ალსარება“, პიესა „რეპუტაცია“, ეთნოგრაფიული წერილი „მოთამაშე ქათმები“, ვრცელი სტატია „გახსენება თეატრის შესახებ“, რომელშიც მიმოხილულია გიორგი ერისთავის, ივანე კერესელიძის, რაფიელ ერისთავის, ეფრასიმე კლდიაშვილის და სხვათა დეპოლი ქართული თეატრის წინაშე. დაბეჭდა აგრეთვე ალექსანდრე სუშმათაშვილის სტატია სათეატრო ხელოვნებაზე — „აქტიორი, ავტორი და რეჟისორი“, რომელიც შეეხებოდა ქართული თეატრის საქიბორიტო საკითხებს; ივანე გომართელის, ვალერიან გუნამს და ლეო ქიახელის პიესები, ზაქარია ტყეშელაშვილის ქართული თეატრის ისტორიანი, ვალერიან შალვაშვილის წერილები სათეატრო პრობლემებზე, ვეატორიანე გაბაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძისა და იაკობის მოთხრობები და ნოველები, დეტუ შეგრელის, ალექსანდრე აბაშელის, ლილია შეგრელაშვილის (მიმქრალი) და ტიციან ტაბიძის ლექსები. ნომერი არ გამოვიდოდა, მასში გალაკტიონის ლექსი რომ ამ ყოფილყო დაბეჭდილი.

ივანე გომართელი წერდა: „ჩემთვის ეს ჟურნალი განსაკუთრებით საყვარელია. მრავალი წლის განმავლობაში მე და ის ერთმანეთის შესაიღებლნი ვყავით და ერთმანეთს ეუზიარებდით ჩვენს ფიქრსა და ზრახვებს, ჩვენს ქმედებს და იმედებს“ („თ. და ცხ.“ 1920 წ. №13). ივანე გომართელის ეს სიტყვები თავისთავად შეიძლება განვსაზოგადოთ იმ აღმანიებზე, რომლებიც წლების მანძილზე თანამშრომლობდნენ „თეატრსა და ცხოვრებაში“. თითქმის არ დარჩენილა არცერთი მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე, რაგინდ მივიწყებული არ უნდა ყოფილიყო, რომ იოსებ იმედაშვილს თავისი ჟურნალის ფურცლებზე შესაფერისი ადგილი არ დაეთმო მისთვის. აკაკის გვერდით ჟურნალში იმედაშვილმა შედარებით მცირე სახელის პოეტთა ლექსებიც ამის თაობაზე იოსებ გრიშაშვილი სამართლიანად წერდა:

„სხვა ჟურნალები ყურადღებას არ აქცევენ ჩვენი ლიტერატურის კუთხეებს, იმედაშვილს კი უყვარს ყველა „გამოჩენილი და დაიწყებული“, რომელთაც ერთ ღროს დიდი ამაგი მიუძღოდათ საზოგადო ასპარეზზე“ („თ. და ცხ.“ 1925 წ. №12)

ჟურნალმა ბევრი სახალხო მწერალი გამოზარდა, მათი ნაწერები პირველად „თეატრსა

და ცხოვრებაში“ ქვეყნდებოდა, ამ ჟურნალით იწყებოდა მათი სამწერლო გზა. ივანე გომართელის მიერ დაფუძნებული ჟურნალი იმედაშვილისაგან მისი მეგობრული დამოკიდებულებით, — წერდა ალექსანდრე აბაშელი, — პირველი თბილი სიტყვა ჩემი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის გამო მე იოსებ იმედაშვილმა შემაგება. მან დაბეჭდა თავის ჟურნალში ლიტერატურული მიმოხილვა, სადაც გამახსენებელი შეფასება მისცა ჩემს პირველ ლექსებს. მე არასოდეს არ დამეწყებია და არც დამეიწყებია ეს პირველი თბილი სალამი და გამახსენება“ (გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1952 წ. №19)

„თეატრისა და ცხოვრების“ ფურცლებზე იიდგეს ფეხი შემდეგში სახელგანთქლები მწერლებმა და პოეტებმა გალაკტიონ ტაბიძემ; იოსებ გრიშაშვილმა, სანდრო შანშიაშვილმა, ალექსანდრე აბაშელმა, ტიციან ტაბიძემ. გიორგი ტენიშვილმა, სიკო ფაშალიშვილმა, გიორგი ლეონიძემ, ტერენტი გრანელმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, ნოე ჩხიკვაძემ, მარიკანმა, სალო მგელაძემ, დენმა შენგულაძემ, კონსტანტინე კვიციანიძემ, ილია მოსაშვილმა, ხარტონ ვარდოშვილმა, ვასო გორგაძემ, სეზამ ერთაწმინდელმა და მრავალმა სხვამ. მათ შესახებ ილია მოსაშვილი წერდა:

„მათ ლაშაზი ბინა გამოქვინეს და ხელოვნების უსიერყო ტაძრის ერთ კუთხეში დასცეს ოცნების მსუბუქი კარავი. ეს კუთხე იყო „თეატრი და ცხოვრება“. ეს პოეტები უცნაურმა კაცმა (ივლისსხებზე იოსებ იმედაშვილი — ლ. ა), რომელიც ზარატუსტრას გრძელი ყავარჩით დაიარება დღესაც ჩვენი ცხოვრების უდაბნოში, შეიფარა და აღმოსავლეთური დარბაზობა გაუმართა“ („თ. და ცხ.“ 1920 წ. №13)

საყურადღებოა, რომ ქართულ სალიტერატურო კრტიკაში გალაკტიონ ტაბიძის პოეტებმა სახელად პირველად ამ ჟურნალის ფურცლებზე გაივლია.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ქართული თეატრის ზედობლის საკითხებს. ეროვნული სასცენო ხელოვნების აყვავება, მისი განმტკიცება იყო ჟურნალის წმინდა მიზანი. ამის დადასტურებაა თვითონ იოსების წერილები თეატრის შესახებ. მგფს რეჟიმის დროს „თეატრი და ცხოვრება“ იყო ერთადერთი ჟურნალი, რომელიც ყოველწლიურად ცდილობდა ხალხის ფართო მასებისათვის თეატრისადმი სიყვარული ჩაენერგა და გაედევებინა.

„თეატრი და ცხოვრება“ — წერდა სოფრომ მგალობლიშვილი, — მუდამ თავს ევლებოდა ქართულ თეატრს, ამ ჩვენს საღაროს, საუნჯეს, რომელიც შვე და უკელმა დროებაში შეიქმნა ქართველებისათვის ტაძარი ქართული სიტყვის, ქართული ზნე-ჩვეულებათა შესწავ-

ლის, გათვალისწინების. სად იყო სხვაგან ტუბილი ქართული, რუსთაველის ტუბილი სტუპა, მისი უყვადვი სული ტრიალბდა უჩინარად ჩვენს თეატრში... „თეატრი და ცხოვრება“ კვლავ უდგა ქართულ თეატრს; არც ერთი შესაძენვეი მომენტი ქართული თეატრისა და ჩვენს ცხოვრებისა უსაბუნოდ არ გაუშვია. დროის მოთხოვნებს ანგარიშს უწევდა“ („თ. და ცხ.“ 1925 წ. №12).

მთელი თხუთმეტი წლის მანძილზე „თეატრი და ცხოვრება“ ფიხილად იდგა მშობლიური თეატრის ინტერესთა სადაზარაოზე, რითაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართულ სათეატრო ხელოვნებას.

ეურნალი „თეატრი და ცხოვრება“, სათეატრო ხელოვნების ვარდა, ქართული კულტურისა და ხელოვნების თითქმის ყველა დარგს შეეხო. მრავალმა ახალმა წამოწყებამ ხელოვნების დარგში პირველად იოსებ იმედაშვილის ეურნალის ინიციატივით პპოვა პოპულარიზაცია აღსანიშნავია, რომ პირველად საქართველოში „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებზე გამოჩნდა წერილები კინოს შესახებ, ამ ეურნალში პპოვა ფართო ადგილი ქართული ეროვნული კინემატოგრაფიის მტყუნეულმა პრაზბულემბმა.

ეურნალ „თეატრი და ცხოვრების“ თაოსნობით 1917 წლის შემოდგომაზე დაარსდა ქართული მომღერალთა და მუსიკოსთა კავშირი, რომლის ზამგეობის წევრი იოსებ იმედაშვილიც იყო ზაქარია ფალაშვილთან, ია კარგაჩეთელთან, ანდრია ფარაშვილთან, ზაქარია ჩხიკავასთან, ვალერიან გუნიათან და შტრტე შირიანაშვილთან ერთად. ამ კავშირის გეგმა ითვალისწინებდა ქართული ზალხური სიმღერების შევარგებას კომპოზიტორ ნიკო სულანიშვილის ხელმძღვანელობით, მომღერალთა გუნდების ჩამოყალიბებას, საოპერო სტუდიის დაარსებას, ქართული საოპერო დასის შედგენას და მთელი ღონისძიებებს ქართული ორბინალური ოპერის შესაწმენლად და დასადგმულად. ყოველივე ეს უმოკლეს ვადაში განხორციელდა. სწორედ ამ კავშირის თაოსნობით დაიდგა 1918 წელს რეჟის გოგნიანავილის პირველი ქართული ორიგინალური ოპერა „ქრისტინე“.

იოსებ იმედაშვილის მახვილ თვალს არ გამაპარკია არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული ეროვნული კულტურისა. იოსებმა პირველი შეიგება ვალაკტიონის გამოჩენის ქართული პოეზიის ცაზე, პირველმა დაინახა მამში ქერ კიდვე მალაიანად გამოუმგლავნებელი პოეტური ტალენტი. პოეტის პირველი წიგნის გამოცხატასთან დაკავშირებით ეურნალში იოაებ იმედაშვილი წერდა:

„ვალაკტიონ ტამბე—ეს ზუნებისა და ადამიანის სულის ბეგრათა მესიიდულე — სრულიად განეკროებითა სდგას და თავისი შემოქ-

მედლებით იგი მსოფლიო სეველის მგოუშვრო უხსლოვდება... ვალაკტიონ ტამბემ თავის ლექსთა მშენიერი თაიგულშს მსტყუნოთ... გავდაგვიშალა მუდამ მაძიებეტიმს სტყუნის ქედელი ადამიანის სწრაფეა, აღბეჭდა უკანასკნელ ათეულ წლების ინტელიგენციის რწმუნის ბერყეობა, ახალი გზების ძებნა, იმედის გაკრეება, უწუნეულობა...“ (თ. და ცხ. 1915 წ. № 2).

იოსებ იმედაშვილი დიდი მოწინებით და ღრმა პატივისცემით ეპყრობოდა ჩვენს დიდი კლასიკოსების სხოვნას. ამის დადასტურებაა მისი წერილები უეა-ფმებელაზე, ილქუსანდრე უაბეზე, იაკობ გოგეაშვილზე, ეგნატე ნიხოშვილზე, დიპიტრი ყუფიანზე, ილია ჭკევიავილზე, აყაი წერეთელზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, დავით კლდიაშვილზე. ეურნალი „თეატრი და ცხოვრება“ დიდ ადგილს უთმობდა მათს იუბილეებზე, ამეჭებდა მათს სხოვნისადმი მიძღვნილ საღამოებს, ბეუდავდა მათს ვანუშგორბეულ ქმნილებებს. ცალკე ნომრები დაეთმო ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭკევიავის, ვეაფშაველას, ნატო ვახუნიას. მარტო აყაის ვარდაცვალეებას იოსებმა ობიი ნომერი დაუთმო.

შეგროშტეველებს შესანიშნავ ნიმუშად უნდა ჩათვალის იოსებ იმედაშვილის სიტყვა წარმოთქმული მოაწმინდაზე, აყაის საბარსთან, 1925 წლის 12 აპრილს, აყაის ვარდაცვალეების მუათე წლისთავის შესრულებას აღსანიშნავ სემოქალკო პანაშვილზე, რომელიც ეურნალ „თეატრი და ცხოვრება“ თაოსნობით დასა დაბედილი (იხ. ეურნ. „თეატრი და ცხოვრება № 9 1925 წ.).

„აყაი ჩვენი წმინდათაწმინდაა, სამშობლო შეწრობის რავარი, პოეზიის ვეირავი, მსოფლიო მოქალაქეობის ნიმუში, მშობიელთა განთავისუფლების მომღერალი, ნორჩი თაობის აღზარდელი, უეეთესი შერმისის და წინსვლია რწმუნის სიმბოლო. მან ყველა ქართველის გულში სიკეთელოთეე ათეი ზელოთქმენი რეგლა. ჩხალაბ-ახდელი ერის და ზალხის უგეარავირო მეველ შეიქმნა. სასოწარკვეთილების ეამს მისი სიუფშის შექმენი. თეატრისპობის კვერთხი... ამბობდა იოსებ იმედაშვილი.

ეურნალში რომ ებრძოდა, ცხადია, იოსებ იმედაშვილი კარგად ვანასეგებდა მეფის მთავრობას და რუს ზალხს, მათს საუყუეთესო შეილებს. ამიტომ იყო, რომ იგი სულითა და გულით მიეგებდა 1914 წელს გამოჩენილი რუსი პოეტის, აყუფიისტყაიასისს რუსულ ენაზე მიწველი მთავრებელის კონსტანტინე ბალმონტის საქართველოში სტუმრობას. იოსებ იმედაშვილია წერილი, რომელიც უსაზღვრო პატივისცემით არის გადამბარი ბალმონტისადმი, დაიბეჭდა 1914 წელს „თეატრი და ცხოვრების“ მეთერთმეტე ნომერში.

იოსებმა აფერთაოვანებულა წერდა: „დაე, დიდის ზუსტისაი სახელოთქმელო მგოსანო, შენმა სულმანე შეიცირობის პატარა იგერიის უდიდებულესი შეილი, საქართველოა ოქრის ხანის მარგალიტი. მთელი ქართული ერის სიამაფე, რათა შენთა თანამეგმელოთაე ვანაუტევიწო ქართული მგოსანთა მამამთავრია ქმნილუა და მით უჩვენო შენს თანამემეით, თუ რაოდენ სულიერი სიმდიდრეს შეიცავდა დღეს ძაბით მოსილი თეატრის თეითარსებობა შორეულ წასსულში და აწ რის ღირსს აბიან ძვნი მისნა... იქნება იგი ვადაიქცეს პატალიო ამობის გზა-ზიდად... მშვიდობა შენდა, ციფრ ხმათა მომღერალი, ციე-ჩრდილოეთის შეილი...“

მრავალწინაშე. მაგრამ მართლ უდრავალი შოთას სამშობლო იაფარდაყვავილებით გვიგებენა...

ოსებ იმდამდევი განსაკუთრებული აღტაცებით მივგება საქართველოში უნივერსიტეტთან დაარსებას. უნივერსიტეტის გახსნის დღესთან დაკავშირებით 1918 წელს „თეატრი და ცხოვრების“ მესამე ნომრის გარკვეულ დაბეჭდულ უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილისა და სახელგანთქმული მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის პორტრეტები, რომლებიც ნომერში იქ დაისტამბა ივანე ჯავახიშვილის ლექცია — „დასამაინის პიროვნება და მისი მნიშვნელობა მთელ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობაში და ცხოვრებაში“, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის გახსნის დღეს წაუკითხა. ქართული ხალხისათვის, რომ უდიდესი მნიშვნელობის მქონე იყო უნივერსიტეტის დაარსება, სწორედ ამას უსვამს ხაზს იოსებ იმდამდევი ქართული უნივერსიტეტისადმი მიძღვნილ წერილში, რომელიც იმავე წლის „თეატრი და ცხოვრების“ მესამე ნომერში დაბეჭდა.

„საქართველოს თვითმართვლებას და სულიერ განათვისებულებას საძირკველი ჩაეყარა — წერს იოსებ იმდამდევი — იანერის 26-ს გაიღო ქართული უნივერსიტეტის კარები, ამიერიდან ყოველს ქართველს შეუძლია თავის სამშობლოშივე მიიღოს უმაღლესი განათლება: ჰემოზოტიკად ეს დღე ისტორიულ დღედ ჩაითვლება... ჩვენი მშობლიური განათლების ყერა კვლავ იწყებს ბრწყინვალე განახლებულ ძალედ. მან უნდა მოვუვანოთ გონებრივ-სულიერი სიმაღლე, საკუთარი თავის რწმენა, სამშობლო ქვეყნისა და მსოფლიოს სიყვარული...“

1917 წლის რევოლუციის პერიოდში ეჭრნალა „თეატრი და ცხოვრება“ სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს რევოლუციებზე, ქართული ხალხის ცხოვრებაში მის დიდ როლზე. ამ პერიოდში ეჭრნალმა გამოაქვეყნა გიორგი ჭეჭიშვილის, ვერალა რუხაძის, სემან ერთაშვილის, მისი ნაწერებში მკაფიოდ ხანს რევოლუციური შემართება, მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლა, რაც განსაზღვრავდა ეჭრნალისა და მისი რედაქტორის იდერ პიზიციას. „თეატრი და ცხოვრების“ 1917 წლის ერთგვარი ნომრის გარკვეულ იოსებმა დაბეჭდა ილიას ლექსი „განაჯიხული“.

საყურადღებოა 1917 წლის „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებზე გამოაქვეყნებული იოსებ იმდამდევის რევოლუციური სტატიები „როგორ ვიცხოვროთ“, „იციან შენი თავი“, „დაიშობ ძველი, გაუმარჯოს ახალს“, „მედგრეთით აღსდგა“, „თეატრი და რევოლუცია“, „საქართველი ხალხი“, „დღეს რაბუ“ და შრავალი სხვა მარტო სათაურებიდანაც კი ნათ-

ლად ხანს მათი ავტორის დამოკიდებულება რევოლუციის მიმართ. და, წარმოადგინებ, როგორც იმდამდევი მისივე ეჭრნალის მთავრადი პრივილი ამ პერიოდში. იოსებ იმდამდევი სტატიებში გამოთქმულია რწმენა სივალასტა ქვეყნისა და ეროვნების მშრომელთა სულიერობისა, რწმენა იმისა, რომ მხოლოდ შეერთებული ბრძოლით შეიძლება მივალთვით სინაერელ თავისუფლებას. იოსებ იმდამდევი, გარდა მშობლიური წერალებთან, მხატვრულ ნაწარმოებებშიც გამოთქვა რევოლუციის საბოლოო გამარჯვების რწმენა. 1917 წლის „თეატრი და ცხოვრების“ ოცდამეშვიდე ნომერში იოსებმა „იზიბის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა ლექსი „ხევეური“, რომელიც გამოთქმულია რევოლუციის გამარჯვების შედეგად მისი სახეობი გამოყობილება, იმავე წლის ოცდამეთობმეტე ნომერში დაბეჭდა თავისივე პიესა „სოფლია მიტინგე“.

ეჭრნალ „თეატრსა და ცხოვრებას“ ორჯერ გადაზიდეს ობილუ: 1920 და 1925 წლებში. ორჯერვე გამოვიდა ეჭრნალის საბუბლო ნომრები (№ 13 და № 12), რომლებზეც დაბეჭდა ივანე გომარაგის, ილი მოსაშვილის, დავით ხაბუტიაშვილის, დარია ახელუდინის, ვატირინე ვახაშვილის, ტრიფონ რამიშვილის, იოსებ გომარაგის, მიხეილ ჯავახიშვილის, ხომლევის (ფანცხავა), ვაჟო საფაროვის, ვეფენია მესხის, ნინო ყუფიანის, ლეო ქიანელის, სოფრო მგალობლიშვილის და სხვათა მისაღმებელი წერილები. წერილის ავტორები ხან-ხანაში აღნიშნავენ ქართული ეროვნული კულტურის წინაშე. იოსებ იმდამდევისა და მისი ეჭრნალის დიდ დასაბურებას.

იოსებ იმდამდევის, თუმცა ხელმოკლე იყო, არ დაუზოგავს თავი ეჭრნალის მალა ხარისხთანად გამოცემისათვის, არ მიუღია არავისგან არავითარი სუბსიდიები და დაბმარება. ის კი არა და, ზნორად, დასმარების მგვირ, ზელსაც კი უშლიდნენ, ეშუქებოდნენ კიდევ. ზოგიერთმა უპაჩინებო აღმაზმა უახგარი მოღვემის შოთას უდებრად მოიხსენია, საყვარელი ეჭრნალაც კი შეუგინა (იხ. ეჭრნ. „თეატრი და ცხოვრება“ № 13, 14 1924 წ.), მაგრამ იოსებ სულითა ახასოღეს დაეშუღა, არ შეშინებია არც პაროკიაციისა, არც ცილისწამებისა, ერთ-ერთ საბოლოოყო წერილში იოსებ სრულ პასუხისმგებლობით აცხადებდა:

„ჩვენი დროში მალა ფრიილებს და ვიდრე პირში სული გვიდგას, ამ დროშას ძირს ვერაკონ დაჯიხრეივნება... ჩვენი შიხანი შიხე მუდამ ნათელი, სწორი და გაოცეულია: ტვირით ჩვენი მიშეა, გარან ხელთფენის ტრფალი-სიყვარულით გამობარი, სამშობლო ქვეყნისადმი შოვალეობის შეგნებით გვაკეებულ, საყავობრიო მისწრაფებით აღზნებული“.

იოსებ იმდამდევის მიერ შეგნებული ცხოვრებაც სამშობლო ქვეყნისადმი უერთგულესი სმასაბუთით არის გაყისკროვნებული.

3360 80 კკვ.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა  
ИНДЕКС  
76128

**« М Н А Т О Б И »**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**